

14
978 | 2


ქართული
წიგლმცოდნეობის
აქადემია

ქართული

1

1978



გეოტოპი

საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 54-ე

№ 1

თბილისი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

უიწაწაწი

მანო მამიაძე — ლექსები	8
რევაზ ჯაფარიძე — მამიძე ჯგერძი. რომანი. წიგნი შესაყე	8
მარგინა ლავანიძე — წიგნიდან „1977“	39
გიორგი ტყეშელაშვილი — სკლინიკის სწავლების შემსახი... მოთხრობა. ვაგრძელები	50
იონა ვაჟაძე — ლექსები	72
გიორგი მინდიაშვილი — ლექსები	75
სერო ხუნდაძე — ეს მი ვარ, მწერლი... მოთხრობა. თარგმნი ლეო ასტუცე- ციანოვი	79
სულეიმან რუსთამი — ლექსები. თარგმნი ალექსანდრე ბეგაშვილი	84

წერკვებები ხუთწლიან დღეებზე

მირონ ხარბიანი — ბანი მშვიდობისანი. დასასრული	85
---	----

კრიტიკა და კუბლიცისტიკა

აბაი მანიძე — ნიკო ნიკოლაძე	104
აბაი სუბუღაძე — ნაწლები ხალხი და მები ობიექტრობა მიცნეილ კამერაზე	109
პროფორი რაბინი — კიდეც ერთხელ კართულ რეფორმაციკ დიოკრატოს მსოფლმაცხელოვის საკითხზე	129
მანუკა შილაძე — ფაბი და მხატვრის მანუკი	151
სერგი ავალიანი — რა ინიდან ითარგმნი კართულ ბაუნიციის თხუ- ლიანი	157
ვალერიან მამიაძე — საქართველოს ისტორიის დოკუმენტების კუბლიცა- ციის საკითხებზე	163
ილია მისიუაძე — ონოგაციის საყაროვი	166

ფაქტები, მოგონებანი

ალექსანდრე ბარბიძე — მოგონებანი კომენტაციით	178
---	-----

საქართველოს კვ ტენტალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. მარქსის საბ. ს.კ. სს
საბელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ვიორგი სანაძირაძე — ლიტერატურული კვირის მისი გზები

ტარიელ მანუჩია — კარნატილი მოგზაური



188

საქ. ც-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ვიორგი ნატროშვილი.

საკრედიტო კოლეგია:

მ. ბაბუიძე, რ. ანაბუკილი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუღაშვილი, თ. ვივიანიანი, მ. ლა. ბანიძე, ლ. მამულაშვილი, ბ. სულაბაძე, ბ. ქუთათაძე, ხ. შანუიაშვილი, დ. შანუიაშვილი, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიანი, თ. ბილაძე, ბ. ხარაძე, რ. ჯანაშია, გ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაკვებია.

რედაქციის მხარეთი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ბილეთები: რედაქციის — 98-55-11, უფ. 08044. რედაქციის მოადგილის — 98-55-12, განყოფილების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ისაწყობად 5/XII-77 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 20/I-78 წ., ანაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ტიპის ფორმატი 70 X 108 1/2, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საბარ. საგამომცემლო თაბახი 16,58.

ტირაჟი 17150. შვკვ. 3585. საქ. ც-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ახალი წელი

შემოდის სოფელში გვიან
და გვირიგებდა ბრჭყვიალა სიზმრებს,
ნაძვის ტოტებზე დაქანაობდნენ
გირჩები, როგორც ქონდრისკაცები.

მოსუცს თავისი ხელებისფერი
მოჰქონდა მსხლეები.
თაველია ქვაბში
ხტოდნენ ჭინკები —
ბატიბუტის თეთრი მარცვლები.

მე ვგრძნობდი შუბლზე შენს დამჭანარ
ტურებს,
მკერდზე დაწყობილ ხორკლიან თითებს —
თითქოს ჩითილის კვალს უფერებდი...

ეს როდის იყო...
მჩატე სხეულით
კვლავ დაფარფატებ ორღობეებში
და ნატრობ იმ დროს
როცა ყველა ერთად ვიყავით.

ვიოლინოს გაკვეთილი

ბავშვის თითები ფრთხილად ხსნიან გაქერცილი კოლოფს,
თითქოს კოლოფში დაკარული ფეხისგულებით
სოფლის მებზორე ბიჭუნა იწევს...
შეიშმუშნა ბატარა მწყემსი — ვიოლინო.
და გოგოს მკერდზე —
გაზაფხულის ციციკა მინდორზე
ბორძიკ-ბორძიკით გაიშალნენ სველი გამები...
დიდი ხანია სახურავები გადაირბინეს თბილმა წვიმებმა
და ახლა ცაში არავინ ცხოვრობს,
რომ შორეულზე შორეულ ეჭოდ
ვიოლინოს გულისცემა გაიმეოროს...
გოგონა უსმენს,
საკონცერტო დარბაზებიდან
ჯერ არ დაძრულა ტამის გრიგალი,
არც აფიშების მხიარულ მწკრივებს
გადუფრენიათ ჭალაჭები...
და ვიოლინო როცა იძინებს —
დიდხანს უნთია სასთუმალთან ბავშვის ოცნება —
აყვავებული სინათლის ბუჩქი.

როცა მამები იგვიანებენ
 ბავშვები ჩუმიდ სტირიან ძილში.
 ხაყსეა მათი სათნო თვალები
 გაურკვეველი დარდით და შიშით...

გადახვეული ვარდისფერ ბალიშს
 ბუტბუტებს, ოხრავს და ეჩვენება.
 დაღლილი მამა, ზედმეტად მთვრალი,
 როგორ გათქერვს თოვლის ცხენებმა...

ვეხები მის თმას, მის ბიჭურ კისერს
 და ცეროდენა ოჯახის ღმერთის
 ლოყიდან ამყავს კანკალა ცრემლი,
 როგორც სინათლის პატარა წვეთი.

თარიღი

მოვიდა ეს დღეც — იმ დღეთა მსგავსი
 და გადახვეწილ ფრინველთა ნაცვლად ტოტებზე დასხა
 წვიმის ჩიტები.

წვიმა — არფაა,
 ფრთხილად აედვრებს არითმიული გულისცემა შენი
 წარსულის —

მიყურადე: გამორბის ბავშვი
 ბავშვი კი არა ნაბიჯების ხმა ისმის მხოლოდ
 შორეული,
 როგორც ტყეში ცულის კაკუნი —
 ის მიდის, მიდის ფოთლოვანში,
 პირმიქვეული,
 სათავისაკენ შებრუნებულ მდინარესავით...
 მაგრამ ესეც ხომ სურვილია, მხოლოდ სურვილი
 მასთან შეხვედრის —
 უსახელო და უსხეულო,
 თავს რომ იტყუებს
 და წამიერი ნეტარებით თვალბმილულულს
 მაგაზე უდევს მომაკვდავი ფურივით თავი...

წავიდა ეს დღეც — იმ დღეთა მსგავსი
 და გაიყოლა ნატამალი მარადისობის —
 წელიწადი.

შეაჩვიე, თვალი სიბნელეს —
 დიდი სინათლის მეორე მხარეს —
 აქ უნდა იდგე, თორემ უშენოდ
 გაუჭირდებათ შემოდგომის მწუხარე წვიმებს;



აქ უნდა იდგე ხმის გამცემად და მოზიარედ,
იმ სიხარულის
ფოთოლცვენამ რომ გადასრისა
და გამოგონა ალუბლის ფერმა და სიტკბომ...

ვის გამოიხმობ წარსულიდან,
მწვანე ყრმობას ვინ გაგახსენებს —
ველები ველებს ენაცვლება,
ხრიოკი — ხრიოკს,
გარუჯულ ქალებს თან მოპყვებათ მახობლის სუნი
და ყვაილოვან მზესუმზირას ჩაფრენილი შენი ბავშვობა...
ო, მას შენსავით არ უცხოვრია —
ის გაზაფხულის ფუტკარი იყო —
ყვაილებიდან ნექტარივით წოვდა ოცნებებს.
ის ნადრევად გარდაიცვალა
გულგახეთქილი მერცხალით ხელში
და ჩაგაბარა პატარა სული.
ამ სულს მიპყვები სიერცვებში გადამალული
ყრმობის შინდვრების მოსახილაფად —
იქ —
თავმოდრეკილ მზესუმზირებში
გარდასახული შენი ბავშვობა —
სიმინდის ფუჩეჩს ლოღნის ბოჩოლა...

შეახე ხელი.
ის გელოდება —
დავიწყებული ყრმობის სიმღერა —
ის გაზაფხულის ფუტკარი იყო,
ყვაილებიდან ნექტარივით წოვდა ოცნებებს.
ის ნადრევად გარდაიცვალა —
შენი სხეული სარკოფაგია
და შიგ ფერნაკლულ ბავშვობას სძინავს
გულგახეთქილი მერცხალით ხელში.

• • •

ეწვევი.
კვამლი კვამლს ემატება.
ეშვება მწუხრი —
დარდს ემატება,
ვინაც გიყვარდა არ გენატრება
თოვლი თოვს,
თოვლი თოვლს ემატება.

ო, შორეულო შემბრაღე სულო,
აღარ მობრუნდა შენი ნათელი.
ნეტავი საით მიემართები

ცაგ —
ამღვრეულო და უსასრულო.

გათავდა!
მოაქვთ ნაალაფარი
თრიალეთიდან დამფრთხალ ხეობებს.
საფლავის ქვებზე მკედრების დღეობა
როკავს.
ქარს მისდევს ცხენის ფაფარი.

მდევარი არ ჩანს,
შენი დღე არი —
თოვლი თოვს,
თოვლში ხსოვნა ღონდება.
და გესმის ნოსტეს მისადგომებთან
გულგატეხილი სმლები ვლრიალი.

კველი სახლი

აღარ ვიჩქარი.
ამოცურდა დველფიდან ცვეცლი.
გათბა ღუმელი,
ატკაცუნდა წიფლის ნაბობი —
იწვის ქართლის ტყის ნაშიერი —
ვერ მოესწრო ამ დიდთოვლობას,
ვერ აიფრინა თეთრი მხრებიდან
გაბეზრებული ყვავის ყრანტალი.

უხმოდ კედებიან ხეები, შვილო —
შხუის ჰაერში მოწყვეტის წამი,
როგორც წუბილი სიფრცვებთან გამოთხოვების...
მიწა აიტანს ყველას დაცემას,
რამეთუ ყველა მას უბრუნდება
ნაცრად და ფერფლად.

იწვის წიფელი.
ვუზივარ ზამთრის ბებერ ღამეებს,
ვუსმენ შეცივულ ძაღლის ხველებას —
ისიც მოღალა ჟანგინი ჯაჭვის ვლარუნმა
და უპებთან მიყინულ ცრემლებს
თათით იცილებს.
ვის შეუღრინოს —
დააყრუა თოვლმა სოფელი —
ძილსმიცემული, მაძლარი დათვი.
ვის დაუყეფოს —
როცა მოკვდება,
მაშინღა მოვლენ,

ამ წლებით ნათრეე ჯაჭვსაც შეხსნიან
 და აქოთებულ საძაღლეზე სხვას მიაბამენ...

მის გამხდარ ლეშსაც აიტანს მიწა,
 რამეთუ ყველა მას უბრუნდება,
 რომ ღამღამობით ამოიფრქვეს ფოსფორის შუქად
 და ახალ მგზავრებს ჩაუყენოს ძარღვებში შიში —

შიში —
 საშოდან სამარემდე გაბმული შიში...

აღარ ვიჭარი.
 თოვლმა დაბურა შორეულ დღეთა გადასახედი,
 შუა სოფელში ჩამოხსნილი ხარივით დადგა
 ეს ძველი სახლი —
 ჩვენ აქ ვცხოვრობდით,
 აქ დამრავლდა ჩვენი ჯილაგი,
 აქ ცხოვნებულმა დიდმა პაპამ მკერდზე ხელები
 ორი ქართული კრამიტივით გადაიფარა...
 მაშინ პირველად დაიღვარა პურზე ზედაშე —
 გაძდა სოფელი.
 აქნილ ხმოს თავს ლოკავდა ძაღლი,
 ნაშიშშილარი, ყმუილისგან ხმაწართმეული...
 სახლი კი სდუმდა —
 უენო ზარი,
 თოვლქვეშ მოხრილი,
 დაყრდნობილი კაკლი თავხეზე..

რა დრო გასულა —
 დრო —
 ტკბილ-მწარე მოგონებებით
 ჩალგქილა და ჩაკირულა
 როგორც დაბზარულ ქოთნის ძირზე
 შემხმარი ფისი...

შენ ახლა შორს ხარ და ვერ გაიგებ
 რატომ ვსაუბრობ ამ კედლებთან —
 რისთვის ავკრიფე
 ჯაგლაგი ცხენის დაძნედილი სადაფეები.
 რატომ ვარ მარტო.

რატომ ვზივარ დახუთქილ ზარში
 თოვლიან ღამით გამოხმობილ მოჩვენებებთან...
 გესმის ყივილი
 ესენი წავლენ,
 ეს სახლიც წავა,
 წავა, როცა ფეხგამოკრული
 ჩაიჩოქება ფუტურო თავზე.

№ 339 ჯავარიძე

მეიმა ჯვარი

რომანი ოთხ წიგნად

წიგნი მესამე

ქაღვლის წარი

თავი I

ფეად მოსაგონარი დღიდან, რაც დვთისა და ქვეყნის მოღალატე სახლთუხუცესმა სეხნია ჩხეიძემ იმერეთში აგარიანები მოიყვანა და ქუთაისის ციხის კარი გაუღო, მობრძანდით და იბატონეთო, იმერთა მეფეები, სუსტნიც და ძლიერნიც, ვოხიერნიც და უგუნურნიც, დიდხანს ცდილობდნენ, დაკარგული სატახტო ქალაქი როგორმე დაებრუნებინათ.

ყველა დაქინებული ცდა და მოწადინება მარცხით მთავრდებოდა.

ასე გაგრძელდა თითქმის მთელი საუკუნე. გარდასული სანატრელი დრო, როდესაც ციხეში ურჯულო აგარიანები არ იდგნენ და სასახლის ოქროსფრად მოციმციმე გუმბათზე იმერეთის მეფის ალაში ფრიალებდა, თითქოსდა უფსკრულში ჩაინთქა და თაობიდან თაობაში დავიწყებას მიეცა.

ოსმალებმა ციხეში საშვილიშვილოდ დაიბუღეს, ციხე ზარბაზნებითა და ზამბულაკებით აღჭურვეს, სადაც მოუხერხდა, ღრმა თხრილებიც შემოავლეს და მტრისაგან ოთხივე კუთხივ მიუვალი გახადეს.

ციხე, უფრო სწორად ციტადელი,

არცთუ ისე დიდი იყო, თუმცა ვერც სიბატარავეს შესწამებდი. რიონის მარჯვენა ნაპირზე გადმომდგარი კლდოვანი გორის სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთა ეჭირა და თვალმუედგამი მტკიცე კედლებითა და წახანაგებთან დატანებული დაკბილული გოდოლებით რიონის პირზე ჩამოდიოდა. აქვე იყო ციტადელში შესასვლელი მთავარი კარიბჭეც, რომელსაც ხუნდზე დაგორგლილი ჯაჭვით აღებდნენ.

ციტადელში რომ შესულიყავი, რიონზე გადებული მკვიდრბურჯებიანი ხიდი უნდა გადაგვევლო.

ხიდის, ისევე როგორც თვით ციტადელის, აშენებას ხალხური გადმოცემა იმერთა დიდი მეფის, ბაგრატის სახელს უკავშირებდა. ბაგრატი მეთექვსმეტე საუკუნეში ცხოვრობდა და თუმცა მთელი სიცოცხლე აგარიანებთან განუწყვეტელ ომებში გაატარა, არც მშვიდობიან აღმშენებლობას ივიწყებდა და ქვეყნის მიწა-წყალი მრავალი მიუვალი ციხით, სრა-სასახლითა და ეკლესია-მონასტრით მოპვინა. დიდი ქვეს ხიდი რიონზე და მაღალი გალავნით შემოვლებული ბრწყინვალე

ლი ციხე-დარბაზები, რითაც სატახტო ქალაქი ქუთაისი დანაშაულებრივად აღმშენებლობითი მრღვეაწიობის დაგვირგვინება იყო.

მთავარი კარიბჭის გარდა, იშვიათად, რაიმე დიდი ზარ-ზეიმის დროს რომ აღებდნენ ხოლმე, ციხეს კიდევ ორი კარიბჭე ჰქონდა. ერთი ჩრდილოეთისაკენ — ლეჩხუმისაკენ იყო მიქცეული, ხოლო მეორე მწვანე გორაკებზე კობტად შეფენილ სოფელ ბანოჯას და სოფლის მიმდებარე უღრან ტყეს გადაჰყურებდა.

ვიდრე ციტადელს მისი ერთადერთი კანონიერი პატრონები — იმერთა მეფეები ფლობდნენ და შიშინობის ჩამოვარდნისას ქალაქის მშვიდობიან მოსახლეობას იფარებდნენ, იგი ხოლოდ სამი კედლით იყო შემოზღუდული. მეოთხე კედელი, რომლის მაგივრობასაც ადრე ციხისა და კაცისაგან მიუღდგომელი წყალუხვი რიონი ეწეოდა, თვით ოსმალებმა ააშენეს და, ასე და ამგვარად, ციხე წყლის მზრიდანაც მიუშავალი გახადეს. აგარიანებმავე დიკავეს ქართველ მეფეთა კუთვნილი ციხე-დარბაზები მდინარის ორივე ნაპირზე, ნიშნად თავისი აქ ყოფნისა სასახლის პარმალზე ნახევარმთავარიანი ალაში აღწართეს და მრავალქირნახული სატახტო ქალაქის სრული ბატონპატრონი გახდნენ.

ყველა მეფესა და ბატონიშვილს, ვისაც კი გული სარწმუნოებისა და დედასამშობლოს კეთილდღეობისათვის უძგერდა, როგორც კი თავზე გვირგვინს დაიდგამდა და ასე თუ ისე ძალას მოიკრებდა, თვალი აქეთ ეჭირა და ურჯულო მტრის კლანჭებიდან სატახტო ქალაქის გამოგლეჯაზე ფიქრი არც დღე ასვენებდა, არც ღამე.

პირდაპირი ოსმალების შიში ისე ბორკავდა ყველას, მხოლოდ ზოგიერთები თუ აიღებდნენ ხოლმე თავზე ზელს და სისხლისმსმელ მტერზე ამხედრებულნი ქარქაშიდან ხნალს ამოიწვიდნენ.

ერთი ამ გაბედულთაგანი მეფე

ალექსანდრე მეხუთეც იმდროინდელი მტერ-მოყვარე დიდებულთა დაქირებულნი მითხოვნით შეგულიანებულმა, შენ მხოლოდ დაიწყე, კურთხეული დროშით წინ გაგვიძევი, დანარჩენი, ღეთის მადლით, ჩვენ გვეკითხებოდესო, როცა სულთნის ვეზირ, სამთულიან ფაშა ისაყთან სამშვიდობო მოლაპარაკებითა და ხვეწნა-ვედრებით არაფერი გამოვიდა, ალექსანდრემ სამჯერ ზედიზედ სცადა ციხე ძალით აეღო და შიგ თავისი მეციხოვნე ჯარი ჩაეყენებინა. ძლიერ მტერთან ნეომარი მეფე, რომელსაც არც არტილერია ჰქონდა და არც ტყვია-წამლის საკმარისი მარაგი გააჩნდა, სამჯერვე დამარცხდა და იძულებული გახდა, ომში საგრძობლად დახარალებულს უკან დაეხია.

ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც ვახტანგ მეექვსისა და მისი დიდი ამალის რუსეთს გახიზვნის შემდეგ ქართლი უმეფოდ დარჩა და მომხედური მტრის კერძად ქცეულ ქვეყანას ოსმალები დაეპატრონენ. ტფილისის ყიზილბაშური გარნიზონი ოსმალმა მეციხოვნე ჯარმა შესცვალა, ხოლო სულთნის ვეზირი ასაყ-ფაშა, გადაგვარებული ქართველი თავადი, ათაბაგ ჯაყელთა ნაშიერი, აქამდე რომ მხოლოდ ჩილდირის ბეგლარბეგი იყო, ტფილისის ვილაიეთად გამოცხადებულნი დედა-ქართლის სათვეშიაც მოქცა.

ალექსანდრემ, როგორც შემდეგ საქმეში ჩახედული კაცები ამბობდნენ და წერდნენ, ყველაზე უფრო არახელსაყრელი დრო შეარჩია ქუთაისის ციხის გამოსახსნელად. შინაურ ძმათამცელტ ომებში გართული სპარსეთი იმდენად დაუძღვრებელი იყო, რომ არ შეეძლო, მომძლავრებულ ოსმალთათვის ამასიის 1555 წლის ზავის პირობები შეეხსენებინა, რომლის თანახმადაც მთელი აღმოსავლეთ საქართველო მისი გავლენის სფეროდ ცხადდებოდა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოეთხოვა...

ორი თუ სამი წლის შემდეგ, ისაყ-

ფაშა რომ ბაღდადს გაიწვიეს და ქართლში ახალი ბატონი მოვიდა, ალექსანდრემ კვლავ მოიცა ძალი, ისევ შემოერთდა ალყა ქუთაისის ციხეს ორთვენახევრის განმავლობაში აქედან ფეხი არ მოუცვლია. იმედოვნებდა, მეციხოვნე აგარიანებს შიმშილით სულს ამოვხდი და რას იზამენ, ვითონ აღარც მაშინ გააღებენ ციხის კარებსო?

იმედი ამჯერადაც ვაუტრუვდა. ციხეში მყოფთ შიმშილობისა ბევრი არაფერი ემჩნეოდათ. დროს არბეინად ატარებდნენ და, თითქოს მოალყე მტერს მასხარად იგდებნო, ხანგამოშვებით ზარბაზნსაც ისროდნენ.

ყველა ჭურვი, უკლებლივ, ბაგრატიის ტაძრის ვალავანში ეცემოდა. სამჯერ თუ ოთხჯერ ჭურვი ტაძრსაც მოხვდა და უწმიდესი კათალიკოსის მეცადინეობით სწორედ წინა წელიწადს აღდგენილი დასავლის კედელი დააზიანა. ეჭვი არ იყო, თუ ალექსანდრე განზრახვას არ შესცვლიდა და ციტადელს ალყას არ მოხსნიდა, სრულიად საქართველოს ამერ-იმერის ეს უდიდესი სალოცავი, ქვეყნის გამაერთიანებელმა მამულმა მეფემ შეათე-მეთერთმეტე საუკუნეების მიჯნაზე რომ ააშენა, კირისა და ქვა-ლორღის გროვად გადაიქცეოდა.

1510 წლიდან მოკიდებული ეს მესამედ ხდებოდა, რომ ციხის კაზემატებში ჩანსხდარი აგარიანები ამ ვერაგულ ხერხს მიმართავდნენ — მოალყე მტერს მისი წმიდათა-წმიდა სალოცავის დანგრევით ემუქრებოდნენ...

მეფე დარწმუნდა: აქ მთელ წელიწადსაც რომ ეყურყუტა, ოსმალები, როგორც ჩანდა, წარბსაც არ შეიხრიდნენ, ვინაიდან რომელიცაე საიდუმლო, მხოლოდ მათთვის და მათი ხელისშემწყობებისათვის ნაცნობი გზებით დაუბრკოლებლივ ახერხებდნენ ქალაქიდან ნუზლის შეტანას. თეთრი თავზე საყრელი ჰქონდათ, თეთრზე გაწუწკებული ვაჭარი კი, ვინც სულ არ დაგიდევს, ვის რა მიჰყიდოს, აღონდ-საქონელი გაასაღოს და თავს

სარგებელი მიუმატოს, რომელ დიდსა თუ მცირე ქალაქში გამოღლეულა, ქუთაისში რომ გამოღლეულიყო!

ალყის იძულებითი მოხსნის შემდეგ ქალაქის ცხოვრება ნელ-ნელა დგებოდა თავის ძველ კალაპოტში. სამაგიეროდ, ზედიზედ სამ წელიწადს კალიასავით შემოსეული მარბიელი ლაშქარი უმოწყალოდ იკვებდა ქვეყანას, სწვავდა, თხრიდა, მიწასთან ასწორებდა, გააქონდა, რის აღკვილიდან დაძვრა, ცხენზე აკიდება ან ურემზე დატვირთვაც შესაძლებელი იყო, განუწყვეტლოვ იტყვივებდა და უცხოეთის ბაზრებზე გასაყიდად მიერეკებოდა იმერეთის სოფლებსა და დაბა-ქალაქებში შეპყრობილ ასობითა და ათასობით გოგოსა და ბიჭს. ადამიანის ფასი დევდა. ერთი რიგიანი მეძებარი ძაღლის საფასურით ნაღზანი გოგო-ბიჭების მთელ ჯუნდს იყიდდი...

ყველა სხვა გაჭირვებას, ხალხს რომ თავს დაატყდა, შიმშილობა და შავი ჭირიც ზედ დაერთო. შიმშილმა და უეჭურნებელმა სენმა, ბევრი სოფელი დედაბუღიანად რომ ამოაგლო და გადააშენა, სასახლეებშიაც კი შეაღწია და იქაც ცოდვისკითხვა დაატრიალა. მომაკვდავების ზიარებას და მკვდრების გაბატონებას ველარაგინ აუდიოდა. დღისით-შუხისით, სასოწარკვეთილი ჭირისუფლის თვალწინ, თითქოს ბედის განაჩენიყო, სასაფლაოებზე შემოჩვეული ტურების ხროვა დაძუნტულებდა და ზერეღედ დამარხულ მიცვალებულებს საფლავიდან თხრიდა...

გუმინდელ თანამდგომ დიდებულთა მუხანათური ორპირობით ტახტიდან ჩონოგდებულმა მეფემ, აქეთ რომ აგულანებდნენ, შენ ოლონდ წინ გაგვიტეხი, ურჯულო აგარიანს შენებურად შემოუძახე, დანარჩენი ჩვენ გვეკითხებოდესო, თავს გაქცევით უშველა, რამდენიმე წელიწადი ტყე-ტყე იწანწალა და ტახტი რის ვაივავალახით, მამასისხლად დაჭირავებული ლეკებისა და ყაბარდო-ბალყარების დახმარებით დაიბრუნა, ქუთაისი კი, თათრის რჯულ-

ზე შემდგარ მეწვრილმანე ვაჭარ-ბე-
ლოსანთა, უცხოელ და შინაურ ტყვის-
მსყიდველთა, მსტოვართა და ასკერ-
იანიჩართა საბუღრად ქცეული, ერთი-
მეორეში არეულ რამდენიმე ენაზე მო-
ზიშნიძე ქალაქი, თავისი განცალკევ-
ებული ცხოვრებით ცხოვრობდა. ბაზ-
რებში, ფოლორცებსა და ქულბაქებ-
ში კაცი ვის არ გადააწყდებოდა, ვის
არ ნახავდი: იოლი გამორჩენის მაძიე-
ბელ უსახლკარო ნაწიწალებს, მრავა-
ლი უცხო ქვეყნის ტალახი რომ მოე-
ზილათ და მიზეზთა და მიზეზთა გამო
ბოლოს მაინც აქ დამკვიდრებულიყ-
ვნენ, თუ ომებში დასახიჩრებულ უბე-
დურ ხეიბრებს, ახლა რომ ხის ფე-
ხებით დაჩაბუნობდნენ და დიდსა და
პატარას მოწყალებას სთხოვდნენ,
საიდანდაც ჩამოხეტებულ თუ ადგი-
ლობრივ საეპქო ყოფაქცევის ქალებს,
დღედაღამ ბაზარში ან ხიდისყურში
რომ ეყარნენ და ორიოდ გროშის ან
ხელადა ღვინის ფასად გამვლელ-გა-
მომვლელს თავიანთ აწმროებულ სხე-
ულს სთავაზობდნენ, თუ გაზულუქე-
ბულ შევებშეებს, უპირატესად ჩამო-
სახლებულ ოსმალთ, მთელი ქალაქი
რომ ხელში ეჭირათ და ყველას შიშის
ზარს სცემდნენ, სხვადასხვა ჯურის
შეკობრებებს, ყომარბაზებს, მძარცვე-
ლებსა და მკვლელებს, დღისით რომ
გულისძლით ეძინათ და საშოვარზე
მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდიოდნენ,
თუ გაქსუებულ სირაჯებს და უზრუნ-
ველ მოქეიფეებს, მამა-პაპის მონავარს
რომ ქარს ატანდნენ, დღემუდამ ქუქ-
ყით გაზინთულ სუფრას უსხნდნენ, ხმა-
ჩახლერილი მრავალყამიერს გაპყვი-
როდნენ და სიცოცხლის უმეტეს ნა-
წილს გადაბმულ დროსტარებასა, სა-
მეძაფო სახლებში წანწალსა და ახალ
ქეიფზე ფიქრში კლავდნენ.

ქუთაისი ბრძოლის ველზე დაუმარ-
ხავად, ყვავ-ყორნის საჯიჯგნად მიტო-
ვებულ უპატრონო მკვდარს ჰკავდა,
დღითიდღე რომ იხრწნება და გარე-
შოს შემადრწუნებელი სიმყარლით წამ-
ლავს. ყოველი ხელუკუდმართი და სულ-

მოკლე ქუთაისისაკენ მოსწრაფვოდა,
მეტადრე ისინი, ვისაც სამეფოში გა-
ვარდნილმა ახალმა სუსხმა დღითი-
დღე რომ მატულობდა და უფრო და
უფრო საშიში ხდებოდა, ფრთები შეი-
კვეცა და დაუსჯელი პარპაშის საშუა-
ლება მოუსპო. თუ გამჩენი ღმერთი
შეეწეოდათ და აქამდე სულს მოიტან-
დნენ, ქუთაისის ციხის კარიბჭე ყო-
ველი ავაზაკისა და ღვთისმგმობელი-
სათვის ღია იყო, თუმცა ფოცხვერი-
ვით ფრთხილი და ტურასავით დაუნ-
დობელი კაციანი-ფაშა არც აუცილე-
ბელ სიფრთხილეს იფიწყებდა. თვეო-
ბითა და წლობით ერთ ადგილზე დო-
მისაგან გამოლაყებულ მეციხოვნეებს
სიბეცე რომ არ გამოეჩინათ და ციხე-
ში უნებლიეთ მტერს არ შეეღწია, აგ-
არიანთა მოწყალე მფარველობის
მთხოვნელ გლეხს თუ აზნაურს, ვა-
ჭარს თუ უბრალო მოქალაქეს, რასაც
ის ქონგურზე გადამომდგარ შებოსან
იანიჩარს ქვემოდან ყვირილით ამც-
ნობდა, ჯერ მომსვლელთა მისადებად
აგებულ ჯინჯურში შეუშვებდნენ, ერთ-
ხანს იქ ამყოფებდნენ და მუხლებში
წყალს ჩაუყენებდნენ, ამბავ-ხამბავს
ჩაძიებით გამოკითხავდნენ და, რო-
დესაც სარწმუნოდ შეიტყობდნენ საქ-
მე ვისთან ჰქონდათ, მხოლოდ ამის
შემდეგ გადმოჰყავდათ ციხეში იანი-
ჩარ-ალასთან ან თვით მიმედ-ალი კიკი-
ან-ფაშასთან წარსადგენად.

ბოლო დროს, რაც არგვეთის ბატონ
ლევან აბაშიძის საკვირველი მოხერხე-
ბით და თვით დიდ დედოფალ თამარის
დასტურით ტახტიდან გადაგდებულმა
სოლომონმა აფხაზ-ოდიშარნი მიიმ-
ხრო, დადიანი მოყვარედ მოიკიდა, ურ-
იცხვი ჯარი შეკრიბა, ელვისებური შე-
მოვლა განახორციელა და მტერს სწო-
რედ იქ დაჰკრა, სადაც ყველაზე ნაკ-
ლებ მთელიოდნენ, ქუთაისის ციხის
ბინადარნი შიშმა შეიპყრო.

სოლომონი ყმაწვილი კაცი იყო. იო-
ლად მოპოვებულ გამარჯვებას, რაც მი-
სი ძღვევამოსილებით კი არა უფრო
მტრის ძალების დაქსაქსულობით, ტახ-

ტის მოცილებთა შინაგანი უთანხმოებით, ხშირად კი აშკარა ლაჩრობითაც აიხსნებოდა, არ შეიძლება ზედმეტი სითამამე არ ჩაენერგა და ახალი სახიფათო ნაბიჯის გადადგმა — ქუთაისის ციხის ხელში ჩაგდება არ ჩაეგონებინა.

ამჯერად დრო და გარემოება წყალს აჩიკ-ბაშთა ახალგაზრდა მეფის წისქვილს უსხამდა. ტფილისის ვილაიეთის ნაცვლად ლიხს გადადგმა მუსულმანური აღმოსავლეთის გავლენისაგან თავდახსნილი ქართლისა და კახეთის სამეფოები აღმოცენდნენ. ქართლ-კახეთის მეფენი თავს, მართალია, ბედნიერი სულთნის კეთილ მემკობრებად აცხადებდნენ, თვე ისე არ გავიღოდა, თავიანთი ყონალი ახალციხის ფაშა შაჰი-ამბაღი ჩვეული თავაზითა და ძღვენით არ მოეკითხათ, რასაც ბეგლარბეგიც ამითვე პასუხობდა, მაგრამ თუ საპირობება მოითხოვდა, რაღა თქმა უნდა, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევდა და ქართლ-კახეთის მეფეებიც ფარულ ან აშკარა დახმარებას გაუწყვედნენ ოსმალების წინააღმდეგ ამხედრებულ აჩიკ-ბაშთა მეფეს.

მიუხედავად ახალგაზრდობისა და გამოუცდელობისა, მზაკვრობა არც თვით სოლომონს აკლდა. ვიდრე აფხაზ-ოდიშართა მრავალრიცხოვანი ლაშქრით რიონსა და ცხენისწყალს გადმოლახავდა, წინასწარ შემოგზავნილმა მისმა კაცებმა მთელს სამეფოში ხმა დაჰყარეს, სულთანის ფერხთა მტვერი და ბრწყინვალე პორტას ერთგული ქვეშევრდომი სოლომონი მხოლოდ შეთქმულ თავისიანთა ასალაგმავად მოემართება, სხვებთან კი, ვინც იარაღით ხელში არ შეეტოქება და შეთქმულთა მხარეს არ დაიქერს, სამტრო არაფერი აქვსო.

ეს პირობა, გამარჯვებით ფრთებშესხმულმა იმერთა მეფემ ჯერ მხოლოდ ჭორად რომ გაავრცელა, ხოლო ცოტა მოგვიანებით, როცა ტახტზე ხელახლა ავიდა, ქუთაისის ციხეში საგანგებოდ გამოგზავნილი ელჩების პირითაც გაიმერა, ძნელი დასაჯერებელი იყო. კი-

კიან-ფაშას თავი შინც ისე ეჭირა, თითქოს სოლომონის ქვეშევრდომულ აღსარებას ოქროს ფასს ადებდა და ელჩების ნათქვამის სიმართლეში ეჭვი ოდნავადაც არ ეპარებოდა. სოლომონი თავს იკატუნებდა, სათათრო გამოსაღებს ვითომ უღრტვინველი მორჩილებით იხდიდა და სხვათა დასანახავად ბედნიერი სულთნის ტახტის ერთგულ ყმობას იკვებინდა.

სხვა გზა არც კიკიან-ფაშას ჰქონდა. ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოეზა და ციხეში მჯდარიყო. თუ ვინიცობაა, ცა ჩამოიქცეოდა და სოლომონი მეფურ სიტყვას გატეხდა, ფაშას თავისი ძალებით, ციხეში გამაგრებული ხუთასი მეთოფითა და მეზარბაზნით უნდა მოეხერხებინა გამკლავება, ვიდრე ახალციხიდან უფრო დიდი ჯარი არ შემოაღწევდა და განმდგარ აჩიკ-ბაშებს ერთხელ და სამუდამოდ ჰკუთს არ აწავლიდა.

ფაშამ თადარიგი ვასწია. გოდოლებთან და კარიბჭეებთან ყარაული გააორკეცა. ჯერ კიდევ უხმარი, თუჯის თვლებზე შეყენებული ექვსი საველე ზარბაზანი საამისოდ მოსწორებულ ბაქანზე გამოაგორეს და პირი ქალაქისაკენ აქნევიანეს. ერთი მათგანი კვლავაც მწვანეში თეთრი მტრედით ჩაფურენილ ბაგრატის ტახტს უყურებდა. მთავარი კარიბჭის გაღებას, რაც ახლა ასე იშვიათი იყო, თვალს თვით იანიჩარ-ალა ადევნებდა. ფაშამ ქალაქიდან სანდო კაცები დაიბარა, თეთრით გულუხვად დაასაჩუქრა და ხალხში დარჩეული ხმების ყურისგდება დაავალა. ყოველი ახალი ამბავი, რომელიც ქალაქში დღე-მუდამ გზებზე გაკრულ მექარავენებს და მათ გამოვლ რაზმებს, მეწვრილმანე ვაჭრებს, კარდაკარ მოხეტიალე გადათივლ მითხოვრებს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ოჯახური საჭიროებისათვის მოსულ ადგილობრივ მკვიდრთ თუ ცნობების მოსაპოვებლად საგანგებოდ დაგზავნილ მსტოვრებს მოჰქონდათ, ციხემდე დაუყოვნებლივ აღწევდა და მას უმალვე

მაშენ-ალი კიკიან-ფაშას მოახსენებდნენ ხოლმე.

ქუთაისის ციხისთავის შიში და სიფრთხილე არც სხვა მხრივ ჩანდა საფუძველმოკლებული. ახალციხის ბეგლარბეგ ფაშა ჰაჯი-აჰმადს კონსტანტინოპოლიდან საიდუმლოდ აუწყეს, ხოლო ჰაჯი-აჰმადმა ეს, თავის მხრივ, საფაშოს განმგებლობაში მყოფ ქვეშევრდომთ, მათ შორის უპირველეს ყოვლისა მაშენ-ალი კიკიან-ფაშას, აგრეთვე საიდუმლოდ შეატყობინა, რომ იმპერატორის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, ბალკანეთში, ავსტრია ჯარებს აგროვებდა და შესაძლოა, დღე-დღეზე ომი დაწყებულიყო.

მოუსვენარ ლოდინში მიიღია 1754 და დაღვა 1755 წელი. მდგომარეობა იმპერიის დასავლეთ საზღვარზე კვლავინდებურად დაძაბული იყო. ვაზირი და ძვირად ღირებული სამხედრო აღწემები ბოსფორის სრუტეში, რომელსაც სულთნის კარი მთელი განათლებული ევროპის თვალწინ, მის დასაფრთხობად და დასაშინებლად მართავდა. რუმელიაში საომრად მომზადებულმა დაღმალმა ჯარმა მოიყარა თავი. ოსმალო ფაშები და აღმირალები ყველაზე მეტ იმედს არტილერიაზე ამყარებდნენ და სულთნის თოფხანებში იძენენ ზარბაზანი ჩამოასხეს, რამდენიც სხვა დროს ოცი წლის განმავლობაშიაც კი არ ჩამოუსხამთ. თურქი დიპლომატები სავარყო ურთიერთობაშიაც მეტ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდნენ. კონსტანტინოპოლი თეიარანს დაუტყბა. ეს ახალი და უჩვეულო ამბავი როდი იყო. მუდამ ასე ხდებოდა ხოლმე, როგორც კი საომარ მახვილს სულთანი სამხრეთისაკენ, დასავლეთისაკენ ან ჩრდილოეთისაკენ მიმართავდა და ძველი მტერ-მოყვარე სპარსეთი ზურგში რჩებოდა.

ავსტრიის უცილო თანამდგომად მომავალ ომში ბრწყინვალე პორტას წინაიღმდეგ სულთნის კარი უკვე გულისხმობდა რუსეთს და პრუსიას. სამაგიეროდ, ავსტრიის დასუსტების მოწადი-

ნე საფრანგეთი ახლაც ოსმალების მხარეზე გამოდიოდა. რუსეთი საიქვეო დოქინებითა და თანმიმდევრულად ერეოდა წინა აზიისა და ევროპის შინაურ საქმეებში, თავის სისხლსა და ხორც ბალკანელ სლავებს, იქ შეგზავნილი ემისრების პირით, ურჯულო აგარიანთა უღლისაგან გამოხსნას ჰპირდებოდა. სულთნის კარზე ჯერ ხმამაღლა კრინტს არავინ სძრავდა ამის გამო, რათა გუმანი უდროოდ დროს არ გაეცა და საომრად გულადრენილ ავსტრიასთან რუსეთის ამჟარა დაკავშირება არ დაეჩქარებინა.

ქუთაისის ციტადელში იმის უტყუარი ცნობებიც გააჩნდათ, რომ ახალციხის, იგივე ჩილდირის საფაშოში უკვე შემდგარი იყო ჯარი, რომელიც აჩიკ-ბაშთა ქვეყანაში უნდა გამოეგზავნათ წესრიგის აღსადგენად და გაიჟრი სოლომონის მაგიერ, ტახტზე ახალი, მორჩილი და დამჯერე მეფის ასაყვანად, მაგრამ ვი, რომ ჰაჯი-აჰმადს, როგორც არ უნდა მოენდომებინა, დიდი ვეზირის ან თვით ბედნიერი სულთნის უნებართვოდ ერთი შეთოფის ან მეზარბაზნის მოშველებაც არ შეეძლო. სულთნის კარი და დიდი ვეზირი ჯარს იქით ითხოვდნენ. უზენაესი ნების თანახმად, მესხეთის სანჯაყებში შეკრებილი მთელი ჯარი, უპირატესად გამაჰმადიანებული ქართველობა, იმერეთის სანაიკვლოდ ტრაპიზონის შორეულ გზას უნდა გასდგომოდა, სიდაც ხომალდებს დაახვედრებდნენ და მტერთან შესაბვედრად გზას ზღვით გააგრძელებინებდნენ.

თუ მაშენ-ალი კიკიანს ღმერთი უმუთხლებდა და ქუთაისის აუღლებელი ციხე რალაც მანქანებით დაეცემოდა, დიდი დღე არც ხრესილის, ცუცხვათის, შორაპნისა და ბაღდათის ციხეებს ეწერა. იმერეთი — აჩიკ-ბაშთა ურჩი ქვეყანა — ხელახლა დასამორჩილებელი ვახდებოდა და ყოველივე ამასი ბრალს სწორედ მას — ქუთაისის ციხისთავს დასდებდნენ!

კიკიანი იძულებული იყო, გულში ჩაგუბებული რისხვა ღმობიერებით შეეცვალა, ყოველი დარბაზობის დროს

სოლომონის მიერ წარმოგზავნილ ელჩებს აღერსით მოპყრობოდა, ბედნიერი სულთნის წინაშე ნებაყოფლობით ნაკისრი ვალდებულებები მოიარებით შეეხსენებინა და ამით ძვირფასი ღრე მოეგო.

ფაშა მზად იყო, ვიდრე გარემოება საშუალებას აძლევდა და მოწამლული სატევრის წვერი ჯერ ყელზე არ ჰქონდა მობჯენილი, ბევრ რამეზე თვალცი დაეხუჭა და ყურიც მოეყრებინა. ანიკ-ბაშთა საშეფო კართან ურთიერთობის გაფუჭება, მით უფრო, რომ სოლომონთან წაყინკლაგება ოდიშის მთავრისაც მოამდურებდა, ახლა არასდიდებით არ ივარგებდა, მაგრამ სურდა თუ არ სურდა, თავი მიანც ისე უნდა დაეჭირა, რომ მეფეს მისი შიში და რიდი კვლავაც ჰქონოდა.

ზაფხულში, ისევე როგორც მთელში წინა წელიწადში, გაურკვეველ შფოთიან ლოდინში გასტანა. მოაწია შემოდგომამ. ცვლილება არაფერი მომზადარა. მამედ-ალი კიკიანი შორიდან აღევნებდა თვალს ამბების მსვლელობას. მშვიდობიანობას დახარბებული ჰქეყანა თავისი ყოველდღიური საზრუნავით იყო გართული და ციხის კედლებს უკან ჩასაფრებული მტერი თითქოს აღარც კი ახსოვდა. ასე ავიწყლებათ ძველი ნაიარევი, ანდა დედის მუცლიდანვე თანდაყოლილი მანკი, ავიწყლებათ და არც ავიწყლებათ, მიყუჩებულ ყრუ ტყვიელს სადღაც გულის შორეულ კუნჭულში მალავენ...

ლენჩხუმის გზაზე დილაადრიან ურმების ჭრიალი და მეურმეთა გამამხნევებელი შექახილები ისმოდა. გვამლის მთაზე უკვე ნაადრევი თოვლი იყო. ბაზარს წლის მოსავალი — ახალი ღვინო, ხორბალი, ლობიო, ფეტვი, სელი, აბრეშუმის ნართი, სანთელი, იალაღებზე დასუქებული პირუტყვი მოაწყდა. ჯაქვის ხილთან ჩასაფრებულ ხარკის ამკრეფთ საქმე გამოუჩნდა.

ეს წყვეთი ჰქეყანა სწორედ გადაბეული ხეს მიავადა. რამდენი ტორიც არ უნდა მოგვეტრა მისი აღგილზე ორი

და სამი ახალი ამოდოდა და წაქცევის მაგიერ ხე ისევ იდგა. წინაწელზე უფრო განახლებული და ღონიერი...

ციხისთავი ათასში ერთნელ გამოდიოდა მეფეებისეული სასახლის პალატებიდან, სადაც მრავალრიცხოვან ცოლებთან და პარამხანის მცველ საქურისებთან ერთად ცხოვრობდა, ხან დღისით, ხან ღამით ყარაულს პირადად ამოწმებდა და რწმუნდებოდა თუ არა, ძლით არავის ძინავს, ჩემს უშიშროებას ფიზიკად დაარჯობენო, წოწოლა წითელ ფესკას თვალზე ჩამოთხატავდა, საქალებოსაყენ გაუხევედა და რქ დიდხანს რჩებოდა.

წყალწითელს ხეობაში ლაღუმებს აფეთქებდნენ. ციხეში სარწმუნო ცნობები მოიტანეს, ხეობას უამრავი ხალხი შესეგია, უბრალო ყმა-გლეხებში და წვრილ აზნაურებში გარეული მეფე სოლომონი დღე და ღამ იქ ტრიალებს, და ქართლურ ყაიდაზე გამართული საკირეების მოწყობას თვით უდგას სათავეში.

საკირეების? ეს ამბავი რომ პირველად გაიგონა, მამედ-ალი კიკიანს სიცილიად არ ეყო. მხოლოდ მერე და მერე ჩავარდა გულისხმაში. რისთვის სკირდებოდა ნეტავ მეფეს ამდენი კირის გამოწვა? ამ მამაცობნებულს ახალი კონსტანტინოპოლის ამენება ხომ არ განეზრახა? იქნებ ძველი ციხეების შეკეთებას აპირებს, ძველს ახალიც უნდა მიუმატოს და მტრის უცაბედი თავდასხმის მოსაგერიებლად ემზადება?

კიკიანს დასცხა.

ეს ვარაუდი ჰქეყასათან ახლო იყო და მალე კიდევაც დადასტურდა.

ბასილა და კვირიკა იამანიძეებს, ციხეთა მშენებლობის განთქმულ ოსტატებს, აგიაშვილის ყმებს, მეფემ მარჯვენააქები ქვითხურობები მოახმარა და ყველა, როგორც ერთი, საქმეზე დააყენა.

ხურობები ერთი პირთა ფეხს იორევდნენ, თვლი გაქცევაზე ეკრათ, მაგრამ მაშინ კი, როდესაც მეფისა და

დარბაზის ერის სახელით ციხისათვა და ქეშიკოთხუცესმა ქაიხოსრო აგიაშვილმა ყველას სახარბილო ვასამრჯელო დაუნიშნა, თანაც დასძინა, საბატონო ბეგარისაგან დღეის ამას იქით თავისუფლდებით, ხოლო თუ საქმეს გულთანად მოეკიდებით, სხვა წყალობაც ჩვენს კისერზე იქნებაო, ძმები იამანიძეები მეტრისმეტად გამოეცადინდნენ და სხვებიც უმაღ აიყოლიეს. ხელისმუშა ჰიანჭველასავით დაეხვიათ. კიდით კიდემდე ხმა გაგარდა, თურმე ჩვენი კურთხეული მეფე მოხელე კაცებს სანთლით დაეძებს, უზღვავი ხალხი სკირდება, მარჯვე მუშა ისე არ წახდება, დღეში ორი-სამი ყურუში არ გააკეთოსო. მუშაობის მსურველნი შორეული ადგილებიდანაც კი მოდიოდნენ, დიღუბი ხარჯიც თან მოჰქონდათ და, თუმცა სარფა იმაზე ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე ხმა დაიარსა, თითო-ორიოლა გროშის გულისთვის თუნდაც უღელში ებმოდნენ. აღადგინეს და წინანდებურზე უკეთ გაამაგრეს სკანდისა და სვერის ციხეები, გამართეს საბაეოები, ააშენეს ფუნდუკე-

ბი, ქეითკირის მაღალი ვალაჯანი შემოართყეს ქარავნის დამისათევე ადგომლებს, ალაგ-ალაგ ხიდებიც გასდეს ყვეა რილასა, ძირულასა თუ გუბისწყალზე. დროთა განმავლობაში ჩანგრეული და გაუქმებული ეს ძველთაძველი ხიდები სივაჰრო-საქაანო გზებზე იდო და წვიმებისა და წყალდიდობის დროს მიმოსვლას ერთობ აფერხებდა. ახლა ჯერი ნავარძეთის, საზანოს, მუხურისა და ჩხერის ციხეებზე მიდგა...

თქმა აღარ უნდა, მამედ-ალი კიკიანს უფროსები პასუხს მოსთხოვდნენ, სად იყავი, რატომ ყურიდან ბამბა არ გამოიღე, როცა აჩიკ-ბაშეები ისე გათამამდნენ, ცხვირწინ ახალი ციხე-სიმაგრეები აგეშენესო, მაგრამ ციტადელში ვირთავკასავით გამომწყვდეულ ფაშას, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არ ჰქონდა: მას არც საკმაო ჯარი ჰყავდა, ქვეყანა რომ დაელაშქრა და მოერბია და არც სხვა რამ ვასაძრავი ღონე გააჩნდა. მაშ, რით და როგორ აღსდგომოდა წინ აჩიკ-ბაშეთა თავზეხელაღებული მეფის დაუსჯელ პარპაშს?

თავი II

ხშირი და უდიერი ხმარებისაგან გადაღესილ ტყავის საგარძელში ღრმად ჩაფლული მამედ-ალი კიკიანი-ფაშა სწორედ ამ საქირბოროტო ფიქრებით იყო შეპყრობილი, როდესაც კარი გაიღო და ორი მაღალი სარკმლით სუსტად განათებულ მომცრო დარბაზში საკმაოდ შელანძლულ სააღმუშო ტანსაცმელში გამოწყობილი, ღრმა ნაოქებით სახედალარული იანიჩარ-ალა, ციხეში მდგომი იანიჩრების უფროსი, შემოვიდა. კიკიანმა მხოლოდ თვალები დახარა იანიჩარ-ალას მდაბალ სალაშზე, სახეზე კი ამკარა უკმაყოფილება გამოეხატა. დაცილილი ჰქონდა: ამ ბებერ მუღოს თუ დილას ნახავდა, ახლა კი სწორედ ახალი გათენებული იყო, მერე მთელი დღე მოწამლული ჰქონდა, უთუოდ

საწყენი ამბები უნდა შეხვედროდა. ერთიცა და მეორეც იმ ქვეყნის შვილი იყო, სადაც სამსახურს იხდიდა, ოლონდ ორივეს მამა-ბაბის სარწმუნოება დაეგდო. სულითა და ხორციით მტერს მიჰკედლებოდა და ეძვირებოდა არავის აელღო, გულში ისევ ვიაურები არიანო, საქმეში თვით ოსმალებზე მეტ სიმკაცრესა და გულმოღვინებას იჩენდა. ქუთაისის ციხეში მათი ჩაყენების მიზანშეწონილობა სწორედ ამ გარემოებამ გადაწყვიტა. სულთნის კარზე იშვიათად თუ ეშლებოდათ, ვინ სად გაემწყვებიანთ, ვისთვის რა მიენდოთ და ვისთვის რა აღეკვეთათ.

მამედ-ალი კიკიანი და იანიჩარ-ალა ღმერთს ძაღლად და კატად გაეჩინა. ერთმანეთი თვალით დასაწყაანავდ ეჯებ-

რებოდათ, ურთიერთდანდობაზე კი, უკუთუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, ლაბარაიცი ხომ ზედმეტი იყო.

იანიჩარ-ალას, ვისაც უღმობელმა ბედმა ხელქვეითობა არგუნა, სხვა რა ღონე ჰქონდა, უფროსისადმი თავისი ზიზღი და სიძულვილი გულში უნდა ჩაემაჩხა, ვინაიდან მთელი მისი ცხოვრება, სამსახურში დაწინაურება თუ დაქვეითება. თვით სიცოცხლეც კი ციხისათვის ერთ სიტყვაზე ეკიდა. სამაგიეროდ, კიკიანი არ თვლიდა საქიროდ, შერიანი, მბებულარა, ყოველი სიავის მოქმედი მოადგილის ათვალწუნება ვინმესთვის, უპირველეს ყოვლისა, თვით იანიჩარ-ალასათვის დაეშალა. რამდენჯერმე მოიწადინა მისი თავიდან მოშორება. ჰაჯი-ამჰადს წერილობითაც სთხოვა, ვინმე უფრო ახალგაზრდა და ფხიანი გამომიგზავნეო, მაგრამ სულთნის სამსახურში დაბერებული იანიჩარ-ალას აქედან გადაქუხებას საშველი არა და არ დაადგა. ეს გასაკვირი როდი იყო. ახალგაზრდა და ჯანღონით სავსე სარდლები სულთნის კარს ოშში სკირდებოდა. გარნიზონებში ყველგან ნამსახური, ლაშქრობებში ნაჩხ-ნაგვემი ხალხი ჰყავდა და ეს გუშინდელი ბაშინბუზუქები, დღეს ფეხებსაც რომ ძლივს დაათრევდნენ, თავიანთ მხედრულ მოვალეობას, როგორც შეეძლოთ და ჯანი მოსდევდათ, პირნათლად ასრულებდნენ.

— ასე ადრე რა საქმემ ამოგიყვანა? — თურქულად უსაყვედურა ციხისთავმა იანიჩარ-ალას და მაშინვე ქართულზე გადავიდა, ქვემოიშვრულად მოუქცია. — უკან მოგდევდა ვინმე თუ? კაცს ვერც დიღის ნამაზი მოგისწრია, ვერც ყვის დაღვევა. რას გაჩუქებულხარ!

— ბოდიშს ვიხდი, მწყალობელო, — იანიჩარ-ალა საცოდავად მოიბუზა, ციხისთავის შეურაცხყოფელ კილოს ჩვეულებრივამებრ წაუყრუა, ჩაახველა, ზრინწგარეული ხმა ჩაიწმინდა. — ხალხი ითხოვს შემოშვებას, თქვენო აღმატებულებავ, იქაურობას იკლებენ ყვი-

რილით. სანამღი თქვენი აღმატებულების მოწყალე ნება არ შემიღლია, ყარობის გაღება ვერ გავებდე... ტყვეები ყავთ...

— მერე საყვირალი რა არის? — შეაწყვეტინა მამედ-ალი კიკიანმა და გაჩუმიდა, ყური მიუგდო, მართლა ისმოდა თუ არა რაიმე იმის მსგავსი, რაზეც ეს ღვთის გლახა მოახსენებდა.

— გაგვიგესო, ბატონო, მღევარი კვალდაკვალ მოგდევსო. თუ არ ტყუიან, ახლა მღევარიც კედელთან იქნება.

— იცანი ვინმე?

— ერთი ქაჯაიას მივამგვანე, თქვენო აღმატებულებავ. წინებზედაც ხომ ის გეახლა. მაშინაც ძლივს შემოასწრო ციხეში. ჩვენ რომ არ მივშველებოდით, ალპის მადლმა, კიდევაც გაოქავდნენ. სხვების სახე, ნუ გამირისხდები, ვერ გაუარჩიე. მზე ამოდირდა და აქედან იქით არაფერი ჩანდა.

— ტყვეები ბევრია?

— ათი-თორმეტი იქნება, შეიძლება ცოტა მეტი.

— ფუი გაწყებელის ღირსი არიან მგ წუწკი ვარიშვილები. ყულევის გზა დაავიწყდათ? რალა ჩვენ მოგვაშურეს!

— ეტყობა, გზა მოუჭრა მღევარმა. ქაჯაიას აშბავი ვიცი მე. ასე რომ არა, მგ ტყვეს აქ არ მოიყვანდა. გონითში დადის და იქ ასადებს. გავალო, თუ... — ამასობაში ძვირფასი დრო გადიოდა და იანიჩარ-ალამ ეს კრძალვით და ლიქნით შეაპარა.

— ვააღე, მაგრამ ჩემი სახელით უთხარი იმ ვაჟბატონს, ათი და თორმეტი კაცი თუ არ ენახო მოსული. სადაც უნდა, იქ გარეკოს და გაასალოს ათის და ასის აქედან გაყვანა მე ერთი მიჯდება, ხომ იცი შენ? როდემდე ვუცადო, სანამდე ეგ დაბდურები ტყვეებს მოაგროვებენ. ქვეყანა დამედება. მეორედ მოსულა აგრე და, მაშაჩემსა აქვს ცხოვნება, ხელში შევატოვებ მღევარს!

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

— გაადრთხილე, ამის მერე ჩვენ ხელის გამმართველი აღარა ვართ, გააუარი

სოლომონისაგან ჩვენ ჩვენი გასაჭირი გვადგა!

— იქ გავაჩერო, ბატონო?

— ხელამდე უყარონ, მერე ენახოთ. ხეირიანი ურევია ვინმე?

— ამდენის ვაგება ველარ მოვასწარი.

— დააკვირდი! თუ თვალში ვინმე მოგივიდეს, აბალამ მომგვრო.

თავის მხედრულ წოდებასთან და დამსახურებასთან შეუთავსებელი ფუსფუსით, თითქოს არა იანიჩარ-აღა, ვინმე უბრალო ჯარისკაცი ყოფილიყოს, ციხისთავის მოადგილე გარეთ გავარდა და კარი გაიხურა, დილის ხალათში ვახვეული ფაშა კი წამოდგა, ცხვირაბზეკილ არაბულ ქოშებში ფეხი წაჰყო და სარკმელთან მივიდა. სარკმელი საღ კლდეებს შუა მოწყვეტულ რიონს გადაჰყურებდა და მთელი გაღმა მხარე: პირდაპირ — მოწამეთას მთა, მარჯვნივ — საფინხია და უფრო მარჯვნივ, მდინარის გასწვრივ — ბალახვანის ქალები მოჩანდა. კიკიანმა სსახლის წინ თვალი მოჰკრა იანიჩარ-აღას, რომელიც კიბის თავში ლოდზე შემდგარიყო, დოღბანდი მოეხადა და ჰაერში დამდულრულივით იქნევდა. ნეტავი რა მოუვიდა, ხომ არ გადაირია ეს ძაღლიშვილიო, გაიფიქრა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ იანიჩარ-აღა რალაც ნიშნებს გადასცემდა მთავარ კარიბჭესთან მოღარაჯე შუბოსან იანიჩრებს. იქიდანაც გამოეპასუხნენ. ამჯერად რამდენიმე იანიჩარი ერთად იქნევდა დოღბანდს და რალაც საგანგაშოს იტყობინებოდა. იანიჩარ-აღას, რომელიც მოხუცებულობის გამო და იმის გამოც, რომ ფაშა ამრეზით უყურებდა, აქ დაბრკელებული ჰყავდათ, კვლავ გაღმა იხმობდნენ. თავს იგდებდნენ, როგორც არა ერთჯერ მომხდარა, თუ ასე ცოტა დროის მანძილზე რაიმე ღირსშესანიშნავი მოხდა?

კიკიანს გულმა ველარ გაუძლო, უფრო იმის შიში გაუჩნდა, თვით ვიკატრის სოლომონი არ აპირებდეს ციხეში შემოჰკრასო, გარეთ გავიდა და პარმალზე გადადგა:

— რა შემოერიათ. თუ იცი, ალაფ?

2. „მნათობი“ № 1.

— ვერა გამიგია რა, მწყალობელი...
— ჩადი და ამ წუთში მაცნობრე! თუ იმისთანა არაფერია, შენ წელარ ამოხვალ, გამოგზავნე ვინმე. ფრთხილად იყავი, ციხეში წყეული აჩიკ-ბაშები არ შემოგიცივდნენ. ყელგამოუჭრელს აღარავის დაგეტოვებენ. არც მაგათი შემოშვება ვარგა, ჩემმა მშემ. ნამეტანი გავითამამეთ. ხელ სოლომონს მიეყიდებიან და...

იანიჩარ-აღამ აკანკალებული ხელით დოღბანდი დაიხურა და პასუხი აღარ გაუცია; გულდაგულ დაეშვა ქვის ვიწრო და ციკაბო კიბეზე, რომელიც მწვანე ფიქალით მოპირკეთებულ მინარეთს გვერდზე ჩაუვლიდა და რიონის ქარაფოვან ნაპირზე ჩადიოდა. გაღმა რამდენჯერმე გავარდა თოფი. ციხის ფერდომ ხმა მისცა. ვინ ისროდა, მღვეარი თუ მეციხოვნე იანიჩრები? ხალხის უთავბოლო ყვირილმა და ჩოჩქოლმაც იმატა. იანიჩარ-აღა მიხვდა, დამაგვიანდო და არც შემედარა: ვიდრე ის გაღმა ნაპირიდან გამოღმა გადმოვიდოდა, ფაშასაგან კარიბჭის გაღების ნებას მიიღებდა და კიბეს ხელახლა ჩამოასკდებოდა. იქ, გაღმა, ყველაფერი უკვე გათავდა.

ხიდისყურში, მოედანზე, ტოტებგაბარდნილი მამა-პაპური ქადრის ქვეშ ზღვა ხალხი მოგროვილიყო. ქალები წიოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. მშველელს ეძებდნენ, ბაღლები ახლომახლო სახლების ბანებზე აბობლებულიყვნენ და სანახაობას თვალს იქიდან აღევნებდნენ, ერთიმეორის მხარდაჭერით შეგულიანებული მამაკაცები კი წინ, კარიბჭისაკენ უშიშრად მიიწევდნენ. ხანჯლებს, კეტებს, საყასბო დანებს, ფიწლებს, სამჭედლო ჩაქურებს, ვისაც ხელში რა მოხვედროდა, ჰაერში ატრიალებდნენ და კარიბჭესთან მიმწყვედელი ხუთიოდე ცხენოსნისა და ამდენივე ქვეითის გარშემო წრეს ავიწროებდნენ. მალე მოედანზე საიდანდაც მხედრების მრავალრიცხოვანი რაზმი გაჩნდა. ცხენების თქარათქური ახალმა ყვირილმა და ყიყინამ დაჰფარა. იარაღშემართულმა მხედრებმა, თითქოს დაბარებული არიანო,

99857

ქ. მარქსის სახ. ს. ქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბმეცნიერებათა აკადემია

პირდაპირ ჩამგანულ კარიბჭეს მოაშურეს, მსწრაფლ ჩამოქვეითდნენ და ერთ მუშტად შეკრულნი ბრბოს შეერივნენ. ბრბო კიდევ უფრო შეჭკვუდა, შენივთდა, ორ უთანაბრო ნაწილად გაიყო და ჩამოქვეითებულ ახალმოსულთ, რომლებმაც, ეტყობოდა, კარგად იცოდნენ, სადაც მიდიოდნენ და ვისაც ეძებდნენ, კარიბჭისაკენ გზა მისცა.

— ღეთისა და მეფის სახელით! — გაისმა მკვეთარ ხმა წამიერ სიჩუმეში.

— თქვენი ღმერთიც!.. თქვენი მეფეც!.. — ამის საპასუხოდ ვიღაცამ მყარალად შეიგინა, მაგრამ სულ მალე მხნეობამ უღალატა და კაპასი დედაკაცის ყურისწამლები ხმით აწივლდა: — ნება არა გაქვთ... ვის უბედავთ, თქვე წინკალიანებო!.. არ მომეკაროთ!

— დაკარი, ნუ გეზოგება, მე მაგისი მკვდარი და ცოცხალი!..

— არ მომეკაროთ! ხანჯლის წვერზე წამოგაგებთ... აჯკუწავთ, თქვე გლახის შეილებო... უუუ... ვის უბედავთ! — ყვიროდა ის, ვისთვისაც რკალი ოთხივე მხრიდან შემოერთყავთ და ყვირილისა და მუქარის მეტი სხვა თაქვასაც ვიღაცეა შუალეობა აღარ დარჩენოდა.

— ეგ არი ქაჯაი, ეგ არ წაგივიდეთ, ქვეყანა მაგან ამოაგდო!..

— ქაჯაი!.. ქაჯაი!.. — ყვიროდა ხალხი.

მთელს ამერიკაში ტყვის სყიდვით, მძარცველობითა და მრავალგვარი სხვა ავკაცობით სახელგანთქმულ აზნაურ ქაჯაიას ქვა აღმართში დღეს პირველად მოეწია, კოკა წყაროზე დღეს პირველად გაუტყდა და თავს აღარ იზოგავდა, ოღონდ მღვეარს ხელიდან გასხლტომოდა და, როგორც ყოველთვის, სამშვიდობოზე გასულიყო. სარფიანი ხელობით, ტყვისმსყიდველობით, ქაჯაია თავს ჯერ კიდევ აღექსანდრე მეფის სიოცხლემში ირჩენდა და ამის გამო დამპროხველი ბევრიც არავინ ჰყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ერს მეფე სოლომონის ვანჩინება წაუტოხხეს და ყველა, ბატონიც და ყმაიც, მღვდელიც და ვაჭარიც ეკლესიაში-დაფიცეს, ამიერიდან ვინც

ტყვე გაჰყიდოს, ღეთისა და მეფის რისხვა ნურც მოჰკლებოდესო, ქველი ტყვისმსყიდველი სოფელს გაერიდა და ბინა ტყეში დაიდო. გააბრაგებულ ქაჯაიას მოყვარე დაელოა და მტერი გაუმრავლდა. სოფლის ქალები მისი სახელით ბავშვებს აშინებდნენ. თუ პირახვეული, ჩაბალახით თავწყარული ქაჯაია საღმრთო მოჩნდებოდა, გულგახეთქილი დედა-წული, სადაც არ უნდა ყოფილიყო, უმალ ეზო-ყურეს მოაშურებდა, იქნება ღმერთმა დაგვიფაროს, შინ შევესწროთ და კარი ურდულით ჩაგვეტოთო. ქაჯაიას და მის თანაშემწეთ, თმა-წვერს რომ ინით იღებავდნენ და ქვეყნისათვის თვალის დასაბრმავებლად ხან ლეკურ ნაბაღს წამოისხამდნენ, ხან კი ოსმალურ ხალათში ეხვეოდნენ, ვერც ურდული აჩერებდა. თუკი მოსარიდებელი არავინ გამოჩნდებოდა და თავს არ გამოიღებდა, კარფანჯარას თოფის კონდახით შეანგრევდნენ და უმწეო ქალ-რძალს ძეძუთა ბალღებთანა გარეთ გამოჰყრიდნენ. აი, შეგირცხვით ნამუსიო — აბრაგებს ხშირად მთელი უბანი დაედებოდა ხოლმე, მაგრამ ისინი არავის და არაფერს ერიდებოდნენ, არც უბედურთა ვაი-ვიში და კვილი ესმოდათ. ხელფეხგაბორკილ ტყვეებს მარქათა ცხენებზე გადაჰკიდებდნენ, ბაწრით კეზზე დააკრავდნენ, თავდაც ცხენებს მოახტებოდნენ და ისევე თვალის დახამხამებამში გაქრებოდნენ, როგორც გამოჩნდნენ. როდის სოფელი გონს მოეგებოდა, როდის მღვეარს შეჰყრიდნენ, როდის გზები შეიკვრებოდა ქაჯაია და მისი კაცები ცხრა მთის გადავლასაც ასწრებდნენ, ხელის დაცლასაც და სამი-ოთხი დღის შემდეგ, თუ უფრო ადრე არა, უკვე ქვეყნის სულ სხვა კიდეში ამოჰყოფდნენ თავს. ახლა იქ ატყდებოდა ზიანქი და ვაი-უშველეებელი, ახლა იქ შეგროვდებოდა მღვეარი, დაედევნებოდნენ, მაგრამ ისეც ისევე ხელცარიელი და შერცხვენილი ბრუნდებოდა უკან, როგორც ამის წინ ვაგზავნილი მღვეარი დაბრუნდა.

ხალხში ხმა დაყარეს, ქაჯაიას გაგლეხიანი ცოლისძმები, გიორგი და ბერი

წულუკიძეები, უღვანან მხარში, ისინი კი წულუკიძეები, თავის მხრივ, თვით მეფესთან ავხარაკებენ საქმეს და ამიტომ დღემდე ვერავის მოუხერხებია ავაზაკი ტყვისმყიდველების ხელში ჩაგდებათ.

ამ ხმებს, რასაკვირველია, სოლომონისა და თვით წულუკიძეების დაუძინებელი მტრები ავრცელებდნენ. მტრები ყოველი ღონით ცდილობდნენ, უბირი ხალხი დაერწმუნებინათ, რომ ახლახან გამოცემული კანონი ლიხთიმერეთის სამეფოში ტყვის სყიდვის აკრძალვის თაობაზე ქალაქზე დაწერილი ლიტონი სიტყვები იყო, საქმით კი სოლომონიც იმასვე აცხადებდა, რასაც მისი მამა და პაპა აცხადებდნენ: ფარულად, თავისი დაახლოებული დიდებულების შეშწოვით უწყობდა ხელს ტყვეებით ვაჭრობას და ჯიბეს ისქელებდა.

ხმის დამყარელი სხვა, არანაკლებ ვერაგულ მიზნებსაც ისახავდნენ: თუ თავად უბრალო იყო და ამ ხმებს ბრმად ერწმუნებოდა, მეფის გული უნდა აეყარა უახლოეს ქვეშევრდომებზე — წულუკიძეებზე, ორივე მხა, ავრერიავად პატრვებულ და სახელმწიფო ძალაუფლებით აღჭურვილი კარისკაცი, სასახლიდან დაუყოვნებლივ დაეთხოვა და ამით არა სხვა ვინმე, არამედ საკუთარი თავი დაესუსტებინა.

სამეფო კარიდან წულუკიძეების დათხოვნა საგონებელში ჩაადგებდა მეფის ბანაკში მყოფ სხვა თავადებსაც, უწინარეს ყოვლისა, აგიაშვილს, ლორთქიფანიძესა და წერეთლებს, რომლებმაც ყველა უკან დასახვევი ხიდი წინასწარ ჩაანგრირეს და ხვალ თუ ზევ მეფისაგან შერისხული წულუკიძეების ბედს გაიზიარებდნენ.

ბერი და გიორგი, მეტადრე ბერი, ისე იყვნენ გამწარებული, წვერს იგლეჯდნენ, სიძეს რომ სადმე გადაჰყროდნენ, მოსაკლავად, ალბათ, არც დაინდობდნენ, მაგრამ ქაჯაიის ისე გულუბრყვილო როლი იყო, ცოლისძმებს, როგორც ის ამბობდა მეფის ერთგულ ძალებს, თუნდაც სათოფრზე მიჰკარებოდა.

წულუკიძეებმა კაცები მიუტანეს დას, გულქანს, შინ მოიპატრონეს, თავიანთი გულისწყრომა დედამამიშვილისათვის მაინც გაეზიარებინათ და დასაგან მისი გარეწარი ქმრის გონზე მოყვანა მოეთხოვათ. მათდა გასაოცრად, ძმებისაგან მიგზავნილი კაცები გულქანმა ძალზე უცხვირპიროდ მიიღო და უკან პასუხის გაუცემლად გამოუშვა: წულუკიძეები სირცხვილით იწვოდნენ. ეს რომ ვისმე გაეგო, გაუგებელი და გაუხმაურებელი კი, ქვეყნად რა დარჩენილა, თავი აღარსად გამოეყოფოდათ!

ბერი წულუკიძე ბანძის სასახლეში ესტუმრა მენაპირე თავდას, მსახურთუხუცეს ზურაბ მიქელაძეს, თავისი და უფროსი ძმის, სახელმწიფო ბეჭდის მცველი გიორგი წულუკიძის სახელით ეთათბირა და ტყვისმყიდველთა შეწყობის საქმეში თავისი პირადი სამსახური შესთავაზა. ქაჯაია მიქელაძის აზნაურ იყო, მაგრამ მისი სახელი, თითქოს ტაბუ ადევსო, ხმამაღლა არავის უხსენებია თუმცა მთელი ეს მოლაპარაკება სწორედ ქაჯაიას გამო შესდგა და არც დარბაისელ ზურაბ მიქელაძეს გამოჰპარვია, რად იჩენდა ასე უხადო გულმოდგინებას სამეფოს ბოქაულთუხუცესი და ცხენოსანი ჯარის სარდალი ბერი წულუკიძე.

საქმეს დღითიღე უკეთესობა ეტყობოდა. მეფის ფიცხელი ბრძანების თანახმად ქვეყნიდან გამავალი ყველა გზა და ბილიკი შეიკრა. საბაეოებთან, რომლებიც ახლა უშუალოდ მეფეს ექვემდებარებოდა და შემოსავალიც მეფის ხაზინაში შედიოდა, გაძლიერებული ყარაული იდგა. მეფე აშენებდას პირდებოდა იმათ ვინც ბოროტმოქმედთ შეიპყრობდა და ცოცხლოვ მოჰკვრიდა. მოყარაულენი ცალკე შურისძიების წყურვილმა და ცალკე სიხარბემ გადარია.

ტყვეების დაუბრკოლებლივ გაყვანა მხოლოდ უცხოელ ვაჭრებს შეეძლოთ, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მოდავე არავინ გამოუჩნდებოდათ და სამკვეც და ოთხკვეც ბაეს გადაიხდიდნენ. შინაურ ტყვისმყიდველთათვის მარბიელ ვაჭარ

რიათა და საყაჩაღოდ ლიხს აქეთ გადმოსულ ლეტა მსგავსად ტყვეებს მინდორ-მინდორ, სახნავ-სათობარში, წისქვილსა და სამწყემსურში რომ იჭერდნენ, ანდა ერთობ საიდუმლო ვითარებაში ხელიდან ხელზე ყიდულობდნენ, მთავარი სიძნელე ამ უბედურთა ქვეყნის საზღვრებიდან გაყვანა იყო. თუ ვინცობაა, მეფის ხალხს სადმე გადააწყდებოდნენ, რაც არცთუ ისე იშვიათად ხდებოდა, წინასწარვე უნდა სცოდნოდნო, რომ სასიკვდილოდ არავინ დაინდობდა. ცოცხლად დანებება ან სიკვდილი ერთადერთი უშიშარი გზა ოსმალო მეციხოვნეებთან გარიგება იყო, მაგრამ ამ გზით სარგებელი ვაცილებით ნაკლები რჩებოდა, ვინაიდან საქმეში ხელისშემწყობი ოსმალები, ვისაც ტყვეების იმერეთიდან გაყვანა უნდა ედო თავს, გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ღიდ გასამრჯელოს მოითხოვდნენ. რაკი სხვა საშველი არ ჩანდა, ყოველი ძველი და ახალი ტყვისმსყიდველი, ჩვეულებაზე რომ ხელი არ აედო და არც შემოსავლის წყარო გასწყვეტოდა, ოსმალების მიერ დაკავებულ ციხეებს ისე სასოებით უყურებდა, როგორც ხსნას და თუკი შეატყობდა, ახლა კი წახდა საქმე, მდევარს ვედარსად გავექცევითო, პირს უშალ აქეთ იზამდა.

ოსმალო, უფრო გამაჰმადიანებულ მესხებს, მოსისხლე მტრისაგან მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს მკვიდრთ, მამედ-ალი კიკიანივით და იანიჩარ-ალასავით ციხეებში რომ ისხდნენ და თავიანთ საშობლო ქვეყანაში მტრის საქმეს აკეთებდნენ, არც ესენი ეხატათ გულზე და არც ამათი მდევრები, მაგრამ პირველთა დახმარება ჯიბეში თეთრის ჩაჩხრიალებას მოასწავებდა და ფულზე გაწუწუებულნი დამხმარე ხელს ხალისით უწვდიდნენ.

ზემო იმერეთის სოფლებში შეპყრობილი ტყვეებითურთ გონიოსაკენ მიმავალი ქაჯაია თითქმის სამშვიდობოს იყო გასული, როცა რიონის ჭალაზე, იმ ადგილას, სადაც დამდორებული ხანისწყალი ასევე მდორე და წყალზე იმერეთის

ღედა-მდინარეს ერთვის, საკუთარი სახლიაკების მიერ დაგებულ ხაფანგს წააწყდა. გამოცდილმა აბრავმა მსწრაფლ შეაფასა მდგომარეობა. საფრთხეს არსაიდან შემოველებოდა. გეზი მსწრაფლ შეიცვალა, ტყვეების ნახევარზე მეტი გზაში მიატოვა, დანარჩენები შეჰკრა, ცხენებზე აქეთ-იქით საპალნესავით გადაჰკიდა და თავის გადასარჩენად ქუთაისის ციხეს მოაშურა. ყველაფერი, როგორც სხვა დროს, ალბათ, ახლაც მშვიდობიანად დამთავრდებოდა. ბებერ იანიჩარ-ალას ერთი ბეწო გაბედულება რომ გამოეჩინა და ციხის ალაყაფი ულაპარაკოდ გაეღო.

ვიდრე გორგოლაქებს ააღრქიალებდნენ, ციხის კარი გაიღებოდა და შუბმოდებებული იანიჩრები გარეთ გამოცვივდებოდნენ, გაფაციცებული მდევრები, რომელთაც სხვაც ბევრი მოეწმარა, ვიწროში მომწყვდეულ ქაჯაიას აქედანაც მიეძალნენ, იქიდანაც მზარი ჩამოაგდებინეს, სატევარი წაართვეს, მაჯებში სწვდნენ და დაითრიეს. ქაჯაიას ფეხები უზანგებში დარჩა. დამკრთხალმა ცხენმა, ეს რა ამბავია ჩვენს თავსო, დაიფრთვინა, დაიჭიხვინა და აიყალყა, შიშისაგან ენაჩავარდნილმა მხედარმა უზანგებიდან ფეხების გათავისუფლება ვერ მოასწრო და უნავირს დაეკიდა, ცხენს პირი აღვირით აუკრეს და წინ გაიგდეს, პატრონს კი კისერზე მარყუჟად ჩასკვნილი საბელი ჩამოაცვეს და მოედნის შუაგულისაკენ წაათრიეს, სადაც ახალმოსულთ ჰენებით გახვითქული ცხენები ელოდებოდათ.

ხალხს ახალა მოავონდა თოკით ერთმანეთზე გადაბმული და ცხენებზე ხურჯინებივით გადაკიდებული აღამიანები — სამი შუა ხანს მიტანებული, ჯაგრისა და საკუთარი უმწეობისაგან გამშრალი კრიკაშეკრული კაცი, ექვსი ქალი, მათ შორის სამი ბავშვიანი, და ოთხი კონკებში გახვეული რვა-ცხრა წლის ბიჭუნა, ტირილისა და ვაი-ვიშისაგან ხმა რომ ჩახლჩოდათ და საცოდავად ხაოდნენ. ჩამოხსნეს, ფეხზე დააყენეს და იმავე თოკებით, რითაც ეს უბედურები

იყვენ გაბორკილი და კვხზე დაკრული, ქაჯაიას თანამზრახველი ყაჩაღები შეჰკარეს, ნაცემ-ნაცემინი და თავ-პირგასისხლიანებულნი მოედანზე გაათრიეს და იქ დაჰყარეს.

სამუდამო ტყვეობისათვის განწირული და თითქოს სასწაულის ძალით გადარჩენილი მშვირ-მწყურვალი ადამიანები ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ამოდენა გზა რომ გამოეცლოთ და ვინ იცის, კიდევ რამდენი ექნებოდათ გასავლელი, მხსნელებს მუხლებში ჩაუვარდნენ, ცხარე ცრემლით მიწას ალტობდნენ და აღარ იცოდნენ, მადლიერება რით გამოეხატათ.

— ქაჯაია გაბარეს, ხალხო, ქაჯაია!

— რომელია, რომელი, დამანახვე ერთი, თუ ღმერთი გწამს!

— თავშიშველი, წითური, ცხენზე რო აჯენენ!..

— ვაი ამის დედას, რა ვაქაკი უნდა შეჰკამოს მიწამ!..

— გამიშვით, თავლებს ამოვკორტნივგ უწმინდური აქამდი ქვეყნიერებას უნდა ამძიმებდეს? შენ კი დეგვესო თვალი, გავიწყრეს დედა-შვილობის მადლი, შენ არ გეიხარე!

— დეიწი, ხალხო, უკან!

— დეიწიე, ხალხო უკან, არ გეყურება თქვენე? ყავს მაგას მოსამართლე, პირს არ მოუკოცნის, უჩვენოდ შემოუვლიან სანქმეს!

— ვაი, იხაროს ჩვენი მეფის მარჯვენამ! გააძლიეროს ღმერთმა, ათას წელს აცოცხლოს! ასე, ა! რაეა ეგონათ, აჰა, შერჩებოდათ? ღმერთო და იესო მაცხოვარო!

ქაჯაია უღვთოთ ნაცემე იყო. პირიდან და გახეთქილი წარბიდან სისხლი სდიოდა და ფილაქანზე წვეთ-წვეთობით იღვრებოდა. ბევრ ვინმეს ეგონა, საბელის ბოლოს, რითაც ავაზაკია გაბორკილი, ახლა უნაგირს გამოამამენ, ცხენს შეუძახებენ და შავ დღეში ჩავარდნილი სხვათა ამწიოკებელი, წელან რომ მთელ ხალხს ხანჯლის წვერზე წამოკებით ემუქრებოდა და გარემოებას რომ ხელი შეეწყო, ამას კიდევაც იხამდა, საკუთარი ცხენის წერა ვახდებდა, ტვინს ფილაქანზე დანთხვესო, მაგრამ ეს ასე არ

მოხდა.

— ცოცხლად! უნაგირზე დაეკაოთ! —ბრძანა ზურაბ მიქელაძის უმცროსმა ვაჟმა ბეჟანმა, რომელიც ქაჯაიას სახლი-კაცებთან ერთად იყო ჩასაფრებული რიონის პირზე და ახლა მდევარს. ახლდა. — მაგრად, ფრჩხილებიდან სისხლი წამოვიდეს!..

ხალხი დრტვინავდა, ბორბტმოქმედები არ ეთმობოდა. ტყვისმსყიდველთა საჯარო ჩაქოლვა ერთადერთი სამართლიანი მსჯავრი იყო, რომელსაც ისინი ღვთისა და ქვეყნის წინაშე იმსახურებდნენ, მაგრამ სხვა სხვაგვარად ფიქრობდა და ბევრი მიწვევ-მოწვევის შემდეგ ძალამ მიინც თავისი გაიტანა: მიქელაძის მსლებლებმა ქალაქელებს უკან დაახევიან და გზა იარაღით გაიკვლიეს. ზურგზე ხელებდაკრული და ქუჩის ნაგავში ცხვირ-პირით ჩამზობილი მეკობრეები ზმუოდნენ, პირში ჩატენილი ბინძური ჩვრების გამოყრას ლამობდნენ, ფეხებს იქნევდნენ. ერთი ორს კბილებიც კი ჩაალეწეს და სახე სისხლით შეუღებეს. ვინ იფიქრებდა, თუ უწყალო ცემისაგან დაოსებული და გაკოქილი კაცი კიდევ ამოდენა წინააღმდეგობის გაწევას ვაბედავდა და შესძლებდა. ტყუილად როდია ნათქვამი, სული მწარეაო. შეპყრობილთ სხვებზე უკეთ მოეხსენებოდათ, ხელში ვისაც ჩაუვარდნენ და, რაღა თქმა უნდა, ათასწილ ერჩივნათ აქვე ამოსვლოდათ ცოდვილი სული, ვიდრე ჭალათი ცხელი შანთით თვალებს დათბოდა, ანდა საქვეყნოდ შერცხვენილებსა და თავლაფდასმულებს ცულოთ ხელფეხს გააგდებინებდა.

ბეჟან მიქელაძემ დეზი ჰკრა ცხენს და პირდაპირ ბრბოზე მიავლო. ყველაზე ჭიუტებმა და სისხლმოწყურებულებმაც კი იყადარეს და უკან დაიხიეს. ბიჭი იყავი და ნუ დაიხვედი! ბრბო ორად გაიპო. მიქელაძემ ცხენი ააჩქარა. დანარჩენები გუნდად მისდევდნენ. ხუთი რახტიანი ბედაური, რომელთა პატრონები უნაგირებზე თოყებით დაეკაათ და ამდენივე მარქაფა ცხენი, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ საბრალე ტყვეები ჩამოხსნეს, შუაში მოექციათ...

ავაზაკ ტყვისმსყიდველთა შეპყრობა, ავარიან მეციხოვნეთა თვალწინ მათი დატყისალება, თითქმის ციხიდან მოტაცება სოლომონს წყალწითელას ხეობაში შეატყობინეს. მეფეს სახლთუხუცესთა ლომკაც ჭაფარიძე ეახლა და პურ-ღვინოსთან ერთად, სახასო სოფლებს რომ ჰქონდათ შეწერილი და დანიშნულ ადგილზე ჭორკიდებულთა ავზავნიდნენ, ეს ამბავიც ამოუტანა.

ბატონმა დაწვრილებით გამოიკითხა, ვინ, სად და როგორ დაეჭირათ და როდესაც ყველა კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო, თავისთვის ჩაილაპარაკა, მაგრამ სხვებმაც გაიგონეს:

— ეს მხოლოდ ყვავილებია, ნაყოფსაც მალე ვახილავთ!

სოლომონი აქ, სოფელ მოწამეთას მიდამოებში, ლაშხეთიდან მობრუნებული შეჩერდა და ბრძანა, კარვები დაეცათ. უნდა, ქვის სამტეხლოები და საკირები მოენახლებინა, გაეგო, რა უჭირდათ, რა უღბინდათ და ერთი დამეაქაც გაეთთა.

ცხენისწყლის სათავეებში მეფე აღრევც, ბატონიშვილობაშიაც ნავალი იყო. დათვებზე სანადიროდ კაცი უკეთეს ადგილს ვერ ინატრებდი. ლაშხეთის ჭიუხებში ჩიხვი და არჩვიც ჭოგებად დადიოდა და გვიან შემოდგომაზე, როცა ტყისა და ველის ყოველი სულდგმული სიმსუქნისაგან ტყავში ველარ ეტევა, აქ ნადირობას არაფერი ჭობდა.

თანამეცხედრის განზრახვა რომ შეიტყო, სანადიროდ ლაშხეთში აპირებს წასვლასო, დედოფალ მარიამს საყვედური დასცდა: რა ექნა, კლდე-ღრეში უგზო-უყველოდ სახეტიალო რა გაგვიჭირვებია, როდესაც განთქმული სანადირო ადგილები ბარადაც ბევრი მოგვეჩვენებო.

მართლაც, ზედ სატახტო ქალაქ ქუთაისზე მიბმული საღორისა და აჯამეთის ტყეებში ნადიროს მეტი რა იყო, თუკი მეფე ინებებდა და გულის გადასაყოფე

ბლად ოქროდ ღირებულ დროს გაიშეტებდა.

თავად მარიამი ნადირობის სიყვარულში სულს ლევდა. დადიანის კარზე დღე ხომ ისე არ გაივლიდა, ბატონებს წინ მწვევარ-მეძებრები არ გაეძლოდებინათ და სანადიროდ არ წაბრძანებულყვენ. ის რა სადილ-ვახშამი იქნებოდა, თუ სუფრაზე ნანადირევის ზორცს არ შემოიტანდნენ! თვით მთავარს სასახლეში ასზე მეტიმწვევარი და მეძებარი ჰყავდა. ერთი ამდენი კაციამაც გაიჩინა. თითქმის ყოველი ნადირობის დროს მარიამი თან ახლდა მამსა და ძმას, მშვილდ-ისარს, შუბსა და თოფს ვაჭკაცის შესამურად ხმარობდა და ვარციხის პირქუში სასახლის ოთხკედელშია თვეობით გამოკეტილს ერთი ძველებური განავარდება სიცრცხლედ უღირდა.

სოლომონმა ყური არ ათხოვა თანამეცხედრის მოკრძალებულ საყვედურს, ბერი წულუკიძე, ქაიხოსრო ავიაშვილი, ოდესღაც ლევან აბაშიძის გამო უსამართლოდ შერისხული სულთამ ავალაიანი და ბერი ლორთქიფანიძე აიყოლა, ამით გარდა, ოციოდე ლეჩხუმელი და სვანი მონადირეც შეიპირა და დანიშნულ დღეს დეხვირის ციხესთან განჩნდა.

ლეჩხუმის მოურავმა ხოსია ლსხიშვილმა დიდებული მეფის მომავალი სტუმრობის თაობაზე არაფერი იცოდა, ხარჯის ამკრეფებთან ერთად გაღმა სოფლებში იყო გასული და როდესაც შეატყობინეს საჩქაროდ ციხეში ამოდი, ასე და ასეა საქმეო, თავკუდმოგლეჯილი უკან გამობრუნდა, მაგრამ სტუმარს დეხვირის ციხესთან ველარ მოუსწრო. რიყრახეზე წამომდგარი მონადირეები ცხენისწყალს აღმა, ლაშხეთისაკენ აპყოლოდნენ და თანაც ისე ჩქარა ევლოთ, ხოსიამ და მისმა მხლებლებმა სამჯერ შეასვენეს ჰენებით გახვითქული ცხენები, ვიდრე ბუკისა და დოროტოტოს ხმას,

მწვეარ-მეძებრების ყეფას და მარეკების ყვირილს შორიდან გაიგონებდნენ. ნადირობას სანაჭებო ამინდი დაესწრო და კარგი პირი უჩანდა. დათვი, შველი და ირემი იმდენი იყო, მარჯვე კაცი ხელითაც დაიჭერდა.

აქაური გლეხკაცობის გულითადი დახვედრითა და ნადირობით გალაღებულმა სოლომონმა ლეჩხუმის მოურავი მოწყალედ მიიღო, მოიკითხა, ხუმრობა-ხუმრობით ბოდიშიც მოუხადა, ნებართვის მიუღებლად შენს საბატონო მამულებში შემოვიჭერთ და ამდენი ნადირი დაგიხოცეთო, მცირე ხანს აცალა, სანამ ლახიშვილი თავის მხრივაც მოუბოდიშებდა, და მეფის ბანაკში საგანგებოდ დაბარებულ სვან ბერიკაცებს მოუბრუნდა.

ვიღრე სხვები ნადირობით გულს მოიჭერებდნენ და ხევ-ხუვებში თოფებს აქუნებდნენ, მეფემ გვარჯილისა და ტყვიის საბადოები მოიარა და მცოდნე კაცებს მადნის ამოღებისა და დამუშავების თაობაზე ეთათბირა. ეს იყო ლაშხეთში მისი ამოსვლის ნამდვილი მიზეზი, ნადირობას მხოლოდ შესანიღბავად იყენებდა, რათა ზედმეტი ლაპარაკისა და შიშქმა-მოთქმის საღერღელი არავისათვის აეშალა.

ლიხსაქეთა ქვეყნის მეფე-მთავრები, რაც თავი ახსოვდათ, ტყვია-წამალს ოღითგანვე სვანეთიდან იღებდნენ. სვანები საბადოებს თვით ამუშავებდნენ და ტყვია-წამალსაც თავისი ხელით ამზადებდნენ აქამდე შემორჩენილი მამაპაპური წესით. სვანური დენთი თავისი ფეთქებადი თვისებებით რასაკვირველია, ისეთი ვერ იყო, როგორც ბოლო დროს უცხო ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, მაგრამ თუ დამზადების წესს გააუზმობებდნენ და საქმეს ნამდვილ მოხელეებს მიანდობდნენ, შეუძლებელია, შედეგიც სასურველი არ მიეღოთ.

ლაშხურის საბადოევი, საიდანაც ოდესღაც ძვირად ღირებულ მადნეულს იღებდნენ, ბოლო ხანს ხალხმა მიივიწყა. ტყვია-წამლის შინ დამზადებას აქაური მეთოფენი მზამზარებულად შექმნას და შემოტანას არჩევდნენ. ლაშხეთში მეფე

სოლომონისა და მისი მზღებლების ამობრძანებამ მთელი კუთხე ფეხზე დაყენა. დატრიალდნენ შამასახლისები. საჭირო ხალხი, უბირატესად ბერიკაცები, ვისაც მადნეულის ამოღება-დამუშავების მამა-პაპური წესი ზედმიწევნით ახსოვდათ. თუმცა ეს ერთი ხანი იყო, ამ საქმისათვის ხელი აღარ მოეკიდათ, ხევ-ხევ, სოფელ-სოფელ მოაგროვეს და მწყალობელ მეფეს ბრძანებისამებრ ლაშხეთში მოჰგვარეს.

ცხენისწყლის სათავეებში უკვე ახალი თოვლი იდო. ყოველდღე ახალ და ახალ ფენას ამატებდა. წლელს, ღაზამორებამდე, რაღა მოესწრებოდა და გაზაფხულზე, როგორც კი თოვლს აიღებდა და მიწა პირს გამოაჩენდა, მადნეულის ამომღებნიც და საბადოებიდან მისი გამომტანი მეურმეებიც, აგრეთვე ტყვიისა და თოფისწამლის დამზადების მოხელენი, რომელთაც საგანგებოდ მიჩენილი ზედამხედველი ჯამაგირს თვით მეფის სალაროდან გადაუხდიდა, ღვთით მუშაობას უნდა შესდგომოდნენ. საქმე საშური იყო. იმაზე უკეთესი აღარაფერი იქნებოდა, თუ ლაშხური თოფისწამლითა და ტყვიით სავსე კოდებს ბარის გზას შუა დიდმარხვაში გაუყენებდნენ.

„გლეხკაცისა და ქვრივ-ოხრის მოსარჩლე ჩვენი მეფე-ბატონი დიდი ომის გასამართლად ემზადება — დაირხა ხმა სვანეთსა და ლეჩხუმში. — ღმერთმა ხელი მოუმართოს, მტერი და მოღალატე დაუმარცხოს, ერთგული ვაჟკაცები კი სულ ემატოს და ემატოს ქრისტეს მადიდებელ მის ლაშქარს!“

სოლომონი კმაყოფილი, იმეღით აღვსილი და უჩვეულოდ ფრთებშესხმული დაბრუნდა უკან. გზად ისევ ლეჩხუმში ჩამოიარა, ოღონდ ამჯერად პირი ორბელის უღელტეხილისაკენ ჰქნა, მიუხედავად ხოსია ლახიშვილის წრფელი მუღარისა, ახლა მინც მიკადრე, ჩემს ღარიბულ ჰერქვეშ პური გატრე, სახლელული დამილოცეო, ნანადირევით დატვირთული რიონის ხეობაში გადმოვიდა და შეუსვენებლივ ნამოხვანის ბორანს მოაშურა, საიდანაც მოწამეთაში

ამოსვლას ორი-სამი საათიც აღარ დასკირვებია.

სახლთუხუცესს ლომკაც ჯაფარიძის გასტუმრებაც იყო და ბანაკს გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსებიც მოადგა არქიმანდრიტისა და ოთხი ბერ-მონაზვნის თანხლებით. ყვავებრთი შავად შემოსილი არქიმანდრიტი და ბერები გარეთ დარჩნენ, მეფის კარავში მართო მიტროპოლიტი შევიდა, მის შესახებ ვეღარა ფეხზე წამომდგარ ვეირგვინოსან ძმას ჯვარი ვადასწერა, გულზე ძეწკვით დაკიდებულ ვერცხლის ჯვარცმაზე ამთხვევინა, მერე თავადაც გადაეხვია და გადაჰკოცნა.

— ასე აღრე როდი გელოდი, სოლომონ, — უთხრა, როცა ერთხელ კიდეც დავეკრვებით აპხედ-დაპხედა და დათუნა ნაფიჩვიძის მიერ მოწოდებულ სკამზე ჩამოჯდა. — არ გისტუმრეს სვანებმა თუ როგორ არის შენი საქმე? ვხედავ, ნადირობის ღმერთი შეგწვევია და ნანადირევით მართლა დაგიშვენიებით ხელი!

— ნადირი კი ბევრია, ძმაო იესე, ღმერთმაც ხელი მოგვიმართა, ნეტავი ასე სხვა საქმეში გავემართლებდეს, — ნალვლიანად მიუგო მეფემ. — შენ როგორა ხარ, შაპატიე, თავად უნდა გზღებოდი და შენი ლოცვა-კურთხევა გელათში მიმელო!

— დიახაც, მეფეც და ძმაო, — დამოწმა მიტროპოლიტი, იოსფერი ხავერდის ანაფორის ღრმა ჯიბიდან ქარვის კრილოსანი ამოიღო და ორივე ხელის თითებით მარცხლა დაუწყო. — სწორედ გმართებდა ამოსულიყავი და მაცხოვრის ხატის წინაშე მუხლი მოგედრიკა, სანთელი აგენტო. რაკი აქამდე მოსულხარ, იქამდე ამოსვლას რალა უნდოდა, ორი ნაბიჯია. ხალხი სხვანაირად ჩამოგვართმევს!..

— ეს ერთხელ, ეს ერთხელ შემიხედ, იესე, სხვა ღროს საგანგებოდ გეახლები!..

— ღმერთმა შეგინდოს, ძმაო, მე რატომ უნდა მეახლო, იმას ეახელი, ვისაც შენგან და ჩვენგან ხლება ეკუთვნის!

მეფემ აღროვა, კიდეც ხომ არ ამბობს რამესო და როცა იოსებმა მეტი არაფერი თქვა, სიტყვის მასალად აკითხა:

— მისე უწმიდესობა კათალიკოსი რასა იქს, ხომ ჯანმრთელად ბრძანდება?

მიტროპოლიტმა წარბი შეიკრა კრილოსანი მოკეცა, ისეც ანაფორის ჯიბეში ჩაიღო და ძმას გვერდზე გამოჰხედა.

— ავრე დაციწვით არც ის უნდა მოიციოხო, ბატონო, გვსურს თუ არა გვსურს, ეკლესიის საკეთილშობელია!

სოლომონი აიღეწა, მოეჩვენა, რომ იესე ჩხუბის საბაბს ეძებდა და კათალიკოსს, რომლისსადმი პირად დამოკიდებულებას არასოდეს არ ამეღვენებდა, განგებ ესარჩლებოდა.

— კიდეც ვინ მოვიკითხე დაციწვით, შე კაცო. ნუ მიწყენ და მეტისმეტად უცნოური ხალხი ხართ სამღვდლო პირები. კი არა გგონიათ, რომ თქვენც ჩვენებრ მიწის შეილები ბრძანდებით და ღვთის სამსახური ტახტისაგან სახელოდ მიგიღიათ. რატომ გავიწყდებთ, რომ თვით იესო ქრისტეც, მაცხოვარი ჩვენი, კაცთაგანი იყო, დედამ შობა, ქვეყნად იღვაწა და ცად შემდეგ ამალდა! არა, — მეფე მიხვდა, რომ ზედმეტი გულწრფელობა გამოიჩინა, საფიცარ ძმას უნებლიეთ მართლა აწყენინა და შეეცადა, ნათქვამი სიტყვები, რომელთა უკან დაბრუნება ან გადასხვაფერება უკვე აღარ შეეძლო, როგორმე შეერბილებინა. — ამას, რაც ახლა ვთქვი, მაინცდამაინც შენს თავზე ნუ მიიღებ, საზოგადოდ მოგახსენებ!..

— ვხვდები, რასაც მომახსენებ საზოგადოდ, მეფეც და ძმაო. მე აქ შენთან უკმეხი სიტყვების ყურის დასაგდებად არ მოვსულვარ. მითხრეს, მობრძანდა და მოწამეთაში დაიბანაკაო. მეც ვვდექი და, როგორც ღვიძლ ძმას შეჰყურის, გეახელი, საყვედურიც გკადრე. იქნებ ეს გეწყინა? თუ მიწყურები, ახლავე წვაღლ, ვასარისხებელი ჯანა რა გითხარო!

— ხელი მომეცი, შეგრაჯუტო, იესე, — თქვა მეფემ და მიტროპოლიტს ხელი გაუწოდა. — მე და შენა ჩხუბი ვინ

გაიგონა! მამის სულს გაფიცებ, გულში გლახა არაფერი ჩაიდო. ბოდინს ვახლი. ჰა, მეტი რაღა ვინდა!

— კი, ბატონო, თუ... — იოსებს თვალები ცრემლებით ავსებოდა და თავისი სისუსტე რომ არ გაცეცა, მეფეს სახეს არიდებდა.

სოლომონი შეეთამამა, ხელი ძალად წაართვა და მოუჭირა.

— შევრიგდით? თუ ისევ მიწერები?

— კიდევაც რომ არ შეგირიგდე და გულში ნაწყენობა ჩამრჩეს, მე შენთვის საშიში მაინც არა ვარ, ეს ხომ იცი, სოლომონ!

— როგორ თუ საშიში არა ხარ!

— მე გულთი მწამს, რომ შენ ქვეყნის ერთგული მეფე ხარ, ერისა და სარწმუნოების საკეთილდღეოდ არც თავს იზოგავ და არც სხვებს ზოგავ. გადამთიელი არც მე ვარ, ძმაო, ძარღვებში მეც შენი სისხლი მიდღღს. სამშობლო ქვეყანას და ჩემს სისხლს მე წინ ვერ გადავუდგები, თუნდ უდანაშაულოდ ვვარზედაც გამაქრან!

— შემიხედ, ძმაო იესე, თუ ოდესმე რაიმე წყენა მომიყენებია, ნუ ჩამთელი გაუგებელ კაცად, ნურც იმას იფიქრებ, თითქოს ეგ ყველაფერი, რაც ახლა მითხარი, აქამდე არ ვიცოდე. ვიცი, აქამდეც ვიცოდი და ამიტომაც გულის სარქველი ახდილი მაქვს შენთან. შენ ერთს ყოველთვის შეგიძლია, ჩემს გულში ჩაიხედო!

— მე ერთს რატომ, სოლომონ? ჩემს ვარდა, ხომ არ დავაგიწყდა, შენ კიდევ გყავს ერთი ძმა, არჩილი. არჩილმა რაღა დავიშავა?

სოლომონს პირკატა ეცა, ამღვრა, თვალები დაჰხარბ და ფეხქვეშ ვაფენილ ხალიჩას დააცქერდა.

იოსები პასუხს ელოდა. კითხვა ყოველგვარი შეფარვისა და მორიდების გარეშე დასვა და თავის უკმაყოფილებას მეფის ბოლოდროინდელი გულჩახვეულობისა და მშებისადმი უსიტყვიოდ გამოხატული უნდობლობის გამო აშკარად აქვდავენებდა.

მდგელმთავრის გამკრიახ თვალს არ გამოჰპარვია, რომ წინანდელთან შედარებით ბატონიშვილ არჩილს სასახლეში ძალზე ცივად, თავშეკავებულად, თითქმის ათვალწუნებით ეპურობოდნენ, უთვალთვალეზდნენ, ყურადღებების გარეშე არ სტოვებდნენ არც ერთ მის ნაბიჯს.

იოსებს თავდაპირველად მიაჩნდა, რომ მეფის უმცროსი ძმისადმი ეს ახალი დამოკიდებულება დედოფალ მარიამისაგან მომდინარეობდა, კიდევაც გაუკვირდა, შიგადაშიგ კიდევაც გამოჩნრიკა, მართლა ასეა თუ არაო, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა — დედოფალი უბრალო იყო. არჩილს თვით მეფე უწყურებოდა. მაგრამ რისთვის? საუფლისწულო მამულში მისი გასტუმრებაც კი მიივიწყა. სოლომონისათვის ადრე რომ გეკითხა, ნავარძეთის ციხე და მამისიეული სასახლე თავის ხარჯზე უნდა აღედგინა, არჩილი მზამზარეულზე უნდა მისულიყო. ეს დაპირება დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა. რა მოხდა? რას უნდა აემხედრებინა სოლომონი არჩილის წინააღმდეგ, რომელიც თავისი საფიციარი უფროსი ძმის, მეფის, უსახლგროდ ერთგული იყო, თვალეზში შესციცინებდა და მისი გულისთვის თუნდ ცეცხლში ჩადებოდა? ვინ იყო ის ღვთისა და კაცისაგან შეჩვენებული, ღვიძლ ძმებს შორის წყალს რომ ამღვრევდა? ნუთუ არგვეთის ნაბატონარი ბაბუა ლევანი?

იოსებმა რამდენჯერმე დააპირა, ნუესი გაეტეხა, გვირგვინოსანი ძმა დამართოხელებინა და ყოველივე ამის თაობაზე ერთხელ და სამუდამოდ მოთათბირებოდა, მაგრამ სოლომონი განზრახვას მიუხვდა, მიუკარებლობის ნიღაბი ჩამოთფარა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ეს საუბარი, რომლის დროსაც სრული გულახდილობა უნდა გამოეჩინა, არასოდეს შემდგარიყო. ახლა იოსები მიხვდა, უკეთეს დროს ვეღარ ვიპოვნო და გადაწყვიტა, საქმე ბოლომდე მიეყვანა.

— ვხედავ, არც სანადიროდ წაგიყვანია, — უსაყვედურა ძმას. — ვარციხის სასახლეში გყავს პატიმარით ღამწყვედელი.

— კარგად იცი, იესე, — მეფეს თავი ჩაეყიდა, სახეში შემოჩერებულ მიტროპოლიტს, როგორც სინდისის ხმას, მზერას ახლა თვით არილებდა. — მე სანადიროდ და დროის სატარებლად ჭერ არ მომიცლია. ალბათ ვერც მოვიცლი. სხვების შიკვირს...

— მითუმეტეს! არჩილი ხელს შეგიშლიდა? კიდევაც დაგამშვენებდა, შენთან ერთად მოივლიდა ლაშხეთს, თვალს გაახელდა, ქვეყანას, ერს ნახავდა.

— რა გინდა, იესე, რას შემომიჩნდი, რატომ არა გსურს მიხვდე, რომ უთქმელობა მტანჯავს და თქმა კიდევ უფრო დამტანჯავდა. ჩვენს ძმობას გაფრცხვება, ცოტა ხანს მაკალე. ძალას ნუ დამატან. მე თავად გამოვარკვევ ყველაფერს და არჩილის საქმეს ან ასე გადავწყვეტ და ან ისე.

— იმე! — იოსებმა, სწორედ ისე, როგორც უფროს ძმას სჩვეოდა, წარბი შემართა. — დმერთო, შენი სახელის ჰირომე, რა გაქვს გადასაწყვეტი, სოლომონ, მართლა აგრეა საქმე?

— ასეა! — სოლომონმა ოფლის მსხვილი წვეთებით დაცვარული უთბლი მოიწმინდა და ძმას მხოლოდ ერთი წამით შეხედა თვალბში.

— გაჭირვება ისედაც ბევრა გვადგას, იმას მაინც ნუღარ მივიმატებო, რაც არ არის. შენმა ძმებმა, ბატონიშვილებმა, შენ ერთგულების ფიცით მოგვეს და ამ ფიცს მაშინაც არ უღალატებენ, როცა სული ზორცს გაეყრება. მაღალი ღმერთია ამის მოწმე და მსაჯული. ზენაარს ნუ გააჩიხებ, სოლომონ, ძმაო, ცილი ისევე ავენებს სულს, როგორც უსამართლო განაჩენი!

— ხომ შემოგვხვებწე, ცოტა ხანს მაკალე.

— კეთილი, ვაცლი, რახან აგრეა, ოღონდ...

— სიტყვას გაძლევ, არჩილს არაფერი დაუშავდება. მეტს ნუ მთხოვე და მეტი არც არაფერი შემიძლია.

— შენ იცი, სოლომონ.

— სახელდახელოდ ხომ არ გვევახშმა? ბიჭებს მოვუხმობ, სუფრას გავეშლიან.

— მე მართო არა ვარ, ბერები მახლავან, არქიმანდრიტიც აღარ მომეშვა და თან წამოვიყვანე.

— მერე რა უქირს, ღვთის მადლით, ჭერ ხომ არ გავლატაკებულვართ, ლუკმა მაგათთვისაც მოგვეძიებება.

— არა, არა, თუ გიყვარდ, სოლომონ, ნულარავის ააწრიალებ, ვახშამს დრო უნდა, ნამეტანი დავგაღამდება და უმთვართ დამეში გზას ველარ გვიგნებთ. ერთი ეს მიბრძანე, ჭერ ჭრუქისაკენ ხომ არ აპირებ წასვლას? თუ წასვლას გადაწყვეტ, იქნება გაისარჯო და მეც თან გამიყოლო.

— კი, ბატონო, მაგაზე ვაწყენინებ? მხოლოდ ნუ დაიზარებ და უშენოდ ფეხსაც არ გავადგამ. ახალია რამე თუ?

— მეტი გადადება აღარ შეიძლება, სოლომონ, იმ ხალხს ხომ არ უნდა შევაჭამოთ ერთმანეთი!

— ერისთავს და წერეთლებს? ერთობ დაბურდული საქმეა, იესე. ცხონებულმა მამაჩვენმა ეგეც ჩვენ დავგეტოვა სათავცემოდ. მინდოდა, ერთხელ დავმსხდარიყავით მე და შენ და მოგველაპარაკა. კათალიკოსს ამ საქმეში ვერ ჩავრევე. ვგონებ ასე აჯობებს. მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, მეც არ მოვიწოდომებდი საქმეში ჩარევას.

— აქ როდემდე გაჩერდები?

— ვნახოთ, საქმე გვიჩვენებს.

— კაპუჩინელი ბერები გვახლენენ გორიდან, შენთან შეხვედრა უნდათ.

— მერე? სად არიან, რატომ არ შემოგყავთ?

— მონასტერში გავაჩერეთ ღამის გასათევად. გზამ ისე დავგლია, ძვალი და რბილი გაერთიანებული გვაქვსო. ხვალ, თუ შეიძლეს და ფეხზე წამოდგენენ, ყველას გაახლებ.

— როგორ თუ ყველას, რამდენი კაცია?

— ოთხი, სამს კიდევ ელიან. ვეღარ იარეს და შორაპანში დაეტოვეთო.

— ყველა წამოვიდა, ქართლში აღარავინ დარჩენილა?

— აგურ ჰვავს, სოლომონ. გორში, ეტყობა, მისიონი მოშალეს. თეიმურაზ მეფეს ემდურიან, ერეტიკოს მღვდლებს მიენდო, ყველაფერს იმათ უჯრებს და ჩვენი სახელის გაგონებაც აღარ უნდაო. მაგათი გადაკვიდე მეფე უწმიდეს კათალიკოს ანტონსაც აშლია. ანტონს ბრალს სდებენ, კათოლიკე მისიონერებს საეკვოდ მფარველობსო.

— მაგას მეც მოგკარი ყური. ეს ერეტიკოსი მღვდლები ვინა არიან ვითომ?

— ჩვენ, მართლმადიდებლები, ვინც ქრისტეს რჯული შევრყვენით, ვისაც ღვთისმსახურების არაფერი გავგეგება და უბირ ხალხში სიბნელესა და ცრუმორჩმუნობას ვქადაგებთ.

— გატყობ, მაგ საწყალ ბერებზე მზე არც შენ ამოგდის, — მეფეს ღიმილი მოერიო. — მე კი მგონია, რომ უცხოეთში ცხრა მთას იქიდან გადმოხვეწილ ბერებთან ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს. პირიქით, რაც უფრო დავიხლოვებთ და გულს ვაჩვენებთ, მით უფრო უკეთესი იქნება. ქართლის მეფეები, ჩვენი მამაბაბა, დადიანი, გურიელი და აფხაზთა

მთავარი განა სწორად ირ იქცეოდნენ, როდესაც პატრებს თავშესაფარს აძლევდნენ, ბავშვებს ანათელინებდნენ და სანადიმო სუფრაზე ვევერდითაც კი იჯებდნენ? პატრები განათლებული ხალხია, იესე, ამას ვერ უარპყოფ, აქ განათლებული ქვეყნიდან მოსულან და ჩვენს ხალხს გონივრული ცხოვრების მაგალითს აძლევენ. აქიმობა ემარჯვებათ, პირდაპირ სასწაულებს ახდენენ, თუნდა ჩვენი პატრი ლეონე გაიხსენე, ყოველ კეთილ საქმეში ხელი გაწაფული აქვთ და რაც მთავარია, მრევლს უანგაროდ ემსახურებიან, ჯიბის გასქელებაზე ფიქრით თავს არ იწუხებენ. ხვალ ან ზეგ აუცილებლად გამომიგზავნე ყველა სადაც არ უნდა ვიყო. მაგათთან შესახვედრად დროს ყოველთვის გამოენახავ და შემწეობითაც აუცილებლად შევეწევი. თუ შენ, რასაკვირველია, საწყენად არ დაგრჩება, — მეფემ ეს უკანასკნელი სიტყვებიც ღიმილით წარმოთქვა და წამოიწია, რადგან მიტროპოლიტი უკვე ფეხზე იდგა და წასასვლელად ემზადებოდა. — დამე მშვიდობისა, იესე, ფრთხილად იარეთ, ბნელი დამეა და გზაში მართლა არაფერი მოიწიოთ!

— მშვიდობა ნუ მოგაკლოს, ძილი ნებისა! — ფიქრიანად უპასუხა იოსებმა, თავი დახარა, პირჯვარი გადაიწერა, ძმას მარჯვენა მხარზე ეამბორა და მძიმე ნაბიჯით გასასვლელისაკენ წავიდა.

თავი IV

ძმის წასვლის შემდეგ სოლომონმა ყველა დაითხოვა, ძიძიშვილებს შემოთავაზებულ ვაზშაშზე უარი უთხრა, კარვის კუთხეში გაშლილ ნაბადზე მიწვა, თავი სასთუმლად ამოადებულ უნაგირზე დასდო და ფართოდ გახელილი თვალები სიბნელეს მიაპყრო. სახე წამოხურებული ჰქონდა, საფეთქლებში თითქოს უროს სცემდნენ, ყურები უწიოდა. სახეზე თბილი ხელი მოისვა. ვასაკვირი

როდი იყო, სნეულება რომ შეპყროდა, აღმა და დაღმა წოწიალში თავადაც არ იცოდა, სად უთენდებოდა და სად უღამდებოდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ლიხთიმერეთში სამჯერ იფეთქა შავმა ჭირმა და ქვეყანას აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა. თუ შტრისას და ავისას, ვინმეს ჭირის ნიშნები გამოაჩნდებოდა, ერთადერთი ხსნა სახლკარის მიტოვება და კლდე-ღრეში გა-

ხიზნეა იყო, თვით სნეული კი ან ღვთის ანაბარა, ან ვინმე თავმოძულებული ახლობლის ანაბარა რჩებოდა. წყეული სენი კლდე-ღრეშიაც კვალდა-კვალ მისდევდა უგზოუკვლოდ გახიზნულ ხალხს, უამისოდაც შიმშილით, სიცივითა და ყველა სხვა სიავეთ ღონემიხდილ ადამიანებს მუსრს ავლებდა, ვიდრე ჯანმრთელი ხარ და მუხლსა და მკლავში ძალა მოგდევს, ვერ დაგიჯერებია, რომ სენი შეიძლება შენც მოგერიოს და სარეკელს მიგაკრას. ამათ იმედით, სნეულება აბა მე რას დამაკლებს, საღსალამათი ვაქცაი ვარო, ვინ იცის, რამდენი ვინმე გამოსალმებია წუთისოფელს, რამდენი ვინმე ნადრევიად ჩასულა ცივ სამარეში!

„ღმერთო, იდიდოს შენი სახელი უკუნითი უკუნისამდე! — ჩურჩულით წარმოთქვა მეფემ, რადგანაც შეეშინდა, მისი სულმოკლეობის მოწმე არავინ გამხდარიყო და შემზარავი წარმოდგენების გასაფანტავად, ყოველის მხრიდან რომ მოეძალნენ და თანდათან იპყრობდნენ. პირვეარი გადაიწერა. — გადმოგხედე წყალობის თვალთ, მაინცდამაინც ახლა ნუ მომკვეთ მუხლს, მტერსა და დღეშმანს ნუ გამიხარებ, ორი პარასკევი კიდევ დამაცალე!“

ვერც კი გაიგო, ფიჭვს ბურუსი როდის გადაეფარა და თავი ძილმა როგორ წაართვა. ხმამაღალმა ჩურჩულმა გამოადგომა. თვალი გაახილა, ძლივს მოიბზრო. სად იყო. კარავში ჯერ ისევ ბნელოდა. ძილშივე იცნო ხმა — ნიკოლოზა და დათუნა ჩურჩულებდნენ. როგორც ოღესლაც საწირეში, ძიძის ღარიბულ ჯარგვალში, ახლაც დაცაცხანებას აპირებდა, რა გამოვიჩნდათ, ბიჭო, ამდენი სალაპარაკო, ადამიანს რომ არ მოასვენებთო, მაგრამ უდროოდ დროს გამოფხიზლების შიშით თვალეები კვლავ დახუჭა. ნაფიჩაძეები ისევ ჩურჩულებდნენ. ძმები ნიადგ მეფის კარავში ათევენენ ღამეს, ტანთ თითქმის არასოდეს არ იხდიდნენ და დილას, გლეხკაცური ჩვეულებისამებრ, ძალიან ადრე დგებოდნენ, თუმცა ყანა-ვენახსა

და ოჯახურ საზრუნავს მოწყვეტილებს საქმე ბევრი არაფერი ჰქონდათ, სოლომონმა თავი წამოსწია.

— რომელი ხართ მანდ?

— ჩვენ გახლავართ, ბატონო — იმწამსვე მოისმა კარვის კართან თავბირგაბანჯგვლული ნიკოლოზას ბოხი ხმა. კარზე ჩამოფარებული მძიმე ფარდა აიწია, მტრედისფრად შეფერადებულმა ცისკიდურმა გაიელვა და სოლომონს თვალი მოსჭრა.

— არ დაწოლიხართ ჯერ თუ რა შემოგერიათ?

— ამ წუთში ავდექით, ბატონო, მამლებმა მესამედ იუფლეს, თენდება, დილის მადლი შეგეწიოს!

— თქვენც შეგარცხინოს ღმერთმა, ნიკოლოზა და ეგ მამლებიც!

— ნუ გვწყევლი, ბატონო, შენი ბრძანება და ღვთის ნება ერთია.

— აღარ მომეშეები, ნიკოლოზა?

— უი, ღმერთო კი მამკალი, მე მეგონა, შენც ქე შეგექნა გული და დგებოდი, თუ არა ასე რაღა გავბედავდი მუსაიფს!

— გინდა რამე? რას შემომღრიტინებ!

— მე და ჩემ სახლიკაცს, დათუნას...

— ნიკოლოზა ნაფიჩაძემ ფეხი მოინაცვლა და დიდი ხნის გულში ნატარეზი სათხოვრისათვის მეტი მნიშვნელობა რომ შეინიჭებინა, შორიდან დაიწყო. მეფემ შეაწყვეტინა:

— სხვა დრო ვეღარ მონახეთ, თქვე უკეთურებო?

ნიკოლოზა არ დაიბნა, პასუხი შეაგება:

— სხვა დროს, შე კურთხეულო, ჩვენთვის სად გცალია, აგიაშვილი და წულუკიძე შენთან შემოგვიშეებენ?

— თავს ძალიან. ნუ მოისაწყყლებ, ვაებატონო, შენ არ იყავი, თავადი ფაღვა რომ კინალამ ოდიშში გამიქციე? ნიკოლოზა აიფოფრა, თანშეზრდილი მეფის მოსალოდნელ რისხვას არ დაერიდა, გადაჭრით იუარა:

— მამის ძვლები დამეხრას, თუ ჩემი ბრალი რამე ყოფილიყოს. რაც მიბ-

რძანე, ბატონო, იმას ვასრულებდი, დამიჯერა?

— თქვი ახლა, რაღაი გამოძალიძე და ძილი გამიფრთხე. მაგ უზრდელობის გულისთვის მეორედ, იცოდე, ორ პირ ტყავს გაგაძრობ, ველიეთის წმინდა გიორგი ვერ ვიშველის, მაინც ასე მეუბნებიან, ძალიან თავზე წამოსმულეები გყავს ეგ შენი ძიძიშვილები და აგერ ენახოთ, თუ სადმე სირცხვილი არ გაქამონო.

— შენ ჯგარი გწერია, მეფეო და ცეცხლი და ბაღდაძე ჭამა მაგისმა მოქმელმა. ასე, ა! რაღაი შენ დაგდევთ კულში და შეძლების კვალობაზე თავი არ გვეზოგება, ყველას გონია, გავკეთდით, მეფე ერბოში გვაცურავენს. ვაი, ისემც... რა გვაქ ჩვენ, მე და ჩემ ძმას, სხვისი შესახარბებელი, გოუწყრათ იმთ სახარება, სხვაზე მეტი რა გვაბადია. ნეტაი კი...

— მაგას მე მიარაკებ?

— არა, აჰ, მამის სული წამიწყდეს, თუ...

— რაღა შორიდან უვლი იბა, ბარემ თქვი, რა გინდა და მომასვენე!

— დათუნა შემოგებეწა, მეფეო, იმის მაგიერათ მეც გებეწები... აგერ ყურის ძირში ვართ... თუ საწყენად არ დაგჩრება, სახლში ავარბენ, დედას ვნახავო...

— ძიძას ზომ არაფერი უჭირს?

— ვიცით, ბატონო? ჩვენ აქანა ვტრიალობთ, ერთი წუთი მოკლა არ არი, აქეთ მომსვლელი, იქით — წამსვლელი...

— შენც ზომ არ გაგიშვა? რაღაცა გლახად იფხიხლები!

— არა, შე რაღა მიგატოვებ, ბატონო, მარტვა დათუნაზე გებეწები, მერე ჩვენ ვიცოდეთ და...

— თავად სად არის, რა შენი შუაკაცობა და მოციქულობა ჭირდება?!

— აგერ გახლავს ისიც, მოეხატო, ბატონო, ვერ შემოგებდა. ბიჭო, დათუნა! — დაიძახა ნიკოლოზამ და სანამ კართან მოყურადებული ძმა კარავში შემოვიდოდა, კვლავ ვედრების კილოზე

განაგრძო: — რაღა დაგიძალიეთ და... დათუნა ჯგარის დაწერას აბრეშებს... სა... წყალი დედაჩვენის, შენი ძიძას, დიდი ხნის სახვეწარიც ეს არის და დრომაც ქე მოაწია. ისე ნუ ჩამდებთ მიწაში, შვილიშვილის აკვანი რომ არ გადაეარწიოთ.

— ეგ როღა ურიგო საქმე, ნიკოლოზა. ცოლის შერთვა არც შენ გაწყენდა. ქალი ვისია? — ამ უკანასკნელი სიტყვებით მეფემ კარავში მორიდებულად შემოსულ დათუნა ნაფიჩქაძეს მიმართა.

დათუნამ დაიმორცხვა, იფიქრა, ჩემს მაგიერ ახლაც ნიკოლოზა ვასცემს პასუხსო და პირში წყალი ჩაიგუბა. ნიკოლოზამ მართლაც იყოჩაღა, ძმას შეუტია:

— გეილე, ბიჭო, ხმა, უთხარი ბატონს!

დათუნა სირცხვილის ოფლში იწურებოდა, ძლივს გამოსცრა:

— გლეხის ქალია...

მეფეს გაეცინა:

— ეგ ვიცი. დადემქელიანი შენ ქალს არ მოგცემდა. სადაურია, ვისი ყმა არის?

— წულუკიძის...

— ბიჭოს! სად შენ და სად...

— სხარტალში ვნახე.

მეფეს ჩრდილმა გადაუარა სახეზე. გაახსენდა, რაჭიდან საწერეთლოში მიმავალმა როგორ გაგზავნა დათუნა სხარტალში თინათისათვის თავისი ამბის შესატყობინებლად, მაგრამ ეს არ შეიმჩნია, მაინც ხალისიანად იკითხა:

— მერე პატრონი გაატანს ქალს? იქნება სხვაზეა შეპირებული.

ძმისებრ თავიბრგაბანჯგვლულმა დათუნამ მხრები აიჩეჩა და თავი დამნაშავესავით ჩაღუნა.

— ფიცი მივეცი ერთმანეთს, ბატონო. ქერივი ქალია. ქმარი, აცხონოს ღმერთმა, შარშანწინ დამარხა...

— შვილებიც ყავს?

— ყავს ორი... გოგო და ბიჭი.

— მერე?

— მევიყვან, ბატონო, ოჯახში. სანამ-

დი ჩვენ აქ ვართ და შენ გემსახურებით, საწყალ დედაჩემს ხმის გამცემი მაინც ეყოლება.

— დემეტრე დიდი დღე მოგცეს, ჩემო დათუნა. გულმოწყალე ბიჭი დადექი და ცხოვრებაში გზა არ გაგიმრუდებდა. მეც ხელს შეგიწყობ.

— ისე, სათქმელი უნდა ითქვას, ბატონო, — ხელახლა ჩაერია ნიკოლოზა და როცა დაინახა, მეფე ამ დაბდურს ნახივს უწონებდა, გულში დაგუბებულ ბოლომდე ერთბაშად გადმოდგარა — ერთი ქალიშვილი ქალი ჩვენთვის ვითამ გაწყვეტოდა? ფერი აკლია თუ ხორცი, კოკლია თუ ბრუციანი, თუ სხვაფრე დეიწუნებდა ვინმე! რაღა იმ გაჭირვებულს გედევყარა! საწყალი დედაჩვენი დარღს გადაყვება. სოფელ-კუთხეს მაინც რა ვუთხრათ, რა პირით შევხედოთ.

— ვითხარი მე შენ, ნიკოლოზა, თუ ჩვენი ძმობა გწამს, მაგას ნულარ გამაგონებ, — თქვა დათუნამ და ყოველი კაცი ადვილად მიხედებოდა, რომ ამ საგანზე მასთან დავა, იქნებ გადაწყვეტილება როგორმე შევაცვლევინო, ტყუილი წყლის ნაყვა იყო. — ვინც მე გულით მინდა, უდელიც იმან უნდა გამიწიოს. ქალი მე მამყავს, სოფელ-კუთხეს კი არა. დედას ჭავრი შენ წუ გაქ, მე ვიცოდე და იმან. შენ მონახე ქალიშვილი ქალი, ვინც გინდა, ის მონახე. შერცხეენილი კაცი დამიძახე, თუ შემეხარბოს!

— დათუნა მართალია, — მცირედი დაფიქრების შემდეგ გადაწყვიტა მეფემ. — ჩემი მხრით ხელს არ შეეუშლი, რა იცი, ქვრივ-ოხრობაში გამოვლილი ქალი იქნება უფროც გამოადგეს. მეტი ხართი და მორიდება ექნება. წადით ორივე, დღეის სწორამდე გამიშვიხართ. შენ მობრუნდი, ნიკოლოზა, დღეის სწორს, ეს დარჩეს. გიორგის და ბერის მე მოველაპარაკე. უარს ვერ იტყვიან. პატარა თავგადასადგენსაც მოგიზღოდნენ. ქორწილს წუ გამოგვაპარებთ,

იქნება კიდევაც გესტუმროთ. მე და დედოფალი მარიამი.

ბედნიერებისაგან გულახულებულმა დათუნამ დაიხოქა, ორივე ხელისგული ერთმანეთს მიატყუბა და თითქოს ღოცულობსო, გულზე მიიბჯინა.

— შენი მუხლების ქირიმი, მეფეო... მაგის ღირსს თუ გამხდი, გინდა საცოდავი მამაჩემი გაგეცოცხლებინოს. ისე, წულუკიძებთან შუამდგომლობაზე წუ შეწუხდები, ბატონო, მე თავად შევხედო და...

— თანახმა არიან? ყოჩაღ! შენ არც ისე ხელით სათრევი ყოფილხარ, როგორც ჩვენს ნიკოლოზას ჰგონია!

— მაგას... — უჩვეულოდ აღლევებულმა დათუნამ, რომელსაც არ ეგონა, თუ ყველაფერი ასე ადვილად მოგვარდებოდა, მის გასაქიციებლად რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ აორთოლებულ ტუჩებს თავი ვეღარ მოუყარა, ხელი ჩაიჭინა და სახე გვერდზე მიიბრუნა.

— ნიშანი თუ გაქვს რამე?

— ნიშანი? — დათუნამ ცქვიტად მოიხედა. — რისი, ბატონო?

სოლომონს გაგლიმა, გაბუტულ ნიკოლოზას გადაჰხედა და როდესაც მისი მზერა ვერ დაიჭირა, ისევ დათუნას უთხრა:

— ქალს ნიშანი ხომ უნდა მიუტანო სასიძომ, ხომ უნდა დანიშნო!

დათუნამ პირჯვარი გადაიწერა, ვეება ხელის ზურვით, მეფისათვის რომ არ დანახებინა, თვალის უბეზე მომდგარი მსხვილი კურცხალი მოიწურა და იგივე ხელი, ვითომ აქ არაფერიაო, უბეში ჩაიყო.

— ბაჯალლო ოქროს ბეჭედი მაქვს, ბატონო, დედოფალ თინათის ნაბოძები, დემეტრეა გაანათლოს იმისი უმანკო სული!..

სოლომონს აღარ დაუნახავს ძვირფასი თინათისეული ბეჭედი, დათუნამ რომ ამოიღო და აჩვენა, თვალზე ნისლი გადაეფარა და ყოველივე, რაც კარავში იყო, ბინდმა დაჰფარა. კარზე

ჩამოფარებული მძიმე კრეტსაბმელი სწორედ ამ დროს აიწია და კარავში დაუკითხავად ოკრიბის ბატონი ქაიხოსრო აგიაშვილი და მეღვინეთუხუცესი სულთამ ავალიანი შემოვიდნენ. შემოსულები მდებარე მიესალმნენ მეფეს, შშიდობის დილა უსურვეს. აგიაშვილმა ბოდიში მოიხადა ასე აღრიანად შეწყუხების გამო და მეფეს მოახსენა, რომ წუხელ, ნაშუადღევს, ბანაკში ზემომხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთლის მალემსრბოლები მოსულიყვნენ.

სოლომონმა დიდებულების უდროოდროს შემოსვლით აშკარად განაწყენებული ძიძიშვილები დაიბხოვა, ვაღეღილი საკინძე შეიბნია და წერეთლის მალემსრბოლების მიერ მოტანილი ამბის მოსასმენად მოემზადა. ამბავი ფრიად არასასიამოვნო გამოდგა. ჟრუჟულის ხეობის სოფლებს: ყვიჩორს, უზუმთას და ცხრომარეთს ღამის მეკობრეები დასცემოდნენ, მცხოვრებლები აეწიოკებინათ და რამდენიმე ოჯახი პირწმიდად გაეძარცვათ. ამას გარდა, მეკობრეთ თვით ჟრუჟის მონასტრის გაღაფანშიაც ეცადათ შეღწევა, მაგრამ ბერებს დროზე შეეტყვოთ, რაც ხდებოდა, თავი გამოედოთ და დაუპატიუებელი სტუმრები ტყეში გაეფანტათ.

— რატომ წუხელსავე არ მითხარო? — უსაყვედურა მეფემ აგიაშვილს, როდესაც ყველაფერი დაწვრილებით, თავიდან ბოლომდე მოისმინა.

— გვიანი იყო, თქვენო უმაღლესობავ, ახალი ჩამჩნებული ბრძანდებოდი და ვეღარ გავბედეთ შეწუხება, გათენებამდე მინც არაფერი ვაკეთდებოდა.

— თვითონ სად ბრძანდებოდნენ წერეთლები, რატომ ხელი არ გამოიდეს, ხომ არ ფიქრობენ, რომ მე ვაღდებული ვარ, ყოველ ჭურღსა და ავაზაკს კვალში ვსდიო და ყველას გასაყუთებელი საქმე ერთმა ვიტვირთო!

— სრული სიმართლეა, მეფეო, ზოგი ალაგობრივად უნდა გავინძრეთ, მაგრამ, მოგეხსენება, მუღდმივი ჯარი

არავის გაგვანია, მტერს, შინაურიათუ გარეული, მომზადებული რომ დაეუხვდეთ და როდესაც მოეშადეშით ხოლმე, მოსახდენთ უკვე მომზადარია.

— ვიზე მიაქვთ ეჭვი, ვინ უნდა ყოფილიყო?

— ვინ იქნებოდა, ერისთავის კაცებს ადებენ ხელს!

— საბუთი? ხელის დადება ადვილია. იცნეს ვინმე?

— როგორც ეგენი მოგახსენებენ, ცნობით არავინ უცვნიათ, სახე ყველას ჩაბალახით ჰქონდა ახვეულიო, მაგრამ...

— აბა, ისე ლაპარაკი შეიძლება? — სოლომონს ახლა ყველაზე ნაკლებ სურდა, ღამის მეკობრეები ერისთავის მიერ გამოსეული მარბიელები აღმოჩენილიყვნენ. შეფე გულწრფელად მოწადინებული იყო, მოსაზღვრე თავადებს შორის როგორმე შშვიდობიანობა და თანხმობა ჩამოეგდო და კარგად ესმოდა, რომ ერისთავის ან წერეთლების მხრივ ახალი ძალადობის გამოჩენა შერიგების საქმეს უთუოდ დააბკრულედა ან მას საერთოდ შეუძლებელს ვახდიდა. — იქნება ლეკები იყვნენ და მაგათ როსტომის კაცებად მიიღეს?

— როგორც ეგენი მოგახსენებენ, — აგიაშვილმა ისევ მალემსრბოლები დამოწმა. — დაცემა რაჟის მხრიდან მოხდა, ბატონო მეფეე და კვალიც იქით მიდის, ცხრაწყაროსაკენ. ჩემი შეტყობით, იქ ლეკები ვერსაით მოხვდებოდნენ. თუ მოხვდებოდნენ, ჟერ ზემო რაჟის სოფლები უნდა გამოეგლოთ და საწერეთლოში გადმოსასვლელად თავს რაღაზე შეიწუხებდნენ, საშოგარი იქავე არ იყო?

გამოცდილი სარღლის თათბირი, რომელსაც მდევარშიაც ბევრჯერ ევლო, ნადავლიც ბევრჯერ დაეყრვივნებინა და ხელიც ბევრჯერ მოსცარვოდა, სარწმუნოდ გამოიფურებოდა. თუ საწერეთლოს მართლაც ლეკი შეკობრეები დაესხნენ თავს, ზემომხრის სარღლის საბრძანებლოში ისინი ქარჯ

თლიდან უნდა შემოჭრილიყვნენ და ვიდრე მის საპირისპირო კიდეს — რაჭის მოსაზღვრე ჯრუჭულის ხეობას მიადწევდნენ, ნახევრი დღის სავალი გზა უნდა გამოეცლოთ. რაჭის მხრიდან მათი გადმოსვლაც, რაც აგრეთვე ქართლის გამოვლით, ამჯერად დიდი ლიახვის ხეობის გზაწვრილებით უნდა განხორციელებულიყო, ასევე არაღამაჯერებელი ჩანდა და ექვს ჰბადებდა. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, ლეკები პირს რისთვის შეიბურავდნენ? ვისი კრძალვა და რიდი ჰქონდათ, არიქა, არავინ გვიცნოს და მეფესთან არ გვიჩიელოსო?

მაშ, ისევ და ისევ რაქველები? როსტომ ერისთავი ისევ არ იშლიდა თავი-

სას და ღვთის განმარისხებულ შავ-ბნელ საქმეს ისევ განაგრძობდა? საწერეთლოზე ხელახალი დაცემა დღეს იმაზე ბევრად მეტი იყო, ვიდრე შეიძლებოდა კაცს ერთი შეხედვით დაგენახა. ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით მეფის არად ჩავდებას და ორთაბრძოლაში გამოწვევას მოასწავებდა, რასაც ვერც ერთი ჰკუთამყოფელი მეფე, თუკი რაიმე ძალა გააჩნდა და ჯერ ქვეშევრდომებს თავის სათამაშო ტიკინად არ გადაეჭკიათ, დაუსჯელად ვერ დასტოვებდა.

მაგრამ იქნებ მაინც არ აჩქარებულყო? იქნებ მაინც წინასწარ, ძირისძირობამდე გამოეძია ყოველივე და გადამწყვეტი ნაბიჯი მხოლოდ ამის შემდეგ გადაედგა?

თავი V

მეფის ეჭვები და ვარაუდები, რომლებიც ხმამაღლა არავისთვის გაუმხელია და ჯერჯერობით თავისთვის საიდუმლოდ ინახავდა, უსაფუძვლო როდი გამოდგა. საქმის გამოსაძიებლად დანიშნული კაცები საწერეთლოს დაუყოვნებლივ ეწვივნენ და ჯრუჭულის ხეობის სოფლები ფეხდაფეხ მოიარეს. საქმის გამომძიებელ კაცებს, მეტი გავლენითა და უფლებამოსილებით რომ აღეჭურვა, სოლომონმა სათავეში მმა — გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსები ჩაუყენა და მათს მუშაობას თვალს შორიდან ადევნებდა.

საწერეთლოში მტრისა თუ მოყვრის მიერ დაყრილი ურთიერთსაწინააღმდეგო ხმები დადიოდა.

ერთნი, ვისაც ამბოხებული გული ერჩოდა და ბატონის შიში კრიკვას არ უჭრაგდა, მოწმედ თვით ყოვლის მხილველ მაღალ ღმერთს სახავდა და ფიცით ირწმუნებოდა, რაჭის ერისთავი როსტომი და მისი ვაჟიშვილები ამჯერად არაფერ შუაში არიან —

ჯრუჭულის ხეობის სოფლების რბევა-აწიოკება წერეთლის შინაურმა კაცებმა მოაწყვეს და ამ საძრახ საქმეში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თვით წერეთლებიც ურევიათ.

მეორენი, თითქოს წინასწარ ვიღაცას დაურიგებია, ასე და ასე ილაპარაკეთო, ღამის მეკობრეებად ისევ ქედგადაღმელ რაქველებს ასახელებდნენ და ვნებებს აღვივებდნენ „გულღრმობა ჩულიანებისათვის“ სამაგიეროს მისაზღველად.

იოსები დინჯად და აუჩქარებლივ იცვლევდა საქმეს. ჰკუთარიტება რომ არ შელახულიყო და ხალხს ზედმეტი სალაპარაკო არ გასჩენოდა, ტახტის მიწყივ ერთგულ წერეთლებს ახლოსაც არ იყარებდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, სიმართლე მათი ჩარევის გარეშე, მათ დაუხმარებლად დაედგინა.

დაზარალებული გლეხების ჩაკირკმალეულმა დაკითხვამ, წინასწარ ბარძიმზე დაფიცებამ, მხოლოდ სიმართ-

ლუ ეთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ბატონიშვილ იოსების ძალიან საეკლესიო წოდება გულში ყველა დღეთისმოსავს კრძალვასა და მოწიწებას აღუძრავდა, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ათას კირსა და ვაგებაში გამოვლილი გლეხები მიმხედარი იყვნენ, რომ საქმეს, რომლის გამოსარკვევადაც დიდებული ბატონები აქ ამობრძანდნენ, სარჩულად ერისთავისა და წერეთლების მიამაპეული დავა ედო. ერთი გაიმარჯვებდა თუ მეორე ამ დავაში, ამით მათ არაფერი ეშველებოდათ, პირიქით, ბედის ბორბალი იქნებ უკლებიან დაბრუნებულიყო და მეფის მონღისიო კაცების ყოველ კითხვას უხანისოდ და ბუნდოვნად პასუხობდნენ.

— ჩვენს უბედურ ქვეყანას საშველს რა გაუჩენს, — ნაღვლიანად თქვა მიტროპოლიტმა იოსებმა, მოწმეთა მორიგი წყება რომ დაკითხა და დაითხოვა. — ყველა ერთმანეთს ეფარება, და იმას ანგარიშობს, რაღა მე გამოვიდო თავი სიმართლისათვის, ჩემს ვარდა გაწყვე კაცი ღუნიანო? ეტყობა, ცოტა-ცოტა ბრალი ყველას მიგვიძღვის, შენც, მეც, იმასაც მივეციო თავი სიგლახეს და სხვას რაღა დავაბრალოთ!

მარბიელთა სადაურობისა და ვინაობის დადგენა იმანაც გააძნელა, რომ მთაში მოულოდნელად თოვლი მოვიდა და ერთ დამეში ყველა გზა და კვალი დაჰფარა. იოსები მიხვდა თავის შეცდომას: ვიდრე სოფლების შემოვლას და ხალხის დაკითხვას დაიწყებდა, მას ოთხივე კუთხივ გზებში უნდა შეეკრა და ხეობის ყველა გასასვლელ-გამოსასვლელს დაჰკვირებოდა. თუ ღამის მეკობრეები მართლაც წერეთლის კაცები იყვნენ, როგორც ხმა დადიოდა, და თვალის ასახვევად, ვითომდა რაჰველები ვართო, სოფლებს რაჰის მხრიდან დაეცნენ, ნამარცვით დატვირთულები ხომ იმავე გზით უნდა დაბრუნებულიყვნენ, ერთხანს ქედის მიმართულებით ევლოთ, ხოლო შემ-

დეგ, როცა დარწმუნდებოდნენ, მღვარი არ მოგვედგოსო, გეზი გეცვალათ და სულ სხვა გზით ისევ ბარში დაშვებულიყვნენ. მაგრამ თუ ხელის დამცველები ზედ ქედზე, ან ქედგამოდმა ტყეებში, დათქმულ ადგილზე ელოდებოდნენ? სულ ერთი იყო, მარბიელები, ხელს რომ დაიცილიდნენ, მინც უკან მობრუნდებოდნენ და კვალის არევაზეც იბრუნებდნენ. მოულოდნელად მოსულმა თოვლმა, დღითიდღე რომ ახალ და ახალ ფენას ამატებდა, ბოროტმოქმედების კვალი წაშალა და სამუდამო დავიწყებას მისცა.

ჯრუჭის მონასტერში, სადაც თავის დამხმარე კაცებთან ერთად მიტროპოლიტი იოსები ცხოვრობდა და ღამეებს მონასტრის წიგნსაცავში, ძველი საეკლესიო წიგნებისა და საბუთების ქექვაში ატარებდა, ბერებმა თითქმის მთლად დედიშობილა, ძვლად და ტყავად ქცეული, სიცივისაგან თუ რაღაც ავი სენისაგან გაღურჩებული კაცი მოიყვანეს. საფრთხობელას შარვალი არ ეცვა, მხოლოდ სარცხვინელს უფარავდა წელზე ღვლურჭით დამაგრებული, ხმარებაში დამდნარი ჰუჭყიანი ძონძი, ბუჭებზე კი ოდესღაც წითელწინწკლებიანი პერანგის ნაფლეთები ეკიდა.

— ვინ არის ეს კაცი? — მკაცრად ჰკითხა ბერებს მიტროპოლიტმა.

— გოგიელა მწყემსია, თქვენო მეუფებავ, ბატონის თხემს უდგია ყვიჩორში ახლა არცე ბარში ჩამორეკეს და ჩვენ შემოგვიარა.

— იცის რამე თუ?

— იცის, თქვენო მეუფებავ.

— ჯერ გაათბეთ, დალოცვილებო, ლუკმა შეაჰამეთ, სული მოათქმევინეთ, ჩასაცმელიც გამოუძებნეთ რამე, სიშიშვლე რომ დაიფაროს და ჩემთან მერე შემოუძებნით!

მღვდელმთავრის მხრივ ეს უპოვარის განკითხვაც იყო და ხეპრე ბერების გამათრახებაც, რომელთაც ყოველი დღეთის გლახა და მანაწაილი მიტ-

როპოლიტთან წინასწარი გაფრთხილების გარეშე შემოპყავდათ.

— ვაგახშმეთ, თქვენო მეუფებავ, ცეცხლთანაც კახიანს იჭდა და ჩასაცნელიც გამოვუნახეთ, მარა, არ შერება, ბატონო, ტანზე არაფერს იყარებს. მგვას აღთქმა აქვს დადებული, ასე შიშველ-ტიტველმა უნდა ვიარო, სანამ სული არ ამომხდებათ. შვილი ყავდა, ბიჭი, მისი მგვანე ქვა და კლდე იყოს, საცოლშვილო რომ მოიყარა, გადაბრუნდა და...

კაცს თვინიერი, აზრიანი თვალები ჰქონდა, თითქოს ცით მოვლენილი, კალმით ნახატი მღვდელმთავრის წინაშე ორივე მუხლი მოეყარა, ერთმანეთზე მიტყუებული ორივე ხელი გულზე სასოებით მიეხრინა, თვალმოუშორებლივ შეჰყურებდა და მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა. თავისთვის რაღაც ლოცვას ბუტბუტებდა.

— ღმერთმა გაანათლოს, სასუფეველში დაამკვიდროს მისი სული! ასეთი ყოფილა ღმერთის განაჩენი. ღვთის განგებას ვერსად გავეჭვებოთ ამ უბედურს მეტი არავინ დარჩა?

— არავინ, თქვენო მეუფებავ, სულ მარტოა. არც სახლი მაგის ბართბაზე, არც კარი, არც ჩასაცმელი, არც დასახურავი. ზაფხულობით, სანამღი მზეა, თხებს დასდევს მთაში და ღამე ცისქვეშ მინავს, რომ დაზამთრდება და არვეს ბარში ჩამორეკავენ, ხან აქ. ხან იქ ღამეს სამადლოდ ათევიანებენ. ჩვენც, რაც შეგვიძლია, ყურს ვუგდებთ, ლუქმას ვუყოფთ, ხანდახან ღამის გასათვადაც ვტოვებთ. სამაგიეროდ, შეშას გვიპობს, წყაროდან წყალი მოაქვს, უქმე-ღლებზე, თუ დავასაქმებთ, სამრეკლოზედაც ადის, ზარებს ვარეკინებთ.

— რა იცი, გოგიელა, საქმის ირგვლივ? — იოსებს ენაჭარტალა ბერის ყბელობამ თავი მოაბეზრა და შეაწყვეტინა. — ეს წმინდა მამები ტყუილს ხომ არ ამბობენ?

— შენდობა მიბოძე, მამაო! — უკ-

ბნლო პირი გააღო და ძლიერს უჩიფხიფით აღმოთქვა მოსულმა მღვდელმთავრის ბერები აღშფოთდნენ:

— რას ჩმახავს ეს სულელი! არ იცი, მის მეუფებას რავა უნდა მიმართო?

— აცალეთ! — იოსებმა ხელი ასწია, გოგიელას ჯვარი გადასახა, მოკლე ლოცვა წაიჭურჩულა და იმავე ხელზე მთხვევის ნება დართო. მერე კარგახანს გრძნობდა უსიამოვნო სიცივეს იმ ადგილზე, რომელსაც მწყემსი სველი ტუჩებით შეეხო, სანამ არ დაავიწყდა. — თქვი, თუ მართლა იცი რამე!

გოგიელამ თვინიერი მზერა ბერებს მიაპყრო. მიხედნენ, ამ ღვთის გლახას მიტროპოლიტთან მარტო დარჩენა უნდაო. „ღმერთი არ გოუწყარეს, არაფერზე დაგვაბეზლოს. სულელი დოუძახე შენი ენა უკრის და თუ მოიწადინა, ლაფში ენაგვავლებს ყველას, რა მართლა წმინდა მამები ჩვენ ვართ!“ ზღაპრით გატრიალდნენ და იქაურობა უხალისოდ დასტოვეს.

გოგიელა მწყემსმა თუმცა აბნეულდა აბნეულად, მაგრამ მაინც საკმაოდ გასაგებად მოუთხორო მღვდელმთავარ ბატონიშვილს; რაც „იმ ღამეს“ თავისი თვალთ დაენახა და საკუთარი ყურით გაეგონა. დღისით წვიმიანი-ბურუსიანი ამინდი ყოფილიყო და თხა ხიხათის ძირში, ტყისპირას ჰყოლოდა. საღამოს თხები იქავე, „შემოკავებულ ადგილში“ დაებინავენბინა და თავად, „ნადირის შესაშინებლად“ ცეცხლი დაენთო. რიყრაქზე ცხენების ფეხისხმა გაეგონა...

— იქ გზა არის რამე? — ჰკითხა იოსებმა.

წერილი ბილიკებია, მამაოო, მიუგო გოგიელამ. ჩვენ, თხის მწყემსები, დავფხოწიალობთ და თხები დავყავსო.

იმ ხრიოკებში ეშმაკიც რომ კისერს მოიტეხს, ცხენს რა უნდოდა! გოგიელა მალე დარწმუნდა, რომ ყური, არ ატყუებდა. ჯერ სამი ცხენოსანი წამოაღვა თავზე, ჩამოქვეითდა, მწყემსს ანიშნა, მოგვემარე, საბალნე ჩამოგვახ-

სნევიანო, მერე ამით დანარჩენებიც შემოუერთდნენ, რვა თუ ათი კაცი... — თუ ეს არა... — გოგიელამ თხრობა შეწყვიტა, ქუთუთოებგაცვენილი უფერული თვალები დაახამხამა და ნერწყვი გადაყლაპა.

იოსებმა შეაგულთანა:

— თქვი, თქვი, დაწვრილებით მოყვევი ყველაფერი, რაც იცი! თუ იცანი ვინმე იმ ცხენოსნებში? პირი ახვეული ჰქონდათ? შენ თუ გიცნო ვინმემ? ცხენები ყველას ყავდა თუ...

არა, პირი არავის ჰქონია ახვეული. შეიძლება, გოგიელა კი იცნო ვინმემ, თავად არავინ უცვნია. ხელი სტაცეს, ჯანზე გაათრიეს. ილოცე, თუ ეშმაკისეული არა ხარო. ამ დროს თხებმა ატეხეს კიკინი ბიკოს, თუ ეს მართლა კაციშვილია და არა ეშმაკი, აქ თხებიც ჰყოლიაო. მაშინვე დაიჭირეს ერთი ბერწი თხა, ცეცხლის პირას დაკლეს, წიფლის ტოტზე დაჰკიდეს და ოთხში ამოიღეს. გოგიელა ხეზე იყო ბაწრით დაბმული და იქიდან უყურებდა, როგორ შეწვეს თხის მწვალები. ცეცხლთან სუფრა როგორ გაშალეს და როგორ ივახშმეს...

იოსების გუმანი მართლდებოდა. ცხენოსნები, რომლებიც ბნელმა ღამემ მთაში მწყემსის კოცონთან მიიყვანა და რომლებმაც, ზედმეტი ცოდვა რომ არ წამოეკიდათ, კუჟანაკულდ მიჩნეული გოგიელა მოკვლის მაგიერ ხეზე დააბეს, სხვა ვინ უნდა ყოფილიყვნენ, თუ არა ჭრუჭულის ხეობის სოფლების გამძარცველი მეკობრეები!

მაგრამ საიდან და როგორ გაჩნდნენ აქ? გზა საით ედოთ? სოფელ-სოფელ პირახვეული რად დაძრწოდნენ? ადრე, წინა წლებში, როდესაც ხეობაში ერისთავის გამოსეული თავზებელადებული მარბიელები, არცთუ იშვითად — დაჭირავებული ლეკები და ყაბარდოელებიც, შემოზავდებოდნენ ხოლმე, პირს ვინ ან რისთვის აიხვევდა! ჭეყანას დღისით-მზისით მოითარეშებდნენ, ისე იქცოდნენ, როგორც საკუთარ საბრძანებელში, თითქოსდა რა-

კის ერისთავთა კუთვნილ კანონიერ გამოსაღებს აგროვებდნენ და ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, ნაძარცვიც ყველას თვალწინ გაჰქონდათ. დღეს ვითარება შეიცვალა: დამკემი სახეს იმაღავს, შიშობს, არავინ მიცნოსო. მაშასადამე, არც მაინცდამაინც შორებელია და მოყვასის აწიოკებით ხელს ითბობს...

მთაში მძარცველთა გამორჩენის უნებლიე მოწმე გოგიელა მწყემსი მეკობრეთ, სამწუხაროდ, შუაგულ ტყეში ჰყოლოდათ დაბმული და მათი ლაპარაკი კი არა, აქედან იქ ერთი სიტყვაც ვერ გაეგონა. ცხენოსნები მალე აყრილიყვნენ, ცეცხლი ისევ გაჩაღებული დაეტოვებინათ...

— თხები? შენი თხები? — ჩაეძია გაწბილებული მიტროპოლიტი იოსები. — წინ გაირეკეს?

არა, თხებისათვის ხელი არ უხლიათ. ბატონიშვილმა ეს ისედაც იცოდა. დაავიწყდათ? ძნელი დასაჯერებელია!

— სულ რამდენი თხა არის, გოგიელა?

— ამასწინაზე ორი ცხრა მგელმა შეგვიქამა, მამაო, ახლა ორასიოდე იქნება...

მაშ, მეკობრეები ისე წავიდნენ, არც ხელუხლებელი დასტოვეს? ნეტა რა მიზეზის გამო? მეფის მიერ დანიშნული გამოძიება ყველა გზას კვლავ ტახტის კეთილისმყოფელ წერეთლებისაკენ მიჰყავდა. პატიოსნებითა და უანგარობით ძირითა და მოდგმითვე განთქმულ პაპუნასა და ქაიხოსროს ნუთუ მართლა დაეცათ მეხი, ეშმაკთან წილი ჰყარეს და... შეფიქრიაჩებულმა იოსებმა მალემსრბოლი აფრინა მეფესთან, ყოველივე წვრილად დააბარა და აკითხვინა, შემდგომ როგორ მოქცეულიყო. „საქმეს ძირამდე ჩაპყევი, — მრისხანედ შემოთვალა სოლომონმა. — გასაყვეთი წყლული უნდა გაიკვეთოს!“

გოგიელა მწყემსის მოცემულ ერთობ ნაკლოვან ჩვენებას ზედ საჩხერის ბაზა-

რში დატრიალებული ამბავი დაერთო და წერეთლების წინააღმდეგ აღძრული ეჭვი კიდევ უფრო გააძლიერა.

ორ გამომღმელ გლეხს გასაყიდად გამოტანილი სპილენძის ჭურჭელი — პირმოკვრებული თუნგი, საწყაო ჩაფი და ორი საარყე ქვაბი, კარდაკარ მოხეტიალე ლევი მეჭვამეების ნახელავი, თავის ხუფებიანად, სწორედ შამინ დაუჭირეს, როდესაც გლეხებმა ცხენები ღობესთან მიაყენეს და საპალნეს ფრთხილად ხსნიდნენ. დადარაჯებულმა მოხველებმა ნივთები დანახვისთანავე იცნეს და ბევრიც აღარ უყოყმანიათ, სატევრები იშიშვლეს. შეტაკება, ალბათ, უსისხლოდ არ დამთავრდებოდა, ამ ამბავს ზემომხრის სარდლის შინაყმები რომ არ შესწრებოდნენ, მათ ხალხიც არ მიშველებოდა უფრო მეტი აყალმაყალის თავიდან ასაცილებლად მომჩივანნიც და მოპახუხენიც სასახლეში არ წაეყვანათ.

გამყიდველები ამტკიცებდნენ და ფიციით ცა მიწაზე ჩამოჰქონდათ, რომ სპილენძის ნივთები ჩალის ფასად შეეძინათ წისქვილისკარზე რაქიდან მომავალი კუდაროელი ოსებისაგან. ვითომ იმ ოსებს გასასაღებელი საქონელი სხვაც ბევრი ჰქონდათ, ძალიან ჩპრობდნენ და ხელის დამცლელს გაფაციბული დაეძებდნენ.

„წისქვილისკარი“ სწორედ ჯრუჭულის ხეობაში იყო, იმ ადგილას, სადაც მთის მდინარეს კარგა მოზრდილი ღელე ერთვის. რაქის იწროებიდან წამოსული კაცი წისქვილისკარზე ვერ მოხვდება, თუ ჯრუჭულის ხეობა არ ჩამოიარა, ვინაიდან აქ არ არის სხვა გზა. არამცთუ უკანასკნელ ორ-სამ კვირაში, მას შემდეგ, რაც ერისთავსა და წერეთლებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო დოყი ჩამოვარდა და მეზობლური ურთიერთობა საბოლოოდ გაფუჭდა, ამ გზით მშვიდობიანი მგზავრები, მით უფრო ვაჭრები, ოსი იქნებოდა თუ სხვა ვინმე, აღარ სარგებლობდნენ. გზა მძარცველების ხელთ იყო, რომლებიც აქეთ, ქედგადმოღმა,

საწერეთლოს სოფლებს აჩინავდნენ, იქით კი, ქედგადმოღმა ზემომხრის განაპირა მოსახლეთ უშრობდნენ სისხლს...

შინაყმებმა დაკავებულებიც და დამკავებულებიც პაპუნა წერეთელს მიჰკვარეს. სასახლეში ერთი ალიაქოთი შეიქნა. ზემომხრის სარდალ ქაიხოსროს თანამეცხედრემ, აბაშიძის ასულმა იულიამ სამი მოსწრებული ვაჟაკის დედამ, თმა გაიშალა, რაც სხვა დროს არასოდეს უნებებია და გულის გამგმირავი კივილი ატეხა. დიდი და პატარა ფეხზე დადგა. „ვაიმე, შერცხენილო ოჯახო, ვაიმე თავლაფის დასხმავ!“ — გააკიოდა იულია და თავპირში მჯიღებს იცემდა. ამაზე უარესი ვაჟ-უშვევლებელი, ალბათ, მაშინაც არ ატყდებოდა, ვინმე გარეწარს გალავნის კარიბჭეში პატრუქმოკიდებულ ნაღმი რომ შემოეგდო, ან ძმების საზიარო სასახლისათვის ცეცხლი წაეკიდებინა.

მედის ძმის, გენათელ მიტროპოლიტ იოსების მიუჯარებლობით შესფოთებული წერეთლები და მათი სახლუელი საქმისაგან, რომელიც თვითონვე აღძრეს და იმედოვნებდნენ, რომ მეფე, ყოველგვარი გარჩევა-გამოძიების გარეშე ერისთავს დაადანაშაულებდა და შესაფერ პასუხსაც მოსთხოვდა, თავს რაც შეიძლებოდა შორს იჭერდნენ, რათა ვინმეს, უპირველეს ყოვლისა თვით იოსებს, ეჭვი არ აედო და არ ეფიქრა, თუ უბრალონი არიან და ქუდი არ ეწვით, რატომ საკუთარ ტყავში ვერ დატეულანო, ამით კი, ამ დოლოცილობა შინაყმებმა სწორედ პატრუქმოკიდებულ ნაღმი მოაყენეს კარზე და ეზოში შემოუგდეს.

პაპუნას ღმერთი მოეხმარა, უმკროსი ძმა შინ არ იყო. ქაიხოსროს სიფიცხე საქმეს უფრო გააფუჭებდა. თავად დატრიალდა, რაგვარაც შეიძლო, ყველაფერი მიაკეთ-მოაკეთა იმისათვის, რომ ამბავი არ გახმაურებულიყო. დაზარალებულებს ნივთები უსიტყვოდ, ყოველგვარი გამოკითხვა-გა-

მოძიების გარეშე დაუბრუნეს და შეცბუნებულები იმავე საღამოს შინ გაისტუმრეს. გამოუშვეს გამოღმელი გლეხებიც. პაპუნამ შინაყმების პირით შემოუთვალა ყველას, თუ ჩვენი, მე და ჩემი ძმის — ქაიხოსროს ერთგულები ხართ და არ გინდათ მტერი გაახართ, ნურსად გაამხელთ, რაც ბაზარში შეგემთხვათ, ტყუილ-უბრალოდ ხალხის ყბაში ნუ ჩაგვყრიით და მამის სული წაგვიწყდეს, თუ ჩვენგან რაიმე წყალობა მოგაკლდეთო.

ბოროტმა მითქმა-მოთქმამ ახალი სათავე გაიწინა. არგვეთის ამაყი თავადიშვილები, პაპუნა და ქაიხოსრო წერეთლები, ტახტის ერთგული კარისკაცები, მეფე სოლომონის მოძალადეობამ კიდევ უფრო რომ გააძლიერა და მტაცებელი მეზობლების ანგარიშგასაწევ ძალად აქცია, რისთვის გამოიჩენდნენ ასეთ უსუსურ შემწყნარებლობას, თუ ქვეყნისა და მეფის წინაშე მართლაც რაიმე დანაშაული არ მიუძლოდათ? აქ რაღაც იყო, საღდაც ძაღლის თავი იყო დამარხული.

მაგრამ, რომ იტყვიან, ერთი ცხერი-სკენ და ერთიც მგლისკენათ: რა სარგებელს მოუტანდა წერეთლებს საკუთარი ყმა-მამულის აკლება და მიწაზე რის ვიავაგლახით ფეხმოკიდებული გლეხობის აწიოკება? ვინ დაუშლიდა მებატონეს, ვზირები გიეგზაენა, როგორც მსგავს შემთხვევებში ხდებოდა ხოლმე, რაღაც უმნიშვნელო საბაბი მიზნად მოედო და არა ნამალევად, პირახვეული, არამედ აშკარად, სოფლის თვალწინ, თავისი ყმების უძრავ-მოძრავ ქონებას დაატრონებოდა? დღესდღეობით მეფე, მართალია, სასტიკად სდევნიდა და უსწორდებოდა მებატონეთა ამგვარ თვითნებობას, დანაგრულ ყმა-გლეხებს, სახასოს, საეკლესიოს თუ საბატონოს, უფლებას იძლეოდა მედიატორეთა სასამართლოში ეჩივლათ, სასამართლოს განაჩენს თვით ამტკიცებდა და არცთუ იშვიათად დაბრთხებული გლეხის მხარეს იჭერდა, მაგრამ განა ყველა დანაგ-

რულს შეემლო, ხელში რკინის ჯობი დაეჭირა, რკინის ქალამნები ჩაეცვა, სამართალს კვალში ჩასდგომოდა და ღვით მირონცხებულ მეფემდე მიეღწია?

წერეთლები, ცხადია, ეკლებზე ისხდნენ. სოლომონი, ისევე როგორც თავის დროზე მეფე ალექსანდრეც, აშკარად აქიანურებდა ჯრუჭულის ხეობის საქმის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტას. ამ დღესათვის ნათელ საქმეში, წერეთლების აზრით, ნამდვილად სადავო და გადასაწყვეტი არც არაფერი იყო, მაგრამ ერისთავის გაუთავებელ ძალადობას ოდესმე ბოლო ხომ უნდა მოეღებოდა. ძმებს რაღაც უნდა ეღონათ, რაღაცით უნდა აეჩქარებინათ მეფე და თავიდანვე მისი უყოყმანო მხარდაჭერაც მოეპოვებინათ. დრო საამისოდ არცთუ ისე ხელსაყრელი ჩანდა. მეფე აგარიანთა შემოსევის მოსაგერიებლად ემზადებოდა და მიუღგომელი კაცი ვერც გაამტყუნებდი, თუ საამქვეყნოდ პირ-შემობრუნებული ერისთავის ხელახალ განაწყენებას ერიდებოდა. მაგრამ ნაკლებ მოსარიდებელი და სალოლიავო განა წერეთლები ჰყავდა? პაპუნა და ქაიხოსრო სიმართლითა და ერთგულებით იღვწენ მეფის დროშის ქვეშ, მაშინაც კი, როდესაც ეს სახარბიელოს არაფერს უქადოდა, და სოლომონის მხრივ დიდი გონიერება როდი იქნებოდა, თუ ამ ერთგულ თანადგომას არაფერად ჩააგდებდა და საწერეთლოს როსტომ რაჭის ერისთავის საჯიჯგნ კერძად ვახდიდა.

დაყრილ ხმებს, რომ ერისთავი და ერისთავიშვილები ამჯერად უბრალონი იყვნენ, თვით როსტომის გულფიცხმა შემონათვალმაც მხარი აუბა. რაჭის ბატონი მეფეს ფიცით არწმუნებდა, ეგ გულბრძოები ცილსა გვწამებენო, რბევა კუჭგამხმარმა წერეთლებმა თვით მოაწყეს და თავი შეირცხვინეს, რადგან განუზრახავთ, წყალი აამღერონ და შენი უდიდებულესობა ჩვენს წინააღმდეგ აამხედრონო, ჩვენ ვრ, ვე-

ლიეთის წმინდა გიორგის მადლმა და შენი უდიდებულესობის სიცოცხლემ, სანამ რიონი დაღმა დის და კარაული ხეზე არ ასულა, უზენაესი ბრძანების მორჩილი ვართ და მოთმინებით ვე-ლით მამა-პაპის კუთვნილი ჯრუჭულის ხეობის კვლავ ჩვენს სახელზე დამტკიცებასო.

ერისთავის შემონათვალში, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველაფერი იყო ნათქვამი: თუ ჯრუჭულის ხეობას ნებით მომცემ და უნიფხვო წერეთლებს ჩამომამორებ, ჭირსა და ღზინაში შენთან მივლევ, არა და ჩვენს შორის ხიდი კვლავაც ჩატყდება და იმ ჩატყხილ ხიდს თვით მამა-ღმერთიც ვეღარ გაამთვლებსო.

ეყოთ გაბედულება და ერისთავი-შვილებმა — ნაბერალმა მეთოდემ და გიორგი სარდალმა, რომლებიც მეფეს სკანდის ციხეში ეახლნენ, იგივე სიტყვები გაიმეორეს და ამას გარდა, წერეთლების წინაღმდეგ თვიანთი პირადი გულისწყრომაც გამოთქვეს.

სოლომონი არაჩვეულებრივ თავშეკავებასა და მოთმინებას იჩენდა, ყველას მოწყალედ უსმენდა, კარის მდივანს ყველაფერს სიტყვასიტყვით აწერინებდა, მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს არავისთან ამჟღავნებდა. ასე რომ, ჯერჯერობით არავინ იცოდა, რო-

გორ წარმართებოდა საქმე, ვის მხარეს დაიჭერდა მეფე, თავის ერთგულ წერეთლებს ამოუდგებოდა მხარში, თუ ძლიერ და ერთობ საშიშ ერისთავს მიჰკერძავდა, რათა მისი გული როგორმე მოეგო და რაჭის შეუვალი საერისთავო ამ გზით საბოლოოდ შემოემტკიცებინა.

განაწყენებული გამოდმედი გლეხები, წერეთლის სასახლიდან რომ ხელცარიელი გამოუშვეს და ჩამორთმეული სპილენძის კურკულის სანაცვლოდ მხოლოდ წყალობას დაჰპირდნენ, ვილაცამ აავულიანა, ბატონების წინაშე აამხედრა და ჯრუჭის მონასტერი მისაწავლა, სადაც მეფის მიერ დანიშნული კაცები ისხდნენ და მარბიელების საქმეს ირკვევდნენ. აქ გლეხები იგივეს მტკიცებას მოჰყენენ, რაც აქამდე უშედეგოდ ემტკიცებინათ და იმდენი ჰქნეს, გენათელი მიტროპოლიტი იოსები და მისი თანაშემწენი თავიანთ სიმართლეში დაარწმუნეს. ისედაც აბურდულ-დაბურდული საქმე უარესად აიბურდ-დაიბურდა. გამოდიოდა, რომ ღამის მეკობრენი, გატყუებულმა გოგიელა მწყემსმა რომ ხიხათის ძირში ნახა, აქედან იქით კი არა, პირიქით, იქიდან აქეთ მოემართებოდნენ. მაშ, პირახვეული ყაჩაღები ვინდა უნდა ყოფილიყვნენ?

□ გაგრძელება იქნება □

წიგნიდან «1977»

• • •

სადაც შეხვედი, ღვინოს გაწვდიან,
დღეა
ჭირის თუ ლხინის;
თუმნის გადახდას შენ არ გაცდიან —
გული
მადლობას ყვირის.

შენ კარგად იცი, ვინც ხარ და რაც ხარ,
ანუ
რატომ და რისთვის,
რუსთელის პატრონი ერთ პოეტს საწყაღს
ჭიქას
გივსებს და გიწვდის.

ოჰ, საქართველოვ ჩარგლის, ყვარელის,
ჭყვიშის,
სხვიტორის ტკბილის,
ჭირიმე შენი პურის, მარილის,
შენგან
მოწვედილი ღვინის!

• • •

(ი უ მ ო რ ე ს კ ა)

ბოღრებით და ყავარჯნებით
გრძელი სოფლის
კართან ვდგავართ;
მოკლე სოფელს არ დავრჩებით,
ყველა —
გრძელ სოფელში წავალთ!

კვისარიც, სპასალარიც,
თვითონ
რომის პაპიც თავად

(სხვა სოფელი არხად არი)
ყველა —
გრძელ სოფელში წავალთ!

ამ ტალახებს გავმორდებით,
ამ ორლობეს
ლაფში ყვავართ...
მადლობა ღმერთს, გავსწორდებით,
ყველა —
გრძელ სოფელში წავალთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქლიავი — ცალკე,
კოში — ცალკე, გულაბი — ცალკე,
ფოლო, ვთქვათ, წამლად!
კი, ბატონო, უნაბიჯ დარგე!
ეზო-მიდამო
გიქცევია მშვენიერ ბაღად —
ვგ ჯახველი
გინდოდა რაღად?!

— სილამაზისთვის,
უფროსო ჩვენო, სილამაზისთვის!!

ჩიბუხში ჩასადები ღრუბელი არ ჩანდა...

„ასეთი გვალვები
არ ახსოვს რაჭასო!“ —
გლებს წამოეწია
სხვა გლები ჯორცხენით;
„ჩიბუხში ჩასადები
ღრუბელი არ ჩანსო!“ —
მიუვო ჯოროსანს
ქვეითმა მოწყენით.

იყო საუბარი
როგორც სამძიმარი,
აგვისტო ვენახს და
იონჯას ხარშავედა,
არათუ საწვიმარი,
არათუ საწვიმარი,
ჩიბუხში ჩასადები
ღრუბელი არ ჩანდა.

მაგრამ მე, საკუთარ
ფიქრებში გადასროლილს,
გვალვა და აგვისტო
არ მქონდა საწუხარი,
მქონდა სიხარული
(მოგებაც სხვათაშორის) —
გლებიხან სტრიკონი
მქონდა ნაჩუქარი.

ვთქვი: ლებანიძეა
ეს გლები — ბესია!
ვთქვი: ამ დალოცვილ და
კურთხეულ მთა-ველად

რამდენი ჰომერია,
რამდენი ბურნისია
და კიდევ — რამდენი
ვატაა ფშაველა!

ვთქვი: რაჭას კი არა
წელს ქართლშიც ხვატია
და მაინც ზომ ვცხოვრობთ
მტრის თვალის დაყენებით,
ღვთის ხელი ურევია
ჩვენს ნიჭში, ცხადია —
გლებკაცი აზროვნებს
პოეტის სახეებით!

ვთქვი კიდევ: სირცხვილი,
სირცხვილი ხურდა მწერალს!
ამ ხალხის სახლსა და
ამ ხალხის მამულში
ვინ მოგცა, მურმანო,
უფლება ცუდად წერის?!
ცუდად წერ რა პირით
და სინდის-ნამუსით?!

იყო პოეზიის
მინდვრები გასათიბი,
ცა იყო კრიალა,
მზე მინდვრებს ფარჩავედა...
ჩიბუხში ჩასადები,
ჩიბუხში ჩასადები,
ჩიბუხში ჩასადები
ღრუბელი არ ჩანდა!

„ოთახის ციკლიდან“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1

ეტყუდები —
სამშენისად თენგიზ მირზაშვილის,
სამონ ჩიჭოვანის —
მოწყვნილი „დღიური განჯის“...
ესევე პორტრეტები —
შორეულის შენთვის ბიძაშენის,
პემინგუეისი —
კაცური კაცის!

ზარმაცი დენდიც,
მასლობელი, აქ გყავს გერონტი,
ორ-ლომ-შუა დგას
გამოხედვით აღერსიანით,
ეს პარიზელი
საქართველოთი —
თავის გოგლათი
და ტიცინანით...

რად შეგიყვარდა
სიბერეში ეს პორტრეტები?!
ალბათ კიარა,
ნაღდად ბერდები!
მკვდართა შვის აქეთ
ცოცხლად აქ ხარ, აქ დაეთრევი
და სიკვდილიდან
მოგძახიან ალავერდები!

2

აი, სურათი
შუმისქვეშ კაცის,
ვინც ლექსით
გულის რეჩხი მასწავლა,
ვინც ხატად მიქცა,
ყმაწვილი — ყმაწვილს,
პირველმა მასვა
ლექსის სამსალა.

ბედნიერება
მქონდა ასეთი —
არ ეღირსება
გაისს და მერმისს —
შედგა, გაჩერდა,
შევდექ, გაჭერდი
და ჩავიარეთ
დაღმართი ვერის.

ოპ, მწველი იყო
ოცნება ბავშვის, —
მღვედნენ, მეძახდნენ
კომკები ბროლის, —
მივდევი კვალზე,
ვეძებდი კავშირს
კაცს და საოცარ
მის ლექსებს შორის...

აწ ჩავლილია
მალალი კაცი,
სიკვდილის შემდეგ
წინ წარესდგით ბიჯით,
ორჯერ გავზომეთ
სასომით მკაცრით,
დავამაყოფილდით
დიდუბის მიწით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაწია ქუჩა
კუმისის ძირში
ლედვით, უნაბით,
ბეჭოლებით სავსე;
თითო სართული
მალღარის ჩრდილში
ლურჯ იარუსად
თბილისის თავზე.

პოეტის ვარო,
როგორღაც ამხელს,
გეწინებებს ნაცნობ
პოეტის იერს;
ატარებს ქუჩა
რაინდის სახელს,
ვისიც მიხაკი
ათას წელს ჰგებებს...

მოვა აქ ვიღაც
და ქუჩას აპყრის,
რათა შენებას
შეუდგეს ახლის;
ათითხნის ახალ
ბეტონის გუბებს,
ცხრასართულიანს
ჩამოდგამს კუბებს,

ვითომც ყოველი
გასახარია,
ოჰ, დროო, დროო,
რაც ახალია!

ვითომც ყოველი
მშვენიერია,
რაც შენია და
შენმიერია!

სათქმელი არ ჩანს, ვერ გაადრებ ლაჩარს,
მაგრამ ისეთი, რომ ჰგავდეს ხანჯალს, —
არა და არა;
არა და არა;
არა და არა,
სათქმელი არ ჩანს!

ლექსში უსაგნოდ დგას კოპიტები,
ოქროს ნეკერჩხლებს უწოდებ ხანძარს,
სათქმელი არ ჩანს,
კმაყოფილდები
ამ შემოდგომის
ქარვას და მარჯანს!

ლბილი და ფრთხილი ნაბიჯით კატის,
კი, პოეზია უსაფრთხოდ გადის,
მე მაინც ლომის
მიტაცებს ბრდღვინვა,
მე მაინც ვუფხის
ნახტომი მწაღის!



სახლი ვნახე —
 სირცხვილისგან თავდახრილი,
 ბაღში იდგა, —
 ბაღი იყო დაბურული,
 სახლი იყო —
 ხანახევროდ გადახდილი,
 ხანახევროდ —
 ილეკროთი დაბურული.

არც ფრინველი!
 არც საბჭელთან საქონელი!
 არც ქალ-რძალი,
 ანუ ჯალაბ-სახლეული!
 უპოვიათ
 მშებს ქალაქში საპოვნელი,
 დაუგდიათ
 სახლი მამა-პაპეული...

გულზე მეცა
 ჩემი ქვეყნის სატკივარი,
 ღობე ჯინჭრით,
 ეზო შქურით და სამყურით,
 სამშო სახლის
 დაბურული ნახევარი,
 ნახევარი —
 თავღია და დასახური.

სოფლის დაცლა, —
 ვთქვი, — ეგ კიდევ არაფერი!
 უარესი,
 მე თუ მკითხავ, სხვა მგონია:
 სხვა ქარი მცემს
 აწმყოსაგან დანაბერი —
 გაყოფილან,
 ძმებს თანხმობა არ ჰქონიათ.

ვთქვი: იქნება
 საქმოსანი ჯიმით წერილი,
 სახლიცაგი
 ხელმოკლე ჰყავს ვატრკუნას;
 დასალპობად
 დაუგდია სხვისი წილი,
 თვისი წილი —
 უხინდისოდ გადუხურავს.

ვინ ჩააქრო
 ზემო რაჭას ძმობის მადლი!
 რამ დანერგა
 ამ კუთხეში, ამ მხარეში
 სულმდაბლობა,
 ხელის ჭუჭყი, ფულის ყადრი
 და წვილმანი
 პლებეური ანგარიში?!

რალაც მძიმე,
 რალაც მწარე გულზე მაწევს,
 ყველაფერი
 უსაშველო მეჩვენება:
 სახლს უშველი,
 კარს უშველი, მაგრამ კაცის,
 თვითონ კაცის
 სიგლახეს რა ეშველება?!

ბაღი ვიცი,
 ბაღი ვიცი დაბურული,
 სახლი ვიცი,
 სახლი ვიცი დაჩაგრული:
 სანახევროდ —
 ვერცხლისფერად დაბურული,
 სანახევროდ —
 თავღია და დასახური.

ღიაცი ჯინსით!
 გამოკრული არტახში ტანი!
 თვალი გამეჭყა...
 ახალგაზრდას ვარიგებ პოეტს:
 — გახსოვდეს ქალი,
 ამ ცხოვრების „ანი“ და „ბანი“! —
 ის იღიმება:
 — ჩვენ ბოღიში, ეტყობა „პოეტ“!

შენიერი, მოასწარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვიმრები, ძეწნები,
ძეწნები ჩახლართული,
გზა უხვევს, ანაზდად
შეხედვ, საოცრება:
პატარა ხეობაში
პატარა ნაკადული
პატარა წისქვილის
ლაჭებში გამოძვრება.

შენიერი! აქ ჩვენი
ბავშვობის ბუდეა!
დგას ჯუჯა წისქვილი
როგორც ჩაფიქრება!
არ ვიცი, არ ვიცი,
კარგი თუ ცუდია,
დრო რომ დადგება და
ეგ რომ არ იქნება!

შეხედე საბრალოს,
სალაობად ჰყუდია!
არ ბრუნავს დოლაბი,
სიმინდი არ იფქვება!
ვერ გეტყვი, ვერ გეტყვი,
კარგი თუ ცუდია,
ჩვენ რომ ვიქნებით და
ეგ რომ არ იქნება!

მაგის ძველ დიდებას
ჭალას ჩაუვლია,
საცაა ჩაიწოჭებს,
თავთხელში წამოწვება...
შენიერი, მოასწარ, —
დანაშაულია
მაგისი ყურების
არმოსწრება!

1

მე ვიყავ ბათოსს,
ვიყავ ხულოს და ვიყავ ქედანს,
მებრალეობდი
ამ სიცხეში აქ დარჩენილი,
შენ აფხაზეთში
გაქქევიხარ საყვარელ დედას,
„მამა, ძალიან მომენტრე“... —
მაგიდაზე დამხვდა წერილი.

2

ზღვაზე ხარ სუსტი და ნატიფი
მაგ შენი მოჩიტული და-ქალებით;
ზღვაზე ხარ, წესია და შედეგები,
მეც ვხარობ შენი განხარებით.

ოცნებით დაგყვები კვალდაკვალ,
ცხოვრებას წაუვა ვერაინ —
შენ უკვე ასაფრენად მზადა ხარ,
შენც უკვე, შენც უკვე გზერავენ.



ფრთხილად! მანდ ზღვაა და ცხოვრებაა,
ცხოვრება — საესეა სატკივრებით,
ფრთხილად! მანდ ზღვიდან ამოდინ
თხაფეხა, ლაზღანდარა სატირები.

ისინი არაფერს თაკილობენ,
სიგლახით ცხოვრობენ და ანგარებით,
მშვენიერებაზე ნადირობენ
შტერი ამურების დახმარებით.

3

შენ ხარ სათნოება! ირგვლივ სხვა დროება
ბრუნავს და
ვსასოებ
ღმერთს:
„მიმყოფე ბედნიერი! მიმყოფე ბედნიერი!“ —
შენთვის
ვიმეორებ
ერთს.

ათასი — უღირსი, ათასი — უხეში,
და კიდევ
ვიტყოდი
შეტს.

ათასი — უტიფარი, ათასი — უმწიფარი
ბედს
გააფთრებული
სჭედს.

იყავ ბედნიერი! გფარვიდეს ზეციერი!
ეძიე,
ეწიე
ბედს! —
ენა — იმეორებს, ტენი — იმეორებს,
ბული
იმეორებს
ერთს.

■ ■ ■

დიდი ხანია
ალარ გწერ წერილს,
დიდი ხანია
მწველის და მკვლელის,
სულსემხუთავის,
სულსემხუთავის,
დიდი ხანია
მეშინის ძველის...

ნაგრამ ვინ იცის,
ვინ უწყის ლელის,
ხორშაკთა შინა
უწყლობით ხმელის?!
შეტორტმანებას
ქართაგან მძლავრთა
ეპა, თუ თვითონ
ხელახლა ელის!

* * *

ნოღარ დუმბაძეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათი წლის ბიჭი
უცქერს მთვრალივით
და არ აცილებს თვალებს
„დეღეებიდან
ურმისთვალევით
ამოგორებულ მთვარეს“.

თხუთმეტი წლისა,
იმ მთვარის ნაცვლად,
ხედავს: ნაჯახით ხელში
მამა ტყუესა ჭრის,
ქარი ჭრის მკაცრად
დიდი რუსეთის ტყეში...

გახსოვდეს შენი
წლები ჯვარცმული,
იზარდე მჯობნის-მჯობნად,
არ დაგაეიწყდეს
შენი წარსული,
ბიჭო, გაზრდილო ობლად!

* * *

გურამ ვაჩაძის ტაბლასთან,
ამბროლაურის ბაღში,
კაკომ თქვა, მემანიშვილმა,
მე მიუითვალე დახლში:
— კაცი თუ გამოგვიდოს,
გაიძურწეო ხალხში,

ხალხი თუ გამოგვიდოს —
თავი დურთეო წყალში!
ვინ-რომელი ვართ უმტერო,
მაგრამ ხალხითა ვცხოვრობთ!.. —
კაკომ თქვა, მემანიშვილმა,
მე — ჩავიწერე მხოლოდ!

ნაპ საპარიდას

(შთაბოძებული)

ხალხით ავსებულ
ნაპარტახალ სოფლებს სალაში!
ეს მე ვიყავი,
სული მედგა ვიდრემდის პირში,
რომ ვრურულედი:
„ოჰ, უფალო, მომეც ძალა მე,
გადაშენების
ეზიდო ბოღმა, ეჭვი და შიში!“
ცრემლს რომ ვშალავდი,
ჭირშიმყოფელს არ გთვლიდი მკვდრებში,
მშობლის სახელი
მაბოდებდა ცხადად თუ ძილში,
და რომ ვევიროდი:
„იზრიალებს ჩემს ამაყ მთებში
განასლებული
როსმე შშლავრი ქართული ჯიში!“

1

გარეთ წვიმა,
ტყეები დაღბა,
ოთახში სუფუნა
ინტიმი წვიმის,
შენ თარგმნი ჯონ რიდს,
გინთია ლამპა,
გესმის წკრიალი
თხვევადი სიმის.

2

გიჟვარდა ვინმე?
უჟვარდი ვინმეს?
„აუ!“ — ელოდი
პასუნად „აუს“?
შეჭყარებხარ
სოფლისას მღვიმეს,
გამოქცევისარ
ქალაქის ხმაურს.

3

გჭირს კავშიანი
ფერპკრთალს და ამაყს,
შეგჭირის გული
მთწყენილ ყვავილს;

უთხარი რამე
შენს მოხუც მამას, —
განუცამტვერე
გუმანი ავის!

4

ხარ ოცდაორის
აგვისტოს თორმეტს —
ვერ გააგონე
ძაბილი გულის,
თუ გულისძგერით
ის შენსკენ მორბის
და თვითონ შენ ხარ
მიზეზი წყლულის?!

5

წვიმს, სულო ჩემო,
ტყეები დაღბა,
ოთახში ბუდობს
ინტიმი წვიმის,
კითხულობ, თარგმნი,
გინთია ლამპა,
გესმის წკრიალი
თხვევადი სიმის.

(ი უ მ ო რ გ ს კ ა)

წვიმს. კალატოზები ჩემს წვიმებს აგინებენ:
„დავლაპითო,
გავცდითო ძალიან!“
თუ ხვალაც იწვიმა, კებვს წასვლას აპირებენ,
დამღუპენ,
უთუოდ წაველიან!

თუნუკი — ნაშოენია, ცემენტი — იგვიანებს,
აგურიც —
ფხვნილად მომდის მეტეხის...
მიზეზის მიზეზი პირუკუ იგივეა,
რაც, ალბათ,
შედეგი შედეგის!...

გზებზე ტალახია, ღორები გვაწუებენ,
მდულარე
ტყეშალს აწყდებიან —

(წვიმს!) ჩემი ქალები ტყეშალს ადუღებენ,
ქალები
წვიმაშიც არ ცდებიან.



ყოველმხრივ გამცდარი ვარ, ხაროში ჩამუდარი ვარ,
საქმე
წინ არ მიმდის არცერთი,
ამ მშენებლობისგან წელში გამწყდარი ვარ,
რომ მეღუქსებოდეს,
დავწერდი:

„მე შენი აწმყო გადამრეცხ
და შენი წინსვლის დღე მაღი...
სხვა საქართველო სად არის?
სად არის
ომბალოთი
ტყეშალი?!“

სიკვდილი

სიკვდილი იქნება — მყვებელი!
სიკვდილი იქნება — უცარი!
სიკვდილი იქნება —
ჩაბნელება მოულოდნელი...
ფოსფორული აინთება თვალები წუთით,
შავი ავაჯის გაიგონებ კბილების კაკუნს,
ზევით და ქვევით,
წინ და უკან,
მარცხნივ და მარჯვნივ
გაჩნდება ღამის შავი დაფა ექვსივე მხრიდან...
ხომ ეშვადები სიკვდილისთვის?!
ბევრიც ეშვადო,
სულ ერთია, სულ ერთია,
ის იქნება მოულოდნელი!
სიკვდილი იქნება — სახტად დარჩენა!
მოსწყდები პალოს
და, უფსკრულში დაქანებული,
სულ იფრენ ღბილად,
არასოდეს დაენარცხები,
უმტკივნეულო,
სულ ადვილი იქნება სიკვდილი...
ოღონდ ეს არის, —
გაიღუგებს ნაგლეჯი გრძობის,
რომ რაღაც დაგრჩა გაღმა ნაპირზე —
წამოღება ვერ მოასწარი...
სიკვდილი იქნება — ღბილი ჩაბნელება!

ჩანგო ჩემო, მოხრიხარ
 ოთხად —
 წელში არავის;
 პოეზიის 'მომხრე ხარ,
 ბრძოლის —
 დაუფარავის,

ვერ ვნახე მოგებული
 ჩანგი
 ლიწით, ფერებით,
 ზიკიბულ-მოკიბული
 და შემკრთალი
 ვლერებით.

ნავო ჩემო, მოღლილხარ,
 გრიგალი
 გინანავებს,
 იმავე ძველი ბოღმით ხარ
 უკანასკნელ
 სანავეს.

ამდენი ფიქრი,
 ამდენი განცდა
 აქ, ამ ქალღმერთზე
 ზღვად რომ გროვდება,
 ხომ სისხლი გაშრა,
 ხომ გული გაცვდა,
 ხომ ჩაგწყდა რაღაც,
 ვიღაც გშორდება?!
 ვე — არაფერი!
 ნუგეშად კაცთა,
 შენის მათ გამო
 ჯვარცმა-გოდებად
 ხომ რაღაც გაჩნდა,
 რაც მყობადს გასწვდა,
 შენი მწვერვალიც
 ხომ ოჭროვდება?!
 უღელტეხილებს
 პოეტი გასცდა,
 ფეხის ნადგამში
 სისხლი ტბორდება
 ღელნაწერების
 დარჩება დასტა,
 მზე — ჩაიწურა,
 დღე — ბოლოვდება!

გიორგი ციციშვილი

სკლი სისარბესა უნსა!..

მომთხრობა

თვით ნიკალა დირექტორიც კი, კაცი გულცივი და უინტერესო, ალტაცებული იყო ახალი მასწავლებლის გაკვეთილით და კმაყოფილებას ვერა მალავდა. ნატო მასწავლებელს ხომ ხელეები განუწყვეტლივ გულთან მიჰქონდა და სასოებით თავს მალდა სწევდა, თითქოს ღმერთს მადლობას სწირავსო.

მოწაფეებს განსაკუთრებით ის მოეწონათ, რომ მალხაზმა უნარიანად დააკავშირა ისტორია თანამედროვეობასთან. როგორც ნაკითხმა და ნიჭიერმა ახალგაზრდამ, მან ბევრი რამ იცოდა ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცხოვრების შესახებ და ახლა ყოველივე ეს, წაკითხული და განაგონი, ერთბაშად რომ წამოაპირქვავა სოფლელი ახალგაზრდობის წინაშე, ისე დაიპყრო მათი სული და გონება, რომ თვალმდებარე მოზარდებს არც კი წარმოედგინათ, გაკვეთილის ამასვე უკეთ ახსნა თუ შეიძლებოდა...

პირველივე გაკვეთილმა დიდი სახელი მოუტანა ზენკლიანთ ბიჭს და არა თუ სკოლა, მთელი დაბა (ახლა სიამაყით რაიციენტრს რომ უწოდებდნენ), ალაპარაკა.

მართალია, მეორე გაკვეთილი ასეთი აღარ განოდგა, მესამე — კიდევ უფრო ჩვეულებრივი იქნებოდა, სოლო შემდეგ და შემდეგ მასწავლებლისადმი ინტერესმა

საგრძობლად იყო, მაგრამ პირველი სვე ისეთი ბრწყინვალეობით იყო გატანილი, რომ მისმა მომაჯადოებელმა თილისმამ სასწავლო წლის დამლევამდე გასტანა და ახალგაზრდა მასწავლებლის სახელიც ყველას პირზე ეკერა.

დასრულდა თუ არა სწავლების პირველი წელი, მალხაზმა იგრძნო, რომ ამ სამუშაოს ვეღარ გააგრძელებდა.

ჯერ ერთი, ისტორიის სასკოლო კურსი ერთობ უინტერესო გამოდგა, რის გამოც გული ნადრევედ აიცრუა, მეორეც, არ უნდოდა თავისი თავისათვის სახელი გაეტეხა: — დაბლა დაშვება არა სურდა, არა და, იმავე სიმადლის შენარჩუნებას რომ ვეღარ შესძლებდა, ამას აშკარად ატყობდა.

აი, მაშინ ჩახვდა პირველად რომ მასწავლებლობას თურმე დიდი დრო, დიდი მოწადინება, დიდი ნებისყოფა ნდინება და რომ ყოველი გაკვეთილი საგანგებო მომზადებას, ზრუნვასა და ჯაფას მოითხოვს.

სწორედ აქ გამოჩნდა მალხაზის შორსმჭვრეტელობა, საქმეზე მისული ნიტანების უნარი.

იმხანად, სკოლის დირექტორად ხანშეშესული ზაქარია ლომიტაშვილი მუშაობდა, კაცი ბუზღუნა და სვეგამწარებელი. ერთი წყება ოჯახის გამოცვლა უკვე მოუ-

სწრო და ახლა, მეორე ცოლსა და ორ შვილთან ერთად, სკოლის შენობაში ცხოვრობდა.

საპენსიო ასაკს ზაქარია კარგა ხნის გადაცილებული იყო, მაგრამ მაინც ვერ ეღუოლდნენ, რადგან წესიერ კაცად ითვლებოდა და სამებულებს „ღირსეულ“ ადამიანად მიაჩნდათ. აშკარა იყო, რომ იგი სულ ცოტა კიდევ ორ წელს მაინც იდირექტორებადა, რადგან მისი ტყუილი ქალ-ვაჟი ათწლედს მხოლოდ ორი წლის შემდეგ ამთავრებდა და ზაქარია ფრიად მოწადინებული იყო მის ბავშვებს საშუალო სკოლა ოქროს მედლებით დაემთავრებინათ.

მალხაზს არ გაჭირვებია ღირვექტორთან დაახლოება...

ისინი არაერთხელ უნახავთ თავისუფალ დროს ერთად მოსიარულენი და ტკბილად მობაასენი. მართალია, არაინ უწყობდა რაზე მუსაიფობდნენ ღირვექტორი და ისტორიის მასწავლებელი, მაგრამ ამ საუბრების დაწყებიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ ზაქარია ლომიტაშვილმა აღმასკოლში განცხადება შეიტანა — საკარმიდამო ნაკვეთი გამომიყავით, სახლი მიწა და დავიღვაო.

ეს განცხადება მალხაზმა თავისი ხელით ჩააბარა რაილმასკოლში, რითაც ღირვექტორის წამოწყებაში საკუთარი დაინტერესებაც განიხატა.

გავიდა კიდევ ხანი და „ლესსტროიტორის“ სამეფის კანტორიდან, სკოლის დირექტორის სახელზე, სამოთახიანი ხის სტანდარტული სახლი გაიყვა. ბაზაზე მიმავრებულმა დიდმა სატვირთო მანქანამ რამდენიმე გზა შედიოდა გააკეთა, რათა ახლად მოწონილ საკარმიდამო ნაკვეთზე ასაწყობი სახლი და მისი დადგმისათვის საჭირო საამშენებლო მასალები მიეზიდა.

ორ კვირაში სახლი უკვე აწყობილი იყო. იგი ბეტონის სვეტებზე ოდასავით შედგეს, გარედან მწვანედ შეღებეს, შიგნიდან შპალერი ააყრეს, სვეტებს შორის ცალფა აგურის კედლები ამოუშენეს, წყალგაყვანილობა, საპირფარეო, სარდაფი მოუწყეს და სიკოხტავისათვის შიფერიანი სახურავიც კი შეუფერადეს.

სახლი მართლაც ლამაზი გამოვიდა.

სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან ისე დღე არ გავიდოდა, რომ იგი გოდერძას არ მოენახულებინა, მშენებლები არ დაეგვალთანებინა, საჭირო მასალით არ წახმარებოდა.

შიგა და შიგ სამებულები იმასაც ამბობდნენ (თუმცა მეტად ყრუდ და ფარულად), რომ ზაქარია-ღირვექტორს იგი კაპიციც არ დასჯდომია, ყველა ხარჯი გოდერძიმ გაიღვო...

ასე იყო თუ ისე, სახლის დამთავრებისთანავე ზაქარია ლომიტაშვილმა განცხადება შეიტანა (ამჯერად იგი თავის ხელით ჩააბარა), პენსიაზე გადასვლისა გამო, ღირვექტორობიდან გამანთავისუფლეთო და თავის მხრივ შემცვლელის კანდიდატურაც დაასახელა: ამ თანამდებობისათვის ყველაზე უკეთ მალხაზ ზენკლიშვილი გამოდგებაო.

მართლაც, ზაქარია იმავე დღეს გაანთავისუფლეს და მის მაგიერ სამების პირველი საშუალო სკოლის დირექტორად მალხაზ გოდერძის ძე ზენკლიშვილი დანიშნეს.

სამებულები ანასაც დიდი მოწონებით შეხვდნენ: — თანამედროვე, პროგრესული ახალგაზრდაა, აბა, მაგას უნდა დაწინაურება, თორემ ხომ ხედავ რა დღეშია ჩვენი სკოლაო.

სკოლა კი მართლაც საცოდავ დღეში იყო. საკლასო ოთახები არა ყოფნიდა; სახურავი დამალიყო და წვიმა ჩამოდიოდა; ოთახებში თუნუქის ღუმელები იდგა, მოწაფეებს ისინი თვითონ უნდა ეხურებინათ; მართალია, სკოლის შენობას სულ თორმეტი ოთახი გააჩნდა, მაგრამ აქედან ერთში სამასწავლებლო იყო გამართული, მეორე დირექტორს ეჭირა, ორ მომიჯნავეში სასწავლო ნაწილის გამგე და ფუკო ცხოვრობდნენ ოჯახებით, ერთში დარაჯი, იდგა (იგი იქ ადამის დროიდან ცხოვრობდა, ამიტომ მისი გასახლება აზრადაც არავის მოსდიოდა), ერთშიც საწყობი იყო. ისე რომ თორმეტი ოთახიდან საკლასოდ გამოყენება მხოლოდ ექვსისა შეიძლებოდა, რის გამოც, სწავლება სამ ჯერად მიმდინარეობდა.

რა საწყლად, რა საცოდავად გამოიყუ-

რებოდა ეს „ძველი“ სკოლა — შორე, ანუ ვერეთ წოდებულ „ახალ“ სკოლასთან შედარებით, რომელიც სამების განაპირა უბანში ორიოდ წლის წინ ააშენეს!

ქათქათა, სამსართულიანი შენობა დიდი კლუბით, სპორტდარბაზით, სასადილოთი, ცენტრალური გათბობით, — პირველ სკოლებს მიუღწევ ნიშნულად უჩვეუბოდათ და შურის გრძობას უღვივებდა.

ვინ იცის, სად არ მისწერეს კოლექტიური თუ პირადი განცხადებები სკოლის ავარიული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვერსად ვერაფერს გახდნენ. განათლების საინისტროც, ადგილობრივი ორგანოებიც უსახსრობას უჩიოდნენ და დახმარებას მხოლოდ „რამდენიმე წლის“ შემდეგ პირდებოდნენ.

გაცმა რომ სთქვას, არც გაემტკუნებოდათ, განა, ორ რესტორანს, სასოფლო უნივერსიტეტს, მხატვრულ პანოებსა და საჩრდილობლებს ავტობუსების გაჩერებებთან აშენება არ უნდოდა?

მაგრამ პირველ სკოლას თავისი „პატრიოტიზმი“ ჰყავდა, რომელთაც მისი ბებერი კედლები ფრჩინათ კეთილმოწყობილ ახალ შენობებს. მათ შორის პირველი, რასაკვირველია, ნატო მასწავლებელი იყო. მან თავი მოიკლა და ახალ სკოლაში არ გადავიდა;

— ამ ისტორიულ ჭერფუძეს ვერ ვუღალატებ, მას იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ ჩაუყარეს საფუძველი...

— ეს შენობა თვით დიდმა ილია ჭავჭავაძემ განათლათ...

— აქ ნიკო ლომოური, სოფრომ მგალობლიშვილი, ია ეკალაძე, ეკატერინე გაბაშვილი გაკვეთილებს ატარებდნენ...

ჯარასავით დატრიალდა მალხაზი.

დატრიალდა, მაგრამ დიდხანს ვერაფერი გააწყობ, პირჯვარი ვერავის დასწერა.

ვისაც კი არ მიმართა, სკოლას დაეხმარეთო, ყველა ხელებს ასახსავებდა, არაფერი ძალგვიძისო.

სად არ იყო, ვის არ ეჯახ, მაგრამ ყოველივე უნაყოფოდ.

როცა დარწმუნდა, სკოლისა არავის უღარდებო, როცა ყველგან საკვირველ გულცივობასა და უღარდებობას წააწყდა,

თავის ხარჯით თბილისში გაემგზავრა, იქ რამდენიმე დღე დაჰყო, მრავალ პასუხისმგებელ პირს კარები აუტკლავა, იმდენი იზბინა და იქაქანა, სანამ განათლების მინისტრის მოადგილე, სკოლების სამმართველოს და კაპიტალური ნშენებლობის სამმართველოთა უფროსები სამებაში არ ჩაიყვანა და ადგილობრივ ხელმძღვანელებს არ შეახვედრა.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმას ეყო, რომ სკოლის რეკონსტრუქციის ხარჯთაღრიცხვა შეედგენინებინა და თანხები გამოეყოფინებინა.

მასალების ლიმიტის გამოყოფა, „ობიექტის“ ჩასმა მშენებლობის გეგმაში, სატიტულო ფურცლის დამტკიცება და მთელი ის წინასწარი ღონისძიებები, რაც ადგილზე მუშაობის გაშლას უძღვის ხოლმე, ისეთი გოლგოთა გამოდგა, რომ მალხაზმა ხელი ჩაიქნია და მამას თხოვნით მიადგა: — მიშველო.

სახლში კი არ ელაპარაკა, კანტორაში მიაკითხა. ეს მისი პირველი სტუმრობა იყო „ლესტროიტორგის“ ბაზაში და პირველი თხოვნა „საზოგადო საქმეში“ დახმარებისათვის.

ყველაფრიდან ჩანდა, რომ შვილის ეს თხოვნა გოდერძიშ გულთან ახლო მიიტანა. ჯერ ტელეფონს ეცა და რამდენიმე ადგილზე დარეკა, მერე სატიტულო მანქანას კაბინაში ხვნეშით აბობლდა და თითქმის მთელი დღე სადღაც დააქროლებდა.

ორიოდე დღის შემდეგ, სკოლას მასალები როგორც იტყვიან, ოხრად მიაყარეს და სამუშაოთა მწარმოებელმა მრავალრიცხოვანი ნუშები საქმეს შეუსია.

ყინული დაიძრა: მრავლისმსახველ შენობაზე მომუშავე ღურგალთა, კალატოთა, მებათქაშეთა, მეთუნეკეთა, მემუშეთა, მღებავთა და გათბობის ოსტატთა გნაისი დიდიდან გვიანობამდე არა წყდებოდა...

თვევ არ იყო გასული, სახურავი თუნუქით გადახურეს და მწვანედ შეღებეს. ცენტრალური გათბობა გაიყვანეს, საქვამე დადგეს.

ორიოდე თვის შემდეგ ძველთა-ძველ სკოლას ვედარ იცნობდ: წინ განიერი შეშინული აივანი აუშენეს, რის წყალობი-

თაც ახლა, კლასებში გარედან კი არ შედი-
ოდი, არამედ ნათელი, კობტად შეღებილი
და პარკეტდაგებული მუშაბანდიანი დე-
რეფინიდან. დერეფანში ქართველ მწერალ-
თა და სახალხო განათლების მუშაკთა სუ-
რათები დაჰკიდეს სკოლას ოთხი ახალი:
ოთახი მიაღვეს, შიგ მცხოვრებთ ბინები
დაუქირავეს და სკოლის შენობიდან გაიქ-
ვანებ. ისე, რომ საკლასო ოთახების რიც-
ხვი თითქმის გაორკეცდა, რის წყალობი-
თაც მოსწავლენი ორჯერაინ სწავლებებზე
გადაიყვანეს.

მოსწავლელებიც, მოსწავლენიც და მა-
თი მშობლებიც სულ მალხაზის მზეს ფი-
ცულობდნენ; ასეთი დინჯი, ყურადღებიანი
და საქმიანი დირექტორი ჯერ არ შეგვევ-
დრიაო...

მაგრამ ყველამ როდი იცოდა, რომ მალ-
ხაზის გმირული საქმეები ისევ და ისევ
გოდერძის წყალობით „ჩაკეთდნენ“, რომ
ფონდებით გამოყოფილი ცემენტი თუ
აგური, ხეტყე თუ გაჯი, — საჭიროებას
ნახვარასაც კი არა ყოფნიდა, ხოლო სამუ-
შოთათვის განკუთვნილი თანხები მეოთ-
ხედსაც ვერ გასწვდებოდა.

თბილისიდან გამოგზავნილი სამუშაოთა
მწარმოებელიც ისეთი გამოდგა, სახელმწი-
ფო ქონებას საკუთარივით ექცეოდა.

ნართალია, ისაკამ ბევრი იფიშვიშა, ბე-
ვრიც ეცადა სიტყვა გადაეთქმევიებინა,
მაგრამ გოდერძემ თავისი გაიტანა და სკო-
ლის გაღებურისათვის საჭირო თუნუქი
თვითონ გაიღო, კარფანჯრებზე თავის ნე-
ბით დააცვლეინა, ხეტყის საფასურიც
თვითონ გადაიხადა და თვითონვე შეამინ-
ვინა.

— ეგა, ჩემი სკოლაც არის. მანდ ავიდ-
გი ფები, დაილოცა მაგის დამაარსებელი!
— უღვაშის გრეხვით ამწვიდებდა მეტის-
მეტი ხარჯებით შეწუხებულ მთავარ ბუ-
ღალტერს ბაზის მმართველი.

გოდერძი ნართლაც, არაფერს არ ემო-
რებდა, რათა „მალხაზის სკოლა“ კიდევ
უფრო დამწვევებულოყო. ბაზის „საიდუმ-
ლო ფონდიდანაც“ ბევრი წააბმარა და სა-
კუთარი სახსრებიდანაც ბევრი გაიღო.
საფონდო მასალას ისე ხამუშ-ხამუშ
აძლევდნენ, მხოლოდ იმის ამარა რომ ყო-

ფილიყვინენ, აღდგენასა და შეკეთებას ალ-
ბათ, ხუთ წელშიაც ვერ მორჩებოდნენ. რა
მასალაც თვითონ არა ჰქონდა, იმას შე-
გობრებს შეუთვლიდა, და ისინიც დაუგვი-
ანებლად უწვდიდნენ დახმარების ხელს.

სკოლის გამართვის შემდეგ მალხაზის
სახელმა კიდევ უფრო მეტი ფასი დაიგ-
დო.

მაგრამ ყოჩაღი დირექტორი ამას როდი
დასჯერდა; ძველი შენობის მახლობლად,
ახალ სამსართულიან კორპუსს ჩაუყარა
საფუძველი და სულ მალე პირველი ხარ-
თული ბეტონის სიმაკრებით გადახურა. ამ
საქმეშიც, რა თქნა უნდა, ყველაზე დიდი
წვლილი ისევ გოდერძის ეკუთვნოდა..

— კაცო, — ეუბნებოდა ბაზის მმართ-
ველს მისი ყაირათიანობით გაოცებული
ისაკა, — ყველაფერი მინახავს, მაგრამ
ასეთი რამის მოწმე ჯერ არა ვყოფილვარ:
ვინც კი რაიმე მშენებლობას ეწევა, ისა
უპირველესყოფისა ფულსა და გამორჩე-
ნას ეძებს, თქვენ კიდევა თავისას აყრით!..

— ექ, ჩემო ისაკაან, საქვეყნო საქმის-
თვის თუ გული არ შეგტკივა, ისე, რა კაცი
ხარ. მაგისა შე დიდი არაფერი დამაკლდე-
ბა, ხალხს კი შეეწევა კიდევა და შეერგე-
ბა კიდევა. — ყოველთვის ერთნაირად პა-
სუხოზბა გოდერძი.

საერთოდ, ბაზის მმართველს ძალიან
უყვარდა ერთხელ შერჩეული სიტყვებისა
და გამოსტუმბვის განმეორება. კაცი ვერ
გაიგებდა, ახალ-ახალის ძებნა ეწარებოდა
თუ მრავალჯერადი განმეორებით შეტ ძა-
ლასა და დაზაჯერებლობას სძენდა ნათქ-
ვამს.

— ჰო, ჰო, ჰო, რა საოცრად დამეგანეთ
მამა-შვილი ერთნაინეთსა, — გაოცებით იტ-
ყოდა ხოლმე ისაკა, — ორივე ერთნაირი
ბედოვლათები ხართ, ფულის ყადრი არ
იციო. აბა, ვინ დაგიმადლებთ მაგასა?
ეგა, ხომ ფულის უქმი ხარჯვაა! ხომ ვერ-
სად იტყვით, რომ სკოლას სანახევროდ
თქვენი ფულით ამწვენთ? მაშინვე იმას ჩა-
გეძიებთან, რა ფულით ამწვენთო!? ამიტომ
გიჯობთ სულაც არა თქვათ, რამდენი გი-
ღირთ ეგ საქმე, — ურჩევად მთავარი ბუ-
ღალტერი მმართველს. — კიდევ იმიტო-

მაგ. გიჯობთ, რომ ასეთ უშურველობას მაინც არავინ დაგიჯერებთ და, ვინ იცის, რა იარაღის მოგაკერებენ. დიახაც, ამ საქმის გაუმხელობა გიჯობთ...

და აკი არც გოდერძის და არც მის შვილს არავისთვის არ გაუმხელიათ, თუ რა ფასად დაუჯდათ სკოლის რეკონსტრუქციას.

მაგრამ ასეთ საქმეებში ღრმად ჩახედული ვახტანგ პეტროვიჩი თავიდანვე ადვილად მიხვდა, რომ მშენებლობის უჩვეულო ტემპი, პირველ ყოვლისა, „ლესტროტორგის“ სამუშაოს კანტორის მმართველის „მარიათიანობის“ შედეგი იყო.

სკოლაზე ზრუნვასა და მისი საქმეების დევნაში მთელმა წელიწადმა შეუნჩნევლად გაიბრინა, მაგრამ მალხაზს უკვე დაეტყო დაღლა.

— აღარ უჩანს ამ მკვდარძაღლს ბოლო, — ხელის ჩაქნევით იტყოდა ხოლმე იგი, როცა მშენებლობაზე ჩამოუგდებდნენ ხაუბარს.

სულ მალე კი მალხაზმა საკუთარი თავი იმაზე „დაიჭირა“, რომ სკოლა აღარ იზიდავდა...

მართალია, ჯერ თვითონაც არ უტყდებოდა საკუთარ თავს, არც ფიქრი უნდოდა ამაზე, მაგრამ ყოველი ახალი დღე სულ უფრო და უფრო ნათელსა ხდიდა მის გულაცრებულობას.

მოწაფეებსა და მასწავლებლებს კი ისევ ძველებურად უყვარდათ თავიანთი ლამაზი დირექტორი. მართალია, იგი ერთბაშად გაუცინარი აღმოჩნდა და არა თუ გაცინებულს, გაღიმიბულსაც კი იშვიათად ნახავდა კაცს, მაგრამ ამას დირექტორის თავდაპირველობას აწერდნენ და მოსწონდათ კიდევ მისი ამაყი განდგომილება.

— აბა, რა, ყველას ხომ არ გაუყვადრებს თავსა? — ამართლებდნენ მალხაზს მისი მომხრენი. მომხრე და მოტრფიალე კი ბევრზე ბევრი ყავდა სამუშაოში.

და აი, სწორედ ამ გაჭირვების გამო, როცა სკოლაზე გულაცრებულობა რაღაც გაკვეთულ გადაწყვეტილებად უნდა გამოკვირტულიყო, ვახტანგ პეტროვიჩი მხსნელ ანგელოზად მოველინა — გზაჯვარედინზე

მდგარ ნოყოყიანე ტაბუკს და რაიკოში გადასვლა შესთავაზა.

მთელი ღამის უძილო ფიქრისგან დაოსებული მალხაზი, რომელიც ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა თანამდებობაზე უპირებდა გაგზავნას რაიკოში მდივანი, ორის ნახევარზე უკვე მის მისაღებში იყო.

— ალბათ, ინსტრუქტორობას შემოთავაზებს. აბა, სხვაგვარად რა შეიძლება, პირტიულ სამუშაოზე მე არა ვყოფილვარ და საპასუხისმგებლო ადგილი მე არა მჭერია. არა უშავს, სკოლის დირექტორობას ისევ ესა სჯობია, ხალხს გაგიცნობ, ისინიც გამიცნობენ, ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდები, — ფიქრობდა მალხაზი და საათს მოუთმენლად დასცქეროდა.

პირველი მდივნის კაბინეტში კი ნატობები თუ უცნობები განუწყვეტელ ნაკადად შედიოდნენ და გამოდიოდნენ.

ლამაზსა და ტანად ტექნიკურ მდივანს (იცოდა ვახტანგ პეტროვიჩმა თანამშრომელთა შერჩევა!) შიშიმე დღე ადგა: იგი ორ ტელეფონში ერთდროულად ჩაყვიროდა და ყოველ წამს ლიდერინაკრულ შიშიმე კარებში უჩინარდებოდა, რაა იქიდან სასწრაფოდ გამოვარდნალი, ისევ ტელეფონებს სცემოდა და წივანა ხმით შიგ რაღაც ჩაეძახა.

მალხაზს, არ ესმოდა, რას ჩაყვიროდა ყურმილში კოხტა ქალაშვილი. სკოლის დირექტორი ნირვანაში გადასულსა ჰგავდა, იგი სკამის სახურვეს მიყრდნობოდა და თითქოს იყო კიდევ აქა, და არც იყო.

ამიტომ უცებ ვერ გაიგო მდივანი ქალის შემოთავაზება:

— ვახტანგ პეტროვიჩი გთხოვთ. — საიდანღაც მეტად შორიდან ჩაესმა ყურში მალხაზს. ლამაზ გოგონას ლიდერინიანი კარები გამოვლო და მალხაზს უღიზოდა.

ვახტანგ პეტროვიჩი ჩვეულებრივზე ჩაფიქრებული და გოროზი ეჩვენა.

უყვარდა პირველ მდივანს ზოგიერთი მნიშვნელოვანი წუთის სათანადოდ ხაზგასმა.

მალხაზმა დაინახა, რომ მდივნის საწერ მაგიდაზე მისი პირადი საქმე იყო გადაშლილი. ეტყობა, ვახტანგ პეტროვიჩმა სა-

განგებოდ მოატანინა და წინასწარ ჩაათვალიერა.

— ამხანაგო ზენკლიშვილო, — მალხაზი ცოტა არ იყოს შეცბა: ასე ოფიციალურად პირველ მდივანს მისთვის ჯერ არ მიემართა, „უკან ხომ არ იხვევს თავის პირვანდელი განზრახვიდან, — გაიფიქრა ჭაბუკმა, — ხომ არ წაზვიადოდი სასწავლებლად მოსკოვში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში?...“

მალხაზმა უცებ არ იუარა ეს წინადადება, თუმცადა უარყოფითი პასუხი იმ წამსვე მზადა ჰქონდა.

მდივანი რომ არ გაეწილებინა, ჯერ გულითადი მადლობა გადაუხადა, „ნდობისათვის“, მერე კარგად შენიღბული ყსიდა სინანულით დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ სულ ახლახანს სადისერტაციო თემას ნიჰიკიდა ხელი, საკანდადატო მინიმუმიც უკვე მზადა აქვს და ამიტომ ისევ სამებაში დარჩენას რჩეობს...

— მერე რა, — ჩამოართვა სიტყვა მდივანმა, — იქ უფრო არ გაგიადვილდება დისერტაციის მომზადება? სამი წელი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნები, ნარტო თემაზე იმუშაებ, ხელმძღვანელიც გეყოლება, ვე აკადემია ხომ, არსებითად, იგივე ასპირანტურაა!...

— თემა მაქვს ისეთი, აუცილებლად საქართველოსთან და მის სიძველეთასაცავებთან, მის სამეცნიერო ცენტრებთან უნდა ვიყო ახლოს, — მორიდებით, მაგრამ მტკიცედ უპასუხა ზენკლიშვილმა.

ვახტანგ პეტროვიჩი ყურადღებით უსმენდა და დაკვირვებით გამოსცქეროდა. მერე სადისერტაციო თემით დაინტერესდა. როცა შეიტყო სამების ისტორიაზე მუშაობსო, განზრახვა მოუწონა და დახმარება აღუთქვა.

მალხაზს კი მოთმინება ელყოდა...

ერთხანს შიშაც კი იგრძნო, ხომ არ გადაიფიქრა პირველმა მდივანმა რაიკომში ჩემი გადაყვანაო.

უკვე ისე იყო ამ აზრს შეჩვეული, მისმა გონებამაც იმდენი სურათის დახატვა მოასწრო რაიკომში მუშაობისა და სწრაფი სამსახურებრივი დაწინაურებისა, რომ ახლა, ამ საქმის ჩაფუძვა, — ეს წინასწარ

რვე იცოდა — დიდ ტკივილს მიაცუნებდა. ვახტანგ პეტროვიჩი კი ჩუმად იჯდა. დრო და დრო წარბეჭდვიდან გამოხედავდა და მის პირად საქმეს ფურცლავდა.

— ეტყობა არაფერიც არ გამოვა. — გადაიწყვიტა იმედი მალხაზმა და იმავე წუთში დაუძლეველად მოუნდა საკამიდან წამოხტომა, ამ ვეება, მღუმარე ოთახიდან გავარდნა.

— არ გინდა და ბატონი ბრძანდები. — როდის, როდის ამოიღო ხმა მდივანმა, — არც ჩვენ დაგაძალებთ. მით უმეტეს, რომ შენისთანა ადამიანები აქ უფრო გპყირდებიან. სასწავლებლად გაგზავნა იმიტომ შემოგთავაზე, რომ ცოდნის დაუფლებიან და კვალიფიკაციის ამბლებიანსადმი შენა დამოკიდებულეა გამეყო. რახან თემა უკვე შეგირჩევის და სერიოზულადც ფიქრობ მასზე ნუშაობს, მაგას რა ჯობია! — ვახტანგ პეტროვიჩი დაუხამამებლად შესცქეროდა მალხაზს, თითქოს უნდა შივ გულში ჩასწვდესო.

— ჩვენ, — კიდევ უფრო ხაზგასმითა და მეტი დარწმუნებით განაგრძო მან, — გადავწყვიტეთ, რაიკომში სამუშაოდ გადმოგიყვანოთ, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ დაგნიშნოთ..

რალაც საამო, გულის შემძვრელი, ტანში ღენად დამგული სითბო იგრძნო მალხაზ ზენკლიშვილმა. ალბათ, სიხარული თუ იყო.

მთლად ააფორიაქა, წამოხტომა და მკვეთრი მოძრაობა მოანდომა, მაგრამ სიხლბორცში გამჯდარმა თავდაჭერამ, მანაპაპისგან გამოყოლილმა აუღუღებლობამ — ოდნავი განძრევის, განცდილ-ნაფიქრალის ოდნავი გამქვავების საშუალებაც კი არ მისცა და სკამს მიაჯაჭვა.

ვახტანგ პეტროვიჩი დადარაჯებულად შეკყურებდა თავიანდვრით მჯდომ მალხაზს და მოსწონდა მისი სიღარბისლე, არც ზედმეტი ასწრაფება, არც ზედმეტი სიხარული, არც ზედმეტი აღფრთოვანება ჭაბუკს არ გამოუმუქვავებია, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყო.

ამ სიღინჯემ მოხიბლა მდივანი.

მაგრამ გულში ჩიტვივით აფართხლებუ-

ლმა სიხარულმა მაინც გასცა ზენკლიშვილი.

— თქვენა ბრძანეთ, თუ სწორად მომეხსმა, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ... —

— დიას, გამგედ. — მაშინვე დაუმოწმა პირველმა მდივანმა.

— ცქვიტინიძე? — თავი ასწია და თვალბეში ჩახედა მდივანს მალხაზმა.

ვახტანგ პეტროვიჩმა გაიღიმა. ეს უკვე თანხმობა იყო (იგი სხვა პასუხს არც მოელოდა!), მაგრამ ლამაზი თანხმობა, — შემოიარებითი, ზრდილი, თავდაჭერილი. ესეც მოეწონა მდივანს.

— იმაზე ნუ სწუხარ. უნარიანი მუშაკია და არც იმას ეაზარალებთ. — მდივანმა ოქროსფერი, ლამაზი კოლოფიდან უცხოური სიგარეტი ამოიღო, ნებიერად გააბოლა. — პატარა კარუსელს დავატრიალებთ და ორთავე კარგად იქნებით.

— რას დაატრიალებთ?... — მოკრძალებით იკითხა მალხაზმა და მთელი ამ საუბრის მანძილზე პირველად გაეღიმა.

ვახტანგ პეტროვიჩმაც ჩაიღიმილა.

— რამდენიმე ერთდროულ გადაადგილებას სიმოკლისათვის „კარუსელს“ ვეძახით. ეს, მაპატიეთ, ჩვენი ფარგონია. აი, ახლა... მაგრამ ეს სრულიად საიდუმლოდ უნდა დარჩეს! — მდივანმა სწრაფი და გამაყვარებული მხერა სტყორცნა მალხაზს, რითაც თითქოს გააფრთხილა: არხად არაფერი წამოგვდესო, — აი, ახლა, მეორე მდივანი, რაისაბუქოს აღმასკომის თავმჯდომარედ გადაგვყავს; მის ადგილზე, მდივანს ავირჩევთ; ნდივანის გამონათვისუფლებულ ადგილზე, ბეციკოს დავაწინაურებთ; ბეციკოს ადგილზე კი შენ დავნიშნავთ. გაიგე რა ყოფილა კარუსელი?..

— მართლაც კარგი რამე ყოფილა, ყველა მოგებაშია და არც ერთი არ ზარალდება. — იხუმრა მალხაზმა.

ვახტანგ პეტროვიჩმა ხმაშეშალა და გულისანად გადაიხანჩალა. მას სულ უფრო და უფრო მოსწონდა ეს ახალგაზრდა კაც, ასეთი არაახალგაზრდული სიდინჯით და რაღაც ღონიერი შინაგანი მიდრეკილებით.

— მაშ, ასე, — წამოდგა ვახტანგ პეტროვიჩი, — საკითხი გადაწყვეტილად ჩა-

ვთვალთ. ზეგ თბილისში გადაადგილებათა შესათანხმებლად მივდივარ... რომ ვალდობრებით კი ბიუროზე გაგატარებთ...

მან მაგიდას შემოუარა, მალხაზს წინ დაუდგა.

— დღეს კი სახლში მეწვიე, შინაურულად წავისადილოთ. ექვსი საათისათვის გელი, — ხელი გაუწოდა და თავისებურად ღონიერად, გემრიელად ჩამოართვა, ამასთან მალხაზის თითები ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად ჩაბლუჯა და ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს გააჩერა თავის ღონიერ მუკში.

დანიშნულ დროზე მალხაზი ვახტანგ პეტროვიჩის კოტეჯს მიადგა.

ამ ვარდისფერად შეღებულ კოხტა ორსართულიან სახლს სამუხამამი ყველა, რატონდაც, კოტეჯს ეძახდა. თუ იტყოდნენ „კოტეჯიო“, მაშასადამე, ვახტანგ პეტროვიჩის ბინა იგულისხმებოდა.

ერთი სამსულიანი ოჯახისათვის იგი ფრიად დიდძალ გახლდათ: სამი ოთახი სამზარეულოთი და სააბაზანოთი პირველ სართულზე და ოთხით მეორეზე. ვახტანგ პეტროვიჩის სამუშაო კაბინეტი, რომელიც მისი საძინებელი ოთახი იყო, ქვედა სართულზე მდებარეობდა. მაგრამ ამ ოთახში ნივთები დიდი ერთბაშად ვერ მიხვდებოდა ვის კუთვნიდა იგი, მდივანს, თუ მონადირეს.

კედლები სხვადასხვა ფერისა და ზომის დათვის ტყავებს დაეფარა. ტყავებზე უამრავი თოფები ეყიდა, უფრო ზევით კი ხობების, კაკების, ქორების, არწივების ფრტულები მიემატებინათ.

მდივანის კოტეჯი მაღალი ჭადრებით შემორაგულ მოზრდილი ეზოს მუკელში იდგა. მის ირგვლივ კი კარგად მოვლილი დაბალი კოინდარი ხახსახებდა.

ოდესღაც, აქ ხეხილის ბაღი ყოფილა გაშენებული. იგი ერთ ადგილობრივ თავალს ეკუთვნოდა. მაშინ ეს ადგილი სამების გარეუბნად ითვლებოდა და რკინიგზის სადგურს ემიჯნებოდა. ახლა კი დასახლებების ცენტრი გამხდარიყო.

ბაღის ყოფილი მუხატრონის მეუღლე ევროპულად განათლებული ქალი ყოფილა და ხეხილის ნერგები საფრანგეთიდან გა-

მოუწერია. ასეთი უცნაური ხეები სამეფო-
ლებს მანამდე არც ენახათ. ისინი საოც-
რად დაბლები ჩანდნენ და ძალიან დატო-
ტიანებულნი, ქარსაც კარგად უძლებდნენ,
მოსავალსაც კარგს იძლეოდნენ, ნაყოფიც
გემრიელი ჰქონდათ და დასაკრეფადაც ად-
ვილი იყვნენ.

მაგრამ ბალი თანდათან გაჩანადა-
ომის წლებმა, ხომ მთლად მოუღეს ნახ
ბოლო: ღობე დაინგრა, ვაშლის ხეები და-
ხმა, სხვა ნარგავები გამჭჩხერდა. ომის
შემდეგ ყოფილი ბალის მთელი ტერიტორია
ადგილობრივ საბავშვო ბაღს გადასცეს,
თუმცა არც ამის შემდეგ გასჩენია მას
მზრუნველი პატრონი, მისი ნოვლით თავს
კვლავაც არავინ იწუხებდა. ბაღში ღორე-
ბი დაშლივინობდნენ, თხები და ხბორები
ძოვდნენ, ახლო-მახლო მცხოვრებნი სა-
რეცხსა ჰყენდნენ, შაბათ-კვირაობით კი
შეზარხოშებული ახალგაზრდები მოღზე
წამოჯდებოდნენ, ღვინოს შეექცეოდნენ და
მეზურნეების დასტას გვიარობამდე „სა-
ქეფოს“ აჭყვიტინებინებდნენ.

ვახტანგ პეტროვიჩმა, უფრო ზუსტად კი
მისმა თავისნათქვამმა მეუღლემ, სწორედ
ეს არე-მარე შეირჩია სახლის ასამენებელ
ადგილად.

ბალის ერთ უფრო ნოზრდილ ნაწილს
ხის მალალი ღობე შემოავლეს, აჭა-იქ შე-
რჩენილი მრავლის მნახველი ხეები აჩვენეს,
შემოტობილი ნაკვეთის შუაგულში კი გო-
ხტა სახლი წამოჭიმეს.

მართალია, „კოტეჯი“ ჯერ კიდევ არ
იყო „გაფორმებული“ როგორც ვახტანგ
პეტროვიჩის „პირად მფლობელობაში“
მყოფი სახლი (იგი სახელმწიფო სახსრე-
ბით იყო აშენებული და ალბათ ამიტომ,
ასე უცებ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა),
რის გამოც ისევ რაკოშის საინვენტარიზა-
ციო წიგნში ირიცხებოდა. მაგრამ ქალბა-
ტონ ვიოლას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ
ადრე თუ გვიან მისი საკუთარი გეგმით,
გემოვნებითა და ხელმძღვანელობით აშე-
ნებულ ამ კოტეჯს სამუდამოდ დაინარჩუ-
ნებდა.

შეაღო თუ არა მალხაზმა ღობეში დატა-
ნებული ხის ვიწრო კარი, ბალახზე წამო-
წოლილმა უზარმაზარმა შავმა დოღმა ყუ-

რები ცქვიტა, ზანტად წამოდგა და მისკენ
გამოემართა.

— ასტორ, ასლავე დაბრუნდი უკან!
გაისმა ამ დროს ბრძანება. Кому я ска-
зала, ну живо! — გაიმეორა ქალის ხმა.
ძალი მამნივე შებრუნდა და იმავე ადგი-
ლისკენ წავიდა, სადაც იწვა.

მალხაზს ღია ცისფერ შარავალში გამო-
წყობილი ტანადი ქალი უახლოვდებოდა.
ნის მალალ თეძოებსა და მხუქან ბარძა-
ყებს შარვალი ისე მჭიდროდ შემოტმანსო-
და, პირდაპირ დასკდომასე ჰქონდა.

მალხაზს იგი ჯერ კარგადაც კი არ ენა-
ხა, მაგრამ მამაკაცური ვუმანი თ მიხვდა,
რომ ძალზე ლამაზი უნდა ყოფილიყო.
ქალს მოკლესახელობიანი ჭრელი პერან-
გი ეცვა, შარვალს ზემოდან თავისუფლად
გადმოშვებული და ნეტად მალალ ქუსლებ-
ზე შემდგარიყო. მის მკლავებს სპილოს-
ძვლისფერი გადაჰკრავდა. ქერა თმა ძალი-
ან ფაფუკად ჰქონდა დაყენებული და დი-
დი ბულუღივით ეღო თავზე.

— მოოობრძანდით, ბატონო მალხაზ,
მოოობრძანდით, — წამღერებოდა და ბგე-
რების დარბილებით წარმოთქვა ქალმა,
თან თავისი ფაფუკი, კარგად მოვლილი ხე-
ლი გაუწოდა, გრძლად წაზრდილ სადაფი-
სფრად შეღებილი ფრჩხილებით.

ვაგი წანით შეყოვნდა. დაბნეულობა და-
ეტყო. აღარ იცოდა, სამინისტროში შეძე-
ნილი ჩვევის შესაფერისად ხელზე ეკოცნა
თუ ჩვეულებრივად ჩამოერთმია. იფიქრა,
პარტიული მუშაკის ცოლისათვის ხელზე
კოცნა შეიძლება არცა ღირდესო და ქალის
გამოწვდილ ხელს თავისი ორივე შეაგე-
ბა.

მხოლოდ ამის შემდეგ ასედა მალხაზმა
ქალს და მისმა სილამაზემ გააოცა: მშვი-
ლდევით მორკალულ წარბებქვემიდან გა-
ნოშხირალი, უზარმაზარი წამწამებით და-
ბინდული თვალები უცნაურად კიაფობ-
დნენ. სახის კანი საოცრად კრიალა და ვა-
რდისფერი ჰქონდა, ზედ ერთ პაწაწინა ბუ-
ხუსსაც კი ვერ შეამჩნევდი. ყურებზე იაგუ-
ნდის ვებურთელა საყურეები ეკიდა. ბრა-
ლივით თეთრ კისერზე ვერცხლის გულქან-
და ეკონწილა, რომელიც სულ მცირე კან-
ძრევასე საათის ქანქარასავით ქანაობდა.

ქალმა თამამად გაუყარა მკლავი და სახლისკენ წაიფანა, თანაც თავისი მკერდი ხორციანი სხეულით საკმაოდ მჭიდროდ აკურა გვერდიდან.

— ჩემს მეგობრებს გააგაცნობთ, — წაიძღვრა მან. მერე კისერი წაიგრძელა, მალხაზს თვალბრძანებით ჩაახედა, თითქოს უნდოდა გაეგო, გაეხარდა ეს ამბავი სტუმარს თუ არა, თანაც ისე რომ ნაბიჯი არ შეუნელებია.

გადაფრთხილებული იასამნის ბურქებს შემოუარეს. წრიულად დარგულ ბურქებით შემორკალულ პაწია კორდზე, ორ ჩასაწოლ სკამზე ორი მანდილოსანი იჯდა, უფრო სწორად იწვა, რადგან დასაკეცი სკამები ბოლომდე ქონდათ გადაწეული და ტილის საზურგეებს მიყრდნობილნი, მწოლიარენი უფრო იყვნენ, ვიდრე მჯდომარენი.

ქალები გაცხარებით საუბრობდნენ.

იქვე ალუმინის დასაკეცი სკამებიც იდგა. საზურგეები მათაც ფერადზოლებიანი ტილოსი ქონდათ და ეს ჭრელი საზურგეები იასამნის ბურქების მუქ მწვანე ფონზე ძალიან ლამაზად იხატებოდა. ალუმინისავე მაგიდაზე ხილი, კონიაკის ბოთლი და რაღაც ტკბილეული ელაგა.

დასახლისისა და უცნობი ვაჟის დანახვაზე მანდილოსნებმა ხმა გაკმინდეს და მოსულს ურცხვად დაამტკერდნენ.

ისინი ისე თამამად და მკაცრად შემოსტყუროდნენ მას, რომ მალხაზს კინაღამ ფეხი აერიო.

ქალებმა წარბის ერთი შექანებითაც კი არ გამოამტყაუნეს თავისი დამოკიდებულება უცნობი სტუმრისადმი. ისინი ისევ ისე შედიდურად, უხმოდ, დაურიდებლად ათვალიერებდნენ მალხაზს და არც მის სალამზე პასუხით შეუწყუხებიან თავი, არც წანოჯდომა უფიქრიათ.

— ეს გახლავთ, ჩვეენი გამოჩეენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, დამოხმდე ამბერკვივიჩი ღვალაძის, მეუღლე ქალბატონი სირიონოზი, — მიუთითა დიასახლისმა ერთ-ერთ მწოლიარე ქალზე, — ეს კი ჩვეენი გამოჩეენილი მეცნიერის აკადემიკოს საქსონ ნიკოლოზოვიჩ ტრაპაძის მეუღლე ქალბატონი მარუსია. — მა-

უთითა მან ნეორეზე, — თქვენ ალბათ იცნობთ მათ მეუღლეებს?

— დიახ, ვიცნობ. — იცრუა ყოყმანის შემდეგ მალხაზმა, რათა ორი გაფოფრილი დედაკაცი არ გაეწილებინა. ისინი ისე მკაცრად შემოსტყუროდნენ მას, თითქოს უბრძანებდნენ: — აუცილებლად თქვი, რომ ვიცნობო...

— საიდან იცნობთ? — ხიშტივით დაატაკა კითხვა აკადემიკოსის ცოლმა და სკამიდან წამოწვეა სცადა, მაგრამ, რადგან საზურგე ძალზე უკან ქონდა გადაწეული, წამოდგომა ვერ შეძლო და ისევ რბილ საზურგეს მიასკდა.

— უშუალოდ არა... — სიტყვები შემოაკლდა მალხაზს, — მაგრამ ორივეს სახელი კარგად გამოვიცა.

ქალებმა არაფერი უპასუხეს. იასამნებს შორის უხერხული სიჩუმე ჩამოწვა.

— ვატო, ვატუნია! — დაიძახა ამ დროს დიასახლისმა და ტაში შემოჰკრა.

ვატო-ვატუნია — ვახტანგ პეტროვიჩი გამოდგა.

იგი უკვე მათგან მოალაჯებდა და სტუმართმოყვრულად ილიმებოდა.

მდივანს ცისფერი ქსოვილის პიეამო ეცვა, მუჭყავისფერი სირმით შემოპირული, ასეთივე მუჭყავისფერი ხვევრდის ჯიბეებითა და საყულოთი. ღილებიც ამავე ფერის ვებერთელა ღილიკლოებით ქონდა შებნეული.

ვახტანგ პეტროვიჩმა მალხაზს მხარზე ხელი ალერსიანად მოუთათუნა, სკამი მიუახლოვა, „დაბრძანდით“ — შესთავაზა, თითონ კი პირისპირ ჩამოუჯდა და სიგარეტი გააბოლა.

— ვიოლა, სად არის ლიკა? — ჰკითხა მდივანმა დიასახლისს.

— ლიკა აქ არის! — გაისმა ამ დროს იასამნების გადაღმიდან.

იმავე წუთს ტოტები გადაიწია და ბურქებსა და ბურქებს შორის ტანწერწეტა შავთვალწარბა ქალიშვილი გამოძვრა. იგი საოცრად ჰგავდა დედამისს.

— ლიკა კაბას წააიხდნენ, — წაიმღერა ვიოლამ.

— დედა! — მკაცრად შეუტია ქალიშვილმა. ისედაც მოკლე კაბა კიდევ უფრო

მალა აიწია და სკამზე მოწყვეტით დაეცა. მისი კანის ქვეშიდან ელვასავით გამო-
მერთალმა ლამაზად მომრგვალებულმა თე-
თრმა ბარძაყებმა მალხაზს თვალი მოსჭრა
და უხერხულობისაგან თავი გვერდზე შე-
ბრუნებინა.

— ეს მალხაზ ზენკლიშვილია, გაიცანი.
— მეტიხმეტად აღერსიანად უთხრა მამს.
თავის ქალიშვილს. მალხაზს ისე მოეჩვენა,
თითქოს, ეს სიტყვები მდივანმა რაღაც შე-
ნარჩევნი ვრძნობით თუ მორიდებით წარ-
მოთქვა.

— მალხაზი? — იკითხა ქალიშვილმა
და თამამად გადაიხარხარა, ნერვ თავის პა-
ტარა კოხტა თავი ვაჭისაკენ შეაბრუნა და
ხანგრძლივად დააშტერდა. თან შესცქერო-
და, თან გულნიანად ხარხარებდა.

მალხაზს ვერ გაეგო, რატომ იცინოდა
ქალიშვილი. მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ
ეს დამცინავი სიცილი ისევე მისი მიზნით
უნდა ყოფილიყო გამოწვეული. შესაძლოა
ლიკას რაიმე სასაცილო უამბეს მასზე და
ასლა ნათქვამს იგონებდა...

ლიკა სიცილს მორჩა, კონიაკი დაისხა,
ოღანე მოსვა, ხელი თეატრალურად გაიქ-
ნია და ხმამაღალი დამარცვლით წარმოთ-
ქვა:

— ბიჭო, მალხაზო, ვისი ხარ, მოუკვიდი
დედაშენსაო!

— Боже мой, боже мой, как она
взбалмошенна, настоящий ребенок.

— თავის ქნევით თქვა ვიოლამ, კონია-
კი დაისხა და ლიკასავით ოღანე მოსვა.

აკადემიკოსის ცოლმა მჭახე ხარხარი
უნებლიე სლოკინით დაამთავრა. ეტყობა
ეუნებრხულა თავისი საქციელი, შეიშმუშნა,
„პარდონ“-ო თქვა და თითის წვერები
ტურბაზე ისე მიირტყა, გვეგონებოდა, თა-
ვის პირს თვითონვე ასილაქებდა, სლოკი-
ნი რატომ აღმოგხდაო.

— მოუკვიდი დედაშენს კი არა, დაურჩი
დედაშენსაო! — გაუსწორა შვილს ვახტანგ
პეტროვიჩმა და საკმაოდ არაოთარზროვნად
გადახედა. მამის მხერაში თხოვნაც შეიშ-
წნოდა, გაფრთხილებაც, მუჭარაც.

— მამა! — მკაცრად წამოიძახა ქალიშ-
ვილმა და წარბებშეჭმუნვნილმა ვახტანგ
პეტროვიჩს ყელმოღერებით გადახედა. მე-

რე, თითქოს თავს იმართლებსო...
ცად დააყოლა:

— მამაჩემმა რაიმე რომ არ გამისწო-
როს, ვერ გასძლებს. რისიმე გასწორება თუ
ვერ მომიხერხა იმ დღეს ალბათ, არც დაე-
ძინება. — და კიდევ გადაიხარხარა.

— თქვენ, ყმაწვილო რა სპეციალობისა
ბრძანდებით? — დაინტერესდა აკადემი-
კოსის მეუღლე. მას ლოთი, თუთუნის მწე-
ველი კაცის როყოი ხმა ჰქონდა და როგო-
რღაც მეტიხმეტად უხეშად ლაპარაკობდა.
ალბათ, სიამაყისგან სჭირდა.

— ისტორიკოსი ვახლავართ, — თავა-
ზიანად უპასუხა მალხაზმა. ამპარტავანი
ქალების ქვეშეველა შეტევებისაგან ჭაბუკს
საქციელი ჰქონდა წამხდარი და ახლა
ზრდილობით ლამობდა ნათი გულის მო-
ნადირებას.

— საშუალო სკოლის დირექტორია —
შეაწია სიტყვა ვახტანგ პეტროვიჩმა.

— ასე ახალგაზრდა და უკვე დირექ-
ტორი? — ამკარად საამებლად გაძრცა
ვიოლამ.

— მკაცრი ხარ? — მიამიტად ჰკითხა
ლიკამ და თვითონვე უპასუხა: — ჰო, მკა-
ცრი იქნები. ისეთი ბრაზიანი თვალები
გაქვს, უუუ!

— Сельчане люди сильные и воле-
вые —

— ჩაურთო დიდი კაცის ცოლმა.

— ასეთი ახალგაზრდა და უკვე დირექ-
ტორი? — იმავე ხმით გაიმეორა ვიოლამ,
თან კეფაზე ფაფუკი თმები შეიბენტა.

— რანდენი წლისა ხართ? — მკაც-
რად და მომთხონად ჰკითხა დიდი კაცის
ცოლმა.

— ოცდაცამეტის ვახლავართ.

— არც მთლად აღუა ყოფილხარ. მაგ-
ხელობისას ჩემი საჭიონი უკვე დოცენტი
იყო და ორი წიგნი ჰქონდა დაბეჭდილი. —
თქვა აკადემიკოსის ცოლმა, ორივე ხელის
თითები ერთმანეთს გადააქდო, თავს უკან
შეიდო და გაპარსული იღლივები გამოაჩი-
ნა.

— მამათქვენი რაღა სპეციალობისაა,
— ვერ მოთმინა ვიოლამ.

— ბაზის ნმართველია. — დამორცხ-
ვებით მიუგო მალხაზმა.

— ოო, — წამოსცდა ვიოლას, — კარგად მოწყობილა, Молодец!

— რის ბაზაა? — არ მოეშვა აკადემიკოსის ცოლი.

— სამშენებლო მასალებისა. — უსაღისოდ უპასუხა მალხაზმა. მამამისზე სიტყვის ჩამოგდებას კიდევ უფრო შემორცხა და დაანორცხვა იგი.

— რა მოგივიდათ, რას ჩააცვიდით ამ კაცს, განა ამისთვის მოვიბატივე? — იხუმრა ვითომ ვახტანგ პეტროვიჩმა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, არ ეჭაშნიკა ქალების ესოდენ ენერგიული მიტანება.

— А, что в этом плохо? Это говорит о нашем интересе к нему... მრავლისმეტყველად წარმოთქვა დიდი კაცის ცოლმა.

— რა მასალები იყიდება მანათქვეწარმის ბაზაში? — მოულოდნელად დაინტერესდა ლიკა:

— ყველაფერი, აგური, ცემენტი, აბაზანები, კიდევ რაღაცეები. უსხტად არ ვიცო, მე იქ არა ვყოფილვარ...

— არა ყოფილხარ? — გაოცებით იკითხა ვახტანგ პეტროვიჩმა.

— არა, არც ერთხელ.

— ნეტავი უნიტასები თუ იშოვება მანათქვეწარმის ბაზაში. — ჩაფიქრებით იკითხა ლიკამ.

ვიოლამ წაიფრტუნა, აკადემიკოსის მეტულემ კი ხმაშალდა და ბოხად გადაიხარხარა.

— Какая гениальная непосредственность —

— აღტაცებით შეტყვირა დიდი კაცის ცოლმა.

— ლიკა! — ვახტანგ პეტროვიჩი სწრაფად წამოდგა. იგი აშკარად დაბოლმილი იყო.

— რა, ლიკა? კაცს ვერაფერი ვითქვამს, მაშინვე, ლიკა და ლიკა! მე საქმისთვის ვეკითხები: ჩვენი უნიტასი ისეა გაბზარული, ყოველ წუთს შეიძლება ორად გაკედეს... მაგის მამას კი შენახლოა ჰქონდეს, თავის ბაზაში, მამ არა ვეკითხო? — გაცხარდა ლიკა, მაგრამ ვერ გაიგებდი გულწრფელად თუ ყასიდად.

— Прелесть ты моя!, — მიესი-

ყვარულა დიდი კაცის ცოლი და ლიკას ჰაეროვანი კონა გაუზუნა.

— მალხაზი ახლა თან სკოლას მეთაურობს, თან სამეცნიერო ნაშრომზე მუშაობს. ალბათ, მალე დისერტაციასაც დაიცავს — ვახტანგ პეტროვიჩმა მალხაზს თვალი ჩაუკრა, აჰა, ხო გავეცი შენი საიდუმლო.

— რაზე წერთ დისერტაციას? — მედიდურად შეცვიტხა დიდი კაცის ცოლი.

— ჩემი ნაშრომი სამეზას შეეხება.

— რომელ სამეზას? ამ ჩვენს რაიონულ ცენტრს? — აიჩნეა მხრები ვიოლამ და ქმარს გადახედა. — ვერ წარმომიდგენია რა უნდა დაიწეროს ამ სამეზაზე! ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, ისაა, რომ გასაფხულსა და ზაფხულში აუტანელი ქარები იცის, შემოდგომასა და ზამთარში კი აუტანელი ტალახები...

— რატომაც არა, — ჩაერთა ლაპარაკში ლიკა, — დაწერს თუ რამდენი მოკყავდათ აქ ნიკოლოზის დროს ხახვი, კარტოფილი, კომბოსტო, ჭარხალი, ნიორი. მერე არქივში მოსძებნის ცნობებს, თუ რამდენა მოკყავდათ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. თუ ცნობებს ვერ მოძებნის, თვითონ შეთხზავს. მერე დაახასიათებს წლებად ან შარშანდელ მონაცემებს, მერე ამ ციფრებს ერთმანეთს შეუდარებს, მათგან: ტიკურად დაამუშავებს, პროცენტებს გამოიყვანს და დაადგენს რამდენი პროცენტით წავიდა წინ ჩვენი ცხოვრება სოციალისტურ ეპოქაში...

— კარტოფილსა და ხახვს კი მალაჩიებში წინაც ვერ იშოვი — ჩაურთო აკადემიკოსის მეუღლემ და რაიკომის მდივანს საყვედურით გადახედა.

— არა, არა მაგაში ვერ დაგეთანხმებით, — ხელი ასწია დიდი კაცის ცოლმა, — ახლა, მდგომარეობა ძალზე გამოსწორდა! დიან. დიან, ძველთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა, საგრძნობლად...

— მალხაზის ნაშრომი ისტორიულ-მზარეთმცოდნეობითი ხასიათისა იქნება. ჩემის აზრით, ძალიანაც საინტერესო. — შეაწყვეტინა ქალებს სიტყვა ვახტანგ პეტროვიჩმა.

— რას ნიშნავს მხარეთმცოდნეობითი? — დაინტერესდა ვიოლა და ახლა შუბლზე შეისწორა თმები.

— ეჰ, — გაწყრა ვახტანგ პეტროვიჩი, — მოეშვით ახლა ამ კაცს და სხვა თემაზე ილაპარაკეთ!

— რატომ ნერვიულობ ვატული? — ენის მოჩლექით იკითხა ვიოლამ, ტანის კვკლუცი რხევით წამოდგა, ქმარს წელზე ხელი მოჰხვია და თავი მხარზე ჩანიადა.

— მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩი არასახეშვართად გაბრუნდა. მან ცოლის ხელი უხეშად მოიშორა, ლიკას თვალები დაუბრიალა და ფეხზე წამომდგარმა ტილოსასურგინი სკამი გვერდზე მოაგდო.

— წამოდი ჩემს სანადირო თოფებს გავჩვენებ, — თითქოს სხვათაშორის მიუგო მან ნაღზას და სახლისკენ გაუძღვა.

— А он совсем даже не плох, хорошо сложен, силен, крепок.

— გააბრტყელა დიდი კაცის ცოლმა და ლიკას გადახედა.

— ხიზო! — მოკლედ მოჭრა ლიკამ, მაგიდიდან კოლოფი აიღო, ძირზე წიკიურტი წაქარა, სიგარეტი დააჭვინა და უდარდელად გააბოლა.

— რას ნიშნავს ხიზო? — დაინტერესდა აკადემიკოსის მეუღლე.

— სოფელს, გაუთელს, ჯირკვს!

— То есть невежда и хам, так да?

— ჩავეითხა დიდი კაცის ცოლი.

ლიკამ თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და გრძლად დაუსტვინა.

ვახტანგ პეტროვიჩი კი ამ დროს ხან ერთ თოფს გადმოუღებდა თავის სტუმარს და ხან ნეორუს.

კედელზე სხვადასხვა ქვეყნის, ნაირნაირი სისტემისა და ტიპის მრავალი თოფი ეკიდა. ჩახმაზიანი თუ უჩახმაზო, პარალელურლულიანი თუ ვერტიკალურლულიანი, ორ თუ სამ ლულიანი, საფანტისა თუ ტყვიისა. ყველაზე საჩინო ადგილზე არტილერიული კარაბინი ეკიდა.

რომელი სანადირო თოფი გინდა, ვახტანგ პეტროვიჩის კოლექციამი რომ არა ყოფილიყო: ვინჩესტერები, ბრაუნინგები, კოლტები; აქვე შეხედებოდი ლონდონისა

და ბირმინგამის, ლანკასტერსა თუ პერდეს; ბელგიური ფირმების ლიქენისა და პიპერის ნახელავს. კოლექციონერს არ დავიწყებოდა არც ფრანგი ლეპაჟის ვერმანული ზაურის თუ ფუნკის თოფები, არც სამამულო ნაწარმი — ტულისა, ივევსკისა, სესტრორეცკისა.

— ლიკას არ დავმდურო, — რაღაც ჩავარდნილი ხნით გადაულაპარაკა ვახტანგ პეტროვიჩმა მალხაზს, როცა კიბეზე ჩაღოდნენ.

ეს თხოვნას უფრო ჰგავდა, მაგრამ შენიღბულ-შეფარვულ თხოვნას.

— ძალიან კარგი ბუნებისაა, მაგრამ ცოტა ბედი აერია... მაგას რომ კარგი ქმარი შეხვედროდა, დინჯი, გამგები, აი, შენ რომ ხარ ისეთი, — ვითომ იხუმრა ვახტანგ პეტროვიჩმა, ხელი მხარზე დაარტყა, ხანამღლა გაიციანა, — მაშინ ჩემს ბუღს ძალდი არ დაჰყეფდა. მეც წავეხმარებოდი, სანამ ცოტა რამ შემიძლია. მაგის მეტი არავინ არა მყავს, ეგაა ჩემი ძირიცა და შვილიც...

უკანასკნელი სიტყვები ვახტანგ პეტროვიჩმა უჩვეულოდ ყრუდ წარმოთქვა.

ნაღზასმა დანამდვილებით არ იცოდა, მოეჩვენა თუ მართლაც ასე იყო, მაგრამ მდივანს თითქოს ხმა უკანაკლებდა.

ვახტანგ პეტროვიჩი ძლიერი პიროვნება გახლდათ და როგორც ასეთს სისუსტეებიც ძლიერი მოსდგამდა. მისი მთავარი სისუსტე კი ლიკა იყო. მუდამ მოუცლელი მამისა და მოქარაფშუტო დედის ხელში ერთადერთი ქალიშვილი ისეთ თავნება არსებად იქცა, რომლისთვისაც საკუთარი სურვილი დიდზე-დიდ უმრავლესობაში ქვეყის მთავარ განმსაზღვრელს წარმოადგენდა.

— როგორ მოგეწონა ჩემი ლიკა? — საოცარი დოსტორობით კითხა ვახტანგ პეტროვიჩმა მალხაზს და თვალბეში ჩააჭტრდა.

მალხაზი დაიბნა. ვერ გაეგო, აფექტის ქვეშ მყოფი მდივნის ზედმეტმა გულუბრყვილობამ დაასმვეინა მას ეს კითხვა, თუ ამ რთული ბუნების კაცის შორსგამიზნულმა, თავხედობამდე მისულმა სიომამამე.

— ბრწყინვალე ქალიშვილია, მაგისტნას სად ნახავ. — დაჯერებით მიუგო მალხაზმა.

ვახტანგ პეტროვიჩი ერთბაშად გამხიარულდა. კედელთან მივიდა. ერთი ყველაზე უფრო ლამაზი თოფი ჩამოიღო, ორივე ხელით მალხაზს გაუწოდა და ზეინურად უთხრა: — „სამრგოლიანია“, ზაურისა, შენი ფეშქაში იყოს, ჩემდა სახსოვრად გქონდეს, საღამოთი ჩემი შოფრის ზღლით გამოგიგზავნი.

სადილმა ხალისიანად ჩაიარა.

პირველ ხანებში მალხაზი მორცხვობდა, მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩის გამომგონებლობამ და ხალისიანობამ მაინც თავისი გაიტანა. მდივანმა, რომ იტყვიან, „აიწყვიტა“: ისეთი სადღეგრძელოები თქვა, იმდენი იხუმრა, თვითონაც იმდენი დალია და ქალებსაც იმდენი დააღვინა, რომ სუფრაზე გაუთავებული სიცილ-კისკისი იდგა.

მალხაზმა ერთი ახალი ნიშანიც შეამჩნია ვახტანგ პეტროვიჩის ქცევასა და ლაპარაკს: იგი ოდნავაც არ ერიდებოდა მლაშე ან ორზაროვან გამოთქმებს და ხანდახან ისეთ სიტყვას თუ ანეგდოტს ჩაურთავდა, მალხაზს ყურის ბიბილოები უწითლდებოდა. ჭაბუკს არც კი წარმოედგინა, რომ მღვანე ბილწსიტყვაობის ასეთი მოყვარული იყო.

როცა ვახტანგ პეტროვიჩმა დაატყო ესლაკი დრო დადგაო, შინამოსამახურე გოგოს საიდღანაც წინაწარ შეგულებული გიტარა მოატანინა და მალხაზს საზეიმოდ გადასცა.

ქალები პირდაღებულები შესცქეროდნენ მალხაზს, რომელიც აქამდე მათ წარმოდგენაში მხოლოდ და მხოლოდ გამოუსვლელი, პროვინციული ჭაბუკი იყო. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ ამ „უტუ“ ყმაწვილს, როგორადაც იგი მიაჩნდათ, ასეთი საოცარი მუსიკალურობა და დახვეწილი გემოვნება აღმოაჩნდებოდა.

ბოლოს, როცა მალხაზმა მისი რეპერტუარის გვირგვინი, ძველებური რუსული რომანსი — «Мы вышли в сад». იმღერა, დიდი კაცის ცოლმა ცრემლები წამოყარა, აკადემიკოსის მეუღლემ აღტაცებისაგან ტაში შემოჰკრა, ხოლო ვიოლა ლიკა მალხაზს გვერდით მიუსხდნენ და სიმღერაში შეემშველნენ. დედაშვილს საქმოდ კარგი ხმა და ჩინებული სმენა აღმოაჩინ-

დათ. მათ წყალობით ისეთი „ტრიო“ შეიქმნა, ვახტანგ პეტროვიჩმა ტაშის რტყმევისაგან ხელები დაიწითლა და სულ „მისს“ გაიძახოდა.

საღამოს დასასრულს, მდივანმა მალხაზის სადღეგრძელო რომ შესვა და დიდი ამბითაც „გააფორმა“. ვითომ სხვათაშორის დააყოლა: მალხაზი მშვენიერად იცნობს აქაურ სიძველეებს. მოდით, ვიზოვოთ, უახლოეს ხანში ექსკურსიაზე წავიყვანოს, სამების ისტორიული ძეგლები დაგვათვალიერებინოს, თანაც თავის სახლშიც დაგვაპატივოს, ამბობენ, მშვენიერი თავკვერი აქვსო...

— თუ გიტარას წამოიღებს და იქაც იმღერებს, წამოვალ ისე, არა! — თქვა ლიკამ და მსუქნად გააბოლა.

— მეც! — თქვა ვიოლამ და თმები შეიფაფუკა.

— ოღონდ თქვენ წანობრძანდით და თვითეულ ციხესთან, თვითეულ ტაძართან, თვითეულ ნიშთან გიმღერებთ! — მალხაზი გულით იღიმებოდა, თან პატარა ჭიქიდან კონიაკს წრუპავდა.

— Нет, он мне определенно нравится, — გადაულაპარაკა დიდი კაცის ცოლმა აკადემიკოსის მეუღლეს.

— Да, есть в нем какое-то обаяние.

— დაეთანხმა აკადემიკოსის მეუღლე.

— И непорочная деревенская сила.

— დაუმატა დიდი კაცის ცოლმა, წამოიწია და სრულიად უმიზეზოდ ვიოლას ლოყავ აკოცა. ვიოლას არ გაქვირვებია ეს მრავლისმთქმელი ამბორი. დობილს სათნოდ გაუღიმა და თავისი თლილი თითები თმების ქვეშ შეიცურა, ვარცხნილობა აიფაფუკა.

• • •

მალხაზის შინაარსი მოლოდინის საწინააღმდეგოდ, რაიკომის ბიუროს სხდომაზე არა თუ მშვიდობიანად, რაღაც განსაკუთრებული სიამტკბილობითაც კი ჩაიარა.

ვახტანგ პეტროვიჩმა ისე მწყობრად, ისე გააზრებულად ამცნო ბიუროს წევრებს მალხაზის მთელი წარსული, ისე წამოსწია მისი საზოგადოებრივ-სამსახურე-

ბრძოლი საქმიანობის თუ პირადულ-ადამიანური თვისებების „ზოგიერთი მხარე“, ისე დაახასიათა მისი „მოღვაწეობა“ ჯერ სამინისტროში, ხოლო შემდეგ სამების სკოლაში, რომ ქაბუკის რაიონში ჩამოსვლა ნამდვილ პატრიოტულ ნაბიჯად, „პატრული და მოქალაქეობრივი სულისკვეთების უმაღლეს გამოვლინებად“ წარმოადგინა.

მალხაზის, როგორც ისტორიკოსის, ფართო ერუდიციანე ილაპარაკა, მის დისერტაციაზეც თქვა ორიოდე სიტყვა, თემა მოუწონა, სამინისტროს პარტიზუროს წევრად ყოფნაც გაუსხენა, რაღა თქმა უნდა, არც ადგილობრივი კადრების აღზრდის საჭიროება დაივიწყა და ყოველივე ამის შემდეგ იმისთანა გზებით მოუწოდა რაიკომის ბიუროს ავტოტაქსი-პროპაგანდის განყოფილების გამგედ მალხაზ ზენკლიძეის დანიშვნა, ბიუროს წევრებს რომ შეაძლებოდათ ერთს კი არა ორივე ხელს აუწვევდნენ ამ შესანიშნავი ახალგაზრდისა და, რაც მთავარია, ადგილობრივი მკვიდრის განყოფილების გამგედ დანიშვნას.

მთელს რაიონში ერთბაშად გახმაურებული ეს დანიშვნა ოთხშაბათს, ნაშუადღევს მოხდა.

პარასკევისათვის საორგანიზაციო განყოფილებამ მალხაზი თბილისში დაიბარა.

იმავე დღეს ცენტრალური კომიტეტის ბიურომ იგი განყოფილების გამგედ დაამტკიცა.

ფრთხილად მუშაობით დაბრუნდა სამუშაოზე ზენკლიანთ ქაბუკი და ამჯერად მართლ დედას კი არა, მამასაც გადაეხვია. გოდერძის თვლები დაუწყვილიანდა, ჯერ არ ახსოვდა, რომ შვილს მისი კოცნა მოეწადინა.

კიდევ ერთი დღის შემდეგ, ვიერა საღამოს, მალალო და გოდერძი რაიკომიდან გამოგზავნილ გადახურულ „ვილისში“ პურმარილს აწყობდნენ „ექსკურსიაზე“ მიმავალთათვის.

მალალომ წინდლით გამოცხობილი ქაბუკი და ნაწუქები გაქათათებულ სამზარეულო პირსახოცებში გაახვია და ხალჩის ძველებურ მაფრანგაში ჩადო. რბილ ზიმილებში ცივად მოხარშული დედლები, ტაბაკად შემწვარი ვარიცხები, ბოლში

გამოყვანილი ლორი, ქინძმარში ჩადებული ლოქო, სამწვადედ გამზადებული ბასტურმა და ერთი კვერეული გუდის ყველი ჩაალაგა-ნერე წინულ კალათებში სხვადასხვა მწვინეულით სავსე ქილები ჩადგა. ქილებს ზემოდან სარქველიანი თიხას ქვაბუნები დაადგა, ნივგზიანი ლობიოთი, ძმარგამჯდარი დანდურით, ვრბოკვერცხში შემწვარი სატაცურით, შევსებული ლანძალით. ქილებსა და ქვაბუნებს შორის ლავაშები, შოთი პურები და ჭადპურები ჩააწყო.

თუმცა მთელი ეს ხორაგეული ბარემ ოც კაცს დააპურებდა, მალალოს მაინც ეცოტავებოდა იგი.

სწორედ ასეთი გემრიელი თადარიგიათბისა და უმურველობისათვის უყვარდა რაიკომის მდივანს მალალო. მის შემწვარ-მოხარშულსაც სულ სხვა გემო აქონდა. ისე შეეკამავდა საქმელს სანულებლებით, უბრალო ლობიოზედაც რომ გადაეტარებინე, თითებს ჩაიკვნიტდა.

— დედაკაცო, შენა ვენი სვავები ხომ არა გგონია? — ქეროს ფხანით ეკითხებოდა ცოლს მისი სამზადისის შემყურე გოდერძი. — შორს კი არ მიდიან, აქვე აგულენ სამწვერისშია და ვახშობისას უკანვე მობრუნდებიან.

— სადაც არ უნდა მიდიოდნენ, საგზაოლი კარგი უნდა გავატანოთ, დამიჯერე, ეგა უბრალო წასვლა არ უნდა იყოს...

— უბრალო რომ არ არის, მაგას შევა ვზვდები. აბა, სადა აქვს რაიკომის მდივანს იმდენი დრო, თავის ხელქვეითებთან ექსკურსიებზე იაროს.

სულ ბოლოს, გოდერძიმ თავისი ნაქები თავვერით ავსებული ტიკტორა გამოიტანა და შოფრის გვერდით ფრთხილად დადო. მერე მანქანის კარების კაუჭზე ტალოს პატარა ტობრაკი ჩამოჰკიდა, ყანწებით, თასებით, ძველებური კულითა და ვერცხლის აზარფემით. სკამის სახურგეზე დაკრებულ აბგაში ორნახადი არაყი ჩაუდგა, მწვანე შუშის ძველებურ კვარტიანში ჩახხმული.

— ბიჭო, — წარბის აწივით უთხრა მან შვილს, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებდა მთელ ამ მზადებაში

და მხოლოდ ახლა ჩამობრძანდა კიბეზე, — როცა სმას დაიწყებთ, ამ არაყით დაიწყებთ, მინდორში აგრე უნდა...

— დედა გენაცვალოს, — ჩაერია ნაღლო — ქოთნები არ გადმოგიპირქვევდეთ. იქაცა, მინდორშია, არაფერი დაგრჩეთ...

— გაამოთ. — ზურგზე ხელი დაჭკრა გოდერძიმ შვილს და მძლოლს შეუხმინა: — აბა, კეთილად გველოთ...

დიდხანს გახცქვროდა თავ-თავის ფიქრებში წასული ცოლ-ქმარი მწვანე ორლობეში მიმავალ ავტომანქანას, ოდრო-ჩოდრო გზაზე დინჯად რომ ქანაობდა.

— ისეთი გუმანი მაქვს, რომ იმ შენს პეტროვიჩსა ჩვენი ბიჭის სიძობა გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს. რას იტყვი? — ნალალო იქით გააყურებდა, სადაც „ვილისი“ გაუჩინარდა.

— ეგა, აგრე უნდა იყოს, მაგრამა ვერაფერი დიდი ბედენაა...

— რატომაცა, კაცო, რატომაცა, ბიჭს გზას გაუკაფავს, ცხოვრებაში შეეშველება. შემძლე კაცია, ძალაც შესწევს, ეგ არის თუ ქალიც ვარგობს...

— ჰოდა, მეც მანდა ვარ. ქალი თუ ვარგობსო! მაგისთანა წიწაკის ბარიშებესა ერთი ჩვენებური, სამეხური ღონიერი გოგო მირჩვენინან. ბარტყებსაც კარგს დაჩვეს და ოჯახსაც კარგად დაუტრიალდება ქალაქელი ქალები კი იშვიათად რომ ვარგოდნენ. შრომა უჭირთ, ჯაფას ვერ იტანენ, ჩემგან არ გესწავლება...

— მართალი ბრძანებაა, განა არა. მაგრანა, ახლა სხვა დროა. ჯანით ღონიერი, ცხოვრებაში შეიძლება სულაც უღონო ვამოდგეს. ეგ წენიკი გოგონები კი ზოგჯერ ისეთი მამაძაღლები გამოდგებიან, ქმრები სულ მინისტრებში გააყავთ.

— კარგად იყოს და არც მაგის მინისტრობა მინდა და არცა მდივნობა. ერთი ბიჭი გყავს, გავიტანთ როგორმე თავსა. საფუარიც იმდენი შეგვრჩენია, ყუათი არ მოვაკლოთ...

— ეგ ხომ აგრეა, მაგრამა პეტროვიჩისავით ხელშემწყობიც რომ ვყოლოს, განაცუდი იქნება? აღმასივით კაცია, რასაც მოიწადინებს ისეთ ცეცხლს შეუნთებს ხოლმე...

— ჰოდა, მეც მაგის შემინან... ცეცხლისაგანა შორს უნდა იდგე. ძალიან ახლო რომ მიხვიდე, დაგწვამს. ცეცხლსა ზომიერება სჭირდება, არც ძიენ შორსა და არც ძიენ ახლოსა...

— თითონ იცის, ენაცვალოს დედაი, თუ უჯობს, მოიყვანს, თუ არა და, სხვას მონახავს...

— ეგა ხომ აგრეა, მაგრამა სწორედ მაგასა ვივით: მაგისთანა არჩევანსა ჭკუა უნდა. ეყოფა კია თავისი?

— თუ აქამდე ვყო, ვითომ ამას იქით რატომღა დააკლდება?..

— ეეჰ, კარგი ერთი და! — გაბრაზდა მოულოდნელად გოდერძი. კაცი ვერ გაიგებდა რატომ გაგულისდა ასე რიგად ზენკულიშვილი, მაღალის ხომ ისეთი არაფერი უთქვამს?..

ამ დროს ორი ავტომანქანა სამწვერისისაკენ მიჰქროდა.

წინ „ვოლგა“ მისრიალებდა, უკან „ვილისი“ მიჰყვებოდა.

წინა მანქანაში, მძღოლთან, დიდი კაცის ცოლი იჯდა, უკან კი აკადემიკოსის მეუღლე და ვიოლა. „ვილისში“, ტიკტორის გვერდით, ვახტანგ პეტროვიჩი გაჯგომულიყო, მიმადლო თაროზე მალხაზი და ლიკა იყვნენ შესკუპებულები.

ჯერ ბადებში ჩაფლულ კეხიჯვარს ჩაუქროლეს, მერე ვეებერთელა კაკლის ხეების ჩრდილში შეყუჟულ სანებელს. მალხაზი დიდხინის უნახავ ნაცნობივით შეხარობდა ტოტებგანიერ კაკლის ხეებს. კეხიჯვარისა და სანებლის ნაირ კაკლებს იგი ჯერ არსად შესვედროდა, მათ ჩრდილში ბარემ ორი რქამრავალი ნახირი დაეყრებოდა. ამ არე-მარეზე მისთვის ყველაფერი ნაცნობი და მშობლიური იყო, ვინ იცის რამდენჯერ დაუეცავს ფეხით სამებიდან სანებელში მიმავალი ეს გზა.

მაკინეს წისქვილთან პირი ჩრდილოეთისაკენ იბრუნეს, ურწყავ ფერდოს და ხრიოკებად ქვეულ მთა-გორებს გადაუარეს და მტკვრის გადასახედს მიადგნენ.

მათ წინაშე სილამაზით ქებული ქართლის ველი გადაიშალა.

აჰ, მტკვრისკენ დაქანებულ ერთ-ერთ ციცაბო ფერდოს თავზე სამწვერისის არც

თუ დიდი მაგრამ საოცრად მწყაზარი, ნამდვილად დიდებული ტაძარი იყო აღმართული.

შესაძლოა კუთხური მიკერძობის ბრალიც გახლდეთ, მაგრამ მალხაზი, როცა კი შემთხვევა მიეცემოდა, სულ იმას ამტკიცებდა, რომ ნაკეთთა შესამების თვალსაზრისით სამწვერისის ტაძარს მთელს საქართველოში ბადალი არ მოეპოვებოდა.

ახლაც აღერსით შეავლო თვალთა მიჯრით შეწყობილ თლილ ქვებს, საოცარი რსტატობით რომ იყვნენ ერთმანეთთან შეტყუებული. თვითთული ქვა უსულთ ტინად კი არ იკითხებოდა, სულიერსა ჰგავდა.

მალხაზმა იცოდა, საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი: თუ პირით სამწვერისის მთის ძირას ჩაწოლილი ქართლის ბარისკენ დადგებოდი და ტაძარს ისე გახედავდი, მუქმოყვითალო ფერგადაკრული ეს შენობა ისეთი დიდებული და ზეადმტაცი წარმოგიდგებოდა შორეული მთების მუქლურჯსა და მტკვრის ზეობის მუქმწვანე ფონზე, პირდაპირ ჰქონოქვა შეგვერებოდა. ამიტომ იყო, რომ მალხაზმა სანებლის გზა აირჩია და მანქანები სამხრეთის მხრიდან მიიყენა.

მიუხედავად იმისა, რომ სამწვერისის ტაძარს ზედმიწევნით იცნობდა, ძველის ამნებების ისტორიაც კარგად იცოდა და მიაკოქამიც საკმაოდ ერკვეოდა, მალხაზი ამ დღისათვის მაინც საგანგებოდ მოემზადა. და ეს არც გასჭირვებია, რადგან სამუბის რაიონში მყოფ ისტორიულ ძეგლებზე დიდძალი მასალა ჰქონდა გადაკითხულიც და შეგროვებულიც; ამ მასალათა ნაწილის დისერტაციისათვის გამოგენებასაც კი ვარაუდობდა.

წასვლის წინ მალხაზმა კიდევ ერთხელ ჩაიკითხა ჩუბინაშვილის, სევეროვის, ბერიძის წერილები სამწვერისზე, რათა რაც შეიძლება საინტერესოდ და მიმზიდველად გაეცნო თავისი სტუმრებისათვის ამ დიდებული არქიტექტურული ნაგებობის წარსულიც და ხუროთმოძღვრული მნიშვნელობაც.

მაგრამ როგორი იყო ჭაბუკის გაწბილება, როცა ვიოლან, დიდი კაცის ცოლმა და S. „მნათობი“ № 1

აკადემიკოსის მეუღლემ მხოლოდ მის ორადე წინადადებას მოუსმინეს, მერე კი ტაძარს ზურგი აქციეს, ერთმანეთს ხელკავი გაუყარეს და მთის ფერდოსკენ გაეშურნენ. იქ კბოდეს თავში, პირით მტკვრისკენ ჩამოსხდნენ თუ არა, მაშინვე რაღაც ცხარე საუბარი გააბეს.

ისეთი გაშმაგებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თითქოს მთელი საუკუნე მუნჯად ისხდნენ ცხრაკლიტულეში და ახლამ მუსაიფით ცდილობდნენ დაკარგული დროის ანაზღაურებასაც, ლაპარაკის შიმშილის დაკმაყოფილებასაც.

ერთგულ მსმენელებად მალხაზს ვახტანგ პეტროვიჩი, ლიკა და ორი შოფერილა შერჩა. შოფრები ყურადღებას ძაბადენ, მაგრამ სახეებზე ეტყობოდათ, რომ ძალზე უჭირდათ ნათქვამში ჩაწვდომა. არც გაენიტყუნებოდათ, საქართველოს ისტორია უცხო ხილი იყო მათთვის.

ვახტანგ პეტროვიჩი დაბნეული ჩანდა. იგი თითქოს აქ იყო, და არც იყო. ეტყობა, მისი ფიჭვი სულ სხვაგან ჰქროდა. მალხაზმა შეამჩნია, რომ მდივანმა ერთი-ორჯერ დაამთქმარა კიდევ. ჭაბუკი მიხვდა, მდივანი მხოლოდ ხათრისათვის უსმენდა მას, თორემ ინტერესი არაერთი არ გააჩნდა.

რამდენადაც ეს გასაკვირი არ ერგნა, ერთადერთი, ვინც დაუფარავი ყურადღებით უსმენდა ლიკა იყო.

იგი თავისი მაყვალვიით შავი თვალებით, გიშრის მარცვლებივით რომ უბრწყინავდნენ შესიებული ქუთუთების ქვეშედან, დაკვირვებით გამოსცქეროდა მალხაზს და სახეზე ემჩნეოდა, რომ დიდის გულისყურით უსმენდა.

მზე ჩასავალზე იყო.

დრო და დრო ქვენა ქარი წამოიქროლებდა და შავი ზღვიდან წამოღებულ სიგრილეს თრიალეთის ორწოხებში ტალღებად მიმოაფრქვევდა.

ჩრდილოეთით, მტკვარს გაღმა, კავკასიონის ლანისფერი ქედები ჩანდა. მარჯვნივ მყინვარწვერის თეთრი ქუდი ელვარებდა, მარცხნივ კი იალბუზისა.

სამწვერისის ნახევრად აჩეხილი ვერხვის ჭალა ისე იყო მტკვრის მოსახვევში

გაზიდული, გეგონება სწორედ იგი უცვლი-
და გეზს მდინარეს და ჩრდილოეთისაკენ
ახვევინებდა.

შორეულ კალთებზე სოფლები შეფენი-
ლიყვნენ: ალი და მოხისი, დირბი და აბი-
სი, ბრეთი და რუისი...

მალხაზმა თხრობა დასვლეთის კედლი-
დან დაიწყო. იგი ჩამავალი მზის სხივ-
ებით იყო განათებული. კედლის ქვებს
უდაბნოს ქვიშისფერი დასდებოდა.

მალხაზი თან ლაპარაკობდა, თანაც პი-
რისპირ მდგარ მდივნის ასულს უჭვრეტ-
და.

მას მზე ზურგის მხრიდან სცემდა, ამი-
ტომ ჭაბუკს ქალის სახის ნაკვეთების ვარ-
ჩევა უჭირდა. მაგრამ მისი მოქნილი, ლა-
ღად ამოლტილი ტანი ისე მკვეთრად ისა-
ტებოდა ცის კიდურზე, რომ ლიკას ხვეუ-
ლის თვითველ ხაზს საოცარი მკაფიოობა
შესტენოდა.

ერთი ხელით დოინჯი შემოედგა, მეორე-
ში დაჭერილი ხელჩანთა ფეხის წვივზე მი-
ეხრინა და მოხალისე ექსკურსიამძღოლს
თვალს არ აცილებდა დრო და დრო ხელ-
ჩანთას წვივს გააკრავდა, გააქანებდა, მერე
კვლავ ქანდაკებასავით უმოძრაო ხდებო-
და.

ახალგაზრდა ლამაზი ქალის გულწრფე-
ლმა ინტერესმა გააფხიანა მალხაზი, უფ-
რო შთაგონებული და მეტყველი გახდა.
ლიკა რომ არა, ქალბატონ ვიოლასა და
მისი ყბედი დობილების საქციელი, ალბათ,
მთლად დაამუნჯებდა თავმოყვარე ჭაბუკს.

მაგრამ ასლა, როცა ეს მომხიბვლელი
ასული ასეთი ერთგულებით უსმენდა მას,
მალხაზს მთლად მიაღწევდა არა მარტო
გაზულუქებულ მანდილოსანთა დაუფარავი
უყურადღებობა, არამედ თვით პირველი
ნდივანიც, მოწყენილად რომ შეკვარებდა
თხრობით გაფიცებულ ჭაბუკს და სახეზე
მხოლოდ ერთი წადილი ეწერა: მალე დაშ-
თავრებულყო გაჭიანურებული ლექცია.

ბოლოს, ვახტანგ პეტროვიჩმა ვეღარ
აიტანა მალხაზის ხელოვნებათმცოდნეობი-
თი შეგონებანი, მძღოლებს რაღაც მოკ-
ლედ გადაულაპარაკა, ხელები უკან შემო-
იწყო და უდარდელი ნაბიჯით იმ ბორცვის-
კენ გასწვია, სადაც ტანშესუქებული მანდი-

ლოსნები ბალახზე წამოშვდარიყვნენ და
რაღაც სადაო საგანზე გაცხარებით კამა-
თობდნენ.

ვახტანგ პეტროვიჩს შოფრებიც მიჰყე-
ნენ. ალბათ, მდივნის განკარგულების შესა-
სრულებლად აჩქარდნენ. მალხაზი კარგად
ხედავდა როგორ აფუსფუსდნენ ისინი თა-
ვიანთ მანქანებთან.

ერთმა მათგანმა, ხორაგველი გადმოა-
ლაგა და ბალახოვან მდელიოზე სუფრის
გამლა დაიწყო. მეორემ კი, იჭვე, მახლო-
ბლად, წინასწარ მომარაგებული შეშაი
ცეცხლი გააჩაღა მწვადების შესაწვავად.

მალხაზი და ლიკა მარტონი დარჩნენ.

ჭაბუკს ვერ გაეგო წინასწარ მოფიქრე-
ბულ გეგმის თანახმად აღსრულდა ყოვე-
ლივე ეს, თუ შემთხვევით მოხდა.

მდივნის ასული ისეთი ქალი არა ჩანდა,
რომ შშობლების მიერ წინასწარ შემუშ-
ვებული გეგმით ემოქმედა. ეტყობა, მან
თვით იგრძნო რაღაც ინტერესი ლექციისა
თუ ლექტორისადმი. ამიტომ თუ იყო ასე-
თი თვინიერი და ყურადღებიანი.

ამის გაფიქრებამ სიხარულის მიწაგვარი
კმაყოფილება აგრძნობინა მალხაზს და ლი-
კასადმი, რაღაც აქამდე განუცდელი სწრა-
ფვა აღუძრა. მან უფრო მეტი დაკვირვე-
ბით დაუწყო თვალთვალი მომხიბვლელ
ასულს და რაც მეტად აკვირდებოდა, მით
უფრო მოსწონდა იგი.

მდივნის ქალიშვილი ამჯერად, მართ-
ლაც, მეტად ლამაზი ჩანდა.

ხშირი წამწამებით დაბინდული და მაც-
ვალივით შავი მისი თვალები ისეთი ნაკე-
რწყლიანნი იყვნენ, ისეთ აღმგზნები სა-
დუმლოებით გამოსცქეროდნენ ჭაბუკს რომ
მალხაზს მთელი ამ ხნის განმავლობაში
პირველად აუფართხალდა გული.

— მართლაც, რა იქნება, რომ... — იწ-
ყებდა ფიქრს მალხაზი, მაგრამ საფიქრალს
ვერ ამთავრებდა. როდის როდის, რო-
გორც იქნა, გამოიკვირტა აზრი: — ხოჰ,
ცხადია მაგის დედ-მამას სწორედ ეგ უნ-
და... ეგება, თვით მასაც? მამ, რატომ უნ-
და ვერა ხელი კარზე მომდგარ ბედს? ვა-
ხტანგ პეტროვიჩს ბევრი რამ შეუძლიან,
მაგის წახმარებით, ვრიააა, რამდენ რამაზ
შეიძლება მიაღწიოს კაცმა.

— ძალიან კარგი თხრობა შეგძლებიათ. — უთხრა ბოლოს ლიკამ, — მე არც კი წარმომედგინა, რომ ისტორია შეიძლება ასეთი საინტერესო ყოფილიყო... გტყუობა საგანიც იცით და გიყვართ კიდევ.

— მე თქვენმა ყურადღებამ წამახალისა...

— შეჯავრება იაფი ქათინაურები. — წარბი შეიკრა ლიკამ.

— საერთოდ, თუ ნხოლოდ იაფი?

— ჭკვიანური ყველაფერი კარგია.

— ძაგებაც?

— ვე არ მითქვამს. მაგრამ უკულო და უაზრო ქებას, ისევე ჭკვიანური და სამართლიანი გაკიცხვა შირნივნიან.

— ვეცდები გავითვალისწინო.

— რა უნდა გაითვალისწინო?

— უსამართლო ქებაზე მეტად სამართლიანი გაკიცხვა რომ გყვარებით.

— მაგის გათვალისწინებით თავს ნუ შეიწუხებთ, მე არც ერთის უფლებას მოგცემთ და არც შეორისას.

— კი, ბატონო, — დაიხია უკან მალაზმა, — რაც არ გინდოდეთ, ღმერთმა ნუ მოგცემთ!

— არც ვე ანდაზა მომწონს.

— რა არის მასში ცუდი? თუ რაიმე მართლაც არა გწადაიათ...

— მაინც არ მიყვარს. წყველასა ჰგავს.

— ეკლიანი რომ ხართ, ამას ადრეც ნივხვდი. ანაში თქვენთან იმ დღევანდელმა სტუმრობამაც დამარწმუნა, მაგრამ ერთი მაინც ვერ გამოვიცა...

— მხოლოდ ერთი? ყოჩაღ თქვენ. სხვებს მეტი უცნობები გააჩნიათ განტოლებასში...

— არსებული კანონების მიხედვით, თქვენ არ უნდა იყოთ არც ღვარძლიანი, არც უკმაყოფილო და არც შურიანი...

— ვითომ რა კანონების საფუძველზე უნდა იყოს ვე ასე?

— ლამაზი გარეგნობის, კარგი განათლების, შეძლებული ოჯახისა და მალალო საზოგადოებრივი ინდგომარეობისა გამო...

— ოპო, პო, პო, — ხელები ყურებზე აიფარა ლიკამ, — რა აუტანელი ყვავილი...

ვანება და რა შესაზარი პროვინცილიზმი, ნუთუ თითონ არაფერი გეხანუმათ?

— მე შინაარსი, ესე იგი პრიბლემა უფრო მაინტერესებს, ვიდრე გამოხატვის თუ გამოთქმის ფორმა...

— ჭკვიან, ზრდილ კაცში ესენი არც უნდა ცალცალკედებოდნენ, ეს ერთი, მთლიანი, განუყოფელი უნდა იყოს, გააგეთ?...

— ესე იგი, თქვენის აზრით, მე ჭკუაც მაკლია და ზრდილობაც?

— ვე ჯერ არ მითქვამს, საკმაოდ არ გიცნობთ, მაგრამ...

— რა მაგრამ? — რიხი მოიცა მალაზმა.

მდგომარეობა არასახუმაროდ დაიძაბა, ორივე შიშობდა, ვაი, თუ იღუმალი სურვილები ჩემდა უნებლიედ გავამხილოვო და იმაზე ნეტად „უტევდა“ მეორეს, ვიდრე ეს აუცილებელი იყო, ანდა თვითონ სწადადა.

სწორედ ამ დროს აფოფრილ ქალ-ვაგს ვახტანგ პეტროვიჩი მიუახლოვდა. მდივანი კმაყოფილი ჩანდა. იგი მხიარულად იღიმებოდა და ხან ერთს აშტერდებოდა ეშმაკური გამოშტყვევლებით, ხან მეორეს.

— შეიძლება შევიტყო რაზე კამათობთ?

— გემოვნების საკითხებზე. — მოტრით და მხრების აჩქევით მიუგო ლიკამ.

— ოოო, — დამანჭა სახე ვახტანგ პეტროვიჩმა, — რომელსაც არცა სწამდა და არც უყვარდა ქალ-ვაგს შორის რთული და ღრმა საუბარი.

— ჭირვეული გემოვნება ისევე კაცის გამოგონებული ცრუ ღმერთია, — ხელის მალა შემართვით თქვა მან, — რომელსაც კაცობრიობისთვის ყველაზე დიდი უბედურება მოაქვს. იცით, ქემშარიტი გემოვნება რაში მდგომარეობს? შეეწყო, შეეგუო, შეეთვისო სწორედ იმას, ვისაც „საჭირო არს“, ან რასაც „ჯერ არს“. ესე იგი, ვისთანაც შეწყობას თვით საქმე მოითხოვს, კაცის ბედი მოითხოვს, რაიმე დიდი ამოცანა ან სასიცოცხლო მიზანი მოითხოვს. მაგრამ ამ სიბრძნეს, სამწუხაროდ, მხოლოდ სიბერის კარზე შევიცნობთ ხოლნე, როცა ბევრი რამ, მათ შორის ადამიანებთან ურთიერთობა ისე რიგად გადაწყ-

ვეტი აღარ არის, როგორც ნაადრ სიჭამეუკეში.

— ეგ სიბრძნე კი არა, უპრინციპობაა, — ლიკას ხელჩანთა კისერზე ჩამოვიკიდა და თითებს დოლივით უბრაგუნებდა.

— თქვენც აგრე ფიქრობთ, როგორც ჩემი ჭირვეული ქალიშვილი? — დიმილით მიმართა მალხაზს ვახტანგ პეტროვიჩმა.

— აბა, რა მოგახსენოთ, მე ფიქრობ რომ...

— ეს კაცი თავისი ბუნებით დიპლომატია, მაგრამ ამ სიტყვის ცუდი გაგებით. — ლიკა თამამად შესცქეროდა მალხაზს. — სწორედ ასეთები ხდებიან შემთანხმებლები, მასწავლებლების დამამხრავლებლები, მწვევე პრობლემებით შემარბილებლები და პგონიანთ, რომ თავიანთი უკბილოებით, უხერხელოებით კაცობრიობისათვის სიკეთე მოაქვთ!..

— ეჰ, ჩემო კარგო, რა ადვილად გამოგაქვს მსჯავრი, — დანანებით წარმოთქვა ვახტანგ პეტროვიჩმა.

— ეგ წმინდა ქალური თვისებაა. — მხამიანად ჩაურთო მალხაზმა.

— მალხაზ, ახლა ეს მითხარი, მოგშეგდა თუ არა?

— ძალიან! — გადაიხარხარა მალხაზმა.

— მეც! — შეჰყვირა ლიკამ.

— მეც! — კიდევ უფრო ხმამაღლა დაიძახა მდივანმა და შეუვალად დააყოლა: — ჰოდა, რახან ასეა, მწვეადებისაკენ ნაბიჯით იარ!

ვახტანგ პეტროვიჩი ორთა შუა ჩადგა, ახალგაზრდებს ხელები იდაყუებში წაატანა და კოცონისაკენ გააქცუნა.

ასალაშურდა.

ახლო-მახლო სოფლებში, ცაზე გაბნეულ ვარსკვლავთა მსგავსად ელექტრონათურები აციმციმდნენ. ყველაზე მეტ სინათლეს აგარა აფრქვევდა, იქ შაქრის ქარხანა ბდღვრიალებდა. უფრო შორს, ცისკიდური შეწითლებული იყო, ეს ხაშურის ლამპიონები კიაფობდნენ.

ზეცის თავანი ჯერ კიდევ მჭრქალი ჩანდა, ამიტომ მნათობნი მთელი ძალით ვერ აკაშკაშებულყვენ.

დასაგლეითი, იქ, სადაც მთვარე უნდა

ამოსულიყო, ზაზა ფანასკერტელის ციხის უზარმაზარი კედლები ზღაპრული ქარაფებით წამომდგარიყვნენ და კარის ვკლუხის ვიწროყელიანი გუმბათი ისე იყო ცისკენ ატყორცნილი, როგორც ღვთისადმი აღვლენილი საგალობელი.

ვახტანგ პეტროვიჩმა ავტომატქანები ერთმანეთის საპირისპიროდ დააყენებინა და ბალახზე გაშლილი სუფრა ორი მხრიდან გაანათებინა. მესამე მხრიდან კოცონის ცეცხლოვანი ენები ცისკენ იწვეედნენ.

ხავერდითი ღობილი სამხრეთული ღამის გრილი ზღონდა სუფრასთან მჯდომი ალერსიანად ესეუოდა და რაღაც თილისმური გრძნობით ნალავდა.

თასებს ყანწები მოჰყვა, ყანწებს აზარფემა, აზარფემას ლიკოლიკა კულა და რაღაც დაუოკებელი გზნებისაგან ფეხზე წამომხტარმა მალხაზმა, გიორგი ლეონიძის ჯადოსნურ ლექსს მყუდროება გააფატკრიხა:

ნინოწმინდა... ბალახები მეფეთა...
გოლიანში — ჯამი აჭაფებელი,
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქლებული...

ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ო, ამ ღამეს როგორ აგეპარიალა
საქართველოს ლექვის შეხანარენი
მისამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

ვახტანგ პეტროვიჩმა გვერდულად გადახედა ყელილოცრებით მჯდომ ქალიშვილს, რომლისთვისაც კოცონიდან წამოსულ მიწითალო სინათლეს სახე შეეფაკლა და ტაკვირვა მისი უჩვეულო მოკრძალებულობა.

მწვერვითი განაბული ლიკა შთაგონებულ სიხით შესცქეროდა მის წინაშე ასეტილსა და განივრად გალაჯულ მალხაზს, რომელსაც კარგად ეხერხებოდა დეკლამაცია, ამჯერად, იგი რაღაც განსაკუთრებული აღმეფრენით კითხულობდა საყვარელ ლექსს.

ლექსს სიმღერა მოჰყვა, სიმღერას ლექსი და თავვევრით ამობოქრებულმა ვნებამ სამწვერვისის მენახებებს ლაგამი წაართვა, ქართული სუფრის მძლეთა-მძლე ემზის მონებად აქცია...

მაგრამ ქართული სუფრის ეშხი სომ ქართულ ქალზედაც არანაკლებ თილისზე-რად მოქმედებს, ვიდრე მამაკაცზე, მით სუფრო თუ სუფრანზე ისეთი ცეცხლისნომ-დები მომღერალიც აღმოჩნდება, ზოგორც მალხაზი იყო...

ვინ იცის, რამდენ ქართველ ლამაზმანს გადაუწყვეტია თავისი ბედი ხანძარივით ააღებული და სასწაულომოქმედი ქართული ნადიმის წყალობით! რამდენს მოჩვენებია ცრუ სიყვარული — ნამდვილ სიყვარულად, ცრუ ადამიანი — ნამდვილ ადამიანად, ცრუ გმირი — ნამდვილ გმირად, არა კაცი — კაცურ კაცად..

იმ გრძნეული დამით მალხაზის სიმღერამ პირდაპირ წამოღო ტალღის ძალა მოცა. ხავერდოვან ღამეში შორე-შორს გაასმოკა მისი რაკარაკა ხმა და კოცონთან მსხდომთ ასე ეგონათ. ამაზე მშვენიერი მთელს ცინკვემეთზე არაფერი მოიპოვება.

გუნეულმა ხალხომ, გულში ჩამწვდომმა სიმღერამ, ღვთაებრივმა თავგებებამ კველა აღაგზნო და ააბრიალა.

ლიკაც მოღმა, ლაფანივით დარბილდა, ხანთელივით ჩაიღვინთა. სიყვარულის წყურვილმა დაბნინდა მდივნის ასული.

და სწორედ მაშინ, როცა დიდი კაცის ცოლმა ვახტანგ პეტროვიჩს რაღაც ლაპარაკი გაუბა, ვიღოა კი აკადემიკოსის მეუღლეს ეკაქტრებოდა, მალხაზმა დრო იხელთა გვერდით მჯდომ ლიკას ღვინით აფორაჯებული სახე მიუახლოვა და ხმამაღლა გადაულაპარაკა:

— მითხარით, ის მსჯავრი წელან რომ გამომოიტანეთ, საბოლოოა თუ არა?

— არც საბოლოოა და არც მართებულნი...

— თქვენ იმდენი დახვეწილი ახალგაზრდა გახვევიათ, რომ მათთან შედარებით მე, ალბათ, ძალიან უხემი ვჩანვარ...

— დახვეწილი ახალგაზრდები? — გადაიკახკახა ლიკამ და თავისი ხშირწამწამა თვალები მალხაზს შეანათა.

— რა, განა სწორე არ არის? განა ბევრი არ გეტრფით?

— ბევრი მეტრფის, მაგრამ ის კი აღარ

ვიცი, მე ვუნდევარ, თუ... თუ მაშინვე დამოყვრება სწადათ...

სვედანარევი, სინანულიანი კილოთი ნათქვამმა ამ სიტყვებმა მალხაზის ძვალ-რბილში ხანჯალივით გაიარეს. ენიშნა, ძალიანაც ენიშნა ჭაბუკს ქალის ჩივილი. ამ უნებლიე აღსარებამ ნამუსის ქენჯანაც აგრძნობინა, ლაპარაკის უნარიც წაართვა და ხალისიც გამოსწურა.

კიდევ კარგი ვახტანგ პეტროვიჩი ფეხზე წამოდგა და თავისი საყვარელი ანდაზა დასტკეპა: — ყველაფერს თავის ბოლო აქვს, ზღვანიც კი დაშრებიანო.

ნადიმი დამთავრდა.

ქალებმა სუფრის ალაგება დაიწყეს. მართალია, გაშლაზე თავი არ შეუწუხებიათ, მაგრამ ახლა, ამოძრავება აუცილებლად ჩასთვალეს, რათა ისედაც გვარიანად შესუქებულ სხეულზე ქონი არ დასდებოდათ.

და როცა შოფრები საჭეებს მიუხსდნენ, რათა მანქანები უკვალო-უბილიყო ფერდობიდან გზაზე გაეყვანათ, როცა ვახტანგ პეტროვიჩი მანქანებს წინ გაუძღვა, რომ ბორბლები არსად ჩაგარდნოდათ, — მალხაზმა დრო იხელთა, გვერდით მიმავალ ლიკას წელზე ხელი ფრთხილად ნიბვია და ახლო მიიზიდა. დიდ წინააღმდეგობას რომ არ წააწყდა, უფრო ღონიერად ჩაბღუჯა, მკერდზე მიიკრა და ისე მაგრად ჩაეხვია, ქალის ძვლებმა ტკაცუნე გაიღეს.

ეს ამბავი განაფხულის მიწურულს მოხდა...

მას შემდეგ ლიკამ სამებაში ჩახვლას უბშირა.

თითქმის ყოველ კვირა-შაბათს იქ ატარებდა. პარასკევ საღამოს მოგრიალდებოდა თავისი ნისლისფერი „ვოლგით“ და ორშაბათამდე სამებაში რჩებოდა. მადლობა ღმერთს, სამებიდან თბილისამდე ორი საათის სავალიც არ იყო.

მდივნის ნებიერმა ასულმა მთელი ის ზაფხულიც სამებაში გაატარა. თუ წინა წლებში ერთ სეზონში ორ-სამ კურორტს იცვლიდა, ხოლო დასვენებას როგორც წესი გაგრაში ამთავრებდა, ახლა ივლის-აგვისტოც სამებაში გაატარა და სულ იმას გაიძახოდა, ამ დალოცვილ სამებას, თურ-

მე, ვერც ერთი კურორტი ვერა სჯობსო. თავისუფალ დროს ლიკა და მალხაზი ერთად ატარებდნენ. ან გოდერძიანთ ახვანზე მდგარ შეზღონგებზე იყვნენ გამოტყელები, ან ვახტანგ პეტროვიჩის მწვანე კონდრიან ქსოში ისხდნენ ვიოლას ჭორიკანა დობილებით გარშემოხვეული.

იმ ზაფხულს „ექსკურსიებიც“ მრავლად მოაწყვეს და ხტუმრიბიც ბლომად მიიღეს.

ვინ იცის, საიდან არ ჩამოუდიოდა ხალხი მარათიან რაიკომის მდივანს. მალხაზს არც კი წარმოედგინა, რომ ვახტანგ პეტროვიჩს ამდენი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდა და ასეთი პოპულარული პიროვნება იყო მთელი „რესპუბლიკის მასშტაბით“.

რომელ მინისტრს გინდა, რომ იგი ახ მოენახულებინა; ის კი არა, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეებსაც არა ერთი დამე გაუთევიათ ძამაზე გადნომყურე სასტუმრო სახლში. შეზობელი რაიკომის მდივნებისგან ხომ მოსვენება აღარ იყო. ისინი ერთმანეთს სამეპელი მდივნის პატივისცემაში ეჯიბრებოდნენ.

მაგრამ მთავარი ხულ სხვა რამ გახლდათ: ისე თვე არ გავიდოდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს სამება არ მოენახულებინათ. აი, მაშინ მართლაც რომ გუვი დღეები უდგებოდა ვახტანგ პეტროვიჩს. ვის ახსოვდა მაშინ მკა ან თესვა, ლეწვა ან რწყვა, კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა! პირველი მდივანი სასტუმრო სახლსა და რაიკომს შორის იყო გზაზე გამოკიდებული და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა კალნახი დროზე დაეჭირათ, ვოჭუბი თონეში წითლად დაებრაწათ, ატკენური დროზე ჩამოეტანათ, სუფრა რაც შეიძლება კოსტად გაეშალათ და სათბურში გაზრდილი მიხაკებიც დაეშვევნებინათ.

მალხაზი ყველა ამ საქმეში ვახტანგ პეტროვიჩის მარჯვენა ხელი შეიქნა.

ავიტაცია-პროპაგანდის განყოფილება გამეც სხვაფრივაც მარჯვე კაცი გამოდგა და პირველი მდივნის საგანგებო დავალებებს ისეთი გულმოდგინებით ასრულებდა, უკეთეს თანაშემწეს მდივანი ვერც კი ინატრებდა. მართალია, მთელს ამ საქმიანობაში შვილზე დიდი წვლილი ისევ გოდერძის შექონდა, მაგრამ განა საქართვე-

ლოში მამაშვილს შორის ანგარიში ოდესმე გაგონილა?

გოდერძი დიდი ხანია კარგად იცოდა, რომ უფროსთა საამებლად გაღებული თანხა, იმაზე მეტ სარგებელს აძლევდა, ვიდრე ყველაზე უფრო სარგებანი საქმეში მისი დაბანდება.

მალხაზი ჩინებული მეგზურიც გამოდგა, მან ვახტანგ პეტროვიჩის სტუმრებს მთელი შუა ქართლი შემოატარა. იგი არც უმალავდა პირველ მდივანს, რომ თავის კაბინეტში ჯდომას და ლექტორიუმის, პარტკაბინეტის, სახალხო უნივერსიტეტის, სემინარების, აგიტპრიგადების ხელმძღვანელობას ისევ სტუმრების მიღება-გასტუმრება ერჩია. „ხალხთან ცოცხალი მუშაობა უფრო ნეხერხება საკანცელარიო საქმეში“ — უყვარდა თქმა მალხაზს.

ერთი-ორჯერ საღრგობო ამქარში დიდი კაციც გაერია და ჭილარა აკადემიკოსაც. ყველა გასეირინება, რაღა თქმა უნდა, გემრიელი პურობით მთავრდებოდა. ნადიშენისათვის სამზადისი ხან მალალოს ველ ვალად, ხანაც რესტორან „დაასხი, დალიც“ დირექტორს, რომელიც სამეპური ჭორების მიხედვით ვახტანგ პეტროვიჩის ყურმოჭრილი მონა იყო.

მალხაზი და ლიკა ყოველ წვეულებაზე ერთად ისხდნენ და ურთიერთ სიხალსოვს არცა ნალავდნენ.

ზენკლიშვილებმაც და ვახტანგ პეტროვიჩის მახლობლებმაც კარგად იცოდნენ, რომ ქალ-ვაფს ცოლქმრობის პირობა ჰქონდა ერთმანეთისათვის მიცემული და სამვიდნომბროდ უნდა ექორწინათ.

მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩმა ამ ამბის გახმაურება მაინც აკრძალა: მალხაზი ჯერ რაიკომის მდივანად უნდა დაეწინაურრო, რადგან დამოყვრების შემდეგ ჩემს რაიონში მის დაწინაურებას ვეღარ მოვახერხებო....

თუ პეტროვიჩიანი არა ჩქარობდნენ, ზენკლიშვილები კიდევ უფრო მეტად ითრავდნენ ფეხს. მალალოსა და გოდერძის ჯერ კიდევ არ მიიჩნდათ საქმე საბოლოოდ და მთავრებულად და როგორღაც იტყეულად შესცქეროდნენ შვილისა და მეტად თამა-

მი სარძლოს არაორაზროვან დამოკიდებულებას.

მაგრამ მოულოდნელად, საფხულის დამლევს, ერთბაშად აწრიალებული ვიოლა, შვილის ქვევასა და გარეგნობაში შემინეული (თუმცა უცხო თვალისათვის ჯერ კიდევ უხილავი) რაღაც ნიშნების საფუძველზე სამსახურიდან დაბრუნებულ ქმარს ქორივით დააცხრა და ქალიშვილის ქორწილის რაც შეიძლება დაჩქარება მოსთხოვა...

ვახტანგ პეტროვიჩი მთელი ის საღამო სასტიკად ბურღავდა ბრახიანი თვალბუთ თავის ერთადერთ ასულს, ხოლო შეზინდებულზე გოდერძიანთ გადაბრძანდა და აქეთურ-იქითურის შემდეგ ქორწილის საოქტომბროდ გადმოტანა მოსთხოვა.

— ჩვენ ორივენი ძველი ხალხი ვარდამიტომ ღვინობისთვის უკეთესი ქორწილისათვის თვე არ გვევლეხა, — დაბეჯითებით ამბობდა მდივანი, თან ქვეშ-ქვეშ მალხაზს ვაცხქეროდა. ვახტანგ პეტროვიჩი ცოტა არ იყოს შემცბარი იყო, რადგან სასიძოს დიდ ხალისსა და სიხარულს ვერ ამჩნევდა. ამან კიდევ უფრო აამღვლეჯარა მდივანი და იძულებული გახადა ნიშნობა ახლავე მოეთხოვა.

დაწინდვა მარიამობადლისათვის დანიშნეს, იგი 28 აგვისტოზე მოდიოდა.

ეს დღე მით უფრო შესაფერისად მიიჩნიეს, რომ ვიოლას ნათლობის სახელიც მარიამი გამოეძგა, „რა კარგი სახელი რქმევია და ნეტავი რად გამოიცვალა?“ — გაცოცხლებული კითხულობდა მალალო.

გულდაძმარებული დაბრუნდა ვახტანგ პეტროვიჩი თავის კოტეჯში: არ ეჭამნიკა მომავალი მოყვრების თავდაპირველი თანხმობა.

— უყურე ერთი ამ ტეტიებს, — ფიქრობდა გაგულისებული მდივანი, — იმის მაგიერ, რომ ცას ეწიონ სიხარულით, ესენი ისე მელაპარაკებინან, გეგონება, აქეთ მიშვებინან წყალობას! იმ ჩემ სულელ გოგოს რა ვუთხარი, ამირია გზა-კვალი... ისე რომ არ მიეშვა მამაძალი მალხაზა, მოზ-

ვერივით რომ გასქელებია კისერი, იცოცხლე დავაოქებდი მანასაც და შვილსაც ვაგრძნობინებდი, ვის რა ფასი აქვს ამ ქვეყანაზე...

მაგრამ ახლა რაღა ქნას! ვახტანგ პეტროვიჩმა — იმ სულელ გოგოს, თურმე, ისე სწრაფად გზადება მუცელი, თუ ჩქარა არ დააქორწინა, ვინ იცის, ვეება...

სამებაში დამკვიდრებული ძველი წესის მიხედვით ვატიანნი ქალიანთან უნდა მისულიყვნენ, სარძლოსთვის ბელგა მიეტანათ და ნიშნობაც ქალის სახლში გადაეხადათ.

მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ძველი წესების შეარღლება სახელს განიტყეს, ჯობს ნიშნობა თქვეთან გადავიხადოთ.

ცოდვა გამხელილი ჯობს: სიღარიბეში გავრდილი ადამიანთა მსგავსად ვახტანგ პეტროვიჩი საკმაოდ ხელმოჭერილი კაცი იყო და ზედმეტ ხარჯებს ცეცხლივით ერადებოდა...

მალალოსა და გოდერძის როდი სწყენიათ ეს წინადადება: ხალხი გაიგებდა, რომ დასაწინდათ ისინი კი არ მიდიოდნენ ქალიანთა, თვითონ ქალიანი მოდიოდნენ მათთან.

ნიშნობას სულ რამდენიმე კაცი ესწრებოდა: ისაკა დანდლიშვილი და სერგო მამაჯანოვი, გოდერძის მხრივ, ბეციკო ცქვიტინიძე და აკადემიკოსის მეუღლე, ქალიანთა მხრივ.

მალხაზმა საპატარძლოს თბილისიდან საგანგებოდ ჩამოტანილი ხუთი ათასმანეთიანი ბეჭედი მიართვა. ახლადშეკერილ შავ კოსტუმში გამოწყობილმა და ყრონტში ყელსაბამწაჭერილმა სამამათილომ კი მომავალ რძალს კისერზე ექვსიათასმანეთიანი გულქანდა ჩამოჰკიდა. მალალომ დიდხანს კოცნა ლამაზი სარძლო და ხელზე თავისი ნაშინთვი ოქროს სამაჯური გაუკეთა.

მთელი ღამე ბდღვრიალებდა ზენკლიანთ მრავალჭადა სახლი და მოგუგუნე სიმღერის ხმა სპარსთა ველამდე აღწევდა.

მზა

ამომავალი მზეო ქვეყნისა —
ვხარობ და ვტკბები შენი ყურებით,
რადგან ამოსვლა შენი მეღირსა,
ჩასვლაზეც აღარ დაგემდურები.
მუდამ სინათლის ვიყავ ტრფიალი,
შენი სხივებით ქვებიც თბებიან,
შენს ირგვლივ ლაღად მოხეტიალე,
მთვარე და ცელქი ვარსკვლავებია.
მეც შენებრ ვიწვი, გიზგიზებს გულში,
სიყვარულისგან ნატყორცი ცეცხლი,
იგი არავის არაფერს უშლის,
ისე ვით ცაში გაფრენა მერცხლის.
მაგრამ კრებობს ხანგრძლივად განა,
ტრფობის მგზნებარე ნიშატი ტკბილი,
ამაზე გოდებს მთელი ქვეყანა,
უკარგავს ძალას ღეთაებრივ ღიმილს.
და მაინც შენით სულდგმულობს ყველა —
რაც ჩანს და არც ჩანს არსი ყოველი,
ყინული მთაში, ყვავილი ველად
და უკმარობის გრძნობა ცხოველი.
ღმერთმა ნურასდროს ნუ მოგვიშალოს,
შენი სითბო და შენი ალერსი,
შენი თვბლების ცქერა უბრალო,
სახეზე კოცნა უმხურვალესი.
შენ რომ ჩადიხარ, მწვავს აგონია,
გულშიც წვას იწყებს ერთი კუნჭული,
და მენანება, ასე მგონია —
კვდება ქვეყანა თვალდახუჭული!

რეკვიამი

ქართული
ბიბლიოთეკა

თვლემენ სანთლები, ისმის გალობა,
მძიმე ლოდინში ჩამოდნა ღამე,
იქნებ განქარდეს გარდუვალობა,
იქნებ განწირულს მემველოს რამე!
მაგრამ არა ჩანს შიშის მძლეველი,
არც ხმა, არც დიდი ქუხილი თქემით,
ასე მგონია, მარტოდ შეველი
ბედით განკუთვნილ ბნელ სავანეში.
შველ და ფარდაც დაეშვა შავი,
აღარ ვგრძნობ სისხლის მოწოლილ
ჩქერებს...

ო, რა მოძრავი კაცი ვიყავი
და აქ უძრავად რა გამაჩერებს!
არა ჩანს არსად მლოცველთა რიგი,
ნიათიც არ კქრის, ირგვლივ ღამეა,
და ამ უდაბურ სინუმის იქით,
არც ხმა, არც ტანჯვა, არც სიამე!
ეს დარდი მაინც სად გაქრა უცებ,
თავშესაქცევად ის მინდა მქონდეს
ვეწამო. მაგრამ გაყინულ გულზე
არყოფნის ნისლი არ დაგიგროვდეს.
არა! არ ცოცხლობს აქ არაფერი,
არც დიდი ტანჯვა, არც დიდი გემი,
განწირულ დღეთა სისხლით ნაფერი
გრძნობა დამწვარი სიმწუხარეში!
ღმერთო, რად მომეც ასეთი ბედი,
სიცოცხლე მოკლე და უღმობელი —
და თუ მომეცი, რაღას მართმეფდი,
უკან რად მიგაქვს ნაწყალობევი!
მიგაქვს და გვიშვებ უდაბურ გზაზე,
ხალისის ნაცვლად გვიტოვებ გლოვას,
ასი წლის შემდეგ ამ ჩემს საფლავზე
თვალცრემლიანი არავინ მოვა.
მაგრამ ზაფხული თუ მალე დადგა,
ზამთარში ისევ იფეთქებს თოვა,
მიივიწყებენ ძველ ტკივილს, რადგან
სუყველაფერის მკურნალი დროა.
ის ძლიერია თავის ზვირთებით,
ნათელ ფერებში შავ ფერსაც აქსოვს,
მკვდარი ხარ? აბა ვის რად ჭირდები,
ხშირად ცოცხლებიც არავის ახსოვს...
და იჩრდილება ასე ბნელ გზაზე —
მტვერით აკლდამა, ხავსით ბილიცი
და მხოლოდ ერთხელ გრანიტის ქვაზე
შემინებული გადირბენს ხვლიკი!

სონეტი


საქართველოს
ლიტერატურის
აქადემიის
გამომცემლობა

მიდიან წლები შეუმჩნევლად, რაღაც განგებით,
ხან მიამიტი, ხან მშფოთვარე და ხან ზვიადი,
მაგრამ არაგინ მეგულება იმის გამგები,
როდის ეწვევა ჩვენს სიცოცხლეს შავი წყვილიადი.

მაგრამ ის მოვა უბოდიშოდ, უთუოდ მოვა,
და მას ვერ შეცვლი თხოვნითა და განკარგულებით,
აბა ვინ ხედავს იმ დიდ ტანჯვას, რა საბრალოა,
ამდენ ბრძოლებში დასარჯული ჩვენი გულები!

ასეა მუდამ, ეს ცხოვრება თითქოს მითია,
მაგრამ მე მისთვის არაფერი არ დამითმია:
არც ტკბილი ხმები და არც წმინდა იდეალები...

დრომოკმულ წესებს ჩვენ არასდროს ვემორჩილებით,
და რომც ევედრო ღმერთს იმედით ხავსე თვალებით —
მაინც იქნება ქვეყანაზე ცოტა ჩრდილები!



გიორგი მიწეძის

შენიანი პირველი პოეზია

მრავალი აბსოვს
ბუმბურაზი
პოეზიის ცას,
მაგრამ შენ იყავ სხვანაირი,
სხვაგვარი ჯიშის!
ალბათ თამარი აგროვებდა ცრემლებით რიწას,
შენ სდებდი კანონს, კაცთ სიცოცხლეს, —
არ გქონდა შიში.
მშის მოსვლას ჰგავდა შენი მოსვლა
ამ მაღალ ცაზე,
დასდევდი მთვარეს,
კვალს გირეგდა ქვეყნის განგება.
შენი ლექსებით ნაკურთხა ქართულ მიწაზე
სული ყოველის,
თესლი ხნულში არ იკარგება.
ცხოვრება მიჰქრის და მე მტანჯავს
საშიში ფიქრი:
იქნებ შენს საფლავს გადაბადოს
ქარმა და თოვამ.
მოვლენ ვარსკვლავნი ყოველ დროში
მაღალი დროშით,
მობრძანდნენ, მაგრამ...
შენნაირი ვერავინ მოვა.

რეპორაჟი უკრაინაში

დიდმა მოხვედრე ჩაუარა დახლს ცხოვრებისას,
სად ბაზარივით იყო ფენილი
გზა და ხერხები სიცოცხლის და არსებობისა.
აქეთ —
მრავალი წინ-მედლები,

სმა,
სამსახური,
კარგი ცხოვრება,
(თუკი ვინმეს ჰქონია ქვეყნად).
ეს ყველაფერი შენს წინაა, ვით მომავალი.
მაშ, აირჩიე, რაღა გინდა სულო და გულო!..

ყველაფერ ამას ჩაუარა მოყვემ გულგრილად,
რადგან სძულდა ყოფა მომპალი,
და სადღაც ბოლოს, გამოფენილ არჩივთა შორის
ნაბაღს გადასწვდა და ითხოვა ერთი კომბალი!

ღოღი

კუდგანასკული ცხენების ახლოს
სამფეხიანი დგას მომცრო ტაბლა.
ჩემს ცხენს სურს,

ოდნავ ქუსლები ვახლო,
მეც ძლიერ ვლეღავ და ჩემი წაბლაც.
გამონასკული აქვს ცხენებს ძუა,
შემოგუარეთ პატარა ტაბლას,
ძირს კი, ვეება ლოდების შუა
შმაგი მდინარე მიწისუის დაბლა.
წუთიც და...

არაყს გადაჯვრავთ თითოს,
თვალმა, რომ შიშის გრძნობა დაკარგოს,
დალევ და გული დიდდება თითქოს,
ტკბილია ბერის თქმული
„შეგარგოს!“

იგი გვარიგებს:

„იარეთ მთხილად,
გახეულ არ ვნახ თქვენიც ხალათი,
სახელ კარგი ას,
ის კარგ ყმას ჰქონდას,
სამარცხვინთი ძმათად ღალატია.“
მერე კი მჭისედ ეძლევა გვსი,
ბრძოლად შემართულ ცხენ-მხედართ ღელვას.
აუცილებლად სჭირდება ქეზი
ელვის უსწრაფეს მიხვევ-მოხვევას.
ქვაზე ნალების ელეა ინთება
და ბასრ კლდეებზე გადადის ჰუნე;
ჭუნებაშია სწორედ დიდება!
აი ასეთი მწამს საუკუნე!
ხშირად არც კი გვსურს სულის ცხოვნება,
დავდივართ შიშით,



მხოლოდ ის კია,
რომ ჩვენ ვდარაჯობთ ჩვენსავე ცხოვრებას,
ნაღდი სიცოცხლე, მუდამ რისკია!
აბა, მამ შქისედა,

რომ შენმა ქროლვამ
უფრო აღანთოს შენი მოძმენი,
ვინც მწუხარებით გამოიგლოვა
სპეტაკი დროშა მაღალი რწმენის.
სამგლოვიაროდ მობერილ ქარით
ტურფა ტირიფი ჩაიშლის ნაწნავს.
სხვა რაღა უნდა პოეტს, მითხარით,
თუკი ხალხის გულს სტრიქონს მიაწნავს.
სამშობლო გვიხმობს სიწმინდის მწენი
ახალგაზრდობას —

ფხა გვეკონდვს ბასრი

აი, აქ ვდგევართ,
მიიღე ჩვენი

გული და მკლავი,
გრძობა და აზრი!

ბრძენკაცობა მიერ გზებს გამოზომილს
ბრძოლით გავივლით,
არა ვუდრებით

ჩვენ გვსურს,
მსოფლიოს ასცილდვს ომი,
ჩვენ კომუნიზმის გვექვია მზედრები.

ნაეს საპოლოლოში

თვალი ვერ სწვდება ზრდას ყოველწლიურს,
ლიღინებს მტკვარი,
ღელავს ტბა ლისის...
და ახალგაზრდა ყრმას ინდუსტრიულს
ცეკვაში იწვევს ბერი თბილისი.

შმაგი მდინარე ფიჭვს მისცემია,
სიარულს სწავლობს ვნგურზე ჰესი.
მაღლა მთა,
დაბლა ბარიც ჩემია,
ყველაფერ ამით ვარ უმდიდრესი.

თუ წელში ერთხელ არ ვინახულე
მთა,

დარიალის ხეობა ქუში,
სკა-ქალაქი და გარეჯ-ხახული, —
მწველი იარა მიჩნდება გულში!

თეზის საბალოალო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკლდამებში ძვლებს სძინავს,
დგას ჩურჩული ციხეთა,
ოი, რამდენ ბეწინას
ლამე მკლავზე ეწვინა,
მტერს არ დააღწვინა
მწვენება მშობლიური...

მტერმაც თუ ვერ იხელთა
დრო ჩვენი მტერად ქცევისა,
ეს მაღლია ციხეთა
ჭირში არ დარწვევისა,

დღეს ინგრევა სტიქიით
მუცო, კვლავ საოცარი,
ლეკსო, მიძარ-მოძარი
ხალხის მკლავი,
გონება,
დაშლა მტერს არ სმენია,
ქმას ნუმც გაეგონება,



ეს მე ვარ, ნვარდ!

მითხრობა

ნვარდს არ მოსწონდა თავისი სახელი. შარშან, როცა სოფლის საშუალო სკოლა დაამთავრა, დირექტორმა უთხრა:

— მშვენიერი, ტკბილხმოვანი სახელი გაქვს, ნვარდ. ნვარდი სანუკვარი ვარდს ნიშნავს. ვილოცავ სკოლის დამთავრებას!

სანუკვარი ვარდი.. გადაპენტილია ვარდებით მათი ხეობა. დიახ, აქ უამრავია ვარდები, რომლებიც ხარობენ ქვებზე, ციცაბო კლდეებზე, კლდეთა ნაპრალებში, იქ, სადაც თითქმის მიწას ვერ შეხვდებით. თან გიკვირს როგორ ხარობენ ამ უმიწო ადგილებში ველური ვარდები — თეთრი, პირისფერი, ალისფერი, წითელი, ყვითელი, თუ ბაცი ყვითელი. თითოეული ფერის ვარდს თავისი განსაკუთრებული სურნელება აქვს, და სწორედ ამიტომ არის ესოდენ მდიდარი და სანუკვარი ეს ხეობა.

— რატომ არის სანუკვარი?

ამას კითხულობს აკოფი. ნვარდი დუმს, არ პასუხობს, რადგან არ იცის, თუ ნამდვილად რატომ არის ესოდენ სანუკვარი მათი ხეობა, რა ქნას, არ იცის...

დიახ, მას უყვარს ციცაბო კლდეებით შემოფარგლული თავიანთი ვიწრო და გაუვალი ხეობა. თან ამ ხეობას,

რა თქმა უნდა, პატარა წყალუხვი მდინარეც ჩაუდის. მდინარე ცისფერი როდია, ის თეთრია, სულ მთლად თეთრი — ქათქათა, გუშინ ნვარდმა აქაფებულ მდინარეში რომ იბანავა, პირდაპირ გაოცდა, მისი ხელები თითებიდან მხრებამდე თეთრი მდინარის აქაფებული ტალღებივით თეთრი იყო. როგორც კი თითები ამოძრავა, აქაფებული ტალღებიც ყალყზე დგებოდნენ, ხელებიც თითქოს მოძრაობდნენ, მაღლა იწევდნენ, და კვლავ ისე ეშვებოდნენ, თითქოს რაღაცას ნაღვლობდნო.

ნვარდიც ვილაცაზე დარდობს. ნეტა ვისზე? ნუთუ აკოფზე? აკოფს შავი, შავი წარბები აქვს. ტანად მაღალია. კლდეებსა და ქვებზე მსუბუქად, ძალიან იოლად დააქროლებს თავის მოტოციკეტს. სიბნელეში აკოფის თვალები ღრმა იღუმალი ნათებით ბრწყინავენ, ხოლო დღე რომ დიდგება, მის თვალებს სევედა იპყრობს, ისინი უფრო იღუმალი ხდება.

დილდობით ნვარდს ეზოდან ხმაური ესმის. ფანჯარას აღებს და ხედავს კაკლის ხის ქვეშ მოტოციკეტთან დგას აკოფი.

— დილა მშვიდობისა, ნვარდ!

ნვარდი უმაღლეს კეტავს ფანჯრის საგდულს.

სალამობით, ფერმიდან დაბრუნებულს, აყოფი ეკითხება:

— ნვარდ, რატომ არ იღებ წერილებს?

აყოფი სოფლის ფოსტალიონია. სოფელი ცოტა ქვემოთ არის, მეფრინველეობის ფერმიდან თითქმის ერთი კილომეტრის დაშორებით. ისიც ხედავია, სადაც დიდი მდინარე მიედინება. ნვარდს ეცოდება პატარა, თეთრად მოქათვით მდინარე, ის ხომ დიდ მდინარეს უერთდება და საბოლოოდ იკარგება.

აყოფს სოფლის ფოსტა ჯერ ნვარდის საფრინველში მიაქვს.

მოტოციკლეტი მშვიდად გუგუნებს. როცა ნვარდს ეს გუგანი ესმის, მაშინვე დიდი სარკისავენ გარბის, თმებს ისწორებს.

აყოფი საფოსტო ჩანთიდან იღებს მის წილ გაზეთებს და კაკლის ქვეშ მაგიდაზე აწყობს, ხოლო თუ წვიმაა, — კაკლის ხის ფულურთში დებს, რომ არ დასველდეს.

— ნვარდ, რატომ არ იღებ წერილებს?

— ვისგან უნდა მივიღო?

აყოფი ვანცეფრებული შესცქერის. ეურნალების ფერად სურათებზეც კი ვერ შეზღვები ნვარდისავით ლამაზ არსებას, ასეთს ვერც კინოში ნახავ, ვერსადაც ვერ შეზღვები. ნვარდს ხმაც რომ არანველებრივი აქვს რაღაც თბილი, რომელიც მართა ყურს კი არა, გულსაც კი სწვდება. ეს ხმა აყოფის ბულამდე აღწევს და იქვე რჩება, რჩება საუკუნოდ, რჩება, როგორც წყაროს წყლის ხმაური ხეობებში. ყველა მისი სიტყვა იქ რჩება, მათ შორის ის სიტყვებიც, სკოლაში ერთად სწავლის დროს რომ ესმოდა, ისინიც, რომლებიც შემდეგ... ნვარდის გამოხედვა მზის ამოსვლას მოგაგონებს.

შორეული მწვერვალიდან შალიან კარგად მოჩანს მზის ამოსვლა, შენ ზემოთ ხარ, მზე კი — ქვემოთ.

— ნვარდ, რატომ არ იღებ წერილებს?

— ვისგან უნდა მივიღო?

• • •

მეფრინველეობის ფერმა ხეობაშია, პატარა მდინარის პირად, ზემოთ ტყეა, ქვემოთ კი — კაკლის ხეების ჭალა და პატარა მდინარე. ეს დიდი საფრინველე მრავალ გაღებულ არის დაყოფილი: ყოველდღე შეადლისას ერთი საბარგო ავტომანქანა მოდის კოლმეურნეობიდან და ყუთებით კვერცხი მიაქვს, მიაქვს ძალიან ბევრი.

საფრინველეს ახლოს დიდი კლდეა, კლდეს კი ნვარდთან სახლი ეკვრის. კლდე ძველია, სახლი კი — ახალი. კლდეში სამლოცველოა, ამბობენ რვა საუკუნის წინათ არის აგებულიო. რვაასი წელი! სამლოცველო მხოლოდ ერთი დიდი ლოდისაგან არის კლდეში გამოკვეთილი. შესასვლელის თავზე გამოქანდაკებულია ჩუქურთმიანი გოლეები და წარწერა: „ამ წელს სიძვირე და საშინელი გაქირვება იქნება. ვაი იმას, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა“. ასე დაუწერიათ ქვაზე რვაასი წლის წინათ.

სახლში ისინი სამნი არიან: მამა, რომელიც მეფრინველეობის ფერმის გამგეა, დედა და თვითონ — მეფრინველეები. სამივე ოცი ათას ფრთა ქათამს უვლის, ფრინველს საკვებს მანქანებით უყრიან, ნაგავი ელექტრომომწყობილობით გააქვთ, ფრინველს ავტომატური ხელსაწყოებით არწყულებენ. კოლმეურნეობის საფრინველში ყველაფერი მექანიზებულია, ყველაფერი.

— დღეში რამდენ კვერცხს იღებთ? — ეკითხება აყოფი. ეს აყოფი დიდი ცნობისმოყვარე ყმაწვილია.

— დღეში? — დაფიქრდა ნვარდი, — თერთმეტ, ზოგჯერ თორმეტ ათასს. ცოტაა?

— არა, ვინა თქვა, ცოტააო, — შერცხვა აყოფს და გაწითლდა.

— მეტი შეკითხვა აღარა გაქვს?

აყოფი უფრო გაწითლდა, კინალამ სირცხვილით დაიწვა, შემოტრიალდა,



მეცხოველეობის ფერმისაყენ მოკურცხ-
ლა. მოტოციკლეტი ქვებზე ხტის, გეგო-
ნებათ აყოფი ცეკვაგოს. ნება რა
აყვეებს?

ათწლელი ერთად დაამთავრეს. მაშინ
აკოფმა უთხრა:

— ქალაქში მივდივარ...
— კეთილი მგზავრობა, — უსურვა
ნვარდმა.

— სოფელში აღარ დაებრუნდები...
— ნულარ დაბრუნდები, — მხრები
იჩინა ნვარდმა.

აკოფი წავიდა. წავიდა, მაგრამ ეჭვ-
სი თვის შემდეგ დაბრუნდა.

— დაებრუნდი, რომ აქ დავჩე, ნვარდ.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება,
— უთხრა ნვარდმა.

— აღარ წავალ!
— ნულარ წახვალ, — გაეცინა
ნვარდს.

— რატომ?
ნვარდმა არაფერი უბასუხა. ერთი
ამას უყურე, თუ უნდა დარჩეს, თუ არ
უნდა წავიდეს. აი დარდი! აყოფი ხომ
მისთვის უცხოა.

— რატომ არასოდეს არ იღებ წერი-
ლებს? — ეკითხება აყოფი.

ნვარდს ეცინება აყოფის შიამიტო-
ბაზე. უცნაურია ეს ბიჭი, ეს დალოცვი-
ლი უეშმაკოა. ნვარდს კი ძალიან უნ-
და, რომ აყოფი ცოტათი მიინც იყოს
ეშმაკი, ცოტათი მიინც.

საფრინველში ერთდროულად კაკა-
ნებს, ხმაურობს ოცი ათასი დედალ-მა-
შალი. თითქოს აყოფს დასცინიანო.

აკოფის მოტოციკლეტი კი ხტუნვა-
ხტუნვით მალლობისაყენ, მეცხოველე-
ობის ფერმისაყენ მიჰქრის. ნვარდი
თავს ძალას ატანს, რომ აყოფისაყენ არ
გაიხედოს და თვალი არ გააყოლოს.

თვითონ კი კრთის, აყოფი უცაბედად
ქვებზე არ დაეცესო. უცაბედად... უსინ-
დისო ქათმები კი კაკანით აცილებენ
აკოფს... ცერცეტებია ეს ქათმები... და
ნვარდი უნებლიედ იღრუბლება, გულზე
დარდი აწვება.

ნვარდს ახლა უკვე მოსწონს თავისი
სახელი, ნვარდი. ვითომ რატომ? იმი-
ტომ ხომ არა, რომ ახლა მას ხშირად,
თითქმის ყოველდღე ესმის თავისი სა-
ხელი?

— დილა მშვიდობისა, ნვარდი
ეს ფოსტალიონი აყოფია.

— დღეს ტელევიზორით საინტერეს-
სო ფილმი იქნება, ნვარდ, არ დაგავიწა-
ყდეს, რვა საათზე.

მეორე დღეს კვლავ:
— დილა მშვიდობისა, ნვარდი!

ამასაც ფოსტალიონი აყოფი ეუბნე-
ბა. ... ხშირად ეუბნება. მაშამისი „ჩემო
პირშმო“ ეძახის, დედა კი უბრალოდ
— „ჩემო გოგო“.

— ხვალ ფოსტას არ მოვიტან, ნვარდი!
— რატომ? — გულგროლად ეკითხე-
ბა ნვარდი.

— ყური მტკივა...
ეს იყო სადამოს, დილით კი:
— დილა მშვიდობისა, ნვარდ, ახლა-
ვე მოვიტან ფოსტას.

— ყურის ტკივილმა გაგიარა? —
ეკითხება ნვარდი.
— დიახ...
— ექიმი გყავდა?
— არა...
— მაშ როგორ გაგიარა ტკივილმა?
— რომ არ ვიცი, ამა რა ვითხრა. აი
წინა სადამოს ტელეფონით რომ დაგე-
ლებარაყე, ყურიც მაშინ მომიჩჩა, შენ-
მა ხმამ მომიჩჩინა, ნვარდ.

— ეგ რომ მცოდნოდა, არ დაგელო-
პარაყებოდი, — ნვარდმა გაიცინა და
ყურმილი დაღო.
კვლავ მოეწონა ნვარდს თავისი სახე-
ლი, ნამდვილად შეუყვარდა იგი.

• • •
შემოდგომა იღვა, წვიმდა, ზევიდან,
ტყვიდან ქარი წვიმასთან ერთად ყვითე-
ლი ფოთლების გუნდებს მიერეკებო-
და, თავს აყრიდა საფრინველს, ფანტი-
ვდა ეზოში, ხეობაში. პირდაპირ ყვითე-
ლი წვიმა მოდიოდა.

ნეტა როგორ ამოვიდა და როგორ გაბრუნდა უკან აკოფი, რომ ნვარდმა ვერ ნახა. ვერ მიმზვდარა როგორ მოხდა. დღევანდელი ფოსტა თავის ადგილას — ფულუროში იყო. გაზეთები აკოფს იქ იმიტომ დაეწყო, რომ არ დასველებულყო.

ნვარდს საწვიმარი ეცვა. წვიმის წვეთები საწვიმარს ეცემოდა, მას კი ტყის შრიალი ესმოდა. გაზეთებთან ერთად ერთი წერილიც იყო, ოთქუთხა კონფერტი, თეთრად-თეთრი ზედ კი წარწერილი იყო მისი სახელი — „ნვარდს“. ნეტა ვინ გამოუგზავნა? მას ხომ თავის სიცოცხლეში ჭერ წერილი არ მიუღია! საფრინველეს სირბილით მიადწია, თავი ფარულს შეაფარა, სადაც არც წვიმის შხაპნი ისმოდა და არც ტყის შრიალი, ხეობამ თითქოს ერთბაშად სუნთქვა შეიკრა.

„— ნვარდ, ეს მე ვარ, აკოფი...“

ასე იწყებოდა წერილი. დიახ დიახ, სწორედ ასე:

„ნვარდ, ეს მე ვარ, აკოფი. დილა მშვიდობისა, ნვარდ, დილა მშვიდობისა!“

მეტი არაფერი.

— მერე რა, რომ ეგ შენა ხარ, ფოსტალიონო? — ნალვლიანად გაიფიქრა ნვარდმა, მერე რა, მერე რა?

ნვარდმა ქათმებს საკენკი დაუყარა და შინ დაბრუნდა. შეხედეთ, შეხედეთ: „ეს მე ვარ, აკოფი“, მერე რაო!

სახლში რომ მივიდა, ნვარდს გული აუჩუყდა, აქვითინდა. სარკეში ჩახედვა მოუნდა თავისი კვითინი რომ ეხილა, მაგრამ თავისი თავისა შერცხვა — „ნვარდ, ეს მე ვარ, აკოფი“ — მერე რა კენა, რომ შენა ხარ?

• • •

ნვარდი ფანჯარასთან მიიჭრა, მთლად გამოალო, გადაიხარა თითქმის მთელი ტანით, ხელები წინ გაიშვირა, ისრებივით შერგო ბარაქიან წვიმაში.

— რა კარგი ხარ!

ქალაქიდან საფრინველეს გადასადებლად მოვიდნენ, ჩვეულებრივი სურათი

კი არა, კინოსათვის უნდა გადაეღოთ. — კი მაგრამ, რატომ? იცითხე ნვარდმა.

— იმიტომ, რომ მოწინავე მეფრინველე ხარ, — უთხრეს. — შენ წლიური გვემები დიდი ხანია შეგისრულებია! — უთხრეს. — შენ ხომ ნვარდი ხარ? — მერე?

— შენ რომ წერილებს ღებულობ, იქიდან ერთ-ორი მოგვეცი, გავეცნობით და მაგ წერილებზეც ეუამბობთ მაცურებელს.

ნვარდს კი თავის სიცოცხლეში ერთადერთი წერილი ჰქონდა მიღებული. მხოლოდ ერთი წერილი: — ნვარდ, ეს მე ვარ, აკოფი, დილა მშვიდობისა, ნვარდ, დილა მშვიდობისა! წერილი არ მისცა სტუმრებს, ამ ერთადერთი წერილის ხელახლა წაერთვისა თვითონვე რცხვენოდა.

ერთი კვირის შემდეგ ტელევიზიით უჩვენეს საფრინველე და... ნვარდი ერთბაშად კი არა, ეკრანზე ჭერ მათი შორეული ხეობა გამოჩნდა, შემდეგ ციკაბო კლდეები და სამლოცველო, რომელზეც რვაასი წლის წინათ განაწამები ხალხის ხელით წარწერილი იყო: „ამ წელს სიძვირე და საშინელი გაჭირვება იქნება, ვი იმას, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა“. შემდეგ ველური ყვავილები უჩვენეს, ქვებზე, კლდეების გულზე, კლდეების ნაპრალებში. შემდეგ — მისი ქათმები, თეთრი ქათა ქათა ქათმები. რარიგ ლამაზები იყვნენ ის შეჩვენებულები ცისფერ ეკრანზე!

დიქტორმა თქვა:

— დილა მშვიდობისა, ნვარდ!

ნვარდს გული აუთრთოლდა, ტელევიზორმა ვაითუ წერილზეც თქვას რამეო. აი, თვითონაც, თეთრი შავთვალწარბა, მაღალყელიანი...

— დილა მშვიდობისა, ნვარდ!

ნვარდმა ივრძნო, რომ ის სრულებითაც მარტო არ არის, მარტო არ არის არც მისი საფრინველე და არც მათი ხეობა. ივრძნო რომ, ქვეყნიერება მასთან არის, თვითონაც ქვეყანასთანაა

და რომ ეს ხეობა, ნამდვილად ქვეყნის ერთ-ერთი ძარღვია, ქვეყნის ყველა მხარისა და კუთხის სინათლითა და ხმაურით. ალბათ ამ ქვეყნად არსად არ არის სიციარილე. ალბათ, ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი, ძალიან დიდი ცხოვრება ჩქეფს.

ღამე ისევ წვიმდა. გათენებისას ნვარდს წვიმის შხაპუნი მოესმა და გაეღვიძა. ეს რა, წვიმა? მაგრამ ფანჯრიდან დანახული ცა ოქროსფრად ლივლივებდა.

შხაპუნი აყოფის მოტოციკეტის

ხმაური იყო. ნვარდმა ფანჯრისთან მიიბრინა და საგდულებზე გამოიხილა. კაკლის ხის ქვეშ მოტოციკეტთან აყოფი იდგა.

— ნვარდ, ეს მე ვარ, აყოფი. დილა მშვიდობისა, ნვარდ! დილა მშვიდობისა!

ეს უკვე ის წერილი როდი იყო, ხალაც რომ უბეში უდევს. ეს თვითონ ის იყო, აყოფი. იქნებ მას უბრალოდ განთიადი მიესალმება? მაგრამ არა! ეს აყოფია:

— დილა მშვიდობისა, ნვარდ!
ნვარდმა ფანჯარა აღარ მიხურა.

სომხურიდან თარგმნა
ლევო ასკანაძისგან



სულიან რუსთავი

აჭრბაიფანის სახალხო პოეტი,
სოციალისტური შრომის გმირი.

სსრ365

საყვარლის ხელით
თუ ავსილი ჭიჭა გაქვს შხამით,
თუ გინდა მოკვდე,
მობარული იქნები ამით.
უსიყვარულოს, დაე, სახლი
თავზე დაექცეს,
მისაშველებლად ხელი მისკენ
არვის გაექცეს!
დე, ჩემი მუზა — უცნო ჩიტი,
ტყბილად გალობდეს —

გალობდეს,
ტრფობის საგალობელს მუსიკალობდეს,
დაე, გამიქროს განშორებამ
ცეცხლი სრულიად,
ამ ცეცხლის ახლად გაღვივება —
სიხარულია!
მე ამაყი ვარ:
გამახარა მწველმა აღერსმა,
გული მაჩუქა
თავრიზელმა ულამაზესმა.

გზაშია და მოდის

განშორების ფიქრი შორჩა,
სიყვარული გზაშია და მოდის.
შორს ბრალა ცეცხლი მოჩანს,
მშვენიერი გზაშია და მოდის.

ნურვინ მელის მე სხვა ქალი,
ვერსად მნახავს,
ნუ დამიწყებს ლოდინს...
ჩემი გულის დედოფალი,
მბრძანებელი გზაშია და მოდის.

ყვავილების არ მაქვს დარდი,
მათთვის გული სადარია ლოდის.

სულ სხვა არის ჩემი ვარდი —
საყვარელი გზაშია და მოდის.

ო, ნუ გალობ ნაღვლიანად,
შენ, ბუღბუღო, სად კვნესოდი, როდის...
ჭიკჭიკა და ხმაწკრილა
სანატრელი გზაშია და მოდის.

რას ბობოქრობ, შენ ზამთარო,
რას დიდგულობ,
გული რატომ მოგდის...
სულეიმანს მსურს გახაროთ:
გაზაფხული გზაშია და მოდის.

თარგმანი ალექსანდრე გვაგუნიძე

გზანი მშვიდობისანი

მამანემი ხარებს მალა აუდღა. სათითაოდ მიუშვა დასარწულელბად. იგა წინ ედგა და სიამოვნებით აკვირდებოდა, როგორ ხარბად ეწაფებოდა ტალღა წყალს. მე მურყნის ვეერი მოვამარჯვე და გვერდზე დავუდები პირუტყვს, რათა მარჯვედ გამეჭვია აბუნარი ბუნჯაქალები. ისინი გავაზე ეტანებოდნენ საქონელს. ისიც იტლინებოდა, ბრაზიანად იქნედა რქებს, მაგრამ თავიდან იშორებდა. თავალები აემდურეთა, ენაზე დეტი მოადგებოდა, ამ დროს ხშირად გახლდებოდა კედელ ზოღმე. გახლდებულ საქონელზე საშიში კი არაფერი იყო შთაში. თავის გზაზე უველაფერს თქერავდა, ღობეებს ანგრევდა, ენგურში შევარდებოდა და გადატოპავდა, ვხად შემხვედრა სულიერი იშუათაად გადარჩებოდა რქებზე წამოკიდებას.

საქონელი სულ რაღაც ერთ წუთში გამოდიოდა წინასწარიბიდან. ბუნჯაქალმა იცოდა მისი მტკუნეული ადგილი, მიეტანებოდა და დაუწყებდა სისხლის წოვას, მანაც მიაგნო თავის ვეძას და ნეტარებას ეძლეოდა. სრულებით უწყინარი და თვანთერი პირუტყვი კი მოთმინებას კარგავდა, ცოფდებოდა. ვიდრე ბუნჯაქალი არ გაძდებოდა და თავიხით არ მიატოვებდა საქონელს, ანდა პირუტყვი შემოხვევით არ მოიშორებდა თავიდან, მანამდე მისი დამწუნარებელი აღარავინ იყო ქვეუანაზე. შერე კი დაღლილ-დაქანცული, დორბლმორული მიეგდებოდა სადმე და სახრითაც რომ დახდგომოლი, ადგილიდან ვერ წამოაყენებდა.

ტალღა, ზოგორც იქნა, გადა მთავე წყლით, მამამ ახლა ვოფხა მიუშვა. რუხი, მოყვითალო ბალანი ჰქონდა ვოფხის, ზურგიდან შეუკლსაკენ ვერცხლისფერი ზოლები ჩასდევდა. ოქროსფერი ქაჩარება დამაზად უჩანდა. სხარტი, მოქ-

ნილი ცხოველი იყო, სუფთად მოკლილი და ნაპატრონები. მამანემის გამოზრდილი იყო და სახელი „ვოფხაი“ — ვეფხა, იმან შეარქვა. მართლაც ტანზე დაყოლებული ზოლებით, გრძელი გავითა და მოხდენილი მუცლით თითქოს რაღაცით წააგავდო ვეფხვს. რქები ახალ-მოვარებებივით დამაზად ასხდა შეხულზე. ღამზანაღვევებიანი ცისფერი რქები ჰქონდა ხელს რომ დაუსვამდი, თითქოს ვეღაცამ ვაუსაპნაო, ერთი ხაო აღარსად მოგვუდებოდა.

1974 წელი. მცენიერებათა აპაღმემა

მესტიის რაიონის ახალი ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილმა წერილის ნაწევებმა. როგორც კონფერენციის მონაწილეებს გააცნეს, ნაირნაირი ემოციები გამოიწვია. კონფერენციის მონაწილეთა ერთი ნაწილი რატომაც ვითუთად ადგა აზრს თითქოს წერილში მოცემული შეფასება სინამდვილეს არ შეესაბამებოდა; ისინი იშველიებდნენ თავსგვარ მონასრებებს, ციფრებს და ფაქტებს რაიონის წარმოსახრებად.

რაიმე ნამორჩენილობაზე ღამარაკი როგორ შეიძლება, როცა მესტიის რაიონს უმაღლეს განათლებულთა რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის რაიონებს შორის! და არა მარტო რესპუბლიკის რაიონებს შორის... — აცხადებდნენ ისინი ყოველგვარი კოჭმანის გარეშე და მხედველობაში როდი დებულობდნენ იმ გარემოებას, რომ ოცდაათიან-ორმოციან წლებში და შემდეგშიაც ხელისუფლებამ გარკვეულ შედეგებებს ითვისინებდა და ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ადგილებს ქავეშიდა პერიფერიულითათვის, რათა მთავა და ბარს შორის განათლებას დარგში არსებული შეუსაბამობანი როგორმე აღმოფხ-

„მაგრამ... შეენიშნავთ ჩვენ იქვე, — თერგდალელთა, რომლებმაც სტუდენტობის წლებში ღრმად შეისისხლბორცეს რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია, ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ მათი საბრძოლო პროგრამა უნაყოფო ოცნება იქნებოდა, თუ საქართველოში არ მოიხსობოდა მძიმე სოციალური სენი — ბატონყმური რეჟიმის მძვინვარება...“ „თერგდალელთა სწორად განსაზღვრეს, რომ ბატონყმობა მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა მათი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში“. მათ სწამდათ, რომ ბატონყმობის გაქცევაში საქართველოს ძირითადი სოციალური სატყუარი მოიხსობოდა. საზოგადოებრივი ასპარეზიდან გაქცეობდნენ მუქთახორა, გონებრივად ჩლუნგი, პორტუგალი ცინიი შეურბობილი, უქნარა, უნაყოფო ადამიანები, შრომის ფასი დედებოდა, შრომის შედეგად შექმნილი მატერიალური დოვლათით ყველა ასპარეზებდა. მართალია, ქვეყნიდან ისევ იარსებებდა სოციალურ ინტერესთა დამბრისპირებულობა, მაგრამ გამოცხინებული ხალხის შეგნება დროებით მათ უკანა პლანზე გადასწვდა და თავის იარაღს ეროვნული განთავისუფლებისათვის მიმართავდა“³.

ჩვენ ვასაბუთებთ იმასაც, რომ თერგდალელთა იდეოლოგიაში მთავარი ეროვნული საკითხი იყო. ეს არაა ჩვენი აღმოჩენა. თერგდალელთა შემოქმედებაში ეროვნული საკითხის პრიმატობაზე მიუთითებდნენ რევოლუციონერული ქართველი ლეველიანობა. ამავე თვალსაზრისით აღვას თანამედროვე ქართველ ლეველიანთა უმრავლესობა (ლ. გორგოლაძე, ი. კვიციანი, გ. გობლაძე, პ. ინგოროვია, დ. გამეზარდაშვილი, ა. კენჭოშვილი და სხვ.⁴ ჩვენ

¹ თერგდალელთა და კერძოდ მისი ბელადის ი. ჭავჭავაძის მატერიალური-სტრუქტურული ნაზრები და პრაქტიკული მოღვაწეობა ამ თვალსაზრისიდანაა განხილული კოლექტიურ ნაშრომში — ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. IV, თბილისი, 1974.

წერო, რომ თავი ბატონობის პრობლემაც თერგდალეულთან ერთად კვლავიანაა გაშვებული, იგი წარმოდგენილია დიდ ეროვნულ უზედურებად და მისი დაუყოვნებელი მოსპობა ქართველი ერის მატერიალური და სულიერი პროგრესის აუცილებელ და პირველ პირობადია აღიარებული.

რას გვიკეთებენ რატანი? სადაა აქ საკითხებიდან გვერდის ავლა, რაში ხელდას იგი „ხელოვნური კონცეფციის“?

დაბ, ჩვენ ვწერო, რომ ილიას ნაზრევში „სოციალური უსამართლობა ერთგულ პირშია შიდა გატარებული. ერის დიდ გულშემტყუარებს ებრძლება უქნარა ლუარსაბ თათქარიძე და მრეშო დათიკოც. სასიკეთო გზას აცდენელი გაბრიც და ტრეში გახიზნული კაცოც და ზაქაროც. ისინი ხომ ქართველები არიან, პატარა და დამარტული ერის მეთევლები. წორმადღერი სახოცადოდებრივი ურთიერთობის პირობებში ლუარსაბი შეიძლება კარგი კახელი მეურნე ყოფილიყო, დათიკო — ხალხისათვის თავდადებული ქართველი მოღვაწე-ინტელიგენტი, გაბრიელი, ზაქარი და კაცოც ხომ კამარჯე ვლუხები იყვნენ, რომელთა შრომის შედეგო აუყვავებინა ქვეყანა, მაგრამ დამპაღმა რეჟიმოც და ლუარსაბისა და დათიკოს შეგნებაში გამყარმა მამა-პაპათაგან თანდაყოლილმა აზრმა, რომ ისინი ბატონები არიან და ყველაფრის უფლება აქვო, ერთი მთავანი მურალ ლეშად გადააქცო, რომლის სიციცქლის აზრო მხოლოდ ქმაში მდგომარეობს, მეორე კი ცხოველად, რომლის უდიდესი სიმრეება პირველი ღამის უფლებაო, თუნდაც ამ უფლებას მსჭვებდა მისი ერთგული ადამიანიც შეეწიროს. ამავე რეჟიმოც დაღლება გაბრიელი და მის დანაშაული ჩაადგინა, კაცოც და ზაქაროც, რომელთაც საბუკარზე ზელი ააღებინა, საზოგადოებას ჩამოაშორა და ბინა მხოლოდ ტყეში მიუჩინა“...

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს — პირს უჯანო“, — ასეთი ეპიგრაფი წარმშდგარა თავის სატარულ ეპოპეას ილია ჭავჭავაძემ და ამ ხალხურ ინდაზში გამოხატდა დიდი ეროვნული გულისტკიული. მოყვარედ მას ეცახებოდა არა ლუარსაბი და მისი ავანიაინი, არამედ ქართველი ხალხი და მის წინაშე აშუერებდა „ცხოვრების ჭეუქსა“, ცხადყოფდა, რომ თუ არ მოისპო ბატონობა, საქართველოს ელოდა დაწლევება, ლაჩიავება, გადაგვარება და ამასთან გაუთავებელი შინა-კლასობრივი ომი“.

ობიექტური მეთხველი დაგვიდასტურებს, რომ ზემოთ მოტანილ ნაზრევში ყველაფერი რიგზეა და შეუღამაზებულადაა გამოთქმული ილიას აზრები და შესუღლებები.

ქუშმარტიად დიდი ერთდელია და მჭევრმეტყველების განსაკუთრებული უნარია საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ „კაცო ყანადში“, „კაცია ადამიანსა“ და „გლეხის ნაშბოპში“ წინა პლანზე ერი და ერთგულს საკითხი დაიპ. „წინათში“ № 1,

ნახო“, — პათეტიურად წამოიძებნეს რეცენზენტი.

არი, ამისათვის განსაკუთრებულ ეროვნულ და მშენებარეველება არაა საჭირო. საჭიროა მხოლოდ მრუდე სარკე გვერდზე გადასდო და სინამდვილეს თვალი ვაუსწიროთ. საჭიროა ისტორიული პოზიციიდან მუდგე მოაზროვნეს და ატრეპიწირო არა ის, რაც შენ ვერს, არამედ რაც მის გულსა და გონებაშია გამყდარი.

აქვე შეენიშნავთ: თერგდალეულთა ეს შეხედულება მაქსისტულისაგან განსხვავდება, მაგრამ განა ეს შეურაცხყოფელია მათთვის და ამიტომ უნდა შევალამაზოთ? ვის სჭირდება ასეთი ძალადობა დიდი ქართველი დემოკრატების — ილიას, აკაცის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა მსოფლმშედეგობაზე? XIX ს. 60-70-იან წლებში თერგდალეულები საკითხს სხვაგვარად ვერ დაუყენებდნენ და ზვეც ეცდოდნენ ისტორიის პრინციპს არ ვუღალატოთ. თერგდალეულთა შემკვიდრება იმდენად დიდა, რომ მას არაკეთარო შესწორება-შეკეთებანი არ ესაჭიროება ნიშნდობლივია, რომ პრ. რატანის შუღამაზებული წარმოდგენა თერგდალეულთა იდეოლოგიაზე არაგინ არ გაიზიარა და მხოლოდ მისივე საყუთრებად დარჩა.

პ. რატანისათვის, რომელიც ჩვენ დანაშაულად გვიოთხის. თერგდალეულთა შემოქმედებაში ერთგული საკითხის პრიმატობის აღიარებას და ამას „ისტორიის მთავარი კანონის დაეწყვებას“ უწოდებს, აღბაო, ნაცნობია შემდეგი სტრატეგია: „საქართველოში არანაყლები სიმწყავით იდგა სოციალური უკუღმართობის იმოსპობის საკითხი. მაგრამ თუ რუსი რევოლუციურ-დემოკრატები მას პირველ რიგში აყენებდნენ, საქართველოს პროგრესული მოღვაწენი მას დაქვემდებარებულ, მეორე რიგის ანექებდნენ. თერგდალეულებს“ ბელადი ა. ჭავჭავაძე ამბობდა ხოლმე: ვერ გავოცნებლეთ და მერე გვისწავლეთ როგორ გავმდიდრდეთო. ეს ნიშნავდა, რომ ნაციონალური ჩავერისაგან საქართველოს განთავისუფლება მის მიჩნეული ჭქონდა ერის სიცილი-სიციცქლის საკითხად. ყველა სხვა საჭირობორტო საკითხი, და მათ შორის თავდაღწურთა და გლეხთა ურთიერთობის საკითხიც, უნდა დამორჩილებოდა ამ ძირითად საკითხს. უნდა გადაწყვეტილიყო ამ უმთავრეს საკითხის ინტერესების თვალსაზრისით.

ამით აისწება, რომ „თერგდალეულთა“ ბრძოლაში ძველი, რეაქციულად განწყობილი ინტელიგენციის წინააღმდეგ თავიდანვე ბრძოლის მთავარი საგნად შეიქმნა არა სოციალური, არამედ ეროვნული საკითხი, სახელდობრ ქართული ერის აღდგენისა და სიმშინდის საკითხი.“

ეს ზომ პ. რატანის სიტყვებია, მისი თავგამოდებული მტკიცება იმათ წინააღმდეგ, რომ-

ელაღ, თითქოს, ვერ გაიგეს რატანის შეხედულებანი ილიას პატრიოტიზმის შესახებ. მაშვის ებრძვის ჩვენს წინააღმდეგ მიმართულ რეცენზიაში პრ. რატანი, ჩვენ თუ... პროკოფი რატანი, რომელსაც დავიწყენია თერგდალეულთა შესახებ თავისი აღრიწმელი, მართლაც ტენდენტური კონცეფცია და დასცდენია სომართლე სახელოვან ქართველ სამოციანელებზე. რა ვუწოდოთ ამას — ლოგია, თუ ის „განსაცვიფრებელი ულოგიკობა“, რასაც პრ. რატანი თავის რეცენზიაში გვისაუყვებუდა.

სხვა ადგას პრ. რატანი წერს: „არ უნდა დაგვაიწყინდეს, რომ ილია გამოდიოდა მთელი ქართველი ერის სახელით და თავის აზრთან და მიზანს ვუვლა წოდების (კლასის) ინტერესებისათვის ზრუნვა. მაშინააღმდეგ, მისთვის უცხო არ იყო არც თავდაზნაურთა ინტერესების დაცვა, რასაც არ შეიძლება გველენა არ მოეხდინა მის აზროვნებაზე“ 10. აქ ხომ რატანმა უირობა დაამხო თავისივე აზრები ილიას, როგორც მხოლოდ გლეხთა ინტერესის შესახებ, აქ ხომ იგი შეურაცხველ წინააღმდეგობაშია თავის თავთან და ამავე დროს, ასეთ წინააღმდეგობებზე სტეპებს უკვირებს?

პრ. რატანი ბრალად გვდება, თითქოს ჩვენ გვირდს ვეღლით თერგდალეულთა არაღვარდნი რევოლუციური მოღვაწეობის დამადასტურებელ ახალ დოკუმენტებს და ვეყრდნობით სხვა მკვლევარს. ეს „სხვა მკვლევარი“, აღბათ პროკოფი რატანია, მაგრამ „თავდაზნაური“ რეცენზენტი თავის თავს არ ასახელებს.

მოწოდების 216-232 გვერდებზე ჩვენ ვიხილავთ თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის საქართველოს ფარგლებს გარეთ — რუსეთსა და უცხოეთში. ზოგადად ეახსათიებით ნიკო ნიკოლაძის, კირილე ლორთქიფანიძის, ნიკო დოლობერაძის, ნიკო ყიფიანის, სიმონ წერეთლის მჭიდვარ რევოლუციურ საქმიანობას და იქვე, შენიშვნაში, მივუთითებთ: „ქართული ახალგაზრდობის რევოლუციური მოღვაწეობა პეტერბურგში 1861-70 წლებში ფართოდ განხილული პრ. რატანის მონოგრაფიაში „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან“, ვ. სიფრაშვილის მონოგრაფიაში „რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და თერგდალეულების იდეური ურთიერთობა“. ამათი პეტერბურგში ქართველთა რევოლუციურ-პრაქტიკულ საქმიანობაზე ყურადღება იღარ ეამახებებთ“ 11 იმ განცხადებების შემდეგ ჩვენ მთელი ყურადღება საზღვარგარეთ ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობაზე გადავტყდებით.

ასს გვედავება აქ რეცენზენტი? ჩვენ ხომ საკითხის ღრმად შესწავლით დანატრესებულ მკითხველს რატანის შრომაზე მივანაწიეთ. მაგრამ, როგორც ჩანს, რეცენზენტი ვაანაწყენა მის გვერდით ვ. სიფრაშვილის მოხსენიებაში, იმ სიფრაშვილისა, რომელმაც როგორც

ეს რატანის სადოქტორო დისერტაციის პაქრობაზე გაიკვია, მასზე ადრე მანკინს იმ დოკუმენტებს და გამოამხეურა მანკინსაქვეყნაშენიშნით, რომ რატანის ზემოთდასახელებულ მონოგრაფიაში გამოქვეყნებული „უცნობი“ დოკუმენტები საკითხის გარკვევისათვის არავითარ ახლსა და პრინციპულს არ წყვიცავენ.

თერგდალეულობიდან უფროდ რეცენზენტი ნ. ბართაშვილზე გადადის და გაკვირვებას გამოსთქვამს ჩვენი „უცნობი მსჯელობის“ გამო „ბედი ქართლისათან“ დაკავშირებით — როგორ არ იცის ევტორმა, რომ „ბედი ქართლისათან“ აღწერილია ალა-შამშად-ხანის შემოსევა და 1783 წლის ტრაქტატი არაფერ შუაში არ არის.

ასში საქმე?

„ნ. ბართაშვილის ეპოქის“ 3-2 გვერდზე ჩვენ ვწერთ „პოემას, თუ მას ისტორიული სომართლის თვალსაზრისით განვიხილავთ, მოკლენათა ერთგვარი ანაქრონიზმი ახსიათებს. აქ გადაადგილებულია ზოგიერთი ისტორიული დეტალი. მაგალითად, ტრაქტატი, რომ რუსეთთან მფარველობით ტრაქტატი (1783) დიდი ხნის წინ იყო დადებული, როცა ალა-შამშად-ხანი შემოიჭრა საქართველოში და თბილისი ააოხრა. ზოგი თანამედროვე პოემას ამ თვალსაზრისით წუნსაც სდებდა“ (აღ. თრბელიანი)...

იღ. თრბელიანი მაშინ, ვერ გაიგო, რომ ბართაშვილის მიზანს სრულებითაც არ შეადგენდა ისტორიულ მოვლენათა ლექსად გადმოცემა. ბართაშვილმა, მართალია, ფანტაზია მოიშველია და მისი მიზანდასახულობისათვის შესაფერი ისტორიული სურათი შექმნა პოემაში, მაგრამ ამით სინამდვილის კანონზომიერებისათვის არ უღალატია. პირიქით, მან განკვეთა შეკვეთა და დააჩუქვა მოვლენები, თავი მოუყარა ერის მოჭირახეულთა აზრებს და სულადი განცდებს, საქართველოს ისტორიული ბედის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი ერთმანეთს შეუპირისპირა და ამით პოემა იყვანა არა მარტო დიდ მხატვრულ, არამედ დიდ თეორიულ-ფილოსოფიურ სიმაღლეზე.“ 12

რაც ვერ გაიგო იღ. თრბელიანი, ნეთუ ვერ გაიგო პროკოფი რატანმა, ვერ გაიგო იმ განმარტების შემდეგაც, რომელიც ჩვენს თვალსაზრისს წარუშემდგარათ? მისი დაინტებელი შემოადგება გვაეკუებს, რომ იგი მართლაც ვერ ჩაწვდა ნ. ბართაშვილის პოემის სიღრმეს, ევტორის მიზანდასახულობას და ეს პოემა ალა-შამშად-ხანის შემოსევის გალექსილ ისტორიად წარმოიდგინა.

„წინასწარი შენიშვნების“ ბოლომ, შესამე შენიშვნაში რეცენზენტი გვისაუყვებუდას „ულოგიკობის განსაცვიფრებელ მაგალითებს“. ეს „ულოგიკობა“, თურმე, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ „ნ. ბართაშვილის ეპოქაში“ ვუხეებით XIX ს. პირველი მეოთხედის“ თავდაზნაურულ ინტერესების და ეამობით, რომ

„ქართველი“ თავადობის პოლიტიკური იდეა-
ლა თავისი შინაარსით ერთნაირად-პროგრესუ-
ლი იყო... და შემდეგ გვერდზე ეს ვამტკი-
ვებთ, რომ ქართველი თავადობის გამოსვლა
1802, 1804, 1812 წლებში იყო „ფეოდა-
ლურ-მონარქიული ნაციონალიზმის გამოხა-
ტულება“. 13

პრ. რატინი შიანია, რომ ეს დებულებანი
ანტიმეცნიერულია, ამასთან ერთმეორეს ამკა-
რად ეწინააღმდეგებიან.

„ნ. ბარათაშვილის ეპოქაში“ 1802, 1804, 1812
წლებში ფეოდალურ ფრონდს რომ ვეხებით,
ჩვენ ვასაბუთებთ, რომ ქართველი თავადობა
ამ გამოსვლებში ორიენტაციის შეცვლა არ
მოითხოვდა. მას არ მოსწონდა 1801 წლის შე-
შდეგ დამყარებული რეჟიმი, რომელიც მის წი-
ლებრივ პროვალკეებს ექვემდებარებოდა. თავადობა
მხარს უჭერდა ერეკლესდროინდელი ურთიე-
რობის, ე. ი. ტრაქტატის პირობების აღდგე-
ნას. იქვე შევნიშნავთ, რომ ქართველ თავა-
დობის ეს მოთხოვნა თავისი იდეოლოგიულ-
პროგრესული იყო. ამ შემთხვევაში დაბარა-
კა ორ არჩევანზე: ტრაქტატი, თუ 1801 წლის
მანიფესტის მეხსილება: ქართველი თავადობა
პირველ უჭერდა მხარს. ამ მხრივ მას მოსახ-
ლეობის სხვა ფენებზე თანუგრძობდნენ.

მაგრამ იქვე საკითხს ვაყენებთ: რისთვის სუ-
რდა ქართველ თავადობას ტრაქტატისდროინ-
დელი ურთიერთობის აღდგენა? ამისათვის,
რომ თავისი სამეციქილარო უფლებები შეენა-
რჩუნებინა, პატონობა, სათავადოები, მთურა-
ვობა ძალაში დაეკოვებინა. ეს, რა თქმა უნდა,
ისტორიის ჩარხის უკუღმა დატრიალებას ნიშ-
ნავდა და თავისი შინაარსით რევოლუციური იყო.
რატინი ანგარიშს არ უწევს ამ წინააღმდე-
გობრივ მოვლენებს, მაგრამ ფაქტი ფაქტად
ჩნება. მთელი საიდუმლოება იმაშია, რომ
თითო ქართული ფეოდალიზმი წინააღმდეგო-
ბებში იყო გახლართული და გამოუვალა ერო-
ზიის წინაშე იდგა. ქვეყნის წინსვლა-განვი-
თარება შეუძლებელი იყო მისი სრული მოს-
პობის გარეშე. დრომოქმედი ქართული ფეო-
დალიზმი რაღაც ძალს, შინაგან თუ გარეგანს,
უნდა დაეგრძობა. თავადობა მას არათუ ანგრე-
ვდა, არამედ გარეშე დამანგრეველი ძალისა-
გან იცავდა.

ამ მოძრაობის წინააღმდეგობრივი ხასიათი
კარგად იქნა მინიშნებული ნიკო ბერძენიშვილს,
რომელიც წერს: „ქართველი მმართველობის
აღდგენის პროგრესული იდეის გამტარებლად
ქართველი თავადობა არ გამოდგებოდა. ის,
როგორც კლასი, დიდი ხანია პატრიოტულ
პროგრესული აღარ იყო. ქართული მმართვე-
ლობის აღდგენის პროგრესულ იდეაში ქართ-
ველი თავადები რეაქციულ შინაარსს, თავა-
დურ-ვახალურა წყობილების შენარჩუნების
იდეას ხდებდნენ. რაც ქართველი ფართო სა-
ზოგადოებრიობისათვის სრულიად ნეგატიუ-

ლი იყო“ (ხაზი ჩვენია — ა. ს.) როგორც
ვხედავთ, საკითხი სწორადაა გადაწყვეტილი
ნ. ბერძენიშვილთან. ჩვენ, როგორც ეს მოთ-
ხოვებული გვაქვს ნაშრომში, ნ. ბერძენიშვილის
აზრს ეთანხმებით. თუ ამ დებულების მიმართ
რეცენზენტს საუფიო ჰქონდა, რატომ აუარა
გვერდი მის ავტორს, ან არის აქ რაიმე სადა-
კო?

პრ. რატინი ხშირად მოვეყენებს ერთმანეთის
საწინააღმდეგო აზრების შერეობას, „ულოგო-
კო მსჯელობის კლასიკურ მაგალითებს“ უწო-
დებს, მაგალითად, ჩვენს მსჯელობას პეტერ-
ბურგში თერგდალეულთა რევოლუციურ საქ-
მიანობაზე. ნიშნისათვის რეცენზენტს მოაქვს
ამონაწერები ჩვენი წიგნიდან, დაკვირვებულ
მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ
წიგნში ვერ დაბარაკია თერგდალეულ-
თა უფროსი, პირველ თაობაზე (ნ. ნი-
კოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და
სხვა), ხოლო შემდეგ, მომდევნო ახალგაზრდე-
ლებზე, რომლებიც ქართულ სინამდვილეს თით-
ქმის ჩამოშორდნენ (ვ. ზერტვიშვილი, ნ. ყი-
ფიანი და სხვ). ჩვენ ვწერთ, რომ ეს ადლი
თაობა „ზემლია ი ვოლას“ იდეებით სულღ-
მულობდა, მის მიერ წამოჭრილი საკითხების
გადაჭრით იყო რეგლამენტირებული. 15 პრ.
რატინი გაიძახის: ამ დროს „ზემლია ი ვოლას“
ჩაეარღნიდა იყო და როგორ შეიძლება ქა-
რთულ რევოლუციონერებს მასთან საერთო
ქმონდათო. მან, ალბათ, არ იცის, რომ „ზემ-
ლია ი ვოლას“ იდეები მისი ჩაეარღნის დღეს-
ვე არ მოქმედებდა და დაბატონებულს გადარჩე-
ნილი რევოლუციონერები ამ ორგანიზაციის
მიერ წამოყენებული პრინციპების განხორცი-
ელებისათვის კვლავ შეუძობრად იბრძოდნენ.

შემდეგ რეცენზენტი დიმიტრი ყიფიანისა და
გრიგოლ ორბელიანის ჩვენებულ შეფასებებზე
დავობს და შიანია, რომ იგი „უერთბრებულ
წინააღმდეგობებს შეიცავს“. მას უცერის — რო-
გორ შეიძლება გრ. ორბელიანი, ან დიმიტრი
ყიფიანი, ერთსა და იმავე დროს, გამოავტო-
ბოთ პატრიოტად, ამავე დროს, კონსერვატო-
რულ ბანაკში მიეყენონ ბინა. „ყოვლად შე-
უძლებელია, — წერს იგი, — ერთი და იგივე
პიროვნება ერთსა და იმავე დროს იყოს ცა-
რისთვის პოლიტიკის დამცველი, მისი ერთგული
ჯარისკაცი და ამავე დროს — ერის სულგრი-
ბალების, მისი შემოქმედებითი ენერჯის მოძი-
ლაზე-იციისათვის, აქტიურად მებრძოლიო“.

გრიგოლ ორბელიანიც, დ. ყიფიანიც ტრაგი-
კული, წინააღმდეგობრივი პიროვნებანი ირანი
და შათი მოღვაწეობის შეფასებას თავს ვერ
გაიარაშენს მცდელობა, თუ ამ ტრაგეზიაში
ღრმად არაა ჩახედილი და საერთოდ, მოვლე-
ნათა დიალექტიკურ წინააღმდეგობებში ვერ
ერკვევა.

ჩვენ ვწერთ: „კავკასიაში მეფის რუსეთის
პოლიტიკისათვის დამსხუტრებულ მებრძოლს

გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ ორბელიანს რომელმაც სამოხელეო კარიერაში კავკასიის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარეობას მიადრწია, ქართველის ბედის გამო გამოწვეული სევდა გულში ჰქონდა გამჭდარი და „სამშობლოს სულთ დაცემას“ მისტიროდა. ერთ ღროს აზი-ღლებული და ძლიერი ივერია „გულშისკრილი“ „დამპირებელი“, „ხმაიღებელი“, „უსახოდ ქმნილი“, „გულუმიღლო“ ჩანდა. მომავალი მას უარეს უქაღდა გრ. ორბელიანი ტრაგიკულად განსტეიდა წარსულის დიდებულ მსხვერვის და იმისად, რომ ამ დამანგრეველ საქმიანობაში მისი თანამოახრებების ხელეც ვრია იგი სწევ-ვლიდა მეფის სამსახურში ფუქად განვიღ ღროს, ზიზლით იყო ვანსკვალული იმ ოქროს ბორკილდისადმი, რომელიც მას ცარიზმში შემაა. 16

ვინც გრ. ორბელიანის ცხოვრებას და შემო-ქმედებაში ჩაბედულია, იგი უდავოდ დაეთან-შება ამ შეფასებას.

შემდეგ ჩვენ ვწერთ, რომ ერთენულ-პრაქ-ტიკულ საქმიანობაში პატრიოტიზმისა და თვით-მპყრობლობის ერთგულის გრ. ორბელიანი ახლო იყო ახალ თანასთან, და ბევრ სასარგე-ბლო წამოწყებაშიც მიიღო მონაწილეობა. „ის ძველსა და ახლის შუა შემეგრთავი ხილია“ — აღნიშნავდა ი. ჭავჭავაძე.

პრ. რატანს შეიძლება ყველაფერი ეს წი-ნაღმდევობად ეჩვენება, მაგრამ ფაქტი ჯი-ტია: წინააღმდეგობრივი იყო თვით ეპოქა, წი-ნაღმდევობრივი იყო მომავლდგი კლასის წა-პროზიდენცისა და პატრიოტის შემოქმედე-ბითი და პრაქტიკული ნაბჯობი.

კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი იყო დმი-ტრი ყიფიანი, — ერთი მხრივ ცარიზმის ერთ-ველი მოხელე, მეორე მხრივ — თავგამოდე-ბული პატრიოტი და თანასანი მსავალ ერთე-ბულ საქმეში. მისი პიროვნების ასეთი გარეგნე-პრავად ვაიგო გამოჩენილმა მკვლევარმა ს. ხუნ-დაძემ, რომელიც წერდა: „დ. ყიფიანის მთა-ვარი მიზანი იყო დაცვა ორი პრინციპისა, და-ეცა ჭართლი ბროვნელი ინტერესებისა და ინდივიდუალობისა რუსეთის მონარქიზმის ჩარ-ხებში, მისი მფარველობის ქვეშ. ამიტომ იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ ორ ცნებათა შორის — ჭართულ ნაციონალიზმსა და რუსულ მონარქიზმს შორის — პრინციპუ-ღად შეუძლებელი იყო რაიმე წინააღმდეგო-ბის არსებობა“ 17 „დ. ყიფიანი, — ვწერთ ჩვენ, — შეეწირა იმ უნაყოფო იღუპისას, რომ თით-ქმის კარგი მამულმშობლობა და კარგი მოხე-ლეობა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის პირო-ბებში ადვილად შესთავსებელი ორი ცნება იყო, სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ვაპირი-ცხადენენ... დ. ყიფიანი ბოლოს მიხვდა ამას და თავისი სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა“. 18

საკითხავია: ყველაფერი ეს უცნობია პრ. რა-ტიანისათვის, რომელსაც თავი XIX ს. საზოგა-

დობრივი აზრის წამყვან მკვლევარად მიიჩნია? თუ მართლა უცნობია და გაურკვეველი, სა-კითხის გაარკვევასათვის მსჯელობის სხვა ფო-რმა უნდა აერჩია. მაგრამ თუ ვასაგებია (მე-წინეც ასე მგონია) და მიიწე აზრებს ხლართავს, მით უნარსი მისთვის, მისი ცლები ამ მიმართე-ლებით როდია ძნელი გამოსაცნობი და წინას-წარ განწირული.

შემდეგ რეცენზენტი რუსეთის პირველი რე-ვოლუციური სიტუაციის თარიღზე გვდავებდა. თურმე მე დამიწყებდა ლენინის მითითება, რო-ცა ვწერ, 60-70 წლებში რუსეთში რევოლუ-ციური სიტუაცია სუფევდა-მყოფი.

პრ. რატანს არ მოეხოვთ რუსეთის ისტო-რიის ღრმა ცოდნას, მაგრამ ზოგადი წარმოდ-გენა ხომ მიიწე უნდა ჰქონდეს რუსეთის XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მოვლენებზე, მით უმეტეს მაშინ, როცა საკუთარ ნაშრომებში იარაგთვის აცხადებს — 1861-ში წელმა წარ-მოშვა 1905 წელი.

1859-1861 წლ. რევოლუციური სიტუაცია არაა გამოთიშული შემდგომი წლების მოვლ-ენისაგან. 1861 წლ. რეფორმამ ვერ გადაწყვე-ტა რუსეთში დემოკრატიული რევოლუციის პროზიდენცე და იგი მუღმივად იდგა დღის წესრიგში 1917 წლამდე.

1859-1861, 1879-1881 უშუალო რევოლუცი-ური სიტუაციის წლები იყო, მაგრამ საერთოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთი რევოლუციით იყო ფეხმძიმედ და რევოლუ-ციური სიტუაცია, განსაკუთრებით მისი ობიექ-ტური ფაქტორები ვამუღმებით არსებობდა და დემოკრატიული რევოლუციის პროზიდენცე გადამკრას ელოდებოდა.

რაც შეეხება საქართველოს ვითარებას 60-იანი წლების დასაწყისისათვის, ჩვენ არსად არ ვამბობთ, რომ საქართველოში არ იყო რევოლუციური სიტუაცია. რევოლუციური სიტუაცია, რა თქმა უნდა, აქაც იყო, რა-ღვან/ მომწიფებული იყო ფეოდალურ-ბატონ-ყმური სისტემის დანგრევის აუცილებლობა.

მაგრამ ერთი საერთო რევოლუციური სიტუ-აცია და მეორეა შეიარაღებული აჯანყები-სათვის ხელსაყრელი კონკრეტული პირობები. პირველი იყო, მეორე არა — დროისათვის, როცა ილია პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა. ვინც ჩაბედულია 50-იანი წლების მიწურულს საქართველოს სამინაო ვითარება-ში, მის რევოლუციურ და რეჟიკულ ძალთა თანაფარდობაში, ის დამეთანხმება, რომ ამ ღროს შეიარაღებული აჯანყების პროზიდენცე არ ყოფილა და ილია ჭავჭავაძე არც ცდილობდა და ვერც შეძლებდა შეიარაღებული აჯანყება გამოეწვია საქართველოში. საქმეს არ შეეღის ილიას „ქართველი, ხელი ხმალს იყარ“, რო-მელიც, როგორც ჩვენ წიგნიში მითითებული, მყოხადს განუწყუთუნება და ილიას ოცნებას გამოხატავს, არც უტუ მიქივას აჯანყების ფაქ-

ტის მოშველიება, რადგან ეს აფანება ამ დროისათვის სისხლში იყო ჩაბნობილი.

პრ. რატიანს ავიწყდება თავისივე სიტყვები: „საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება ამ პერიოდში (ლაპარაკია 60-იან წლებზე — ა. ს.) საერთოდ ჯერ კიდევ მეტად ჩამორჩენილი იყო. შინაბრძოლა, მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გამო (გაუგებარია, რა გაუმჯობესებაცაა აქ ლაპარაკი — ა. ს.) იმის გამო, რომ შეირყა სამთავროების სამეურნეო კარნაქტილობა და ქვეყანა დააღდა სწრაფი ეკონომიური განვითარების გზას, შეიქმნა აუცილებელი პირობები კულტურის სწრაფი აღმავლობისათვის, მაგრამ ასეთი აღმავლობა ჯერ თვალსაჩინო არ იყო. კრიტიკული აზრი ისევ მიიზნებელი იყო“¹⁹.

თუ ეს ასეა, მაშ, იმ დროს რა შეიარაღებულ აფანებებზე შეიძლება ლაპარაკი?

„წინასწარი შენიშვნების“ ბოლოს რეცენზენტი კიდევ ერთ მავალით იშველიებს, რომ ჩვენს შრომაში „შეცნებებისათვის შეუფერებელი მეთოდები“ დაგვანახოს.

ნარკვევის 180 გვერდზე, კვყასიის მთავარ საკვებო კომიტეტში წარდგენილ პროექტებზე რომ ვსაუბრობთ, სხვათა შორის, ვხვებით ე.წ. „კარტიულ შენიშვნებს“ და „საერთო კრიტიკულ შენიშვნებს“. როგორც ცნობილია, ამ პროექტების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ახრთა მკვთრი სხვადასხვაობაა. ჩვენს მიზანს არ შეადგენდა კამათში ჩაბმა, რადგან წიგნის დანიშნულება ამის აუცილებლობას არ ქმნის. სქოლიოში მოკლედ შევნიშნათ: ამ პროექტების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად ორი საპირისპირო თვალსაზრისი ჩამოყალიბდა. მკვლევართა ერთ ნაწილს იგი შინაა თვალსაზრისის სხვა პროექტებთან შედარებით „უფრო რადიკალურად“, განსაკუთრებით „კრიტიკულ შენიშვნება“, რომლის ავტორობას ა. შავჭავჭავაძის მიანიჭებენ. „კრიტიკული შენიშვნების“ რეკლამური-დემოკრატიული პოზიციის დადასტურებას სვეტიცხოვრი ნარკვევი მიუძღვნა პროფ. პრ. რატიანმა. მან ეს დოკუმენტი ი. შავჭავჭავაძისეულად გამოაცხადა.

ჩვენს პირდაპირ მიზანს ამ შეადგენს ამ დოკუმენტების შინაარსისა და ავტორობის საკუთარი კვლევა. საკითხის გარშემო არსებული ვრცელი ლიტერატურიდან უფრო დამაჯერებელი ვერ ვხედავთ ახლგაზრდა მკვლევარის ო. ყორღანიას ნარკვევი²⁰ სადაც დამაჯერებლად დასაბუთებულია, „რომ ორთავე დოკუმენტი არავითარ შემთხვევაში არ ისახავს რევოლუციურ-დემოკრატიულ თვალსაზრისს და მათი ავტორი არ შეიძლება თერგდალეულთა იღვრის ბელადი ყორღალიყო“.

პრ. რატიანი აღმთითებით შენიშნავს: „რატომ მაინც და მაინც ხსენებული ახალგაზრდა ავტორის აზრები მოეწონა ჩვენს მკვლევარს?

ცხადია, იმიტომ, რომ ეს აზრები მის კონტრეცის ასე თუ ისე უღებიათ“.

საკვირველი კითხვაა: თურმე ისაა მუცნი და ნაშაული, თურმე იმიტომ ვიმსახურებთ ასეთ რისხვას, რომ გაგებდეთ და „ახალგაზრდა ავტორის“ მოსაზრებანი გაგიზიარეთ, ხოლო რატიაანს პოზიკია დაუსაბუთებელი და მკლარი გვეჩვენა... ჩვენს ახლაც ვიმოვრებთ: ო. ყორღანიას თვალსაზრისი ამ დოკუმენტის თაობაზე სწორია და ვასაზიარებელია.

• • •

„წინასწარი შენიშვნებიდან“ რეცენზენტი „არსებობზე“ გადადის და პირველი საკითხი, რომელზედაც გველაგება, ერის ცნების ჩვენული გაგებაა.

როგორც ცნობილია, ევროპაში „ევროპის ისტორიი“ 1966 წელს დაიწყო დასკვნისა ერის ცნების განსაზღვრის თაობაზე. დისკუსიის საპირობას ევროპალი იმით ასაბუთებდა, რომ ერის აღიარებული განმარტება, რომელიც 50 წლის წინანდელია, სრულად არ ასახავს დღევანდელ დონეს, რომ ეროვნულ საკითხში დაგროვილი უდიდესი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება ამ ცნების დაზუსტებას სრულყოფის საპირობაზე მივიყვითოვებ. დასკვნისაში, რომელიც სამ წელზე მეტს მიმდინარეობდა, მრავალმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა, შემოთავაზებული იქნა ერის ახლებური განმარტებანი, მისი ახალი, ახსენებით და არასებებით ნიშნები და სხვ... ამ დისკუსიის მსვლელობაში ერის ცნებაში არსებით ნიშნად სახელმწიფოს შეტანის საპირობა წამოთავაზეს ისტორიის მეც. დოქტორმა მ. ო. შნადაკანიანმა და სხვებმა²² შნადაკანიანმა მარქსიზმის კლასიკოსებზე დაყრდნობით ვარგად დასაბუთა, რომ ერის ცხოვრებაში ნიციონალურ სახელმწიფოებს გადამწყვეტი როლი უკავია, რომ სახელმწიფო გადამწყვეტი ბერეკტია ყოველთვის ერის კონსოლიდაციის პროცესში.

შნადაკანიანის აზრს დისკუსიის რამდენიმე მონაწილემ დღუქირა მზარი, მათ შორის მეც. ახლ ადვილდ არაა იმის დასაბუთებისა თუ, რა მოტრეებით ვხვდომლავანელობდით, როცა ერის დღუფინიკაში სახელმწიფოს ნიშნის შეტანას ვასაბუთებდით. ყველდღერი ეს განხილულია ჩვენს სადისკუსიო წერტილში²³.

პრ. რატიანი შენიშნავს, რომ „ევროპის ისტორიის“ შემაჯამებელ სტატიაში არაა ვახიარებული დისკუსიის მონაწილეთა ერთი ჯგუფის მოთხოვნა ერის ნიშნად სახელმწიფოს აღიარებისა და მოჰყავს ვრცელი ამონაწერი ამ სტატიიდან, მაგრამ მის ძირითად შინაარსს ტენდენციურად გადმოსცემს.

შემაჯამებელ სტატიაში ნათქვამია:

«Значительное внимание в дискуссии было уделено о соотношении нации и национальной государственности, который рассматривался как с точки зрения влияния государства (точнее фактора государственности) на исторический процесс формирования нации, как и с точки зрения введения в определение нации признака национальной государственности. Первая сторона этой проблемы не вызвала существенных разногласий. Государство, как таковое, возникает еще на рубеже классового общества и с тех пор оказывает сильнейшее влияние на все формы общественного развития в том числе и на этнические общности и нации. Несомненно важную роль играет национальная государственность для развития и социалистических наций»²⁴.

ამგვარი, შემაჯამებელ სტატიაში ხაზგასმულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოებრიობის საერთოდერის, კერძოდ სოციალისტური ერის ფორმირებაში, მის არსებობაში. იგი გამართული მარქსისტული დებულებაა. შემაჯამებელ სტატიაში საკითხი ისმის მხოლოდ იმის შესახებ, მიზანშეწონილია თუ არა ეროვნული სახელმწიფოებრიობა ერის ძირითად ნიშანთა რიგში შევიტანოთ. შემაჯამებელ სტატიაში არ მიაჩნია უცილებლად ერის არსებულები ძირითადი ნიშნების შეცვლა და ახლის დამატება. ამრიგად, სახელმწიფოებრიობა ერის ნიშნად, მაგრამ არა ძირითად ნიშნად რჩება.

ერის ცხოვრებაში სახელმწიფოს როლს ასე კატეგორიულად რომ გამოირიცხავს, პრ. რატიანი ვერ ამჩნევს, თუ როგორ გამოდის იმ თვალსაზრისის დამცველად, რომელიც დენაინალიზაციის დროულბას იწვევს და ვერ გავლავა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აზრი და მნიშვნელობა საერთოდ და განსაკუთრებით საბჭოთერ ეპოქაში, ხომ უცილო ფაქტია, რომ საბჭოთა ერების დაახლოება და ერთიანობა, მათი შემდგომი განმტკიცება და განვითარება, ეროვნული ელტერის ამაღლება და ინტერნაციონალური კავშირების გაფართოება მიმდინარეობს სოციალისტური ერების სახელმწიფოებრივი ფორმების შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის გზით. ეს ნათლად ჩანს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. პრ. რატიანის თვალსაზრისი კი წყალს ასხამს სოციალისტური ერების ვაქრობის, შერწყმის, მათი სახელმწიფოებრივი ლიკვიდაციის მავნე თვალსაზრისის წისქვილზე.

ამასთან, შემაჯამებელი სტატია არ აცხადებს იმის პრეტენზიას, რომ მან საბოლოოდ ამოწურა დავა და რომ მისი დსკუენები კატეგორიულია: მასში ნათქვამია «Подводя итоги дискуссии, следует сразу сказать, что они не могут быть не исчерпывающими, ни тем более установочными»²⁵.

საერთოდ შემაჯამებელი სტატია თვლის, რომ

დისკუსიამ უაღრესად დიდი სავსარგებლო საქმე გააკეთა და დისკუსიის მონაწილეებმა თავიანთი წინადადებებით და დსკუენებით დიდად შეუწყეს ხელი ერის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ გაღრმავებას.

ამრიგად, ერის ცნებაში ეროვნული სახელმწიფოებრიობის შეტანის წინადადება პირველად რუსში საბჭოთა ისტორიოსებმა დააყენეს. სხვათა შორის, დისკუსიის წამომწყებმა როგანოვმა და სვერდლინმა ისიც მოითხოვეს, რომ ერის ძირითად ნიშანთა შორის შეტანილი უცილებლო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. არც შემაჯამებელი სტატია ავტორებს, არც სხვა რომელიმე მკვლევარს საბჭოთა კავშირში აზრადაც არ მოსვლია დისკუსიის დამთავრების შემდეგ საგანგებო მსჯელობის საგნად გაეხადათ დისკუსიის მსვლელობაში წამოყენებული აზრები და წინადადებანი და, რადგანაც ისინი შემაჯამებელში სტატიაში არ გაიზიარა. შეცდომად, მკრებულობად, მარქსიზმის დამახინჯებლად გამოეცხადებინა. დისკუსია არის დისკუსია, მას თავისი ეთიკა აქვს!

* * *

რეცენზიის მესამე ნაწილი შეეხება ქვესათურობ იწვევა: «ისტორიის დიდი კანონის დაიწვევა». პრ. რატიანი გვედავება და ბრალდ გვდებს, რომ ჩვენ, თითქოს, ვიფიქვებთ ისტორიის დიდ კანონს, იმას, რომ დღემდე არსებული საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა. თერმე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას «სოციალური შინაარსიდან დაცილი» მოძრაობად ვიღიარებთ და იგი წმინდა ეთნიკურ მოძრაობამდე დავგვავს (რას ნიშნავს ეს «ეთნიკური მოძრაობა» — ჩვენთვის გაუგებარია, იგი უაზრობაა თავისთავად, და ალბათ, არც რეცენზენტს ესმის მისი შინაარსი. ა.ს.)

ენახოთ არის თუ არა სიმართლის ნიშანწყალი ამ შენიშვნაში. წიგნში «ერის ცნებისა და რეცენზიამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ» ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განსაზღვრას რომ ვიძლევი, ჩამოვთვლით მის დამახასიათებელ მთავარ ნიშანთვისებებს და აღვნიშნავთ: «ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხარტების გრებოდ კონსოლიდაციის ხანგრძლივი პროცესის დამათავრებელ ეტაპზე წარმოიშვა ეს იყო ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლობობისა და რღვევის, მის წიაღში შობილი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების პერიოდი... ვ. აღენიმი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კამიტალისტური ეპოქისდროინდელ მოუღუნად მიიჩნედა, მას ბურჟუაზიის მოღონიერებას, საზოგადოებრივ ასპარეზზე დამოუკ-

დებელ კლასად გამოსვლას, მის პრეტენზიებს უკავშირდება... ვ. ი. ლენინი არა მარტო უკავშირებს ეროვნულ მოძრაობებს კაბიტალიზმის ეპოქას, არამედ ამ მოძრაობის ეკონომიური საფუძვლის ახსნასაც იძლევა...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მის პირველ ეტაპზე ბურჟუაზიული მოძრაობაა. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ამ ეტაპზე მისი მდებარე არის ბურჟუაზია... ჩვენ, იქვე, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საგანგებოდ ვინახავებთ კაბიტალისტიკამდელი ეპოქის სახალხო მოძრაობათაგან იმით, რომ იგი სოციალურ მოძრაობად მივაჩნევა. ამ მოძრაობის მესვეურება, — ნათქვამია ჩვენს ნაშრომში — თავისი ქვეყნის ერთეული სუვერენიტეტის აღდგენისათვის რომ იბრძვიან, დამებრალურად უპირისპირდებიან ფეოდალურ-ბატონყმურ ერთიკობის დამცველ ძალებს; ებრძვიან ქვეყნისათვის თავსომბველ იმ უცხოურ, რეჟიმს, რომელიც ძველ დრომკმულ ფეოდალურ-ბატონყმურ ერთიკობის უქმარს მხარს და აკონსერვებს".²⁶ მომდევნო გვერდზე ჩვენ საგანგებოდ მივთითებთ, რომ ფეოდალურ-ბატონყმური ერთიკობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნიშნისთვისაა, თავისი შინაარსით დემოკრატიულია და, ცხადია, პროგრესული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სოციალურ, კლასობრივ ხასიათზე საგანგებოდაა მითითებული ყველა ჩვენს ნაშრომში, სადაც კი ამ თემაზეა ღამარაკო. ჩვენ ხაზს ვუსვამთ, რომ „ყველა კლასი და პარტია, რომელიც ჩაბმულია ერის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მას თავისი კლასობრივ ინტერესს უქვემდებარებს და გამარჯვების შემთხვევაშიც, ცხადია, ძალადუფლებას თავისი კლასის ინტერესების დასაცავად იყენებს"... „დემოკრატიული და თავადაზნაურულ-ლიბერალური ბანაკების შერეიგებელი წინააღმდეგობა და ანტიკონსტიტუციური დამირისპირებულობა წითელი ზოლით ვასდებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას".²⁷

როგორც ვხედავთ, პ. რატინი სცდება. ჩვენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სოციალურ ფაქტორს ვაღმწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

მაგრამ მაინც რა აწუხებს ყველაზე მეტად პ. რატინს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩვენებულ გაგებაში? ყველაზე მეტად მას, როგორც ჩანს, აწუხებს ის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მის პირველ ეტაპზე მკვემონობა ბურჟუაზიას მივაკეთებთ. ჩვენ ვწერთ: „ვინაიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხალხების ერებად კონსოლიდაციას დამამთავრებელ

ეტაპზე წარმოიშეა და კაბიტალისტიკური ეპოქის მოვლენაა, ვინაიდან მისი ტენდენციური მიზნული სახელმწიფოს შექმნა, იგი ბურჟუაზიული მოძრაობაა და მის წიმუყინ ძალად საწყის ეტაპზე, ჩვეულებრივ, ბურჟუაზია გამოდის".²⁸

ეს დებულება მართლაც ძირფესვიანად ვწინააღმდეგება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რატინისეულ გაგებას, რომელიც თვლის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საჭარბულად არ იყო ბურჟუაზიული მოძრაობა, რადგან ამ დროს ბურჟუაზია არ არსებობდა, რომ ეს იყო გლეხური მოძრაობა და რომ ამიტომ ილია ჭავჭავაძე, როგორც ამ მოძრაობის მეთაური; მხოლოდ გლეხობის ინტერესს გამოხატავდა.

მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ მოძრაობად აღიარება, მის პირველ ეტაპზე განსაკუთრებით, როდია ჩვენი აღმონება, ეს დებულება ხომ ვ. ი. ლენინს ეკუთვნის, რომელიც საგანგებოდ მიუთითებს, რომ „ბურჟუაზია, რომელიც ყოველი ეროვნული მოძრაობის დასაწყისში ბუნებრივად მის ჰეგემონად (ხელმძღვანელად) გამოდის, პრაქტიკულ საქმეს უწოდებს ყველა ეროვნულ მისწრაფებისათვის მხარის დაქვანას".²⁹

საყოველთაოდ აღიარებული დებულებაა — ნათქვამია ჩვენს ნაშრომში — რომ ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიამ ვითარული საზოგადოების ყველა დაზარალებული ფენები. იგი მეთაურობდა ქარ კიდევ კლასობრივად მკვემონად ვაუმჯავ შესამე წოდებას, ებრძოდა არამარტო ფეოდალურ რეჟიმს, არა მარტო მის ნაშთებს ეკონომიკას და პოლიტიკაში, არამედ მეთაურობდა პროგრესულ ბრძოლას ნაციონალურ სახელმწიფოთა შექმნისათვის... ბურჟუაზიის ამ დროს ხელთ ეპყრა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროში. იგი ერის ავანგარდი იყო წინსვლის გზაზე. მაშინდელ ვითარებაში იგი იყო ხელმძღვანელი, დამარბული, პროგრესული ძალა საზოგადოების დასავსებელი, დრომკმული ძალების წინააღმდეგ".³⁰

პ. რატინის წარმოდგენით ბურჟუაზია ყველაგან და ყველა ეპოქაში რეაქტიულია და როგორ შეიძლება მის პროგრესულ როლზე ვილაპარაკოთ, ამავე დროს თვითვე ვაუღლებულ-ყოფს ისტორიის ანბანს იმის შესახებ, რომ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში ბურჟუაზია პროგრესულ როლს ასრულებდა. მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავენ ბურჟუაზიის მოწინავე როლს ფეოდალური ერთიკობის წინააღმდეგ ბრძოლებში. ი. ბ. სტალინი კომუნისტური პარტიის მე-19 ყრილობაზე ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ბურჟუაზიას გარკვეულ დრომდე ხელთ ეპყრა ეროვნული მოძრაობის დროში, რომელიც მან

შემდეგ საკუთარი ხალხის სისხლში ამოსვარა. აღმავალი ბურჟუაზიის ეპოქის დიდი შემოქმედება უტოპიური სოციალიზმი, რომელიც მარქსიზმის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.

ბურჟუაზიის ისტორიული როლის გაკვებაში ჩიხში მომწყვეტელი რატიანი გამოსავალს იმაში პოულობს, რომ მის პროგრესულ როლს მხოლოდ დასავლეთ ევროპის ფარგლებში აქცევს. საქართველოში კი, მისი აზრით, ბურჟუაზია 60-იან წლებში არც არსებობდა, მაგრამ კიდევაც რომ არსებულებოდა, იგი პროგრესულ როლს ვერ ითამაშებდა.

საკითხავია რატომ ვერ ერთი ბურჟუაზია საქართველოში რეფორმისწინააღმდეგ ეპოქაში საქმიან მთლიანობაში იყო, ამის ვარაუდს რეფორმად უნდაღაო და თავზე მოხვეული იქნებოდა, მეორედ, XIX საუკუნეში დიდი კომუნისტებისა და ინფორმაციის ეპოქაში — ბურჟუაზიული იდეოლოგიის აღმოცენებისათვის სრულიად არ იყო აუცილებელი ბურჟუაზიის დასრულებულ კლასად ფორმირება. შესაძველ, რეფორმების ეპოქისათვის საქართველოში ბურჟუაზიის რეაქციულობა პ. რატიანის ლიტონი სიტყვებითა და არაერთი ფაქტობით არაა შემარტებული. რატიანს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰყავს მხოლოდ სოლიონი ისაიონ მექანაშვილი, რომელიც, როგორც ეს ცნობილია, თავდაზნაურულ-ლიბერალური პოზიციიდან დანახული უარყოფითი ტონითაა ქართულ ლიტერატურაში. — ი. ჰავეაძემ მექანაშვილებს იდეოლოგი ვერ იქნებოდათ — პათეტურად აცხადებს რატიანი. მან ან არ იცის, ან განგებ სტუმს იმის შესახებ, რომ ამ ეპოქის ბურჟუაზიაში იგულისხმებოდა მთელი მესამე წოდება, მათ შორის გლეხობაც, რომელიც სრულიად არა მართებულად რატიანს ერთადერთ პროგრესულ ძალად ეჩვენება.

60-იან წლებში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, ვერ კიდევ სუსტი, მაგრამ მზარდი ქართული ბურჟუაზია სოლიდარული იყო გლეხთა კლასთან. საერთო ინტერესი, რომელიც გლეხობასაც, ვაჭარ-ბუღალისებებსა და მწარმოებლებს აერთიანებდა, ბატონმშენი უღლის ლევილია და კოლონიური უღლის გადარება — იყო „სხვადასხვა წოდების იმდროინდელი სოლიდარობა — მთელითებს ლენანი, — გამოწვეული იყო იმდროინდელი მატერიალური პირობებით... უველა ამ აღმართა შორის მხოლოდ ის კავშირი იყო, რომ უველა ისინი მტრულად უყურებდნენ ბატონმშენებს. ამ სოლიდარობის სხვადგენს იქით მათი უმძლავრესი სამეურნეო ანტაგონიზმი იწვევოდა.“ 31

პრ. რატიანს ავიწყდება არა მარტო ისტორიის ის ფუძემდებლური კანონი, რომ ვარკვეული ისტორიული ვრტაზე ბურჟუაზია პროგრესული მოძრაობის მესვეურია, არამედ

ისტორიკოს-მკვლევარის შეფუძოლოვერი ვალდებულება: ვალდებულება იმისა, რომ უოველი სპოვადლოებრივი მკვლევან ისტორიულ ასპექტში შეისწავლოს, დიაციას პრინციპი ისტორიზმისა, სხვა შემთხვევაში მის აბსურდი გამოუვა.

ისტორიზმის პრინციპის ასეთივე უგულვებლყოფა ნათლად ჩანს რატიანის მსკელობაში XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათისა და მესვეურების შესახებ.

ცნობილია, რომ ჩვენი საუკუნის 30-ან წლებში, როცა ისტორიკოს მკვლევართა ერთი ნაწილი დემოკრატიზმის ტრეკობაში იყოფებოდა და რამდენა დიდ გავლენას განიცდიდა, უარყოფითად იყო შეფასებული არა მარტო ილია ჰავეაძისა და თერგდალეულების, არამედ XIX საუკუნის პირველი ნახევრის საუკეთესო წარმომადგენლების შოლეაქობა. 1832 წლის შემოქმედება რეაქციულ მოძრაობად იყო გამოცხადებული, მისი მესვეურნი, მონაწილენი და თანამგარანონი ილ. ჰავეაძემ, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ნ. ბარათაშვილი და სხვა რეაქციულ შემამულეთა ინტერესების დამცველებად იყვნენ აღიარებულნი.

დღეს ეს თვალსაზრისი ჩვენი ისტორიკოგრაფიაში დამოზილია და განვლილი ვრტაში, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი რევიდივები ისევე ცოცხლობს.

ჩვენთან დღეაში გავლენისებული რატიანი შეკლმად გვითვლის, რომ 30-იანი წლების იდეურ მოძრაობაში წამყვან როლს თავდაზნაურულ ინტელიგენციას განიჭებო. ამ ინტელიგენციას, რომელსაც დიდი ეროვნული სტრუქტურა აწეხებდა, მაგრამ სოციალურ ურთო-ერთობაში რაიმე ცვლილებების შეტანას არ ითვალისწინებდა. დიან, ასეთი იყო 1832 წლის აქანუების მონაწილეთა პოზიკია. ისინი ეროვნული თვითყოფობისკენ მიისწრაფოდნენ. მაგრამ ბატონმშენისათვის ხელის ხლება არ სურდათ. ასეთი იყო პოზიკია გრ. ორბელიანისა, ილ. ჰავეაძისა და სხვებისა. მიუხედავად სოციალური კონსერვატიზმისა, ისინი მაინც პროგრესულ საქმეს ემსახურებოდნენ. მაგალითისათვის ჩვენ ვახსენებთ პოლონეთის აქანუებს 1830 წელს, რასაც ეწველსო, აქანუების მესვეურთა სოციალური კონსერვატიზმის მიუხედავად, პროგრესულ მოვლენად აცხადებდა.

პრ. რატიანი კი თვლის, რომ 30-იანი წლების ქართული თავადობა, რომელიც ამ მოძრაობას ედგა სათავეში, „რეაქციული თვადობა“ იყო, რომ თითქოს ა. სურგულაძე ჰავეაძის აქცევს, როცა მოწინავე მოღვაწეებად აცხადებს აღმართებს, რომელთაც სიტყვის გავრცელებაც კი არ სურდათ სოციალურ ურთოერთობაში რაიმე ცვლილებაზე“.

ამთავრებს რა მსჯელობას XIX ს. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წევრულ გაგებაზე, პრ. რატიანი წერს: „ამრიგად, თუ ავტორს დავუჭერებთ, ქართველ ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი მიზანი ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების შენარჩუნება და მისი დამცველი სახელმწიფოს აღდგენა ყოფილა.“

თი, სადამდე მიიყვანს შედეგებს სოციალურ-კლასობრივი მომენტის უგველებელი ყოფა, — ისტორიის დიდი კანონის დაეწეება.“

მართლაც და სადამდე მიიყვანს კაცს კამათის ელემენტარული წესების დაეწეება ჩვენ ზამთრულა ზემოსხენებულ ნაშრომში იმას ვამტყობებთ, რომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი პირველი და მთავარი მიზანი ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა იყო. ჩვენ ხომ ეს მოძრაობა, პირველ რიგში, კლასობრივ, სოციალურ მოძრაობად მიგვაჩნია. თუ ამ შემთხვევაში საკითხი კონკრეტულად ოცდათორმეტანელებს შეეხება, ჩვენ ხომ წიგნში სავანებოდ გვაქვს პოთიუბელი, რომ სოციალური კონსერვატიზმი 1832 წლის შეთქმულებაში მისი მარცხის ერთ-ერთი შემაბირობებელი მიზეზი იყო. ამასთან, ამ მოძრაობაში ჩვენ ხომ სავანებოდ გამოვყავით რადიკალურ-დემოკრატიული ფრთა სოლომონ დოდაშვილის მეთაურობით, რომელსაც სოციალური საკითხი აწუხებდა და, პირველ რიგში, ბატონყმობის მოსპობას ითვალისწინებდა.

ზემოაქვამი ხომ რეცენზენტის მიერ ავტორის აზრის ვანგებ დამახინჯების, მართებულ დებულებების დამატარლური შებრტყების კლასიკური მგვალითია? ხოლო რა უნდა ეწოდოს მოპაკეტის ასეთ მცდელობას, ამის ვანსჯა და კვალიფიკაცია მკითხველისათვის მივინიშნავა.

პრ. რატიანი მიუტყეებელ ცოფად გვითვლის, რომ ჩვენ, თითქოს ვიზარებთ „მთლიანი ერის“ თეორიას და ილიას, ბაკის, იაკობ გოგებაშვილს და თერგდალეულთა სხვა თვალსაზრის წარმომადგენლებს კლასობრივ ინტერესებზე მალა მდგომ მოღვაწეებად ვაღიარებთ. ჩვენთან ერთად იგი ამ ცოფებს პროფ. მ. დუდუჩავას და ა. კენჭოშვილსაც მიაწერს და კმაყოფილებით აცხადებს, რომ თავის დროზე მას სავალება ჰქონდა „დაესაბუთებინა“ ხსენებული ავტორების შეხედულებათა „უსაფუქლობა“. როგორც ცნობილია, პროფ. მ. დუდუჩავამ საჯაროისი პასუხი ვასცა „ამაოდ გარკილ დამყველს ილია ჭავჭავაძისას“. ²²

რაც შეეხება ჩვენს თვალსაზრისს, მოკლედ იგი ასე წარმოვიდგებთ:

რესი რევოლუციონერ-დემოკრატები (გერციხე, ჩერნიშევსკი, დომბროლინოვი), რა-

გორც ცნობილია, ბატონყმური ურთიერთობის დამსხვრველისათვის იბრძოდნენ, ქვეყნის პიტალისტური განვითარების ამერტყვევების მოსაჩინლედ გამოვიდნენ. ეს გზა წმინდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო. მართალია, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები იმავე დროს სოციალისტებიც იყვნენ, მაგრამ მათი სოციალიზმი მაინც ლამაზი წერილობრტყუაზიული უტოპია იყო და სრულებით არ სპობდა საყუბრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩერნიშევსკი და მისი თანამებრძოლები მწკეფარე რევოლუციონერები იყვნენ და ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის დამსხვრევის სახალხო რევოლუციის გზით ფიქრობდნენ, მაინც რჩებიდნენ უტოპისტებად და ობიექტურად აკეთებდნენ ბურჟუაზიის საქმეს, რადგან მათი აღმტყული საზოგადოება ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგლებს არ სცილდებოდა.

თერგდალეულები, ისე როგორც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები, გამოვიდნენ „შესამე წოდების“ ინტერესების დამცველად, რომელშიც გლეხიც, პროლეტარიატიც და კაპიტალი იყო გაერთიანებული, მაგრამ რადგან უვალაზე დახარული, ამასთან უვალაზე განსალი, უვალაზე მრავალრიცხოვანი გმიანი წლებისათვის გლეხობა იყო, ცხადია, თერგდალეულთა მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაზრევაში გლეხობა და მისი ინტერესები წინა პლანზე იქნა წამოყვეული.

მაგრამ თერგდალეულები მართო გლეხობის ინტერესით ვერ შემოიფარგლებოდნენ. ისინი მიზნად ისახვდნენ ცარიზმის კოლონორი ულლისაგან საქართველოს განთავისუფლებას და ამ ბრძოლაში საქიროდ მიანინდათ ერის უველა ძალის გაერთიანება. მათ ვულწყყულად სყრდნობენ, რომ ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაცია შრომის ბორკილებს ახსნიდა და უველა კლასს და წოდებას საქმეს ვაუჩენდა. წოდებათა ინტერესების შერიგება კი მთალონიერება ქართულ ეროვნულ სეულს, შეამპიდროვებდა მის ძალებს და დარბაზვდა იმ მხავერელის წინააღმდეგ, რომელიც უველა წოდების ინტერესებს უპირისპირდებოდა.

ასლა ვიკითხოთ როგორი საზოგადოება იყო თერგდალეულთა იდეალი? მათ იდეალს წარმოადგენდა დემოკრატიული საქართველო, რომელიც დემოკრატიულ რუსეთთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობაში იცხოვრებდა, რომლის არჩევითი ორგანოები პარლამენტური წესით ვადაწყვებდნენ ქვეყნის სამსიაო ბედ-ილბა, სადაც არ იქნებოდა წოდებათა სხვადასხვაობა, არ იქნებოდა მხავერელი და ჩავრული, უველა იმუშავებდა და თავისი შესაძლებლობის მიხედვით პირად ცხოვრებასაც ვააუშყობენებდა და საერთო ეროვნულ სიყუფისაგან შემატებდა რაიმეს, საქართველო, რომელიც ისტორიულ

საზღვრებში აღსდგებოდა, ცივილიზებულ ქვეყანათა ორბიტში მოექცეოდა და ფეხს აეწყო და ევროპულ პროგრესს. ამასთან თავის ენას, ტრადიციებს, მეომას შეინარჩუნებდა და განავითარებდა.

ესაღია, ეს კეთილშობილი იდეალი იყო, მაგრამ ეს თუ განუხორციელებელი ოცნება. უტოპია, რადგან იმ გზით, რა გზითაც თერგდალეულები იბრძოდნენ, ასეთი საზოგადოება ვერ დამყარდებოდა... ეს იყო სოციალიზმზე ის წერილობერეუბანი წარმოდგენა, რითაც ასე ფართოდ იყო შეპყრობილი XIX ს. 50-60 ანი წლების ევროპის დემოკრატია.

თერგდალეულებს, შართალია, სულათა და გულით ეწადათ ბატონყურთა ჩვეიძის ლაკვიდაცია, მაგრამ ვინაიდან ყურადღების ცენტრში ეროვნული საკითხი დააყენეს, არ შეეძლოთ ექადავათ გლეხთა რევოლუცია იმ პროგრამით რა პროგრამითაც რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები გამოვიდნენ. ამაში მდგომარეობდა შათი იდეოლოგიის ზოგიერთი სპეციფიკაც. შათი აზრით, ასეთი რევოლუცია კიდევ უფრო დაქსავდა, ერთმანეთს მიესევდა და დაშრეტდა ეროვნულ ძალებს, რომლის კონსოლიდაცია პირველი რიგის ამოცანად ესახებოდათ. ილიას აზრით, საქართველოს მომავალ კეთილდღეობას ერთნაირად სჭირდებოდა განიერია და გამარჯვებულ მუქთახორებისაგან განათავისუფლებული, განათლებული, ეპოქის მოთხოვნათა დონემდე ამაღლებული აზნურაი და ერის ეკონომიური დაწინაურებისათვის მიწოდებული ვაჭარ-მრეწველი.

ილიას ეს თავისთავადი კეთილშობილი იდეალი — ეროვნული კეთილდღეობისათვის საქართველოს სოციალური გვეუფებს კონსოლიდაცია — ელასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში განუხორციელებელ საქმედ რჩებოდა ისევე, როგორც უტოპიური და განუხორციელებელი იყო ყველა მარქსისტული სოციალისტისა და დემოკრატის იდეოლოგია. თუ ღრმად ჩაუვყვირდებით ქართველ 60-იანელთა სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს, ესაღია, იგი ბურჟუაზიული დემოკრატისების ჩარბებში უნდა მოვათავსოთ. ილიას საოცნებო საქართველო, თუ ერთ წუთით დაეუშვებთ ამ ოცნების სინამდვილედ გადაქცევას, იქნებოდა ავტონომიური დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ისტორიის ობიექტური კანონების ძალით გაბატონებულ პოზიცია მაინც ეროვნულ ბურჟუაზიას დაუშვებდებოდა.

როგორია ამ საკითხზე პრ. რატინას შეხედულება? მისი აზრით, ი. პეპუაძე და თერგდალეულები როგორც რევოლუციონერ-დემოკრატები მხოლოდ „გლეხთა იდეოლოგიას“ გამოხატავენ, მხოლოდ ქართული გლეხობის ინტერესებს ემსახურებოდნენ.

70-იან წლებში გლეხობის ინტერესების დამცველებად, როგორც ენობილია, ნათლნიყები

გამოვიდნენ. პ. რატინასც, რამდენადაც არ უნდა შელამაზოს თერგდალეულთა იდეოლოგია, იგი არსებითად ნაროდნიყულ მოსაყმე-დველობამდე დაყავს, ავიწყდება კი, რომ ნაროდნიყობა თეორიულ საკითხებში უნა გადადგმული ნაბიჯი იყო 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატისთან შედარებით. პრ. რატინა მშრია აფართობებს თერგდალეულთა ინტერესების ატაღს და მას „წერილობერეუბანიულ გლეხურს“ მოღვაწეებად თვლის, მაგრამ საქმეს ეს რიდი შეუღის. იგი ანეარის „არ უწევს, რომ წერილი ბურჟუაზიული წერილი მყარობებლთა ფენას, რომელიც სასოკონლო მურტნეობის სისტემის დროს მოქმედებს. ესაა წერილი და საშუალო გლეხობა, შინამრეწველები, ხელოსნები და წერილი ვაჭრები. ამ ფენას ბურჟუაზიული საზოგადოების არ ძირითად ელასს — ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის შეღაღდი მდგომარეობა უკავია. თავისი ეკონომიური მდგომარეობის გამო წერილი ბურჟუაზია ბუნებით ორჭოფია, და მუღმივად მერეუებს ბურჟუაზიას და პროლეტარიატს შორის. ბერძო საყურებრებისადმი მიდრეკილება წერილ ბურჟუაზიაში ყოველთვის ბადებს ანარქოელობას, მუშინერი ინდივიდუალიზმის, წერილ-მესაკუთრულ ინსტრუქციების სელისყვიტებას. თუ ბატონყური ურთიერთობის ლიყვიდაციისათვის ბრბოღაში წერილი ბურჟუაზია, როგორც „მესამე წოდების“ დიდი ნაწილი ვარკვეულ პროგრესულ რიღს ასრულებდა, მომდევნო პერიოდში, როცა კაბიტალისტრში ურთიერთობამ გზა ინტენსიურად გაიყავა და საბაჭნო წარმოება მომძლავრდა, წერილი ბურჟუაზიის კიბისული ხანა დაიწყო და ამ დროიდან მისმა იდეოლოგიაშიც გამოყვეთალი რეაქციული ხასიათი მიღო. ამას ვვასწიყლის მარქსიზმ-ლენინიზმი. იმიტომ ებრბოდნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი წერილობერეუბანიულ იდეოლოგიას დასავლეთშიც და რუსეთშიც.

70-80-ანი წლების საქართველოში, რიცი ბატონყობა გადავარდნილი იყო და კაბიტალისტური ურთიერთობა სოფლის ცხოვრებაშიც ღრმად იჭრებოდა, როცა წერილობერეუბანიული ფენის დაშლა ინტენსიურად მიმდინარეობდა და თავს იჩენდა მისი გააფთრება და კონსერვატიზმი იდეოლოგიაში, მისი ეფრებით შემოზღუდავა თერგდალეულებს ეტრად და მსახურებად ჩათვლებათ: თერგდალეულთა შემოქმედების ცენტრში ამ დროს მართლაც გლეხობა იღდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ თერგდალეულები ნაროდნიყების ებიგონები იყვნენ და ამ ელასზე მომავლის იმედს აყარებდნენ, არამედ იმიტომ რომ გლეხობა — ერის უღიდესი უმრავლესობა, მისი დოვლათის შემოქმედა — თერგდალეულების აზრით, უცხო და ადგილობრივი მუქთახორების უმოწყალო ჰარცვა

გლუჩისაგან დაცული ყოფილიყო. და მის ძალა-სა და შესაძლებლობას მეტი ვასაქანი მისცე-მოდა.

ასე ვფიქრობთ ჩვენ, ასე ფიქრობენ ამ პრობლემის სხვა სპეციალისტები. ვანმარტო-ვებით დგას მხოლოდ პრ. რატიანი. მას ერთი თანამოაზრე გაუჩნდა. ეს ამჟამად განსვენებულ-ლი ვ. სიფრაშვილია, რომელმაც 1962 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა და თერგდალეულების იდეო-რაი ურთიერთობა“, ილია ჭავჭავაძე მხოლოდ გლუხთა იდეოლოგიად გამოაცხადა (საყვირე-ვლია, რომ პ. რატიანი საჭიროდღა არ თვლის მისი ერთადერთი თანამოაზრე ამ საკითხში სადმე მიინც შოისხენის).

მაგრამ საყვირელი აქ ერთი რამაა: პრ. რატიანი, რომელიც ასე თავგამოდებით იცავს თერგდალეულთა იდეოლოგიის წერილობტრეუ-ზილობას და ყველას, ვინც ამ დებულებას არ იზიარებს, კლასობრივი ბრძოლის როლის უარყოფას აზრადებს, თვითონვე დაღატოხს საკეთარ დებულებას და თერგდალეულთა მსოფტმუხედველობის სრულიად განსხვავებულ შეფასებას იძლევა. „ჩვენ ნათელყავით, — წერს იგი, — რომ ი. ჭავჭავაძე ლაპარაკობდა მთელი ქართველი ხალხის სახელით და გულ-წრფელად ფიქრობდა, რომ ემსახურებოდა მთელ ხალხს, განურჩევლად წოდებისა, მიეუ-თითებთ იმაზე, რომ მისი ასეთი ფიქრი უბრალო ფანტაზიის ნაყოფი კი არ იყო, არა-მედ გაჩეყველ ისტორიულ პირობებს, სა-ხელდობრ ეპოქის ზემოხსენებულ თავისებუ-რებებს ემყარებოდა. დიდი მწერალი თავისი ეპოქის შვილი იყო — განმანათლებელი 60-ანი წლების მოღვაწე და სხვანიარად ფიქრი მას არც შეეძლო“ (ი. ჭავჭავაძე, გვ. 401). ამგვა-რად, რატიანს დაუსაბუთებია და ნათელყავია, რომ ი. ჭავჭავაძე მარტო გლეხობის იდეოლოგი რიდი იყო, რომ იგი, როგორც ეპოქის შვილი მთელ ხალხს, ე.ი. ყველა კლასსა და წოდებას ემსახურებოდა. მაშ რად გვედევება პ-ლი რეცენზენტი? აქ ხომ ვატარებულთა ზუსტად იგივე შეხედულება, რომელიც რეცენზიაში ჩვენი ნაშრომის მიუტყეველ შეცდომადა გამოცხადებულთ. ისევე საკითხავია: ვის ებრძვის რატიანი — ა. სერგულაძეს, თუ... პ. რატიანს. *

რეცენზიის ბოლო ნაწილში (იქვე) რეცენზენტი ძალ-ლონეს არ ზოვავს, რომ ჩვენი შეხედულებების „წყაროდ“ ა. ჭორჭაძის ნააზრევი გამოაცხადოს. ამიტომ ირევა იგი და მოაქვს ციტატების გროვა ა. ჭორჭაძის თხზულებებიდან.

ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდა-ციის საქმეში სახელმწიფოს როლზე მსჯელო-ბისას, ჩვენ, იქვე, სქოლორის მოტანილი გვაქვს ასეთი საგანგებო მითითება:

„ერისათვის დამახასიათებელ ნიშნად ერო-ვნულ სახელმწიფოს ზოგიერთი ბერევაზიული მკვლევარიც აღიარებს. ჩვენში ერის ძირითად კომპონენტად ეროვნულ სახელმწიფოს აღიარე-ბდა ფედერალისტი ა. ჭორჭაძე... ერის ნიშნად ეროვნული სახელმწიფოს აღიარებაში ა. ჭორ-ჭაძე მართალი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად იგი უშეუბნა მიუტყეველ შეცდომებს, როცა ეროვნულ სახელმწიფოს ერის ყველაზე არსე-ბით და განსაზღვრულ ნიშნად აცხადებდა. ა. ჭორჭაძე, ამასთან, ეროვნული სახელმწი-ფობრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში სრუ-ლიად გამორიცხავდა კლასობრივ პრინციპს, უარყოფდა იმ დიამეტრალურად დაპირისპირე-ბულ მისწრაფებებს, რომელიც ეროვნულ მოძ-რაობაში სხვადასხვა კლასებს გააჩნდათ სხვადა-სხვა ეპოქაში“.

აქ ხომ ყველაფერია ნათქვამი? — ხომ სა-განგებოდაა მითითებული ა. ჭორჭაძის შეცდო-მებზე. საიდან მოიტანა პ. რატიანმა, რომ, ჩვენ, თითქოს, მხარს ეუჭვრთ ა. ჭორჭაძეს და მისი ვაულების წევრ ემოყვებით, აღბათ იქიდან, რომ ერის დედინიციამ ჩვენ სახელმწიფოს როლიც შევიტანათ, მაგრამ ეს ხომ მარტო ჩვენ არ გვითქვამს? ეს ხომ რუსმა საბჭოთა ისტორიკოსებმა წამოაყენეს პირველად? პრ. რატიანს აღბათ დასჭირდება ისტორიკოსები როგაიგი, სერდლინი, მენაქაიანი და სხვები ჭორჭაძის ეპიკონებად აღიაროს და დასაბუ-თოს, რომ ეს იდეა მათ ფედერალისტ ჭორჭა-ძისაგან ისესხეს.

ა. ჭორჭაძემ ი. ჭავჭავაძის და აკაკი წერე-თლის შემოქმედების ქვეყნებზედ ეროვნული საკითხი გამოაცხადა... ი. ჭავჭავაძის შემო-ქმედებაში ეროვნული საკითხის პრიმატობის დებულებას ქართველი საბჭოთა მკვლევარები-ისტორიკოსები და ლიტერატორები იზიარებენ (ლ. გარგილაძე, ი. კაპარავა, ვ. კორტეიშვილი, პ. ინგოროყვა, დ. ვამზარდაშვილი, მ. დუდუ-ჩავა, ა. კენჭოშვილი, ვ. აზნაიანი და სხვ.). რა ვუყოთ, რომ თავის დროზე ეს არჩილ ჭორჭაძე-მაც შეინიშნა. შეინიშნა იმიტომ, რომ იგი დღესე-ვით ნათელია. და მარტო არჩილ ჭორჭაძემ? ი. ჭავჭავაძის შემოქმედების დახასიათებისას იგივე აზრი აქვთ გამოთქმული აკაკი წერე-

* ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაო-ბისა და თერგდალეულთა კლასობრივი ბუნების გაცემაში პ. რატიანის კონცეფციის მანკარება და ეკლექტური ხასიათი კარგადაა დასაბუთე-ბული პროფ. ი. კაპარავას ახლანან გამოქვეყნე-ბულ ნაშრომში (იხ. ი. კაპარავა, თერგდალე-ულთა იდეოლოგიისა და პრაქტიკული მოღვა-წეობის მართებული გაშუქებისათვის, „მაცნე“, № 2, 1977 წ.)

ოელს, ვეა-ფშეველას, იგანე ჭავჭავაძის, გუქთიძე თაყაიშვილს — თითქმის ყველას, ვინც ილიას თანამედროვე და უმცროსი თანამებრძოლი იყო.

მაგრამ აქ პატივცემულ მეთხველს ისევ მინდა შევახსენო პრ. რატინის დებულება, რომელიც ზევით გვაქვს მოტანილი. პრ. რატინი ხომ დაბეჭდილებით ამტკიცებს: იმ დროს, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე თერგ-დალეულები გამოვიდნენ, საქართველოში „მთელი სიმწვაფით იდგა ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის პრობლემა. ნაციონალური საკითხი წარმოადგენდა საქართველოს მამინდელი პოლიტიკური ცხოვრების ღერძს და, სხვათა, რომ მას არ შეიძლება და ვადაწყვეტა გავლენა არ მოეხდინა ილია ჭავჭავაძის მსოფლმშვედველობის საკითხზე“.³⁴

აქ ხომ პრ. რატინი თითონვე იმეორებს ა. ჯორჯაძეს და საკითხავია, ჩვენ რატომ ვეუბრებით? ჩვენ შორის განსხვავება ამ მხრივ მხოლოდ ისაა, რომ ჩვენ მიუფთხოვთ ვისაც ეს დებულება ეუფუნის, რატინი კი მას თავის აღმოჩენად ასაღებს.

ა. ჯორჯაძე, მიუხედავად იმისა, რომ ფედერალისტი იყო და მარქსიზმს ებრძოდა, საერთოდ ნიჭიერი ლიტერატურული კრიტიკოსი იყო. მისი ბევრი შეხედულება XIX ს. საქართველოს ევლტურის, ისტორიაზე გაზიარებულია კიდევ. მისი შემკვიდრების გამოყენება კრიტიკული შეფასებით, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ჩვენს წიგნში ყველაზე პირიქტულ დებულება გავრიტყვებულია ა. ჯორჯაძის მცდარი, მარქსიზმთან მტრული თუ შეუსაბამო შეხედულებანი, ამასთან ზოგი მისი მართებული მოსაზრებაც გავიარებელია.

დიდად დასაგონებია, რომ ზოგიერთი ურაციონალისტი არჩილ ჯორჯაძის შემკვიდრებას იფიქნებს როგორც ხელკერს, როგორც საფრთხივლას და „იზმებისა“ და ევოლუციონების კორიანტელში ედილობს თავისი თავი უცოდველ კომუნისტად დასტოს, სხვებს კი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის მცოდნეები მიაწეროს. ასეთი კრიტიკისგან ფარულად, ავტორის მიუთითებლად უხედავ სარგებლობენ იმავე ჯორჯაძის დებულებებით. ერთი ასეთი კრიტიკოსი პრ. რატინია, რომელიც ა. ჯორჯაძეს შეაყრდნობდა აკრიტიკებს, მაგრამ მაინც ეუბნება მისი იდეებით საზრდოობს. კიდევ ერთი კონკრეტული მაგალითი: როგორც ცნობილია, პრ. რატინმა ქართულ ისტორიოგრაფიაში 1956 წ. დიდი ხმურით წამოაყენა „დასუბის თეორიის გადსინჯვის“ საკითხი.

60-იანი წლების დასაწყისში, — წერდა მამინ პრ. რატინი, — თერგდალეულებმა პირველი მძლავრი იერიში მიიტანეს ძველი წყობილების დამცველთა წინააღმდეგ, მაგრამ რეპრესიის ძლიერი ზეგავლენის გამო იძულებულნი

ბუნნი გახდნენ დროებით უკან დაეხიათ და თავიანთი მებრძოლი ორგანიზაციის „საქართველოს მოამბე“ დაებურათ. მაგრამ მარქსისტული შეწყვეტა მათ ამ დროს აზრად არ მოსვლიათ. გახეთ „დროების“ დაარსება (1866 წ.) მათი ერთიანი ბრძოლის შემდგომი ეტაპი იყო. ხოლო „დროება“ — „კრებულის“ გამოცემა და ძველი წყობილების წინააღმდეგ მიმართული ახალი იერიშები (70-იან წლების დასაწყისში), რასაც ხელი შეუწყო ნ. ნიკოლაძის საზღვარგარეთიდან დაბრუნებამ, ამ ბრძოლის მესამე და გადაწყვეტი ეტაპს გამოხატავდა... „უდაო ისტორიული ფაქტია, რომ, როგორც ე.წ. პირველი დასის“, ისე ე.წ. „მეორე დასის“ მოღვაწენი ერთდროულად გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე, ერთიანი პოზიციებზე იდგნენ (70-იანი წლების ბოლოდან) და ერთ სიქმესაც ემსახურებოდნენ...“³⁵ ჩვენ ძირითადად არაფერი გვაქვს სადავო ამ დებულებასთან და მას მხარიც დაეუქირეთ. მაგრამ არ შეგვიძლია არ ვეთქვა ისიც, რომ ეს დებულება ვერ კიდევ 1914 წელს გამოთქვა ა. ჯორჯაძემ. ახლა დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, — წერს ა. ჯორჯაძე თავის „მასალებში“, — რომ 1877 წლიდან იწყება დაქსაქვა შესამოციანელთა, ირღვეა და იშლება იდეური ჯგუფი, რომელიც 1861 წლიდან მოყოლებული მოღვაწეობდა ჩვენს სამწერლო ასპარეზზე... 1877 წლამდე მოიხანს მთლიანობა და ერთობა, მიუხედავად ზოგიერთი უთანხმოებისა კერძო პირთა შორის სხვადასხვა საკითხთა გარკვევის დროს. ზოგს ჰგონია, ვითომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენში ორი დასი გამოსულიყო — „საქართველოს მოამბის“ ერთი, ხოლო „დროების“ მეორე, მაგრამ, ჩემი აზრით, ამგვარ აზრს არავითარი საფუძველი არა აქვს... 1863 წელს პირველი დასი გამოვიდაო, ხოლო 1866 წელს — მეორეო. საკვირველი გავუგებრობაა. დასი სოკოსავით ხომ არ იზრდება, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში ორი სხვადასხვა მიმართულების ჯგუფი დაბადებულიყო ჩვენში, ხოლო ჯგუფის გაჩენა და სამოღვაწეო გამოსვლა ცხოვრების პირობებით არის გამოწვეული, მიუცილებელის საჭიროებით და რა განსხვავებაა ამ მხრივ 1863 წლისა და 1866 წლის შორის? არავითარი“.³⁶

ამგვარაა, რომ პრიორიტეტი დავების თეორიის ვადასინჯვაში და გ. წერეთლის აღიარებული შეხედულების კრიტიკაში ა. ჯორჯაძეს ეუფუნის. პრ. რატინმა 42 წლის შემდეგ გაიმეორა ა. ჯორჯაძის თვალსაზრისი, მაგრამ საჭიროდ არ ჩათვალა დებულების ავტორის დასახელება. ნარკვევში „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში“ ჩვენ დასუბის თეორიის საკითხებზე პ. რატინას პოზიციას მხარი დაუუქირეთ, მაგრამ მიუფთხოვთ ისიც, რომ ეს აზრები რატინზე ადრე ა. ჯორჯაძემ გამოთქვა, ჩვენი მიზანი იყო შეი-

თველი საზოგადოებისათვის გვეჩვენებინა, რომ დასების თეორიის მოწინააღმდეგენი ადრევეც ჰყავდა. პ. რატინმა კი ამ ხნაურში თავისთავი თვითონვე გასცა.

ახლანან გამოცემულ ნაშრომში («ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შექმნა», II, 1977) რატინი შეეცადა თავი დაედგინა იმ უხერხულობიდან, რომელზედაც ჩვენ მივეთითეთ, აღიარა, რომ დასების გ. წერტილისეული კრიტიკა ჯერ კიდევ ადრე, რევოლუციამდე ა. ჯორჯაძემ მოგვეცა და მისი ნაშრომიდან ჩვენს მიერ მითითებულ ციტატაც მოიტანა (გვ. 177). ეს რა თქმა უნდა, იძულებითი, მაგრამ მაინც მართებული აღიარებაა. მაგრამ რატინი აქაც ცდილობს მკითხველი შეეცადოს შეიყვანოს, როცა სქოლიოში მიუთითებს, რომ, თითქოს, ეს გამოკვლევა მან ჯერ კიდევ 1966 წ. დახვეწა ეურნ. «მნათობში». ეს სტატია «მნათობში» მართლაც გამოქვეყნებულია, მაგრამ იქ ჯორჯაძე არსად არაა ნახსენები. ამგვარად, ჯორჯაძე რატინმა მხოლოდ მას შემდეგ მოიხსენია საეანგებოდ, როცა ჩვენ იგი მის ლიტერატურულ არაკეთილსინდისიერებაში ეამხილეთ. დანარჩენი მკითხველმა, განსაჯონ, ანუ საქციელს ჩვენი კომენტარი არ სჭირდება.

ახლა თერგდალეულთა «კლასთა თანამშრომლობისა» და ა. ჯორჯაძის «საერთო ნადავს» თეორიის შესახებ. პ. რატინი ფიქრობს, რომ ილია ჭავჭავაძემ წოდებათა შერჩევების უტოპიური თვალსაზრისი წამოაყენა არა 60-იანი წლების დასაწყისში (როგორც ეს ჩვენ ავტორს ჰგონია), არამედ 70-იანი წლების ბოლოს, როცა გამოქვეყნდა მისი შესანიშნავი გამოკვლევა «ცხოვრება და კანონი». 37

ვინც თერგდალეულთა შემოქმედებაში ღრმადა ჩახედული, ის დავეთანხმება, რომ კლასთა თანამშრომლობა ორგანული ნაწილი იყო თერგდალეულთა მთელი პროგნოზისა, რომელიც 60-იანი წლების დასაწყისშივე შეზღუდა და რომელსაც შემდეგაც არავითარი ცვლილება არ განუცვლია. ვინც ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის მთლიანობას აღიარებს, მას არა აქვს უფლება თქვას ილიამ შეიცვალა შეხედულება და 70-იანი წლების მიწერულსათვის მთელი კლასთა თანამშრომლობის იდეის აღიარებამდეო. ასეთი მსჯელობა არა მარტო ლოგიკას, არამედ ფაქტებსაც ეწინააღმდეგება. ვინა ი. ჭავჭავაძის ცნობილი სტატია, «ზოგიერთი რამ», (დაწერილია 1866წ). რომელიც თერგდალეულთა ერთ-ერთ მძირითად საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს სხვადასხვა წოდებათა თანამშრომლობის იდეას არ გამოხატავს? «სად არის ქართველი და ქართველობა» — კითხვლობს ილია «ქართველები არ არიან, მამა არ არიან? არიან თვალინი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი,

გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის» (დავით აღმაშენებლის სტულს, აზნაურსა — თავად გლეხსა... ორივე, ნუ თუ ესენი ქართველნი არიან ერთი დედის საქართველოს ოჯახის შვილინი?... თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა შავ თვითუდლის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიყეთისათვის, მაშინ შეუცვლით ქართველი აგერ იქ არის-მეთქი... «ეაი იმ ხალხს — ასეცენის გულმოკლული ილია, — რომელსაც საერთო მარტვი ვაუწყებ: ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვი სისხლი გაშრება, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში — ყველა, საცა თვითუდელ ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თვითუდლისათვის, საცა «შე» ხშირია და «ჩვენი» იშვიათი!» 38.

ნუთუ პრ. რატინმა არ წაუციხებავს დიდი მოახლოების ეს სტატია, ან თუ იცის მისი არსებობა, რატინი ცდილობს მკითხველს თვალში წაეცარი შეაყაროს?

და მარტო ილია ფიქრობს ასე? წოდებათა თანამშრომლობის იდეა ჩაქსოვილია აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედებაში. ვინა იაკობ გოგებაშვილი არ წერდა, რომ «მარტო ერთ წოდებას ვერ ძალუქს გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა დაეცემს, დანაგვრას და მიწასთან გასწორებას. საქობა შეერთებული ძალა უყოველა წოდებათა» 39 ი. გოგებაშვილის ეს ციტატა ხომ თვით რატინსაც აქვს მოტანილი იმის საილუსტრაციოდ, რომ ნათელუს თერგდალეულთა მისწრაფება საერთო ძალით საქართველოს აღორძინებისა?

ამრიგად, კლასთა თანამშრომლობის იდეა თერგდალეულთა შემოქმედებას თავიდანვე ასაზრდოებდა. თერგდალეულებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ ყველგან, მათ თანამედროვე საზოგადოებში ერთმანეთს ანტაგონისტურად უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა კლასები და წოდებანი, რომ აღმანიათ საზოგადოების ისტორია მუდამ ამ დაპირისპირებულ ინტერესთა ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა, რომ თავადის და გლეხის ინტერესთა შერიგება საბოლოოდ შეუძლებელი იყო; მაგრამ ამ იდეას მათ ხელი ჩასწიდეს გარკვეული მოსაზრებით. პატარა ერის შესაძლებლობათა დაქსაქსა, გათიშვა და ურთიერთდაპირისპირება, მათი აზრით, წყალს მხოლოდ ვარემე შტრის წაწყვილზე დაასხამდა. გათიშვლობის პირობებში შეუძლებელი ჩქნებოდა ერის კონსოლიდაცია და საბრძოლო შემართება, ჩვენ იმასაც მივეთითებთ, რომ ასეთ იდეას, თავისთავად უტოპიურს, 60-იანი წლებში არ შეეძლო ისეთივე უარყოფითი როლი შეესრულებინა, როგორსაც იგი 90-იანი წლებიდან, ჩვენში მუშათა მოძრაობის აღმშენებლის დროიდან ასრულებდა» 40.

აი, ამ ფრასას ჩასწიდებია რატინი, აქ ხე-

დაეს იგი ზევს მიუტყვებელ შეცდომას და გვაბრალებს თითქოს თერგდალეულთა კლასთან თანამშრომლობის იდეას ფედერალისტ ა. ჯორჯაძის საერთო ნიადაგის თეორიასთან ვაი-გვივებდით.

მაგრამ პ. რატანის მეთვლელო აქაც შეცდომაში შეჰყავს. სინამდვილეში ზევნი თვალსაზრისი იმის საპირისპიროა, რასაც რეცენზენტი მოგაწერს. 80-იანი წლების შემდეგ თერგდალეულთა იდეოლოგიას და პრაქტიკულ მიდევნობას რომ ვუხეხობთ, ზევნი გააკვეთავთ მივითხოვთ, რომ თერგდალეულობას არაფერი ჰქონია საერთო იმ ბურჟუაზიულ — ნაციონალიზმთან, რომელიც ზევნი 90-იანი წლების შემდეგ აღმოკენდა და რომლის შესვეურად გამოვიდნენ ა. ჯორჯაძე და ე. აბაშიძე. ზევნი ვწერთ: 80-იანი წლების შემდეგ, ე. ი. უკლასობრივი ბრძოლის ახალ პირობებში, როცა საბოლოოდ დაირღვა მესამე წოდების მალაინობა, დემოკრატიაში და სოციალიზმი ცალკეულ მიმდინარეობებზე გაითიშა, აღინდლო თერგდალეულობის პოზიციის ერთგვარად შეიცვალა რევოლუციური დემოკრატიაში და გლეხური რადიკალიზმი, რაც ამ მიმდინარეობას ახასიათებდა, სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას შეეთვისა. გლეხობას ახალ ვითარებაში ყველაზე სამწიფო მეთურად პროლეტარული რევოლუცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის წამყვან ძალეზედ მუშათა კლასი და გლეხობა გამოვიდა ბურჟუაზია კი, რომელიც მესამე წოდებიდან გამოითიშა, ლიბერალიზმის ჩარჩოებით შემოაფარვლა.

თერგდალეულობა ახალ ვითარებაში აღარ შეიძლებოდა უოფიციო მესამე წოდების იდეოლოგია, რადგან თვით მესამე წოდება, როგორც სოციალური ორგანიზმი აღარ არსებობდა. იგი ველარ გამოადგებოდა მუშათა კლასს და გლეხობა, რომელიც ბურჟუაზიულ დემოკრატიული რევოლუციით აღარ ემყოფილდებოდა და სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისაკენ, ექსპლუატატორული რეჟიმის საბოლოო დამოხრისაკენ მიისწრაფოდა. ამ დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში პროლეტარიატი და გლეხობა უფრო ახალ იდეოლოგიას უზიარებდა. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმი. თერგდალეულობა არც ქართულ ბურჟუაზიას გაეყოლა, რადგან მას არასოდეს არ ჰქონია მისნად დასახული ერთი რომელიმე კლასის ან წოდების საშაბური. მით უმეტეს, როცა ბურჟუაზია კლასობრივად გათვითცნობიერდა და ქართული საზოგადოებრიობის ცხრა მეათედს ახალ მხავერდ ძალად მოველინა. განმანათლებლობამ, რომელიც მთელი ხალხის მოსარჩელე იყო ამ ახალ ძალას ბურჟუაზიაში.

ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის

ებოქაში ქართული განმანათლებლობა, რომელთაც ადრე თერგდალეულებს უწოდებდნენ, თითქოს ჰაერში გამოკიდებული დარჩა და დასაყრდენი ძალეში გამოეცალა.

ვიდრე საქართველოში ცარიზმი ბატონობდა და ეროვნული ჩაგვრა სახეზე იყო, განმანათლებლობას გააკვეთილი ფუნქცია გაიანდა, კოლოსალური საქმე ჰქონდა. იგი ყველა განადრძობდა ეროვნული ძალების შემართებას, უვლიდა ქართულ ტრადიციებს, ენას, სათავეში ედგა ყველა ეროვნულ პრაქტიკულ წამოწყებას, ახალ ფონზე განმანათლებლობა თავისი პროგრამით ველარ სცილდებოდა ლიბერალიზმის ჩარჩოებს, მაგრამ თავისი წინაარსით იგი ყველა ღრმად დემოკრატიული რჩებოდა. იმ დიდ სოციალურ და ეროვნულ ომში, რომელსაც მუშათა კლასი და გლეხობა კამიტალიზმისა და ცარიზმის წინააღმდეგ ეწეოდა, სამეფო მოკავშირედ გამოდიოდა. ამრიგად, ილია ჭავჭავაძის ვარშემო თამთყარული მიღწევის, იმპერიალიზმის ეპოქის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას შეერწყმენ დემოკრატიულ ნაყადად.⁴¹

ზევნი იქვე შეერთდა ვასხვავებთ თერგდალეულების კლასთა თანამშრომლობის იდეებს ფედერალისტების საერთო ნიადაგის თეორიასთან, ხაზგასმით აღენიშნავთ მათ შერეობას. — რაც შეეხება ბურჟუაზიულ იდეოლოგიას, — ნათქვამია წიგნში, — ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს — იგი საქართველოში მართლაც გაჩნდა XIX ს. 90-იან წლებიდან. როცა ზევნიც გაიშალა ბურჟუაზიის და პროლეტარიატის მკვეთრი კლასობრივი ბრძოლა, როცა ბურჟუაზიას მოუენდა თავისი ბაზრის დაკავება ელემენტებისაკენ, როცა თავისი საბაგი ზღუდების დასაცავად, გამდიდრების გზაზე უღლის გასატანად ქართულ ბურჟუაზიას ძალა დასჭირდა და ეს ძალა პროლეტარიატში დაინახა. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი გამოვიდა, როგორც რუსეთის იმპერიის პროლეტარიატის საბრძოლო გაერთიანების "შემფრებელი იდეოლოგია. ილია ჭავჭავაძის ამ იდეოლოგიასთან საერთო არაფერი ჰქონდა და მის წარმომადგენლებს ებრძოდა".⁴²

ახლა ვფიქრობთ, დღესათვის ნათელია, რომ პ. რატანის ზემო-მოტანილი შენიშვნები ყოლიბია, მიზნად ისახავს ზევნი იდეური ჩაყარვას მოგაწეროს და ამით ზევნი წიგნს სახელი გაუტეხოს. ამ შენიშვნებს მოსდევს ღია ცარების მტერება, მტკიცება იმისა, თუ ა. ჯორჯაძის წინააღმდეგ როგორ ილაშქრებდა ცნობილი ქართველი მარქსისტი ა. წულუკიძე. ა. წულუკიძის და სხვა ქართველი მარქსისტების ბრძოლა ფედერალისტებისა და სხვა ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ საჩრცენილო წიგნის საგანი არაა და იგი ზევნი საყარებოდ გვაქვს განხილული სხვა ნაშრომებში.⁴³

• • •

ჩვენი ნარკვევები, რომელთაც პრ. რატიანი მკვლარი პოზიციიდან განიხილავს და ტენდენციურად აფასებს, რა თქმა უნდა, უნაყოფო არ არის. მათი ღირსება-ნაყოფანეების შესახებ უკვე დაიბეჭდა მეცნიერთა რეცენზიები (იხ. პროფ. ი. ანთოლავის ვრცელი რეცენზია ჩვენს მონოგრაფიაზე — „ბარათაშვილის ეპოქა“, „ციცქარი“, 1969, № 7; პროფ. ი. ბოცვაძის რეცენზია ჩვენს მონოგრაფიაზე „ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს მეორე ნახევარი“; „ლიტერატურული გაზეთი“, 1974, 7 თვისი № 23; პროფ. ზ. ანაბაძისა და პროფ. გ. ახობაძის რეცენზია მონოგრაფიაზე — „ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში გროვულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ“, ეურნ. „მნათობი“, № 4, 1974 წ.).

რეცენზიათა ავტორები ჩვენი ნაშრომების ღირსების აღიარებამთან ერთად რიც საკითხებზეც გვეყვამებოდნენ, რაც ნაკლავ მიგვიითხებდნენ და ჩვენც მათ მიმართ მაღალიერების გრძნობით ვართ გამსკვალული. ხომ ვალდებული იყო პრ. რატიანი ორიოდ სიტყვა მიანც ეთქვა დადებითი, ან თუ დადებითი ჩვენს წიგნებში ვერაფერი ნახა, პასუხი მიეცა ამათთვის, ვინც ჩვენს ნაშრომებს აღრე მალალი შეფასება მიაცეს?

რატინამა არავის არ გაუწია ინგარიში, არც ერთი აღრიანდელი ჩვენი რეცენზენტო მოსხენების ღირსიც არ გახადა. შეიარაღებული „თოფითა და ჭინჭლითა“, იგი პირდაპირ ვადმოვიდა იეროზე, რათა გავებობრეებინა მთელი ჩვენი ნაშრომები. პასუხიდან, აღბათ, ჩანს რომ რატინი ამაოდ დაშტა მისი არც ერთა შენიშვნა არაა მართებული, ამიტომ ვერ გავიზარებთ.

ახლა ორიოდ სიტყვა რეცენზენტის ტონამა და სტილის შესახებ.

პრ. რატინს ეერაიენ წარათმეცს იმის უფლებას, რომ გადაჭარბებული წარმოდგენისა იყოს თავის თაზე, რომ უფლა მისი გამოკლევა მეცნიერების უნაანკელო სიტყვა გგონოს, რომ მისი მონოგრაფია ილია ჭკუვაძეზე მიანდეს „ჭველი“ და „ახალი“ თელსაზრისების მიწნად, რომ უფლაფერი, რაც მის დრომდე გაკეთებულა თერგდალეულების და ილია ჭკუვაძის კელვისს საქმეში, წარმოიდგინოს ნამორწინილობად, უფიქობად, ხოლო ნაშრომი მეცნიერული აზრების სათავედ მისი ნაშრომები გამოაცხადოს. დეე, ჭკონდეს მას ეს რწმენა („ნეტარ აიიან მორწმუნენა...“).

ჩვენ ეს არ გვაწუხებს. ჩვენი გულსიტყვადი და შეფოთება გამოწვეულია იმით, რომ თვითდაჯერებული მკლეეარი იბრძვის, რომ საკუთარი შეხედულებანი თავს შობავის სა-მეცნიერო საზოგადოებრიობას, ამისათვის იგი

მეცნიერისათვის შეუფერებელ მეთოდს — სხვის აზრების გადასხეაფერების, დამახინგებულად, ცალმხრეად წარმოდგენის შეთოდს მიმართავს.

XIX ს. საზოგადოებრივი აზრის მკლეეარათგან თითქმის ეერაიის დაფასებლებით, რომ ისინი ასეთი მეთოდებით არ ჰყავდეს შერისხული პრ. რატინს. თერგდალეულთა იდეოლოგიის გავებამი საკუთარი თელსაზრისის გზის გაკაფვის მიზნით პრ. რატინი უღმობლად მოეკცა აწ განსვენებულ ს. ხუნდაძეს, მის. ზანდელელს და ფილიზე მხარამეს. ასევე შერისხათვისი კოლეგები — აბელ კიციანი, ე. ზაბტაძე, ი. კეჭარავა, ა. თავაძე, შ. გაჭრინდავილი, ლ. ებანიძე და სხვები. XIX საუკუნეს რომ მოუთავა, პრ. რატინი ლეონტო შროველსა და რუსთაველს გადაწვდა, გენილურ ქართულ პოეტს ევისეკობისს ანაფორა ჩაიევა და კელერიალთა წრეში შობათვისა, ხოლო ვინც ვაებედა და მისი ასეთი განუეთხავი ლაშქრობის წინააღმდეგ ხმა ამოიღო, ისინი (აღ. ბარამიძე, ლ. მენაბდე, მ. დუმბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. შოშიაშვილი და სხვ.) ურეცხად გამოაცხადა. რატინი თავანთანად გააფრთხილეს, რომ მისი ასეთი ვარგოში სერიოზულ პრობლემებზე დაუშვებელია და არაფერს მატებს მეცნიერებას, ზიანს კი აყენებს მას*. მაგრამ არაფერი გამოდის. რატინის უუყარს ხმაური, უუყარს როცა მასზე ლაპარაკობენ: — სულ ერთია რასაც ლაპარაკობენ. იგი ვერ იტანს სინუმეს, უნდა რომ მუდამ უურაღღების ცენტრში იყო.

„კამათის უპირველესი და აუცილებელი პირობაა მოკამათებება არ დაუშვან ფაქტების შეგნებელი გაყარებება, არ დამახინგონ მოწინააღმდეგის აზრები, არ მიაწერონ მოწინააღმდეგეს ისეთი რამ, რაც მას არათუ არ

* არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ პ. რატინი, როგორც ერთხელ აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩნაში გაწაფული, ლიტერატურულ პოლემიკაში სენსაციების მოყარული, სხვისი აზრების დამახინგებისა და თვითმებური შეკეთების ხელმარევე ოსტატი, მრავალჯერა მხილებული ჩვენს ლიტერატურულ კრიტიკაში. (იხ. მ. დუღუჩავა „რამდენიმე რეპლიკა ამოდ გარჯილ „დამკველს“ ილია ჭკუვაძისას, ლტ. თეორიისა და ესთეტიკის საკითხებ, თბ. 1963, გვ. 161-173; ლ. ებანიძე „ლირსეულად დავაფასოთ ჩვენი სასიქადელო წინამორბედნი.“ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომები ტ 50, 1966 წ. გვ. 405-432; მ. კვესელავა „ერთი მართლად უმართებულო კრიტიკის გამო“ („კრიტიკა“ № 3, 1973 წ.) ს. ყაუხჩიშვილი, ე. დონდუა, მ. დუმბაძე, შ. ზადრიძე — რუსთაველზე კელერიალური თელსაზრისის წინააღმდეგ „მნათობი“, 1969, № 11; და სხვ.

უტყვამს, არამედ აზრადაც არ მოსვლია, არ მითმართონ შეითხველის თვალის ახვევის ცდებს არ მიაღწეწონ და არ დაუშალონ შეითხველს ის ფაქტები, რომლებიც მათ საკუთარ თვალსაზრისს არ ეთანხმება და ა. შ. თუ ეს პირობები დაკული არ იქნა, ცხადია შეცნიერული კამათი შეუძლებელია." (იხ. პ. რატიანი „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი“, თბ. 1975, გვ. 274). ეს სიტყვები ხომ რატიანს ეკუთვნის! ნაწს, თეორიულად მას კარგად სციოდნია როგორი უნდა იყოს შეცნიერული პაეტრობა, მაგრამ პრაქტიკულად უველა იმ აკრძალულ ილეთებს მიმართავს, რომელთა შესახებ ასეთი ველისწეროშით ლაპარაკობს, არცოდნა.

არცოდნაა. შეგნებული დანაშაული კი მეტ გაიკიცხავს აზსაბრებს. კეშპარიტების დადგენის მიზნით გამართული შეგობრული, მაგრამ პრინციპული კამათი სსსარგებლოა და ასეთი კამათი ხელს უწყობს შეცნიერების განვითარებას. ჩვენ ასეთი კამათის მოშორე ვართ და სიაშოვნებას გვანიკებს კიდევ აზრთა ურთიერთგაზიარება, მაგრამ რეცენზია, რომლის ავტორიც სუბიექტურადაა განწყობილი და მიზნად ისახავს კეშპარიტების გამრუდებას, არავის არ სკირდება. ამოდ გავსარჩა პრ. რატიანი! ამ რეცენზიით მან თერგ-დაიულებზე და XIX საუკუნის აზროვნებაზე მისი შეხედულებების მანკერება და კოლევის მიმართ ტენდენციურობა გამოამკლავნა.

ზიგონზიგონი:

1 პრ. რატიანი, ნუთუ ეს ისევ სადავოა? „მნათობი“, 1977, № 7, გვ. 144.
 2 პრ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, მოლეაწეობა და აზროვნება, თბილისი, 1965, გვ. 628-639.
 3 პრ. რატიანი, მით. სტატია, გვ. 139.
 4.5 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. მეორე ნახევარში, თბ., 1973, გვ. 128.
 6 იქვე, გვ. 139.
 7 იქვე, გვ. 140-141.
 8 იქვე, გვ. 189.
 9 პრ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე, მოლეაწეობა და აზროვნება, თბ., 1965, გვ. 422.
 10 იქვე, გვ. 194.
 11 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი... გვ. 217.
 12 ა. სურგულაძე, ნ. ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1968, გვ. 342-343.
 13 იქვე, გვ. 178.
 14 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, გვ. 273.
 15 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი... გვ. 129.
 16 იქვე, გვ. 342.
 17 დ. ყიფიანი, შემეარება, შესავალი, გვ. X XIV.
 18 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი... გვ. 351.
 19 პრ. რატიანი, ი. ჭავჭავაძე, გვ. 38-39.
 20 О. Жордания, о двух важных документах период революционной ситуации в Грузии 50-х и начала 60-х годов XIX века. Тбилиси, 1968, стр. 182.
 21 პრ. რატიანი, ნუთუ ეს ისევ სადავოა? „მნათობი“, გვ. 144.

22 М. О. Мнацаканян, Нация и национальная государственность. журн. «Вопросы истории» № 9, 1966.
 23 ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და რეველუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, 1970, გვ. 10-19.
 24 Вопросы истории № 4, 1970, стр. 95.
 25 იქვე.
 26 ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და... გვ. 75.
 27 იქვე, გვ. 78.
 28 იქვე, გვ. 82.
 29 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 500 (შეოთხე გამოცემა).
 30 ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და... გვ. 75.
 31 ე. ი. ლენინი, თხზ., ტ. 1, გვ. 349.
 32 მ. დუღუჩაია, რამდენიმე რეპლიკა ამოდ გარჯილ დამცველს ილია ჭავჭავაძისა. ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 161-181.
 33 ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და... გვ. 16.
 34 პრ. რატიანი, ილია ჭავჭავაძე, გვ. 421.
 35 იქვე, გვ. 465, 460.
 36 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, გვ. 192-193.
 37 პრ. რატიანი, „ნუთუ ეს ისევ სადავოა?“, „მნათობი“, გვ. 153.
 38 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 76.
 39 ი. ვოგებაშვილი, რწ. ნაწერები, ტ. II, გვ. 318.
 40 ა. სურგულაძე, ქართული საზოგადოებრივი აზრი... გვ. 424.
 41 იქვე, გვ. 406-407.
 42 იქვე, გვ. 427, თბ.
 43 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 289-307.



კიდევ ერთხელ ქართველ რევოლუციურ დემოკრატიულ მოღვაწეებსა და მათი მემკვიდრეებისადმი

ცნობილია, რომ რაც უფრო ვითარდება მეცნიერება, მით უფრო ძნელი ხდება დროშა-შეღებული და მცდარი შეხედულებების დაცვა. იყო დრო, როცა რუსეთში ველვარულად მოაზროვნე ისტორიკოსები თავით სახელოვან ნ. ჩერნიშევსკისად კი ბურჟუაზიის იდეოლოგიად (ე. ი. ლიბერალად) აცხადებდნენ, ხოლო ა. გერცენს „მოწინავე თავადაზნაურობის“ ტიპიურ წარმომადგენლად სთვლიდნენ. ასევე არასწორად უდგებოდნენ საშოკიანელთა მემკვიდრეობის შეფასებას უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და სხვა სახეობითა რესპუბლიკებში.

მაგრამ ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, — რევოლუციამდე და საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების პირველ ეტაპზე, შემდგომში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა: საბჭოთა ისტორიული მეცნიერება წინ წავიდა, უამრავი ახალი საარქივო მასალა გამოაშუქრდა, შესანიშნავი მეცნიერული გამოკვლევები დაიწერა და, რაც მთავარია, კვლევადობის მეთოდოლოგია რადიკალურად გაუმჯობესდა. ამის შედეგად საშოკიანელთა მემკვიდრეობის კლასობრივი არსის ირგვლივ კამათი ყველგან შეწყდა, — შეწყდა იმიტომ, რომ მათი მოღვაწეობისა და იდეების რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი დღესაც მათივე გზადაა.

ვინ დავობს დღეს რუსეთში იმის გამო, თუ ვინ იყვნენ ბელისკი, გერცენი, ჩერნიშევსკი და დობროლიევი? ცხადია არავენ. ამ დიდი რევოლუციონერი დემოკრატების ფასდაუდებელი მემკვიდრეობა დიდი ხანია შესწავლილი და ღირსეულად დაფასებულია. ასევე აღარა...

ვინ დავობს უკრაინაში ტ. შევჩენკოს, ბელორუსიაში კ. კალინოვსკის, ხოლო სომხეთში მ. ნალბანდიანის საზოგადოებრივ შეხედულებათა კლასობრივ ბუნებაზე, რადგან ეს საკითხი ხსენებული რესპუბლიკების მეცნიერთა მიერაც დიდი ხანია გადაწყვეტილია.

ერთადერთი საბჭოთა რესპუბლიკა, სადაც ჯერ კიდევ გრძელდება დაუსრულებელი, და უკვე მომავლებელი კამათი საშოკიანელებზე, ესაა საქართველო; დღეს მართო ჩვენ, ჭაბუკიანი მეცნიერები ვდავობთ იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ ჩვენი საშოკიანელები (ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე და სხვ.), — მშრომელი ხალხის ინტერესებს ემსახურებოდნენ ისინი, თუ თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებს? ან კიდევ, ბურჟუაზიის განთავისუფლებას ისახავდა მიზნით ის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც ჩვენი საშოკიანელები (თურგდალეულები) ხელმძღვანელობდნენ, თუ მშრომელი ხალხის სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას?

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის გამოძიებას, თუ რა მიზეზებმა გამოიწვიეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მისი სახელოვანი ხელმძღვანელების ირგვლივ კამათის ასეთი გავრცელება, მაგრამ არ შეგვიძლია მკითხველის ყურადღება არ მივუქციოთ ერთს, ჩვენი აზრით, ფრიად საშიშრობის და საფრთხილი მდგომარეობა.

წინათ, რევოლუციამდე, როცა ჩვენი ქვეყანა უფუფუნოდ მხარე იყო; როცა იგა, ამათან, ანტაგონისტურ კლასებზე იყო დაყოფილი და სხვადასხვა პარტიებს შორის გაფაქრებული...

ბელი ბრძოლა იყო განადგურებული, თერგდალელთა ირგვლივ აზრთა ბრძოლას თავისი ღრმა სოციალური და პოლიტიკური მიზეზები გააჩნდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს მიზეზები მოიხსნა და მრავალი ქართველი მეცნიერის ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად თერგდალელთა მეშვიდრობა თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით იქნა შესწავლილი; მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა უადრესად მნიშვნელოვანი ახალი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ეკვიპოტანლად ვეიდასტრენგენს, რომ თერგდალელურმა ისეთივე რეველუციონერ-დემოკრატებმა იუვენს, როგორც ნ. ზერნიშვესკი, ტ. შევჩენკო, კ. კალინოესკი, შ. ნალბანდიანი და სხვები, მათი შეხედულებების კლასობრივი არსის ირგვლივ ამათის ვაგრძელეზას არავითარი აზრი აღარ აქვს; ასეთ პირობებში კამათის ვაგრძელეზა შეიძლება აიხსნას მხოლოდ ზოგიერთი ზვენი მეცნიერის მისწრაფებით, თავისი პირადი თავმოყვარეობა კუშპირიტებაზე მაღლა დააყენოს.

გასაოცარი ფაქტია, რომ ეს მეცნიერები სადავო საკითხის სერიოზული შესწავლისათვის თავს სრულებით არ იწყებენ (არც ერთ მათგანს ი. ჰუბუვაძის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის ან სხვა რომელიმე გამოჩენილი თერგდალელის მეშვიდრობა საკეთილურად არ შეუსწავლია), მაგრამ ძველი უკვე დრომოკმული შეხედულებების დასაცავად დროსა და ენერჯიას არ იშურებენ; ისინი ეფარებიან ფ. მახარაძის, ნ. შარის, ხ. ხუნდაძისა და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა ავტორიტეტებს და მეცნიერების შეშინდელი დღით ცხოვრობენ, მათ კარგად იციან, რომ დღევანდელ პირობებში მეცნიერული მეთოდებით ყალბი შეხედულებების დასაბუთება და დაცვა შეუძლებელია, ამიტომ მიმართავენ ისეთ მეთოდებს, რომელთა საშუალებით, თუმა ვაგრძელდოდ და ზერელედ, მაგრამ მაინც ხერხდება სულ სხვადასხვა, ზოგჯერ კი ერთმანეთის დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრების შეერთება და შეთანხმება.

ზენ გულდასმით გაეცენით პროფ. ა. სურგულაძის საპასუხო წერილს, რომელიც „მნათობის“ წინამდებარე ნომერშია დაბეჭდილი, და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ მისი ავტორი საბოლოოდ დაშორდა რეალურ-ისტორიული ფაქტების ნადავს და შილიანად მისტოფიკაციების საშუალოში გადაბარდა. თავისი ყალბი კონცეფციის დასაცავად ა. სურგულაძემ ვერ წამოაყენა ვერც ერთი, ცოტად თუ ბევრად ანგარიშგასაყენი საბუთი ან არგუმენტი. სადავო პრობლემის საკვანძო საკითხებს მან ან საეკიბით გვერდი აუარა, ან კიდევ ისინი ზერელე და არაფრისმოქმელი ბელეტრისტული ფრაზებით მიიფურჩია. სამაგიეროთ, ავტორმა წინა პლანზე წამოსწია საკითხები, რომლებსაც არც სადავო პრობლემას,

თან აქვთ პირდაპირი კავშირი და არც რაიმე რეალური საფუძვლები გააჩნიათ.

ასეთ ვითარებაში შეგვეძლოს ავტორის წერილზე პასუხი საერთოდ აღარ გავვეცა, მაგრამ მისი კონცეფციის სიყალბე რომ ბოლომდე ნათელი გახდეს და მკითხველს ამ მხრივ საკუთო არაფერი დარჩოს, თავს ნებას მივცემთ, ჭეუპიო დაწერილობით განვხილეთ ავტორის ყველა არგუმენტი და ნათელყოთ მათი სრული უნიდავობა.

1. უსაფუძვლო ბრალდებები და მათი დანიშნულება

„გაღმა შეედავე და გამოღმა დაგრჩებო“, ამბობს ქართული ანდაზა. სწორედ ასე იქცევა პროფ. ა. სურგულაძე.

ავტორი სერიოზულად აცხადებს, თითქოს, ზენს კრიტიკულ წერილში, რომელიც „მნათობის“ მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა, უფრო მეტი ადგილი „ფაქტებსა და გულდინჯ, მეცნიერულ მსჯელობას“ კი არ უჭირავს, არამედ მოწინააღმდეგის „დამამკირებელ და შეურაცხყოფელ ეპითეტებს“; რომ სსენებულა წერილს საესეა „ლანძღვა-გინებით“, რეცენზენტის შიერ დამახინჯებელი, „შებრუნებელი აზრებით“ და ა. შ.

ეს რომ შართალი იყოს, ავტორი, ცხადია, შარტო ამ ზოგად განცხადებას არ დასჯერდებოდა და ლანძღვა-გინების, ან მისი აზრებამ დამახინჯების ერთ კონკრეტულ შავალიან მაინც დასაბეჭდებდა, მაგრამ სად იპოვიდა ასეთ შავალიანს? აოველი იბიექტური შკითხველი, რომელმაც ზენი წერილი წაკითხა, ვფიქრობთ, დავგეთანხმება, რომ პატრიცეუმულ ა. სურგულაძეს ასეთი ბრალდების წამოყენებისათვის არავითარი საფუძველი არ გააჩნდა. მოწინააღმდეგის აზრების დამახინჯება მხოლოდ იმ მოკამათეს სქირდება, რომელსაც ფაქტები და არგუმენტები არ გააჩნია, ზემოსხეხებული ჩვენი წერილი კი ასეთ უღარს იარაღს არ საჭიროებს; მასში ყოველი დებულება სათანადო ფაქტებით და არგუმენტებითაა დასაბუთებული, რასაც ალბათ მკითხველიც შეამჩნევდა.

რაც შეეხება ისეთ გამოთქმებს, როგორცაა „ულოვიკობა“, „ტენდენციურობა“, „თანამედროვე მეცნიერების პრინციპების უშულებელყოფა“, „ისტორიის დიდი კანონის დავიწყება“ და სხვა შისთანებო, ეს გამოთქმები ჩვეულგარევი მეცნიერული ცნებებია და დღემდე ისინი ლანძღვა-გინებად არაიის მიუნწევიია.

განსაკუთრებით ნიშანდობლივი და თანაც საყვირველი ისაა, რომ პატრიცეუმული ავტორი ზენს კრიტიკულ შენიშვნებს პირადი „სიმპათია-ანტიპათიის“ ნაყოფად სთვლის და ამ

გამოგონილი მოტივით უკლებლივ ყველა მათანს მიუღებდად აცხადებს. ამვე მიზეზით (პირადი მოტივით) ხსნის ავტორი იმ ფაქტს, რომ ჩვენი წერალი თავდაპირველად ჟურნალ „მაენეში“ დასაბეჭდი იყო გამოადებული, მაგრამ შემდეგ ამ ორგანოში აღარ დაბეჭდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე, თათქოს, ავადმიის საზოგადოებრივ შეცნიერებათა განყოფილების სპეციალური გადაწყვეტილება კი არსებობდა. უოველივე ეს, თურმე, იმიტომ მოხდა, რომ ჩვენი წერილის გამოადრებით მიზანი ა. სურგულაძისათვის პრემიის მიღებაში ხელის შეშლა უოფილამ

რა უნდა ითქვას ამ სასაცილო ბრალდების გამო?

არა გვკონია მოიპოვებოდეს ისეთი მითხველი, რომელიც ამ აშკარა ინსინუაციებს სეროიზულად შეხედავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ორიოლე სიტყვით განვმარტოთ საქმის ნამდვილი ვითარება.

პარტიცემულმა ა. სურგულაძემ ძალიან კარგად იცის, რომ ჩვენი წერილი გაცილებით იმაზე აღრე დაიწერა, ვიდრე მისი წიგნი პრემიაზე იქნებოდა წარდგენილი; მან იცის, ავრთვე, რომ „მაენეში“ წერილის შიტანის დროს ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვექონდა (და არც შეიძლებოდა გვექონდა) იმაზე, თუ მისი წიგნი პრემიაზე წარადგინეს; დაბოლოს, მან იცის ისიც, რომ ხსენებული წერილი „მაენეში“ ჩვენ გვინდოდა დაგვებეჭდა როგორც ჩვეულებრივი კრიტიკული სტატია და არა როგორც სადისკუსიო მასალა. მაგრამ მის შემდეგ, რაც „მაენეს“ რედაქციამ წერილის სადისკუსიო დაბეჭდვა გადაწყვიტა და შეუდგა კოდექსს მზადებას ი. ჭავჭავაძის შემვიდრეობის ირგვლივ დისკუსიის გასამართავად, ჩვენ აღარ ვისურვეთ წერილის ამ ორგანოში დაბეჭდვა, — არ ვისურვეთ იმიტომ, რომ ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა კლასობრივი ბუნების საკითხი სადისკუსიოდ არ მიგვიჩნდა, და არც ახლა მიგვიჩნია.

რაც შეეხება ავტორის განცხადებას, თითქოს საზოგადოებრივ შეცნიერებათა განყოფილებამ, გადაწყვეტილება მიიღოს ჩვენი და მისი წერილების „მაენეში“ ერთადროულად დაბეჭდვის თაობაზე. ეს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, სწორი არ არის (რაც ყველას ადვილად შეუძლია შეამოწმოს).

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

პარტიცემულმა ა. სურგულაძემ მშვენივრად იცის, რომ ჩვენ მასთან საპირადად აბსოლუტურად არაფერი გვაქვს; მან იცის, ავრთვე, რომ ჩვენი დღევანდელი კამათი, რომლის თავდაპირველი ინიციატორი და დაიწვები თვითონ ბრძანდება, გამოწვეულია არა პირადი მოტივებით, არამედ პრინციპული, შეცნიერული მოსაზრებებით. მაგრამ სულბარი რაღაც „სტი-

პათიბზე“ მას ამჟამად სჭირდება თავისა მცდარი კონცეფციის გადასარჩენად (სწავს სიტყვებით რომ ვთქვათ, მწელ მდგომარეობაში ჩავარდნილი ავტორი ცდილობს, საზოგადოებას თავი რაღაც „წერილშიანი“ გუფებრობის (პირადი „ანტიპათიის“) მსხვეპლად წარმოუდგინოს და ამ გზით თავისი უსაფუძვლო თვალსაზრისი შეცნაერული კრიტიკისაგან დაიცვას, მაგრამ ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ჩვენს დროში შეცნიერული კრიტიკისაგან თავის დაცვა ადვილი საქმე არ არის.

ჭვემოთ ჩვენ შევეცდებით, დინჯად და ვითილსინდისიერად გავარჩიოთ ავტორის მიერ ჩვენს წინააღმდეგ წაროყენებული ყველა ბრალდება, რომლებიც, პასუხის გააფილების მიზნით, შეიძლება 7 უმთავრეს შენიშვნად ჩამოვთავაობოთ.

პირველი შენიშვნა იმ ფაქტს, რომ ჩვენს წერილში არაფერია ნათქვამი ა. სურგულაძის ნაშრომთა დადებით მზარებზე, ავრთვე — იმ შეცნიერებზე, რომლებმაც მის ნაშრომებზე რეცენზიები გამოაქვეყნეს. „პ. რატანი ეალდებული იყო, — ბრძანებს ა. სურგულაძე, — ჩვენი ნაშრომების დადებითი მზარეები აღნისა“. ავრთვე — „პასუხი გაეცა იმათთვის, ვინც ჩვენს ნაშრომებს აღრე მალაღი შეფასება მისცა“.

რა უნდა ითქვას ამ აბირებულ მითხვენზე?

კერ ვრთი, ჩვენი წერილი რეცენზია არაა. იგი მიზნად ისახავდა მარტო ვრთი საკითხან, სახელდობრ ავტორის ისტორიული კონცეფციის კრიტიკულ განხილვას, ამიტომ მას ა. სურგულაძის ნაშრომების უოველმხრივი განხილვა-შეფასებას ვერ მოვთხოვთ.

შეორე, სად გავონილა, რომ კრიტიკული წერილის (ან თუნდაც რეცენზიის) ავტორს დავთვალთ, უნდა თუ არა, „პასუხი გასცეს“ ყველას, ვისაც კი სარეცენზიო წიგნზე აზრი გამოუთქვამს?! რეცენზიის ავტორს ვეალბა თავისი საკუთარი, პირუთვნელი აზრი გამოთქვას, ხოლო რაც შეეხება სხვა რეცენზენტებთან კამათს, ვფიქრობთ, ასეთ ეალდებულებას მას ვერაფერ დავთვალთ.

შესამე, ჩვენ რომ იმ გზას გავოლოდოთ, რომლისკენაც ავტორი გვიბიძგებს, მაშინ სხვა რეცენზენტების არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი აზრების განხილვაც მოვითვლებოდა და ეს სად წავვიყვანადა?! ხომ ცნობილია, რომ მარტო ვრთ პატარა რეცენზიაში, რომელიც პროფ. ი. ბოცაძემ მის წიგნზე გამოაქვეყნა („ლტ. ვაზეთი“, 1974,7 ივლისი), გამოთქმულია თურთმეტი სერიოზული შენიშვნა?!

ვრთი სიტუციით, სხვა რეცენზენტებზე მითითება და მათი ავტორიტეტების მოშველება ჩვენი ავტორის ყალბ კონცეფციას ვერაფერს უშველის.

მომრი შეინიშნა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ცილისწამებლური ბრალდება, მიზნად ისახავს უშუალოდ ჩვენი პიროვნების დამცირებასა და შეურაცხყოფას. ავტორი ცდილობს დაარწმუნოს შეითხველი, თითქმის ჩვენ უსაზღვროდ ვახეიადებთ საკუთარ დამსახურებებს, ე. წ. „ახალი თვალსაზრისის“ შემუშავების პატივს შარტო ჩვენ თავს მივაწეროთ, ხოლო ყველა დანარჩენ მეცნიერს, რომლებსაც ამ საკითხზე უმუშავეთ, „უვიციებად“ ვაცხადებთ და „ტალახში ვსვრიათ“.

რა საბუთები გააჩნია პრფ. ა. სურგულაძის ამის მტკიცებისათვის? ის არავითარ საბუთს არ ასახელებს, და ვერც დაასახელებს, მაგრამ ჩვენი ნაშრომების წაითხვა, სახედნიეროდ, სხვებსაც შეუძლიათ და ამიტომ არა გვეჩინია მისი დაუსაბუთებელი ცილისწამება ვინმემ დაიჭროს. ჩვენ არასოდეს არავისთვის „უვიცი“ არ ვფიქრობდით და არც არავინ „ტალახში ამოსვრია“, თუც, რა თქმა უნდა, „ტალახში ამოსვრად“ ის გულწრფელი და პირდაპირი მეცნიერული კრიტიკა არ ჩაგვეთვლება, რომელსაც თერგდალეულბისა და მათი მხელადის ილია ქვექვიასის ძვირფასი მეშვიდობის დანახავად წლების მანძილზე ვაწარმოებთ.

ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, აგრეთვე, ბრალდება, თითქმის თერგდალეულბზე მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავების შარტო ჩვენ თავს მივაწერდეთ; ასეთი რამ არა თუ არ გვითქვამს, ირამედ არც შეგვეძლო გვეთქვა, რადგან კარგად გვესმის, რომ ასეთი ამოცანის გადაწყვეტა დაიდა აღებამება ერთადერთიანი (ცინე არ უნდა იყოს ოგი) ძალღონეს. თერგდალეულბისა და მათი მოავარი ზღმძღანელის მეშვიდობის შესწავლასა და დამსახვას ჩვენ ყოველთვის ზვიინწეოდით როგორც კოლექტიური შრომის ნაყოფს, როგორც შედეგს შარვალი ავტორის ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა.

გადამალეთ, ბატონო, თუნდაც წიგნი „თერგდალეულთა მოღვაწეობის ისტორიიდან“ და იხილეთ გვერდები: 21, 25, 28, აქ თქვენ იპოვით სრულიად იმის საწინააღმდეგო აზრებს, რასაც ჩვენი ავტორი მოგაწერს; ასე, მაგალითად, ვაყრიბიკებთ რა გამოჩენილი ქართული მეცნიერის პროფ. სიმონ ზუნდაძემ მდღარ კონცეფციას, რომელმაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი გავლენა მოიპოვა, იქვე ხაზსმით მივუთითებთ: „სხვენებული კონცეფციის გავლენასაგან არსებობდა თავისუფალი იყვნენ ქართული ლიტერატურის ისტორიასა და საზოგადოებრივ აზრის მთელი რიგი მკვლევარები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ი. ქვექვიასისა და მისი თანამებრძოლების მდიდარი მეშვიდობის შესწავლის საქმეში. ასეთი მკვლევარების რიცხვს, მაგალითად, მივუთითებთ: ვერონტი ჭიჭიძე, რომელმაც ვერ კიდევ 1913-1914 წლებში გამოაქ-

ვეყნა უაღრესად საინტერესო სტატიები, 60-იანი წლების გამოჩენილი მოღვაწეებზე და შემდგომშიც აგრძელებდა ნაყოფიერ... მუშაობას ამ მიმართულებით; პავლე ინგოროყვა, რომელმაც ფასდაუღებელი შრომა გასწია ი. ქვექვიასის ნაწერების გამოცემისა და შესწავლის საქმეში; ვახტ. კოტეტიშვილი, რომელმაც 1925-1927 წლებში გამოაქვეყნა სამტომიანი ნაშრომი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე და სხვები, რომელთა ღვაწლს აქ, ბუნებრივია, ვერ შევხვებით“ (გვ. 21).

მავე წიგნში ჩამოთვლილი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის 12 გამოჩენილი მკვლევარი (ნ. ბეჭდინიშვილი, გ. ყიბლაძე, პ. გუგუშვილი; გ. ნატროშვილი, დ. ბენაშვილი, ს. ქილაია, დ. გამუზარდაშვილი, ი. ბოციაძე და სხვ.), რომლებსაც „უდავო და მსაბუტრება მიუძღვით თერგდალეულთა მოღვაწეობისა და აზროვნების შესწავლაში“ (გვ. 28).

დაბოლოს, ვებებთ რა იმ ობიექტურ პირობებს, რაზეც ახალი თვალსაზრისის შექმნას ზედი შეუწყუო, აგრეთვე ამ დასვენებს, რომლებში ჩვენი საკუთარი კვლევა-ძიების შედეგად მივიღეთ, იქვე კატეგორიულად ვაცხადებთ:

„იქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რაგი ავტორები თავიანთ საკვლევამებში მუშაობაში ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ თერგდალეულთა შეზღუდულობების კლასობრივი არსის გავების აქედრე ვამბტონებელი თეორია არასწორია და სავირობა მისი შეცვლა ახალი თვალსაზრისით; მათ გამბედულად მოიტანეს იერიში ძველი თეორიის მთელ რაგ დებულებებზე და თავიანთ ნაშრომებში გამოაქვეს ბევრი საუურადღებო აზრი, რაც წინ, სწევს სხენებული საკითხის სწორ გავებას და ხელს უწყობს ახალი, მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავებასა და გაყრცელებას ასეთი ავტორების რიცხვს ჩვენ ვაყოფენებთ ვრძოდ: ლ. გორგილაძეს, ა. ჭუთელიას, გ. მერგელიშვილს, მ. გაფრინდაშვილს, ა. კენჭოვს, ე. გავიძეს და სხვ.“

ნუთო ასეთი განცხადებების შემდეგ ჩვენზე თქმის, მთელ დამსახურებას თავით თავს მივაწერს, ყველა დანარჩენ მეცნიერს კი ტალახში სვრის და უვიციებს უწოდებსო?!

მისხამი შეინიშნა შევხება ჩვენი კოლეგების, აგრეთვე რუსთველოლოგებისა და თვით რუსთველის მიმართ ჩვენს მიერ ჩადენილ რაღაც „დანაშაულს“, რომლის შესახებ ა სურგულაძე შემდეგს ვაუწყებს:

„თერგდალეულთა იდენტოგობის გავებაში საკუთარი თვალსაზრისის გზის გაყვების მიზნით პ. რატკინმა... შერისხა თავისი კოლეგებო ახელ კვიციძე, ვ. ბახტაძე, ი. კუპარავა, ა. თავაძე, მ. გაფრინდაშვილი, ლ. ებანიძე და

სხეები. XIX საუკუნეს რომ შოთხეა (?), პ. რატიანი ლეონტი პროველს და რუსთველს გადაწედა, გენიალურ ქართულ პოეტს ეპას-კობისის ანაფორა ჩააცვა და კლერიკალთა წრეში მოათავსა, ხოლო ვინც ვაზედა და მისი ასეთი განუკეთებელი ლაშქრობის წინააღმდეგ სმა ამოიღო, ისინი (აღ. ბარამიძე, ლ. შენაბ-ხეი (?), მ. დუმბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ნ. შო-შიაშვილი და სხვ.) უეცრად გამოაცხადა".

კითხვობა ამ სტრატეგიებს და გვიყვარს, რო-გორ შეიძლება სერიალურმა მეცნიერმა პასუ-ხისმგებლობის ვარწმობა მიღწევა დაიკარგა. რომ ასეთი რამ იკადროს?! ნუთუ ის მანაც არ იფიქრა, დალოცვილმა, რომ შეტისშეტია ერთ კაცს ამდენი „საგზირო საქმე“ მიაწერო!

კოლეგებზე ჩვენ აქ არაფერს ვიტყვი, არა მარტო იმიტომ, რომ ისინი ჩვენი ავტორის გამოქონლები არ სავიროებენ და თავისი თავის დაეცა თვითონაც კარგად შეუძლიათ, არამედ იმიტომაც, რომ მათთან ჩვენი გამო-თხა საყაროდ, პრესაში მიმდინარეობდა და შეთანხმებულა მშვენიერად იცის, რომ ეს თუი შეცნეირული კამათი და არა ვინმეს „შერის-ხა“.

ჩვენ არაფერს ვიტყვი, აგრეთვე, ზემოთ სხეებულ რუსთველოლოგებზე, რომლებსაც ყოველთვის დიდი პატივისცემით ვუპატიო-დით და აზრადუ კი არასოდეს მოგვსვლია, მათთვის ის უბეში სიტყვა გვეყვარებოდა, რო-მელსაც ა სურგულაძე ასე დაუფიქრებლად მოგვაწერს.

მაგრამ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ და არაფერი ვთქვათ ამ ბრალდებაზე, რომელიც პროველსა და რუსთველს შეეხება.

ლეონტი პროველს რა დავუშავით, ეს ავ-ტორის სიტყვიდან არ ჩანს და ჩვენი ვერ მივწვდარჯართ, თორღ ის კი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ეს სახელოვანი ქარ-თველი ისტორიკოსი ეპისკოპოსი იყო და ანა-ფორის ჩაქმას, ალბათ, ჩვენი დახმარების ვა-რემეც მოახერხებდა; ისიც შესაძლებელია, რომ ლეონტის თავში კლერიკალური აზრებზე უტრიალდებდა, თუმცა ჩამომავლობისათვის ამის შესაბამე არაფერი ვთქვამელია. ჩვენი დანაშაული ამ დიდი მეცნიერის წინაშე შეიძ-ლება ის იყოს, რომ ცნობილი ქართველი ან-ტორიკოსი პროფ. კ. ვრიგოლის მიერ დასაბუ-თებულა აზრი ვაეიზიარებთ და ერთ-ერთ ნა-შრომში ლეონტი პროველს საქართველოს ის-ტორიის მამა ვუწოდებთ. ეს არის ჩვენი შეცო-დების თავი და ბოლო!

რაც შეეხება რუსთველს, ჩვენ ვურჩევთ პატივცემულ ა. სურგულაძეს, წაიკითხოს (თუ აქამდე არ წაუკითხავს) „ქართლის ცხოვრე-ბის“ ის ადგილები, სადაც გარკვევით წერია, რომ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის დროი-დან საქართველოში ეპისკოპოსებს ერისთავის ოდენა პატივი ჰქონდათ მიწიუბული, ხოლო

ტანი უბრალო ანაფორა კი არ ემოსათ, არა-მედ ოქროთი შორთული პორფირ-პისონებზე, რომლებიც მხოლოდ მეფეებსა და მღვდელ-მთავერბს შეეძლებათ ჩაეცვათ.

ასე, რომ ჩვენი ავტორის ირონიები ანაფო-რის ირგვლივ, სრულიად უადგილოა და ის-ტორიკოსის არ შეეუენის.

მორთხე შენიშვნა ანუ ბრალდება ა. ჯორ-ჯაძეს და მასთან ჩვენს დამოკიდებულებას შე-ეხება. ჩვენს წერილში (განსაკუთრებით მის ვრცელ ვარიანტში) დოკუმენტურადაა დასა-ბუთებულა ის აზრი, რომ ა. სურგულაძე მთელ რიგ საკითხებში, კერძოდ კი ერის ცენ-ზის ვაგებაში, ა. ჯორჯაძის ვარკვეულ ვაგლა-ნას განიცდის; ასევე დოკუმენტურადაა წერილ-ში დასაბუთებულა ის აზრიც, რომ თერგდა-ლეულაზე ჩვენს თვალსაზრისს ა. ჯორჯაძის თვალსაზრისთან არა თუ საერთო არაფერი აქვს, არამედ არც შეიძლება რომ ჰქონდეს; მანასადამე დასების თეორიის ვადანინჯვის სა-ქმეში ა. ჯორჯაძის „პრობორიტეტუ“ ლაპარა-კიც კი ზედმეტია.

მიუხედავად ამისა, ავტორი კვლავ დაიწინე-ბით ვანგრძობს ა. ჯორჯაძის დრომოქმულა კონცეფციის დაცვას და ომს უტყდადებს ყუე-ლას, ვინც ვაზედავს მისი მცდარი შეხედულა-ებების კრიტიკას. პატივცემულა ა. სურგულა-ძე მიღწევა მთლიანად ა. ჯორჯაძის იდეებს, რომ მას საჭიროდ უყენია, მკაცრად დასაბუთა თავს თანამედროვე კომუნისტ ისტორიკოსებს, რომლებიც, თერმე, „ფარულად, ავტორზე მითითებულად უხვად სარგებლობენ იმავე ჯორჯაძის დებულებებით“. ერთი ასეთი ისტო-რიკოსი, რა თქმა უნდა, პ. რატიანი, რომე-ლიც ავტორის თქმით, „ა. ჯორჯაძეს დაუნდო-ბლად ლანძღავს, მაგრამ მალულად მისი იდე-ებით საზრდობს“.

სწორედ ამბუა ნათქვამი: „ჩემი შენ ვა-თხარო, გული შოგიკალი“

ჩვენს ნაშრომებში ითაქერ ნათქვამი და დასაბუთებულა, რომ თერგდალეულები შრო-მელი ხალხის იდეოლოგები და მათი ინტერე-სების დამცველები იყენენ, ა. ჯორჯაძე კი ყო-ველთვის იმას ამტკიცებდა, თერგდალეულები თვადანაშურთა იდეოლოგები იყენენ; რა აქვს საერთო ამ ორ, სრულიად სხვადასხვა თვალ-საზრისს ერთმანეთთან? რა იდეები ვაანია ა. ჯორჯაძეს ისეთი, რაც თანამედროვე მეცნიერა საზრდოდ გამოადგებოდა, თუცა, რა თქმა უნდა, ეს მეცნიერი თანამედროვე იდეებზე ზელს არ იღებდეს?!

ერთი სიტყვი, ზედმეტია იმავე სიტყვის გავრტლება, რომ ა. ჯორჯაძის იდეების მით-ვისება ჩვენ არ გვიპრდება, ისევე როგორც

1. ა. წიგნი „ქართული ისტორიოგრაფიამ პარტულაშემა მარქსისტულ-ლენინური მოძლე-რების შექმე“, II, 1977 წ.

არ გვიპირდება, და არც არასოდეს გვიცადებდნენ მისი ლანძღვა. ა. სურგულაძის რომ ვეშმარიტების დადგენა სურდეს, ჩვენს ნაშრომებში ის იპოვიდა ა. ჭორჩაძის დაფასების (და არა გაიდელაბის!) არა ერთ კონკრეტულ შეჯავლითს, მაგრამ ასეთი შეჯავლითების დანახვა მას, როგორც ჩანს, შეგნებულად არ სურს.

მეხუთე მნიშვნელოვანი შეხება გამოჩენილა ქართველი მეცნიერის პროფ. სიმონ ხუნდაძისადმი ჩვენს დამოკიდებულებას. ა. სურგულაძის აზრით, ჯგანსაკუთრებული სიმკაცრე ჰ. რატინანა გამოიხილა პროფ. ს. ხუნდაძის მიმართ... ს. ხუნდაძის მთელი მემკვიდრეობა რატინანა მარქსიზმისათვის „უცხოოდ“, „ველ-ვარულად სოციალოგიზმის“ ერთ-ერთ ნაირ-სახეობად გამოაცხადა და მისი უკუგდება მოითხოვა.

საქმეში ჩაბეჭდილი მეთხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს ბრალდებაც ავტორის მიერ შეთხზული შეგნებული სიყალბეა და მეტი არაფერია მაგრამ ეს სიყალბე რომ ყველასათვის ნათელი გახდეს, მოვიტანთ დამახასიათებელ ამონაწერს ჩვენი ნაშრომებიდან.

პროფ. ს. ხუნდაძეს, როგორც მეცნიერსა და მოაზროვნეს, ჩვენ ვეხებებით არა ერთ ჩვენს ნაშრომში და ყველგან ხაზგასმით აღვნიშნავთ მის დიდ ღვაწლს ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე. თი, შეჯავლითად, როგორც იგი დამახასიათებელი ნაშრომში „ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ევოლუციის საკითხისათვის“, რომელიც ჯერ კიდევ 1965 წელს გამოქვეყნდა:

„ს. ხუნდაძე უდავოდ ნიჭიერი მეცნიერია და გამოჩენილი ისტორიკოსი იყო. საქართველოს ახალი ისტორიის, განსაკუთრებით კი, საზოგადოებრივი აზრის ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების შესანიშნავმა ცოდნამ და ავტორთვე დიდმა ერთდროიან ს. ხუნდაძეს საშუალება მისცა არა ერთი დახლართული ისტორიული საკითხი თუ პრობლემა გამოერკვა და მრავალი სწორი, მეცნიერულად დასაბუთებული დებულება გამოეთქვა. მის მემკვიდრეობაში განსაკუთრებით დასაფასებელი ისაა, რომ მეცნიერია, — ზოგიერთი ციტატების მოყვარული ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ყოველთვის მიახწრაფოდა თავისი შეხედულებანი ისტორიული სინამდვილის ფაქტებზე დასაბუთებინა და მათზე კი, როცა იგი შეცდომას უშეებდა, ცდილობდა არ გასცლებოდა ისტორიული სინამდვილის ფარგლებს, არ დაშორებოდა ისტორიულ ფაქტებს და მოვლენებს“.¹

ასე ვისყვლობთ ჩვენ ს. ხუნდაძეზე ყველ-

გან, სადაც კი მის ისტორიულ დამსაზრებებს ვეხებებით. მაშ, სიღინ გამოხერხან სურგულაძემ თავისი ყოვლად უსაფუძვლარი დამსაზრდილი ბრალდება?

საქმე ისაა, ძვირფასო მეთხველო, რომ ს. ხუნდაძის მემკვიდრეობაში დადებით მხარეებთან ერთად, ჩვენ ვხედავთ და ვაყრიტოებთ ზოგიერთ მის ნაკლოვანებასა და შეცდომასაც. ჩვენ ვაყრიტოებთ, ყრმოდ ე. წ. „დასებუის თეორიას“, რომელიც ს. ხუნდაძემ რევოლუციამდელი მოაზროვნებისაგან ისესხა და სათანადოდ გადამუშავების შემდეგ ქართულ საზოგადოებაში ისტორიოგრაფიაში გაავრცელა. ამ უაღბი თეორიის მიხედვით, თერგდალეულთა მთავარი ზელმძღვანელები ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი გამოცხადებული არიან ბურჟუაზიის იდეოლოგებად ანუ ნაციონალიზებად, რაც ისტორიული სინამდვილის სრული დამახინჯებაა.

ახლა თუ იმ ვარცხობას გაეხსენებთ, რომ ა. სურგულაძის ისტორიული კონცეფცია დასების თეორიის ოდნე ხაზე შეცვლილი ვარიანტი და მეტი არაფერია, გასაგები გახდება არა მარტო ის, თუ რატომ გამოდის იგი ს. ხუნდაძის დამცველის როლში, არამედ ისიც, თუ რატომ იმხინჯებს ჩვენს თვალსაზრისს ამ მეცნიერის დამსაზრებზე; ჩვენი ავტორი ერთბაშად ორ საქმეს აკეთებს: ჯერ ერთი, მეთხველის თვალში სახელს უტებს მოწინააღმდეგეს, რომელიც იმდენად „უხასის“ კრიტიკოსი უყოფია, რომ ს. ხუნდაძის მთელ მემკვიდრეობას, თურმე „ტალახში სვრის“, ხოლო შეიარეც ს. ხუნდაძის დიდ ავტორიტეტს იუენებს როგორც საფარს იმისათვის, რომ თავისი უაღბი კონცეფცია დანერგვას ვადაარჩინოს.

მაგრამ სულ ამო შრომა-გარჯაა! ჩვენი ღრმა ჩწმენით, როგორც ე. წ. „დასებუის თეორია“, ისე მისი ვარიანტები, ჩვენი მეცნიერების უკვე განვლილი ეტაპი და მათი გამოცოცხლების, გადაკეთების თუ შეღამაზებას ცდები ყოვლად უიშეო საქმეა.

ოღონდ ს. ხუნდაძის სოცისიადმი პატივისცემა გვაკლებს აღვნიშნოთ ესეც: იმ დროს, როდესაც იგი დასების თეორიას ასახულებდა, საქართველოში გაბატონებული შდგომარეობა ეპირა ე. წ. ველგარულ-რამულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვით თერგდალეულები რეაქციონერი თავიდანსურობისა და თვით რუსეთის მონაქვის ინტერესების დამცველებად იუენენ გამოცხადებულნი; ასეთ პირობებში თერგდალეულების ბურჟუაზიის იდეოლოგებად გამოცხადება ქართული ისტორიოგრაფიის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და მან დადებითი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. სხვა სიტუაციაში რომ ვთქვათ, სიმონ ხუნდაძე თავიან

¹ თ. წიგნში „ქართული ისტორიოგრაფიის პრობლემები მარქსისტულ-ლენინური მიოდერების შუაში“, 11, 1977, გვ. 191.

დროზე ნოვატორი იყო, რასაც, სამწუხაროდ, მის ეპიგონებზე ვერ ვიტყვი.

მოდის მონიშნავს გვაუწყებს, რომ ჩვენ, „თერგდალეულთა იდეოლოგიის გაგებაში საკუთარი თვალსაზრისის გზის გაყვების მიზნით“, თითქოს „უღმრთელად მოვექცეთ მიზანდევებს და ფილმებ მახარაქს“.

მის ზანღველზე ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, რადგან იმ დროს, როდესაც მის წიგნზე რეცენზია გამოქვეყნდებოდა (1940 წ.), ე. წ. „საკუთარი თვალსაზრისის“ თერგდალეულებზე ვერ კიდევ არ ვგვანხნდა და, მამასადლე, არც მისთვის გზის გაყვება დავგვირგებლობდა; ა. სურგულაძეს, ჩანს, საქმე ძალიან ვასპირებია, რაკი თავისი მცდარი შეხედულებების დასაცავად ასეთი სიკვრივით არგუმენტის გამოყენებასაც კი არ თაყობს!

რაც შეეხება ფილმებს მახარაქს, ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის მიმართ ჩვენ არასოდეს არავითარი „უღმრთელობა“ არ გამოვჩინებია, და არც შეგვეძლო გამოვჩინება, რადგან მშვენიერად ვიცით, რომ მას დიდი დამსახურება მიუძღვის როგორც კომუნისტური იდეების პროპაგანდას, ისე საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და განხორციელების დიდ ისტორიულ საქმეში. მაგრამ, ამასთანავე ერთად, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, თუ მახარაქის მსოფლმშვედველობას ქონდა სასწუხიანი თეორიული ხარვეზები, რამაც თავისი გამოხატულება პირობა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების, განსაკუთრებით კი ი. ჰაქავიანის შემეფიქრებლის აშკარად არასწორ შეფასებაში. ფ. მახარაქზე ვერ ვაივითერგდალეულებსა და მათი მთავარი ხელმძღვანელის შეხედულებათა კლასობრივი არსი და სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო ფაქტი, რომ ი. ჰაქავიანის იგი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც კი, სრულიად უსაფუძვლოდ უწოდებდა „მუშების და გლეხების ექსპლოატატორს, რეაქციონერს, მემამულეთა ინტერესების უერთგულეს დამცველს და მონარქისტს“.

დამბოლს, მშვედვედ მონიშნავს შეეხება აქედმეისი ნიკო მარს. „პ. რატანი ასევე უდიდრად მოექცა სახელგანთქმულ მეცნიერს და ქართველოლოგს ნიკო მარსო“, — ბრძანებს პატივცემული ა. სურგულაძე. მაგრამ რაში გამოიხატება ნ. მარის მიმართ ჩვენი უდიდრობა?

ამ კითხვის პასუხს ავტორი არ ვაძლევს, ამიტომ იძულებული ვართ მკითხველს მოვავლინოთ ჩვენი ნაშრომის ის ადგილი, სადაც ნ. მარის ზოგიერთი მცდარი შეხედულება განხილული. მხედველობაში გვაქვს ნარკვევი „ივ. ჯავახიშვილის მსოფლმშვედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხისათვის“, სადაც მოკლედ ვებებით ქართული უნივერ-

მეორე მხრივ ცნობილია ანტონის განცხადება, რომ „მე ქართულია ენისა კიდ სხუდა არაჲა უწყობად ენაჲ-ო. მართალია, ეს ენება ანტონის მოღვაწეობის პირველ პერიოდს (რუსეთში გამგზავრებამდე), ხოლო შემდეგ მან, უმეველია, შეისწავლა რუსული ენა და როგორც ავად. კ. კვეცილე ამბობს, „რამდენადმე ლათინური ენაჲ, მაგრამ ეს უკანასკნელი „შეირად და მოკლე“ (კ. კვეცილე, ქართ. ლიტ. ისტ. I, თბ. 1960, გვ. გვ. 374, 376), რაც, ალბათ, საკმარისი არ იქნებოდა ბუქმისტიკის თხზულებების ლათინური ენიდან ქართულად სათარგმნელად. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობა, რომელთაგან ორივე ანტონის ვეუთენის, კიდევ უფრო პრობლემამეტურს ზღის ბუქმისტიკის თხზულებების ქართული თარგმანების წყაროს საკითხს.

ამვე საკითხა გვაფეთთო ერთი შენიშვნა: ისინი, ვინც იმ თვალსაზრისს იზიარებენ, რომ ანტონ ბაგრატიონმა ბუქმისტიკის თხზულებანი ლათინურიდან თარგმნა, უტარადღებან არ აქცევენ იმ გარემოებას, რომ ანტონი ლაპარაკობს ბუქმისტიკის არა უველა ნაშრომის, არამედ მხოლოდ ერთი თხზულების, სახელდობრ „სახლვარი ფილოსოფიისა“ ლათინური ენიდან თარგმნის შესახებ („ლათინურიდან ეიმზარეთა“) სწორედ ასეა ნათქვამი როგორც „წყობილობიტყუაობაში“, ასევე ერეკლე მეორისადმი მიმართულ ეპისტოლეში (H-256) და, რაც მთავარია, თვითონ ბუქმისტიკის ზემოაღნიშნული თხზულების ანტონისეულ წინასიტყუაობაში (H-206). რაც შეეხება ბუქმისტიკის სხვა თხზულებებს (მაგ., S-251), მათი ლათინურიდან თარგმნის შესახებ ანტონი არაფერს არ ამბობს.

ანტონის ამ შენიშვნის გაუთვალისწინებლობას შედეგად ის მოჰყვია, რომ მკვლევართა ერთმა ჩგუფმა ის, რასაც ანტონი მხოლოდ ერთ თხზულებაზე ამბობს, ვაყვარცულებს ბუქმისტიკის თხზულებათა უველა ქართულ თარგმანზე და იმ დასკვნაზე მივიღენ, რომ ბუქმისტიკის თხზულებანი ანტონ ბაგრატიონმა საერთოდ ლათინური ენიდან თარგმნა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ თვალსაზრისს და ამვე საფუძველზე მხარს უჭერდა თვითონაზ ბაგრატიონიც (A. A. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, вып. II, СПб., 1894, стр. 194).

III

მარამ, მეორე მხრივ, არსებობს ისეთი სა-
ბუთები, რომლებიც შეუძლებელს ხდის აღნი-
შნული თვალსაზრისის გაზიარებას. ასეთ სა-
ბუთს, უწინარეს ყოვლისა, თვითონ ანტონის
წარებაში ვხვდებით. ბავშვისტერის თხზუ-
ლებათა კრებულის ქართული თარგმანის წი-
ნასიტყვაობაში, რომელიც მოიცავს ანტონ ბაგ-
რატიონის თარგმნილ ბავშვისტერის უველა
თხზულებას, ვარდა „სახლგარი ფილოსოფიისა“,
ანტონი წერს: „ფილოსოფიას ამას შინა (ლა-
პარაკია კრებულში წარმოდგენილ ბავშვისტე-
რის თხზულებებზე — ს. ა.) რაიცადა შეუძლე-
ბელ იყო მოსულად ჩვენსა ზედა ენასა, სახე-
ლი ელინური დამიდევს, მით რამეთუ ლათი-
ნურიდან ითარგმნა ესე რუსულად და მერმოდ
ქართულად (ხაზგასმა ჩვენსა — ს. ა.) და არც-
აღა რუსულსა ზედა ენასა მოვიდოდინა ელქს-
ნი იგი“ (S-251, გვ. 020; იხ. აგრეთვე H-255,
ანტონის წინასიტყვაობა). თანამედროვე ქარ-
თული ენაზე ეს წინასწარ შემდეგს: ბავშვისტე-
რის ამ ფილოსოფიური თხზულებების ქართულ
თარგმანში ის სიტყვები, („ელქსნი“), რომელთა
თარგმანი ჩვენს ენაზე, ე. ი. ქართულად შეუ-
ძლებელი იყო, ბერძნულად ვიხმარებ, ვინაიდან
ეს თხზულებანი ლათინურიდან ჭერ რუსულად
ითარგმნა, ზოლო შემდეგ ქართულად. თვითონ
რუსულ ენაზე შეუძლებელი ვახდა მთა თარ-
გმნა (როგორც ჩანს, ლაპარაკია ისეთ ტერმინ-
ებზე, როგორცაა „ლოგიკა“, „სილოგიზმი“,
„ნეიტაფიკა“, „ანტილოგია“, „კოსმოლოგია“
და სხვა).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანტონ ბაგრატიონი
აქ ლაპარაკობს ბავშვისტერის არა მთელი
თხზულებების თარგმანზე ლათინურიდან ჭერ
რუსულად და შემდეგ (რუსულიდან) ქართულად,
არამედ ცალკეულ ფილოსოფიურ ტერ-
მინებზე. მაგრამ ასეთი ვარაუდი უსაფუძვლო
იქნება, ვინაიდან ანტონი თვითონ მოუთითებს,
რომ ამ ტერმინების თარგმანი რუსულ ენაზეც
შეუძლებელი აღმოჩნდა და ამიტომ ბერძნული
დარჩაო, ასევე მეც. სადაც ქართული შესატყვე-
ის ვერ ვიპოვე, ბერძნული სიტყვები ვიხმარ-
ებო. ამრიგად, აქ ლაპარაკია ბავშვისტერის
თხზულებებზე და არა მასში მოხმარებულ ცა-
ლკეულ ტერმინებზე.

ანტონ ბაგრატიონის ზემოაღნიშნული აზრი
არც ისე შეიძლება ვავიგოთ, რომ თითქოს სა-
ქმე ეხება რუსული და ქართული თარგმანების
ქრონოლოგიურ თანამდებობას (სახელობრ
ისე, რომ თითქოს ბავშვისტერი თარგმნეს
ჭერ რუსულად, ზოლო შემდეგ, რუსული თარ-
გმანისაგან დამოუკიდებლად, ლათინურიდან
ქართულად). ასეთი გაგებისათვის არავითარი
საფუძველი არ არსებობს და, რაც მოვიყვარო,
როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბავშვისტერის ზოგი-
ერთი ნაშრომი ანტონმა ქართულ ენაზე მან-

მდე თარგმნა, ვიდრე მისი რუსული თარგმანი
დაიბეჭდებოდა.

ამრიგად, უდავო უნდა იყოს, რომ ანტონმა
თხვევაში ანტონ ბაგრატიონი მიუთითებს ბაუ-
შისტერის ზემოაღნიშნული თხზულებების რუ-
სული ენიდან ქართულად თარგმნის შესახებ.

ამ შეხედულებას ადასტურებს ამოჩენილი
ქართული შიშროკენ და პოლიტიკური მოღ-
ვაწე დავით ბაგრატიონი (1766-1819). ანსილი-
ონის თხზულების „ესტეტეკებრი განსჯანის“
ქართულ თარგმანს წინ უძღვის მთარგმნელის
(დ. ბაგრატიონის) მიმართული ანტონ ბაგრატიონის
ერთ-ერთი უახლოესი მოწაფის, თვალის სე-
მინარიის ყოფილი რექტორის დავით ალექსი-
ძე-შეხიშვილისადმი (დავით რექტორი), რო-
მელშიც დასაბამებულია რა ანტონის მთარგ-
მნლობითი მოლაპარაკება, ნათქვამია, რომ „და-
შუა იგი ვარდამოლებასა შინა ბავშვისტერის
ფილოსოფიისა რუსულიდან ქართულად“ (H-
179) ე. ი. ანტონმა ბავშვისტერის თხზულებანი
რუსულად თარგმნაო. დ. ბაგრატიონის მიერ
მოწოდებული ცნობების სიზუსტე საერთოდ
ცნობილია და არც ამჟერად გვაქვს უფლება
ეჭვი შევიტანოთ მის სისწორეში. ისიც უნდა
გაეითყვალისწინოთ, რომ დ. ბაგრატიონის წერი-
ლის ადრესატია დავით რექტორი, — ანტონის
უახლოესი ადამიანი, — რომელმაც სარწმუნეა-
ლედ იცოდა თავისი მასწავლებლის სამეცნიერო
მოღვაწეობადა. თვითონაც ანტონის სიცოცხლე-
ში მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა. თუნდაც
ამიტომ დ. ბაგრატიონი ვერ შეჰკადრებდა და-
ვით რექტორს სეკველი და, მით, უმეტეს, არა-
წერო ტერმინებს. ეს ვევალიკებინებებს, რომ ზემო-
აღნიშნული გარემოება, ეტყობა, დავით რექ-
ტორისათვისაც კარგად ცნობილი ამბავი იყო.

ანსილიურ ცნობას ვააწუდის ვახტანგ ბაგ-
რატიონი (ბატონიშვილი). მხედველობაში აქვს
რა ბავშვისტერის თხზულებანი, იგი წერს: „ოდეს
გარდმოილო როსისა იმპერიასა ყოფასა შინა
მეორედმან მამან მეფის ირაკლისამან, მეფის
ძემან საქართველოს კათალიკოსმან ანტონი
ფილოსოფია რუსულით ქართულად...“ (იხ. ა.
როგავა, სასახლო განათლება ერეკლე მეორის
ხანის ქართულ-კახეთში და ანტონ პირველი, თბ.,
1950, გვ. 43). აქაც, როგორც ვხედავთ, სრუ-
ლიად უტყუარ ფაქტად არის მიჩნეული, რომ
ანტონმა ბავშვისტერის თხზულებანი რუსული
ენიდან თარგმნა.

გარდა ამისა, არსებობს სხვა საბუთებიც,
რომლებიც ბავშვისტერის თხზულებების ქარ-
თული თარგმანების რუსულიდან წარმოშობა-
ბას ატკიცებს (იხ. A. A. Цагарели, ციტ.
თხ. გვ. 259). აქვე უნდა აღინიშნოს რუსუ-
ლი კალკების სიხვევა, რაც თან ახლავს ბაუშ-
ისტერის თხზულებების ქართულ თარგმანებს
(მაგ., სიტყვას „Положение“ („დებულება“)
ანტონი თარგმნის როგორც „დადებულობა“
(положить. — დადება); Наставление, თარ-

გმნილია როგორც „ზედდადგინება“ („На — ставление“); რუსულ თარგმანში შეედომით ნახშირი სიტყვა „კოზმოლოგია“ (ნაცვლად „კოსმოლოგიისა“) ქართულშიც შეორდება („კოზმოლოგია“) და ა. შ. რუსული კალკები თავისთავად ბევრს არაფერს არ ამტკიცებენ, მაგრამ სხვა საბუთებთან ერთად მათ მაინც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. ყველა ეს მოსახრებანი გვაფიქრებინებს, რომ ბაუმისტერის თხზულებანი თარგმნილია არა ლათინური, არამედ რუსული ენიდან (შდრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I გვ. 384).

IV

მაგრამ ეს მოსახრება გარკვეულ სიძნელეებს აწუღებს, რომლებიც უმთავრესად ქრისთოლოგიური ხასიათისაა. როგორც ხეშოთ აღვნიშნეთ, ანტონ ბაგრატიონმა ბაუმისტერის თხზულებანი თარგმნა რუსეთში ყოფნის დროს, კერძოდ 1762 წელს, როგორც ეს აღნიშნულია ამ თხზულებათა სატიტულო ფურცლებზე. მაგრამ საქმე ისაა, რომ ბაუმისტერის ვეღა თხზულება ამ დროს რუსულად ჯერ კიდევ თარგმნილი არ იყო. ბაუმისტერის „ლოგიკის“ რუსული თარგმანი, მართალია, 1760 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ „მეტაფიზიკა“ მხოლოდ 1764 წელს დაიბეჭდა, „ეთიკა“ — 1783 წელს, ხოლო „ფიზიკა ანუ ბუნებრივი ფილოსოფია“ — 1785 წელს (ი. უმაკოვის თარგმანი) და ა. შ. აქედან ცხადია, რომ თუ ანტონს შეეძლო ბაუმისტერის „ლოგიკის“ თარგმნა რუსული გამოცემიდან, სამაგიეროდ მას აღარ შეეძლო „მეტაფიზიკის“ თარგმნა რუსულიდან, რომელიც ორი წელით გვიან გამოქვეყნდა. ეს, მით უმეტეს, ითქმის „ეთიკას“ და „გნანსაზღვრებაზე ფილოსოფიისა“, ვინაიდან ანტონისეული ქართული თარგმანები წინ უსწრებს შესაბამისი თხზულებების რუსულ თარგმანებს. ეს გარემოება აწუღებს იმის დაშვებას, რომ ანტონ ბაგრატიონმა ბაუმისტერის თხზულებანი რუსული ენიდან თარგმნა.

ამრიგად, მივიღებთ პარადოქსალური მდგომარეობა: ერთი მხრად ბაუმისტერის თხზულებანი თარგმნილია რუსული ენიდან, რასაც მრავალი საბუთი ადასტურებს, ხოლო მეორე მხრივ, ეს თხზულებანი (ყოველ შემთხვევაში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი) არ შეიძლება იყოს თარგმნილი რუსული ენიდან იმ უზარალო მიზეზის გამო, რომ ისინი რუსულად ჯერ კიდევ არ არსებობდა. როგორ უნდა აიხსნას ეს პარადოქსი?

V

ამ სიძნელის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანტონ ბაგრატიონის მოღვაწეობას, მისი მუშაობის სტილს შოლიანობაში წარმოვიდგენთ.

ენობილია, რომ ანტონ ბაგრატიონი, როგორც დიდი მასშტაბის მწველელი და მოღვაწე: განცალკევებით არასოდეს არ მუშაობდა, არამედ მას მუდამ თან ახლდა მოწაფეებმა და თანამშრომლებმა ჯგუფი. ჯერ კიდევ მისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში — რუსეთში გამგზავრებამდე — ანტონს იმდენი თანამოაზრე და თანამშრომელი ჰყავდა, რომ მის შტრატებს ფრიალ გაუძნელდით მისი დაშობა. ეს ზით უმეტეს ითქმის მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდზე, როდესაც იგი დაბრუნებული, ბრძოლებში გამოწრთობილი, ცხოვრების გამოცდილებით გამდიდრებული სათავეში ედგა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებას. ანტონმა შექმნა ძლიერი სკოლა, რომელიც თვით XIX საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულამდე არსებობდა. ამასთანავე, ანტონი დიდი გულმოდგინებით არჩევდა და ზრდიდა თანამშრომლებს; ამიტომ იყო, რომ მისი სკოლიდან მრავალი ნიჭიერი მოღვაწე, მეცნიერი და ლიტერატორი გამოვიდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ვინაიდან მთარგმნელობითი მოღვაწეობა ანტონისა და მისი სკოლის ერთ-ერთი მთავარი უბანი იყო, ამიტომ ანტონის თანამოაზრეთა და თანამშრომელთა შორის იყვნენ უცხო ენის მოცოდენნი (ბერძნული, ლათინური, რუსული, სომხური და სხვა), რომლებიც დასაქმებული იყვნენ მათთვის მისაწვდომი ენიდან ქართულ ენაზე ანტონის მიერ შერჩეული წიგნების თარგმნით. ამ თარგმანებს კი საბოლოოდ ანტონი ასწორებდა, ახუსტებდა, ღედანს ადარებდა და კომენტარებს ურთავდა. ერთი სიტყვით, ანტონ ბაგრატიონი არა მარტო თვითონ თარგმნიდა, არამედ აგრეთვე სხვაც ჰყავდა ჩამბული მთარგმნელობითი მოღვაწეობაში, რომელთა ნამუშევარს იგი საუფლებლიან რედაქციას უეთებდა.

რუსეთში გამგზავრების შემდეგ თანამშრომელთა საჭიროება ანტონის წინაშე კიდევ უფრო მწვევედ დადგა, ვინაიდან მან პირველ ხანებში რუსული ენაც არ იცოდა. სწორედ ამიტომ უწყინდესმა სინოდმა მას თარგმნად დაუნიშნა ქართული მღვდელი ვიორგი დავითაშვილი, მაგრამ ანტონ ბაგრატიონისათვის, რომელმაც კვლავ ფართო ლიტერატურულსა და მთარგმნელობით მოღვაწეობას მიჰყო ხელი, ერთი თარგმანი არ ქმაროდა. მართლაც, მას მეორე თარგმანიც ჰყოლია, რომელსაც იგი უწოდებს „პრევიდნიე ბრტეც ვაგარილის“. ამ უკანასკნელმა, მართალია, გრამატიკა სუსტად იცოდა, მაგრამ ანტონმა იგი მაინც ჩააბა მთარგმნელობით საქმიანობაში. ამასთან დაეკავრებოდა ანტონი წერს: „სლავენტრისა თარგმანი მივანდევ ვაბრიოლსა ხუცესსა, თარგმანა ჩემსა, რომელმან დაღათუ არა უწყოდა ღრამატიკა, არცა სლავენტრი და არცა ქართული, არამედ ღრამატიკოსნი მუუეს რუსნი კლირიკნი

გელისისა ჩემისანი, რომელთა ახლად დავსრულად სკოლა სინტაქსისა... და ოცეც ვაბრი-
 ილ, პრეოდიაო ჩემი (რომელ არს თარგმანი),
 მეტყოდა რა ქართულად, დიდითა გამოთვლი-
 თა თითოსა ლექსისა ვითა ღრამატიკოსთა
 მათ რუსთა, თუ რომლისა სიტყვისა ნაწილი
 არს, და აგრეთვე სიტყუასაცა უმკაცრეს, ვითა-
 რმედ სიტყუა ესე ვითარ შეთხუელ არს და რა
 არს პაზი მათი, და მათ მიერ გულისხმა ვკყო-
 ფდი თარგმანებითა გაბრილისათა და ესრეთ
 დავსდებდი სიტყუათა და სიტყუათა შინა ლე-
 ქსათა (ს. კველიძე, ქართული ლიტ. ისტორია,
 I, გვ.376).

აქედან ნათელია არა მარტო ის, თუ რაოდენ
 მძიმე პირობებში უსდებოდა ანტონ ზაგარტონის
 მთარგმნელობითი მოღვაწეობა, არამედ ისიც,
 რომ მან მისაღმი დაქვემდებარებული ეკლესიის
 თანამშრომლებიც კი ვერცხეულად ჩააბა რუ-
 სული ენიდან თარგმნის საქმეში. საყურადღე-
 ზია ანტონის ფრაზა: „სლავურებისა თარგმანი
 მივანდევი გაბრიელს ხუცესსა“. გაბრიელი სი-
 ტყუებს რუსულიდან ქართულად თარგმნიდა,
 ანტონი კი, ეტყობა, სემინარიის ახლადგურსდა-
 მთარგმნელ თანამშრომლებთა წყალობით
 დაადგენდა ამ სიტყვის გრამატიკულ სტატუსს,
 მის შინაშეწოდებას და შექმნიდა ქართულ
 თარგმანში, ცხადია, გაბრიელი მარტო არ ყო-
 ფილა და არც ერთადერთი იყო. ანტონის უთუ-
 რად ჰყავდა უფრო გამოცდილი და მთარგმნე-
 ლობაში დახვეწილებული თანამშრომლები,
 რომლებიც მისი თათხრობით ლიტერატურულ
 მოღვაწეობას ეწეოდნენ. ასეთი იყო ანტონის,
 როგორც მეცნიერისა და ლიტერატორის მეშა-
 ბის სტილი. როგორც ჩანს, ეს სტილი მან
 შორეულ ვლადიმირზე დანერგა.

VI

ჰყავდა თუ არა ანტონი ლათინური ენის
 მცოდნე თანამშრომლები? ეჭვიც არ შეიძლება
 შევიტანოთ იმაში, რომ ასეთი თანამშრომლები
 (ან, თუნდაც, თანამშრომელი) ჰყავდა. მისთვის
 ეს სრულად აუცილებელი იყო, ვინაიდან,
 ჯერ ერთი, სათარგმნი მასალა ძირითადად ლა-
 თინურ ენაზე იყო შედგენილი (იგივე ბაუ-
 მისტერის თხზულებანი) და, მეორეც, ან-
 ტონმა ლათინური ენა, ცხადია, რუსულ-
 ზე გაცილებით უფრო სუსტად იცოდა:
 ამ მოსაზრებებს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ
 ამ პერიოდში, როდესაც ანტონი ბაუმისტერის
 თარგმნიდა (ეფროლ, XVIII საუკუნის სამო-
 ციან წლებში) უთუოდ თავისუფლად ფლობდა
 რუსულ ენას (იგი ხომ 1756 წლიდან რუსეთში
 ცხოვრობს!). ამიტომ, ცხადია, რომ რუსული
 ენიდან მთარგმნელი მას გაცილებით ნაკლებ
 ესაბირობოდა, ვიდრე ლათინური ენის სპე-
 ციალისტი; აქედან გამომდინარეობს, რომ ან-
 ტონი უთუოდ მოაზრებდა ლათინური ენის

სპეციალისტს და თავის ენარქიაში მოიწვევდა
 თანამშრომლად. ასეთი პოვნა იმ დროინდელ
 რუსეთში გაცილებით იოლი იყო, ვიდრე საქა-
 რთველში, ვინაიდან რუსულ სემინარიებში
 ლათინური ენის კარგი სპეციალისტები ასწავლი-
 დნენ, რომელთაგან ზოგიერთი მთარგმნელო-
 ბით-ლიტერატურულ მოღვაწეობასაც კი ეწე-
 ოდა (მაგ., ბაუმისტერის „ფიზიკა ანუ ბუნებ-
 რივი ფილოსოფია“ თარგმნი ვიატის სემინარიის
 ლათინური ენის მასწავლებელმა ი. უშაკოვ-
 შმა). ასეთი სპეციალისტების პოვნა ანტონისა-
 თვის ძნელი არ იყო, ვინაიდან იგი უთუოდ ჩა-
 დგოდა მოსკოვისა და პეტერბურგში.

როგორც არც კ. კველიძე ამბობს, ანტ. ზა-
 გარტონმა რუსეთში უფინსას ჩამდენადმე
 შეისწავლა ლათინური ენა (ს. კველიძე, ქართ-
 ული ლიტ. ისტორია, I, გვ. 374). ეს გარემო-
 ვებიც იმაზე მიუთითებს, რომ მას თან ახლდა
 ლათინური ენის სპეციალისტები, რომლებთანაც
 (ან რომელთანაც) მთარგმნელობითი მოღ-
 ვაწეობის პროცესში პარალელურად ლათინურ
 ენასაც ეუფლებოდა.

ლათინური ენის სპეციალისტების ჩაბმა
 მთარგმნელობით საქმიანობაში ანტონის ცნო-
 ბილა მეთოდი იყო. „შემბრუნებულნი“ შესა-
 ვალში იგი მოგვიპოვებს, რომ მთარგმნელო-
 ბის პროცესში „შემწეოდა... ითანე ვინმე ხუ-
 ცესმონახონი ლათინთაგანიო“ (ს. კველიძე,
 ციტ. ნაშრ, გვ. 376). როგორც ანტონი ამბობს,
 ითანე იყო „ლათინთაგანიო“, ე. ი. უცხოელი
 (ალბათ, კათოლიკე-მისიონერი), რომლის დახ-
 მარებით იგი ლათინურ ენაზე დაწერილ თხზუ-
 ლებებს თარგმნიდა. ასეთი „ლათინთაგანი“ ან,
 უფრო მეტხვევებით, ლათინური ენის სპეცია-
 ლისტი ანტონი, უეჭვლად, ვლადიმირზეც
 ევოლებოდა.

უნდა ვფიქრობოთ, რომ ბაუმისტერის
 თხზულებანი ანტონის „ლათინური“
 ორგანოს თარგმნებოდა — ჯერ ლათინურიდან
 რუსულად, ხოლო შემდეგ რუსულიდან ქართუ-
 ლად. ანტონი ხომ თვითონ ამბობს ბაუმისტერ-
 ის თხზულებების ქართული თარგმანის წინა-
 სიტყვაობაში, რომ „ლათინურიდან თარგმნი-
 ესე რუსულად და მერმელა ქართულად“-ო.
 (S-251, გვ. 020). ცხადია, ასეთ შემთხვევაში
 ანტონის თანამშრომელთა რიცხვი ლათინურა
 ენის სპეციალისტებისაგან შედგებოდა; თვითონ
 ანტონი, რომელმაც ლათინური ენა „რამდენად-
 მე იცოდა“ (ს. კველიძე), უთუოდ ვლადის-
 მით ავტობიოგრაფიულ თარგმანს ლათინურ
 დედანთან, ასწორებდა, ამაღმინებდა ქარ-
 თულ ტექსტს, წერდა კომენტარებს ქართული
 თარგმანისათვის, ვითარებებოდა რუს ფილო-
 სოფოსებს ამა თუ იმ ფილოსოფიური ცნების
 შესახებ და ა. შ. ბაუმისტერის თხზულებათა
 ქართული თარგმნის ერთ-ერთ შენიშვნაში
 ანტონი განმარტავს რა „გონიერებას“ („Раз-
 umeние“) და „გონებს“ („Разум“) ცნე-

ბემს, წერს, რომ „შემეწყვიან მე ჩუნი კაცი სწავლული“-ო (S-251, გვ. 314, § 176). მუშაობის ეს სტილი ანტონს, როგორც ჩანს, ღრმად ჰქონდა შეთვისებული. გარდა ამისა, თვითონ ის ფაქტი, რომ ანტონი რუს სწავლულებს ეთათბირებოდა რუსული ტერმინების საზრისის შესახებ მაშინ, როცა იგი ბუჟაის-ტარის ლათინურ ტექსტს თარგმნიდა, იმაზე მიუთითებს, რომ ამ ტექსტის თარგმნა ჯერ რუსულად წარმოებდა, ხოლო შემდეგ ქართულად. უთუოდ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში დ. ბაგრატიონს, ვ. ბაგრატიონს და თვითონ ანტონს, როდესაც ბუჟაისტერის თხზულებების რუსულიდან თარგმნის შესახებ ლაპარაკობდნენ მაშინ, როცა ამ თხზულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულ ენაზე ჯერ კიდევ გამოცემული არ იყო.

მართალია, ჯერჯერობით არა გვაქვს რაიმე უტყუარი ცნობა ანტონის შთარგმნელ-თანამშრომელთა შესახებ, მაგრამ მათი არსებობა უდავოდ უნდა მივიჩნიოთ; სხვაგვარად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ერთმა კაცმა, თუნდაც გენოსმა, ასე მოკლე დროში უცხო ენიდან თარგმნოს და გამოსცეს (კომენტარებითურთ). ესოდენ შრავალრიცხოვანი ნაშრომები ამ ენის არასავაობლ ცოდნის პირობებში. მართალია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ეს თხზულება ერთ წელს (1762) ანტონს არ უთარგმნია, მაგრამ თანამშრომელთა გარეშე ესოდენ დიდ საქმეს თუნდაც რამდენიმე წელს ერთი ადამიანი ვერ შესძლებდა.

VII

შეიძლება დაიხვეს საკითხი, თუ სად არის ის ხელნაწერები, სხვადასხვა ვარიანტები, რომლებიც უთუოდ ბლომად დაგროვდებოდა ორმაგი თარგმნის პროცესში? ეს ხელნაწერები, მართალია, ჯერჯერობით მიკვლეული არ არის, მაგრამ ამით არაფერი არ ირღვევა. ხომ შესაძლებელია, რომ ისინი ორი საუკუნის მანძილზე დეკარტულიყო, ან ვანადგურებულიყო ან თუნდაც მათი აღმოჩენის შესაძლებლობა ხომ არ შეიძლება ამირთულად გამოვრიცხოთ? სამწუხაროდ, თვითონ ანტონის ხელნაწერებიც ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის (გარდა ორიოდ გვირდისა), თუმცა მათი რაოდენობა, აღბათ, შრავალ ტომს შეადგენდა. ასე რომ ხელნაწერების არარსებობა საბუთად არ გამოდგება.

შთარგმნელი თანამშრომლების არსებობას ისიც აღსატურებს, რომ სხვადასხვა თხზულებზე მუშაობა, როგორც ჩანს, პარალელურად მიმდინარეობდა. ეს სრულიად უდავო ხდება ისეც ბუჟაისტერის თხზულებათა ქართული თარგმანის წინასიტყვაობიდან, სადაც ანტონი გვეუბნება, რომ იგი ერთდროულად მუშაობდა ბუჟაისტერის თხზულებათა ვეებერ-

თელა ტომსა და ასევე სქელტანიან წიგნზე „შემოკლებული ფისიკა თეორეტიკებო“, რომელიც ქრ. ვოლფისა და სხვა ავტორების საფუძველზე შედგენილ ნატურფილოსოფიურ თხზულებას წარმოადგენს (იხ. ჩვენი წერილი „ანტონ ბაგრატიონი და ქრ. ვოლფი“ ერთ „მეცნიერება და ტექნიკა“, № 1, 1978); ორივე წიგნს აზის თარიღი 1762 წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათზე მუშაობა პარალელურად მიმდინარეობდა. თუ ამასაც დაემატებთ, რომ იმავე წელს (ცერტოდ, 1762 წლის თებერვალში) ანტონმა დაასრულა კენიტოს კურციოსის მრავალტომიანი (ათ წიგნად) თხზულების „ასტორია ალექსანდრე მაკედონელისა“ რუსულიდან თარგმნა (S-410), მაშინ უდავო ვახდება, რომ ასეთი შრავალმხრივი პარალელური შთარგმნელობითი საქმიანობა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ უცხო ენის მცოდნე თანამშრომელთა არსებობის პირობებში. „ნავი სამუშაო“, რომელსაც თანამშრომლები ასრულებდნენ (თუნდაც, მაგალითად, „ოტცუ გავრილი“), ანტონის შრავალმხრივი და დეტალური მუშაობის შედეგად დასრულებული ლტერატურების ნაწარმოების სახეს იღებდა. იგი საფუძვლიან რედაქციას უყვებოდა (დედანიან შედარების ჩათვლით), აზუსტებდა და სპ. პოლოდრ აუალიზებდა ტექსტს. ამიტომ ეს თხზულებანი სრულიად სამართლიანად ითვლებიან ანტონის „შრომილად“ — მის ნაშრომებად. მართლაც, ანტონი იყო ამ რთული და შრავალმხრივი მუშაობის ჰეშმარიტი შემოქმედი და ნამდვილი ავტორი.

რასაკვირველია, ბუჟაისტერის ეს ნაშრომები, რომლებიც იმ დროს რუსულად არსებობდა (მაგალითად, „ლოგია“, 1760), ანტონმა და მისმა თანამშრომლებმა უშუალოდ რუსულიდან თარგმნეს, მაგრამ სხვა თხზულებანიც „ლათინურიდან თარგმნა რუსულად და მერმედა ქართულად“ (ანტონი). ამიტომ ეს თარგმანები სრულიად სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს ერთსა და იმავე დროს ლათინურიდან (თ. ბაგრატიონი და სხვ.) და რუსულიდან (დ. ბაგრატიონი, ვ. ბაგრატიონი, კ. კველიძე და სხვ.) თარგმნილად. ასე შეიძლება აიხსნას ის პარადოქსული მდგომარეობა, რომელიც თავს იჩენს ანტონ ბაგრატიონის მიერ ბუჟაისტერის თხზულებათა თარგმნის პროცესში.*

* სიამოვნებით მინდა აღენიშნო, რომ ამ წერილზე მუშაობისას დიდი დახმარება გამოიწიეს ანტონ ბაგრატიონის მეცნიერული მემკვიდრეობის სპეციალისტებმა: პროფ. ვ. პარკაძემ, პროფ. რ. მარამიძემ, დოცენტებმა მ. ქავთარიამ, ვ. გაბიაშვილმა და ვ. დედაბერიშვილმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვუხსენებ.

საქართველოს ისტორიის დოკუმენტების პუბლიკაციის საკითხებზე

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის საისტორიო საზოგადოებათა შორის საპატიო ადგილი უჭირავს მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 1864 წელს რუსი არქეოლოგების (ე. ი. ზაბელინის, ა. ს. უვაროვის და სხვ.) ინიციატივით. საზოგადოებამ იშთაიფიერ თავის ამოცანად დაისახა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე არსებული სიძველეთა ძეგლების შეგროვება, დაცვა და შესწავლა; საზოგადოება აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს, აწყობდა არქეოლოგიურ ყრალობებს და სხვ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ კანონი არ არსებობდა და არც სათანადო დაწესებულება, რომელიც ძეგლებს მოუვლიდა, ხოლო მეუღის მთავრობა კულტურის ძეგლების დაცვაზე მით უმეტეს განაპირა კოლონიური მხარეების ძეგლების მოვლა-პატრონობაზე თავს არ იწუხებდა, ამ საზოგადოების მოღვაწეობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდებოდა.

მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას მჭიდრო კავშირი ჰქონდა განაპირა მხარეების ცნობილ ისტორიკოსებთან, რომლებიც სათანადო ცნობებს და მასალებს აწუდიდნენ მას, ხოლო, თავის მხრივ, საზოგადოება მატერიალურ დახმარებას უწევდა (აღიანსებდა არქეოლოგიურ გათხრებს, წიგნების ბეჭდვას და სხვ.) და მხარს უჭერდა პერიფერიებში მცხოვრებ ისტორიკოსებს კვლევა-ძიების წარმოებისა და ნაშრომების გამოქვეყნების საქმეში.

საკანცებოდ უნდა აღვნიშნოს ისიც, რომ

საზოგადოება არქეოლოგიურ ყრალობებს სპეციალურად მართავდა პერიფერიებშიც, რათა ადგილებზე სიძველეთა შესწავლის საქმით დაინტერესება გამოეწვია.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების საქმიანობა, მისი მდიდარი ბეჭდური პოლექციის (განსაკუთრებით არქეოლოგიური ყრალობების მასალების პუბლიკაციის) წყალობით საკმაოდ გაშავრებულია. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საზოგადოების მოღვაწეობის ისტორია დღემდე მეცნიერულად შესწავლილი არ არის (არც მისი არქივი ჩანს სათანადოდ მოწესრიგებული). შეიძლება გადაუკარგებლად ითქვას, რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ისტორიის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდება XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის მთელი რიგი საკითხების უფრო ნათლად წარმოადგენა.

ბუნებრივია, ამ პატარა საურთიანო წერილში შეუძლებელიცაა და არც ვისახავთ მზუნად მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ისტორიის გაშუქებას. აქ მხოლოდ გვინდა შეათხვეწოთ რუსი და ქართველი მეცნიერების შეგობრობისა და თანამშრომლობის ისტორიიდან მთავრობითი რამდენიმე ცნობა, რომლებიც საუბრაოდებოდ გვეჩვენება, არა მარტო წმინდა მეცნიერული, აკადემიური, არამედ აგრეთვე პოლიტიკური თვალსაზრისითაც. როგორც ცნობილია, იმ დროს, როცა ცარიზმი სდევნიდა „ინოვაციებს“ ენას, კულტურას, ატარებდა პატარა ერების ასიმილაციის პოლიტიკას, მოწინავე რუსი მეცნიერები აღრიცხავდნენ და სწავლობდნენ ქარ-

თული კულტურის ძეგლებს, ხელს უწყობდნენ ქართველ მეცნიერებს მასლის წარმოებისა და სამეოვნე გამოტანაში.

რუსი და ქართველი მეცნიერების შეგობრობისა და თანამშრომლობის ერთ-ერთი საუფრადღებო დოკუმენტია ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის წერილი პრასკოვია უვაროვასთან. ვიდრე წერილს შინაარსს შევხებოდეთ, რამდენიმე სიტყვათვით ადრესატის შესახებ. 1854 წლის 29 დეკემბერს გარდაიცვალა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების ფუძემდებელი და მისი თავმჯდომარე გრაფი ალექსი სერგისძე უვაროვი. 2 1855 წლიდან საზოგადოებას ხათავაში ჩაუდგა მისი შეუღლებ არქეოლოგია გრაფინა პრასკოვია სერგის ასული უვაროვა (1840—1924). ამ უყანასკნელს შვიდრო ურთიერთობა მქონდა დიმიტრი ბაქრაძესთან და აობოვდა მისგან მასალებს ქართული კულტურის ძეგლების შესახებ. ამ ურთიერთობის ამსახველია დიმიტრი ბაქრაძის ერთ-ერთი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1758 წლის 28 მაისით.

„ბოდიშს ვიხდი თქვენი ბრწყინვალეების წინაშე — წერდა დ. ბაქრაძე პრ. უვაროვას, — რომ ასე დაგვიანებთ ვიჯავნებო პასუხს თქვენს წერილზე, რომელიც კონსტანტინოპოლში გამოვიგზავნეთ.

(კონსტანტინი) 3 (ოლიდან) არ შემქმლო მომწერა თქვენთვის, რადგან თბილისიდან გამგზავრებისას შინ დამარჩა წავიგებო. რომლებშიც უნდა ამომგვრისა ცნობები ქოროხის მბეგრისა და ახალიცხე-ახალქალაქის მანერების ძეგლების შესახებ. ახლა ამ წერილს თან ვურთავ მათ სიას. დაწვრილებითი ცნობები და გამოკვლევები მათ შესახებ მთითებულია ჩემს შრომაში «Кавказ в древних памятниках христианства». ძეგლებს, რომლებიც არ შესულა ამ გამოკვლევაში, სავანებოდ მაქვს აღნიშნული თვით ხაში».²

ზემოთმოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება ხაგანგებოდ აგრძელებდა ცნობებს ქართული კულტურის ძეგლებისა და საერთოდ ქართულ სიძველეთა შესახებ, ხოლო საზოგადოებას ქართველი კორესპონდენტი ბოდიშსაც კი ახდიდა მასალის მიწოდების დაგვიანების გამო.

ქვემოთ ქართველი ისტორიკოსი თავისებურ ანგარიშს ახარებს მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას ათონის მონასტრებში თავიხა სამეცნიერო მფლენების შესახებ: „მე ვიყოფი ათონში, სადაც შესაძლებლობა მქონდა დამეთვალყურებინა ზოგიერთი მონასტერი: პანტელეიმონის ღვარა, წმ. ათანასესა და ივერიის. ივერიის მონასტრის წიგნსაცავი შევიხაწვადე რამდენადაც ეს შეიძლებოდა ხაში

დლის განმავლობაში — მეტი დროით დარჩენა არ შემიძლო. ქართული ხელნაწერები იქ 100-მდე, რომელთაგან საქართველოს ისტორიისათვის ყველაზე საინტერესოა X, XI და XII სს. ხელნაწერები. X საუკუნეზე ადრინდელი იქ არაა. ყველაზე საინტერესოდ შეჩვენა ქართული ბიბლიის ნუსხა, ორ მოზრდილ ტომად შეკრული, რომელიც გადაწერილია X საუკუნეში, ბიზანტიის ისტორიაში ცნობილი, ათონის მონასტრში ბერად შემდგარი თორნიკესათვის. სამწუხაროდ, მისი ორიგინალი ივერიის მონასტრში ვერ ვიპოვე; ხად არის, ან გადარჩა თუ არა, უცნობია, შესაძლოა ის იქონი ათონის, ოლიპოის, ანტიოქიის, ხინაის, პალესტინის ერთ-ერთ მონასტრში, ან თვით საქართველოში. შესაძლოა ის აღმოჩნდეს საქართველოს (ქართლ-კახეთის — ვ. მ.) ან აზერეთის ერთ-ერთ მონასტრში, ამ უყანასკნელიდან არქეოლოგიური ძეგლების „თბილისის სიონის ტაძართან დაარსებულ საეკლესიო მუზეუმში გადატანის დროს“.⁵

დ. ბაქრაძის წერილში საუბარი ქართულ ხელნაწერებზე შემთხვევითი როდია. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნეში არქეოლოგია უფრო გავრცობით იმართებოდა და იგი ინტერესს იჩენდა ყოველგვარი სიძველისადმი, ამიტომ იყო, რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება უფრადღებით ემურობოდა არა მარტო ნივთიერ ძეგლებს, არამედ აგრეთვე ხელნაწერებსაც (მათ შორის ქართულ ხელნაწერებსაც).

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების არქივის მასალები ცხადყოფს, რომ საზოგადოება ცდილობდა რუსეთის საარტივის და სამუზეუმო საქმე წესრიგში მოეყვანა. სწორედ ამით აიხსნება საზოგადოების ინტერესი თბილისის სიონის ტაძართან ჩამოყალიბებულ საეკლესიო მუზეუმისადმი, როგორც ეს დ. ბაქრაძის წერილიდან ჩანს: „ბ. ვვიდენ-ბაუმშია მუწუა, — წერდა დ. ბაქრაძე პ. უვაროვას, — რომ თქვენ გსურთ იყოდეთ ამ მუზეუმის (ლაპარაკია სიონის ტაძართან გახსნილ საეკლესიო მუზეუმზე, — ვ. მ.) შესახებ. ის მხოლოდ ახლა გაიხსნა და თუ რა დონის ძიებები უნდა გავატაროთ ქართული მონასტრებთან არქეოლოგიური ძეგლების მიხედვად, ეს საკითხი მალე იქნება განიხილული. მუზეუმთან არსებულ სავანებო კომიტეტში როგორ გადაწყდება ეს საკითხი და ეს უყანასკნელი როდის უნდა შეუდგეს თავის საქმიანობას, ამახ საგანგებოდ გაცნობებთ, ამასთან გაახლებთ მუზეუმის წესდებას თქვენს „შრომებში“ დასაბუქვად“.⁶

ამრავად, დ. ბაქრაძის ხსენებული წერილი უნიკალური დოკუმენტია, რომელიც ნათ-

ლად წარმოადგენს მოწინავე რუსი და ქართველი მეცნიერების შევსებობისა და თანამშრომლობის დიდებულ სურათს, საიდანაც ნათლად ჩანს მეორე რუსეთი — დემოკრატიული რუსეთი, ქართველი ხალხისა და ქართული კულტურის მეგობარი და ქომაგი.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების არქივში ჩვენს ურთიდადღებამ მიიქცია აგრეთვე მიმოწერამ, რომელიც ეტება ქართული საისტორიო დოკუმენტების პუბლიკაციას. 1859 წელს პროფ. ა. ცაგარელს გადაუწვევებია, მოსკოვის არქივში დაცული საქართველოს ისტორიის დოკუმენტების გამოკვეთვება, რის თაობაზეც 1859 წლის 14 თებერვალს წერლობით მიუმართავს არქივის დირექტორის ბარონ ფ. ა. ბიულერისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს სავარჯიშო საქმეთა მინისტრისათვის, რომელსაც თანხმობა გამოუთქვამს და მიუმართავს თინანსთა მინისტრისათვის სათანადო თანხა გამოეყრ.7 მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე წინ არ წასულა.8 ამიტომ ა. ცაგარელი აქედან უმული გამხდარა წერლობით მიემართა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის. საქმეში აქტიურად ჩარეულა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე პრ. უვაროვა, რომელსაც 1859 წლის 20 მარტს საზოგადოების სახელით თხოვნით მიუმართავს საიმპერატორო მთავრობისათვის: „სავარჯიშო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარ არქივში, — წერდა პრ. უვაროვა, — ინახება დოკუმენტების მდიდარი კოლექცია რუსეთის ურთიერთობისა ქართველ მეფეებსა და კავკასიის მფლობელ მთავრებთან 1586-დან 1802 წლამდე. ამ დოკუმენტების ძალზე უმნიშვნელო ნაწილი გამოაკვეთა აკადემიკოსმა პროფ. მაკრამ მისი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს ისტორიისათვის უმ-

დიდრეს მასალას... გლოდებამ გველევარს:9 ქვემოთ პრ. უვაროვა განავრძობს საქმეს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის პროფესორმა ცაგარელმა წინადადებათ მიმართა არქივის მ. დირექტორს, ნამდვილ საიდუმლო მარწვევებს ბარონ ბიულერს თავისი რედაქციით გამოსცეს უველა ეს აქტი და დოკუმენტო და სხოვო მის მალად აღმატებულუბას გამოეთხოვა სავარჯიშო საქმეთა სამინისტროს თანხმობა ამ გამოცემაზე, აგრეთვე ეთხოვა მ. თინანსთა მინისტრისათვის ამ გამოცემისათვის სახსრები“.10

თხოვნაში პრ. უვაროვა ერთხელ კიდევ სახსრებში ამ დოკუმენტების მნიშვნელობის მეცნიერებისათვის და დაბეჭდვითი მოთხოვნა და მათს გამოცემა, რისთვისაც ითხოვდა 2,000 მანეთს, ამასთან, თანხის დაშვების დაქარბება, რომ დოკუმენტებს I ტომის გამოცემა მოესწროთ 1890 წლის იანვრისათვის, მოსკოვის VIII არქეოლოგიური ყრილობის გახსნის დღისათვის.11

ამრიგად, როგორც წარმოადგენილი მასალა მოწმობს, ა. ცაგარელის საურთადადებო პუბლიკაცია, რომელიც ქართველი ისტორიკოსებისათვის დღემდე საშავლო წიგნად რჩება, ვინ იყის, დაიბეჭდებოდა თუ არა, რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა და მისი თავმჯდომარის პრ. უვაროვის ავტორიტეტი საქმეს არ შეეშელებოდა.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება სავანებოლ ზრუნავდა თავის აქტიური წევრების კომპლაროზაციაზე ამ მიზნით შეუვაროვებო მასალები საზოგადოების წევრთა ბიოგრაფიული ლექსიკონისათვის. საზოგადოების არქივში, სხვა მოღვაწეების ბიოგრაფიებთან ერთად, დაცულია დ. ბაქრაძის ბიოგრაფია, მ. ჯანაშვილის ხელით დაწერილი.12

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ა :

1. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს გარემოება სათანადოდ გათვალისწინებული არ ჩანს, რაზედაც ჩვენ, ალბათ, ცალკე წერილში მოგვიხდება საუბარი.
2. ЦГАГМ, ф. 454, оп. 2, д. 75, л. 5.
3. ЦГАГМ, ф. 2256, оп. 1, д. 9, л. 1.
4. შემთხვევითი როდია, რომ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების არქივში ქართული კულტურის ძეგლების სეკვოლად გრძელი სიაა დაცული.
5. ЦГАГМ, ф. 2256, оп. 1, д. 1, л. 1.
6. იქვე.

7. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, I, СПб., 1891, стр. XXXIII—XXXIII (შესავალი).
8. თუმცა ა. ცაგარელი ამის თაობაზე არაფერს ამბობს.
9. ЦГАГМ, ф. 454, оп. 2, д. 111, лл. 7—8.
10. ЦГАГМ, ф. 454, оп. 2, д. 111, лл. 7—8.
11. იქვე.
12. ЦГАГМ, ф. 454, оп. 2, д. 429, лл. 28—29.



ილია მაისურაძე

ონომასტიკის სამყაროში

ერის წარსულის, განსაკუთრებით მისი უძველესი საფეხურების, შესასწავლად ერთ-ერთ ძირითად წყაროდ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ენას მიიჩნევდა. თავისი ხანგრძლივი და მრავალნაყოფიერი ძიების პროცესში დიდი მეცნიერი ჩვეული გულმოდგინებით, პირველყოელისა, საკლდო თემასთან დაკავშირებულ ტერმინებს მიმოიხილავდა, ანალიზებდა ცალკეულ სიტყვებს, სატომო, გეოგრაფიულ და აღმნიშნავ საკუთარ სახელებს, გვარებს, ამეტყველებდა და წარმატებით იყენებდა მათ ჩვენებს შესასწავლ პრობლემათა ნათელსაყოფად.

ქართული და კავკასიური ენების შედარებითი შესწავლისადმი შიშველი ფუნდამენტური გამოკვლევა ი. ჯავახიშვილისა, როგორც ცნობილია, „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალ წიგნად იყო ნაგარდღევი, ისევე, როგორც პირველი წიგნიც ამვე სერიისა („საქართველო“, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ენოლოგიური პრობლემები“), რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა. ამ შრომის ძირითადი დებულებებიც ენობრივი ფაქტების შესწავლას ემყარება (აქ განხილულია წინააღიის უძველეს სახელმწიფოთა და ამიერკავკასიის ტოპონიმის, ეთნონიმის, აგრეთვე კულტურისა და ყოფიერების მრავალი საყურადღებო საკითხი).

ცნობილია, რომ ქართველმეტყველების სხვა დარგებთან ერთად, იე. ჯავახიშვილმა სათავე დაუდო ისტორიულ გეოგრაფიას და, ამასთან ერთად, ისტორიოგრაფიის სამსახურში ჩაება ონომასტიკური ლექსიკის მდიდარი საგანძურის კვლევა. ამიტომ არის, რომ მის ნაშრომებში ეგზომ ზნობრად ვხვდებით ანთროპონომიკურ ბრტოპონომიკურ რეალიტებზე დაფუძ-

ნებულ საგულისხმო მოსაზრებებსა და დასკვნებს.

ჩვენი შრომა საკუთრივ ქართული გვარების (გვიარსებულების) შესასწავლად წარმოებულ მუშაობის შედეგია; იგი წინასწარ შეკრებილ ფაქტობრივ მასალაზე დაკვირვებისა და საერთო დასასაბუთების ცდაა, რაც დიდი ივანეს მიერ დასახულ ამოცანებს შეტლებისდაგვარად ეხმარება.

ზმარნი, ზმარსახმლი. ფართო და მრავალმხრივია სიტყვა ზმარის მნიშვნელობა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი შეიძლება გაგებით არის წარმოდგენილი. უფრო მეტია მისგან წარმოქმნილი ფორმები, მისი მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტები და ფრაზეოლოგიური შენაერთები. იგი, პირველყოელისა, ერთ ტერმინიაზე მცხოვრებ, საერთო შრომაში ჩამბულ და ნათესაურად დაკავშირებულ აღამიანთა უძველესი სოციალური ჩატვის აღმნიშვნელია, აღინდელი თემურ-გვაროვნული ცხოვრების გამოშხატული. უფროდ ამით უნდა აიხსნას, რომ მას მოდგმის, შთამომავლობის, შტოს და ჯიშის ცნებებიც უკავშირდება ისე, როგორც მისგან წარმოქმნილ სიტყვებსაც — საზმაროლოგი, ზმაროვნობა, ზმაროვნობა, გვარით აღინიშნება აგრეთვე საგნისა თუ მოვლენის ნაირობა, რაგვარობა. გენეტურად გვარი უდევს საფუძვლად რმზორ სიტყვასაც, რომელიც ორი ფუძისაგან არის მიღებული ცვლილებათა შემდეგი თანმიმდევრობით: რზმარნი — რზმარი — რმზმარი; მეცნიერებაში გვარი აბსტრაქტულ ცნების გამოშხატულ ტერმინადაც არის გამოყენებული (ფილოსოფიაში, ლოჯიკაში, ბიოლოგიაში, გრამატიკაში...), ძველ ქართულში იგი კატეგორიის ქართულ შესატყვისადაც გვევლინება (შეადარეთ, მაგალითად, შ. რუსთაველის

გამოთქმა: „უქვე მიწურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“).

ამ სემანტიკურ მიმოქცევაში ნათლად არის გამოკვეთილი გვარის კიდევ ერთი ძირითადი მნიშვნელობა: იგი აღმნიშვნელია ადამიანის მეორეული, დამატებითი საკუთარი სახელისა, რომლის დანიშნულებაცაა გამაარჩიოს მრავალთაგან ერთი, კონკრეტული პიროვნება, დასახელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ ამ ოჯახის, სახლელის, თუ გვარ-ტომის წარმომადგენელი. ამ ვაგებით, გვარ არის „საოჯახო სპელწოდება, რომელიც ერთეის ადამიანის საკუთარ სახელს და ვადუცემა შეილს მამისაგან (ან დედისაგან), ან ცოლს ქმრისაგან“ (ქველ).

დღეს გვარი, საკუთარ სახელთან ერთად, უკლა მოქალაქეს აქვს, როგორც ვინაობა-წარმომავლობის მიხედვებით, იურიდიულად მისი დამადასტურებელი სიტყვიერი ფაქტი.

უდავოა, რომ გვარი, როგორც ანთროპონიმი (ადამიანის საკუთარი სახელი), შინაგან კავშირ ში გვართან, როგორც სოციალური უკრედის აღმნიშვნელ ტერმინთან, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ საკუთარი სახელის ვარეშე წარმოთქმული ეს სიტყვა, რომელსაც ლათინურიდან მომდინარე რუსულ „ფამილია“ შეესატყვისება, ზოგადად სავარაუდო კრებულის, ოჯახის გამომატველიც არის, სახელთან ერთად შეწყვილებიანს კი მისი შინაარსი ვიწროვდება და ცალკეული პიროვნების აღნიშვნით ისარღობა.

გვარ სიტყვის ჩვენ შიგრ მითითებელი ომინიშნის ხასიათი შემზბვევითი არ არის. იგი ლექსიკური ერთეულის კანონზომიერი ისტორიული ცვალებადობის საგულისხმო ნიშნია. იგივე ხასიათი ამ სიტყვისა გვიძებლებს ვიქსმართ მის სინონიმად სპეციალური ტერმინი **გვარსახელი**, იმ შემთხვევის ცალკე გამოსყოფად და აღსანიშნავად, როდესაც გვარი გვევლინება რაგორც ანთროპონიმი.

თანამედროვე ქართული გვარსახელების მდიდარი ფონდი, რომელიც უძველეს ხანაში შექმნილა, ზეინი დედაენის ლექსიკური შეზღვევლობის ორგანული ნაწილია. იგი ნათლად ასახავს ქართული ერის ცხოვრებას, რამდენადაც ყოველი ცალკეული სავარაუდო კოლექტივის თავგადასავალი მთელი ერის ისტორიის შენაგადაა. ქართული სახელებისა და გვარების შესახებ, — წერს გამოჩენილი მკვლევარი აკად. აკ. შანიძე — შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიგარქ-სიგანით ეს შეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მზარც ასახულია³, გვარსახელობა მეცნიერული შესწავლის ინტერესი შეიძლება სხვადასხვა თეორიული სფეროდან მომდინარებოდეს და თითოეული დის-

ციპლინა (ეთქვათ, ისტორია, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, გეოგრაფია, სტატისტიკა) ლექსი იყის ამ ნაწილს შესაბამისი ასპექტით განიხილა და დადეს, ძიების შედეგებს იუვენებდეს სპეციალურ პრობლემათა გადასაჭრელად. მაგრამ გვარსახელი ენობრივი ფენომენია, სახელებითი ფუნქციით აღჭურვილი სიტყვა, სემსტიკტივი და ამიტომ მისი უოველმზრები გამოკვლევა, პირველყოფლისა, ლინგვისტიკის სფერის ვანუკუთენება⁴ ვერძოდ, ლექსიკოლოგიის იმ დარგს, რომელიც ონომასტიკის ანუ ონომასტიკოლოგიის სახელით არის ცნობილი.

გვარი და გვარი. ქართულ ფრაზეოლოგიაში გვარი ადამიანს ღირსების, მისი მადალზენობრიობის მიხედვებლადაც არის მიხნეული. ამის საფუძველზეა შექმნილი სიტყვები: **გვარისმედი** და **გვარისმედი**. პიროვნების თვისებებს ჩვეულებრივ გვარს უკავშირებენ და ამბობენ — ესა და ეს კაცი კარგი (ან ცუდი) გვარისმედილია, გვარისმედილობას უტენენო და მისთ.

ამასთან დაკავშირებით, გვინდა გავისხნოთ ერთი ადგილი ალ. ყაზბეგის „ხვეისბერი გორიდან“: როდესაც ვოჩა თავის ერთადერთ ვეს, ონისეს, უდიდესი განსაცდელის ეამს სამშობლოს დასაცავად ისტუმრებს და ღრმა შთავონებით არივებს, მიიღ თვის პატრიოტულ მგზნებარებას. იგი გვართის ღირსებაზე მითითებით გამოხატავს და ეუბნება შეილს — გასსოვდეს, ვისი გორისაც ხარო!

ხვეისბერის მეტყველებაში გვარი **გვარად** გამოთქმის. სიტყვის ამ ფორმით ხმარება, საერთოდ, დამახასიათებელია მისი კოლონისათვის, სადაც რეალიზებულია **გვ** კომპლექსის შენაცვლება **მ** ხმოვნით (მდრ. აგრეთვე თოლი, ცხორი, ყოილი...), **გვარი** ამავე დროს ფიზიკურ-გეოგრაფიული ტერმინიც არის და გარკვეულ სემანტიკურ კავშირს აშკლავებს გვართან, როგორც სოციალური ტერმინთან. საქმე ის არის, რომ ვახობებით მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით არქეოლოგები ასკვნიან: საქართველოში უძველესი დროიდან არსებულა „გორიბად“ დასახლების ტრადიცია, რაც პირვანდელ გვართულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა. ირყეულა, რომ თითოეულ გორაზე ცალკეული გვარი ან გვართა გავრთიანება ცხოვრობდა: გვართუნული დასახლება „გორული“ დასახლებასაც ემთხვეოდა. ამიტომ ტერმინები **გვარი** და **გვარი** ერთი ცნების აღმნიშვნელად გამოიყურებიან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საქართველოს ტომონომიაში **გვარი** ძირიც ენაცვლება: გორა, გორა, გორანი, გორაკი, გორიკა, გორანი, გორათი, გვარა, გვარა და მრავალი სხვა. ხსენებულ ძირთა იდენტურობას აღიარებს ილია ჭყონია, მეგრული სიტყვის „**გვარი**“ ენაშტუნისას,

მკვლევარი აღნიშნავს: „განსაკუთრებით საყურადღებო ჩანს „ნიგორი“ მგერულში არა მხოლოდ იმის გამო, რომ მასში წიმიც იგულისხმება, არამედ იმიტომ, რომ ამ ტერმინში ფერე „მორ-ი ჩანს და იგი ქართულ ზმარს უნდა შესატყვისებოდეს“ (ზახი ჩვენია, ი. შ.).

აქად. ნ. ბერძენიშვილი პიუთითებს, რომ გორი იგივე გვარია ეს არის უძველესი სოციალური ტერმინი, რომელიც დასახლების გარკვეულ ტიპს აღნიშნავდა. მკვლევარი წერს: „გორა სოციალური ერთობა უნდა იყოს, ჩვენ არ ვიცით გორა ტერმინის ურთიერთობა გვართან. მგერო მიუხედავად საწინააღმდეგო მონასტრების არსებობისა, გორის გვართან კავშირი შესაძლებლად მიგვაჩინა“.

ავტორი შემდგომ უფრო აზუსტებს თავის შეხედულებას, რამდენჯერმე უბარუნდება საკითხს და გორსა და გვარს აჯახებს როგორც ერთი სიტყვის ორ ფონეტიკურ სახე-სხვაობას, დროთა განმავლობაში შინაარსობრივად კვანძვადებულს: გორმა ბორცვის მნიშვნელობა მოიპოვა, გვარი კი დარჩა სოციალური შინაარსის სიტყვად. თუმცა იგი სადგომის მნიშვნელობითაც გვხვდება (მღრ. აფხაური ზმარბ, აწინაზმარბ — წანის სადგომი, აგრეთვე ამინ-ზმარბ, სვანური მორი, მგერული ხორ, ხორა, მხორა — სახლი. აქვე უნდა გავიხსენოთ სოფლის სახელი აჭარაში ზმარბ, აზმარბა მწვემების ან ზოგჯერ მონადირეთა საყარაულს კობა შიამი ან ტუმი⁷ და სხვა.

ამგვარად, სიტყვების გვარისა და გორის მიმართება სერიოზული საკითხია, მის გაიარკვევად საგანგებო ძიება საჭირო, აქ ჩვენ მხოლოდ საკითხის დაყენებით ვისაზღვრებით.

შინაახლოობიდან გვარსახელებამდე იდგოლთა და აღმინათი საკუთარი სახელებთან ერთად, გვარსახელებიც აქტუარი მოხზულების სიტყვითა შარავს განვეუთენებთან. შათი საშუალებით აღმინაები ახდენენ ორიენტაციას ბუნებრივ და სოციალურ გარემოში: კრპოდ, პერსონალიტების აღნიშვნელი ლექსია, რომლის გამოუყენებლად წარმოუდგენელია რაიმე თანაცხოვრება, ურთიერთშემატებისა და შიითობა-დასახელების უადრესად პრაქტიკულ საჭიროებათა ნიადაგზე უნდა შექმნილიყო.

ცნობილი ფაქტია, რომ ყოველი საკუთარი სახელი წარმოშობით საზოგადო სახელია, ამიტომ არის, რომ როდესაც სახელთა და გვართა ნომინაციური დანიშნულება გვზომ გამოკვეთილია, თითოეულ შთავანს მოქმედებება პირვანდელი სემანტიკური საწყისებია. ასე, მაგალითად, აგნება კარეს ნიშნავს, ანდრია — მხნის, ვადინა — კაშაშას, ვიორგი — მიწის მოქმედს, ილენე — რჩეულს, ვაქტორი — გამარჯვებულს, ხოლო — სიბრძნეს, ტარასი — მოუსვენარს, ფილიპე — ხცენთა მოყვარულს და ა. შ.

აღმინათა და ადგილთა სახელებს ეს უძველესი ტენდენცია — საზოგადო სიტყვიდან კერძო სახელების შერჩევა-შექმნის პროცესის, საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ საფეხურებზე უფრო ძლიერდებოდა — გართულებული სოციალური ერთობის შესაბამისად ინომასტიკური ლექსიკის გამდიდრებაში საზოგადო სახელთა სულ უფრო და უფრო ახალი წყებები ემუშავებოდა.

პირვანდელი გვარის კლასიკურ ფორმად მიჩნეულ სენეკას ტომში შეზავალ იროკეზების გვართა შესახებ მსჯელობისას, მორვანის მსახელებზე დაყრდნობით, ფრიდრის ენეკლა აღნიშნავს: აეს ტომი 8 გვარისაგან შედგებოდა, თითოეულ შთავანს რომელიმე ცხოველის სახელი ერქვა: 1. მგელი, 2. დათვი, 3. კუ, 4. წივი, 5. ირემი, 6. ღალა, 7. ყანა, 8. შვეარდენი⁸. მგელი და დათვი გვაროვნულ სახელებს წარმოადგენდნენ ინდიელ ტომთა უმრავლესობაში — პიუთითებს იქვე ფრ. ენეკლა⁸.

ამგვარად, გვაროვნული სახელწოდებანი ის უძველესი ფაქტორებია, რომელთაც აღმინათი კერძო სახელებთანაც აქვთ უშუალო კავშირი. აქედან ჩანს, რომ ანთროპონიმებად არა ყოველი, არამედ მხოლოდ ის საზოგადო სახელები გამოიყენებოდა, რომელთა მნიშვნელობა შესაბამებოდა სახელმძღვანელი კოლექტივის მატერიალური წარმოების დონეს, მის ფსიკიკურ წყობას, რწმენას, ფანტაზიას, გემოვნებს და, ამდენად, შთელ მის მსოფლმხედველობას, სავართოდ.

სახელებების ეს არქაული საფუძველი რელიეფურად ჩანს ქართულურ (განსაკუთრებით სპარსულურ) მითანეთის მოსახლეობაში ინომასტიკაში. საამისოდ საქმარისა დაეასახელოთ ის გვარსახელები, რომელთა ფუძეებში ასახულია საკუთარი სახელებად ქცეული ცხოველთა და მცენარეთა ტოტემური სახელწოდებანი, შათი ნიშნებია: არქაიამ, არწივამ, გველუკაშვილი, გვრიტიშვილი, ვნალიამ, დათვამ, ირემამ, მგელაშვილი, მგელამ, ფოცხვერაშვილი, ფეტკარამ, ტორიწამ (ტორიწი, მგერულად მტრედლი), ქობიამ, ქურციკიამ, ყვავამ, ცხვარამ, ჩხაკიამ, ხოცკაშვილი, ხობიამ, კვირანაშვილი...⁹

გვარსახელი, რომელიც ჩვეულებრივ საკუთარი სახელის მსახდრებად გვევლინება და წარმოადგენს ოჯახის წევრთა ოფიციალურად დაყარონებულ მეორეულ სახელს, ახსენებებს და აკონკრეტებს პიროვნების ენობას, ამასთანავე, თანამოსახელეთა განმსახვებელიც არის. იგი ისტორიული ცხოვრების წარმონაქმნია და სახელმწიფოებრივ მმართველობას ექვემდებარება.

დადასტურებულია, რომ ამგვარად გავებული მყარი გვარსახელები ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, პირველად პრივილეგიური კლასების წიაღში შეიქმნა. მშრომელი მოსახ-

ღობა კი სავსებით განსაზღვრული მოკლებული იყო სტაბილურ სამეფოდრო გვარსახელებს. უმა გლეხები, ხელისნები და მოქალაქეთა დაბალი წრეები ძველად საშინაო დამატებითი მეტსახელებითა და უმთავრესად, მამის სახელებით გამოიყოფილებოდნენ, რომლებიც თანამედროვე გვარსახელების როლს ასრულებდნენ.

იბრდიულად განმარტებულ გვარსახელების დამკვიდრების პროცესი მთელ მოსახლეობაში, როგორც შედეგად აღნიშნავენ, მეტად ხანგრძლივი იყო. რუსეთში იგი მთელ 6 საუკუნეს გრძელდებოდა, თუმცა თავადური გვარსახელების არსებობა იქ XIV საუკუნიდან დასტურდება. იტალიაში წარჩინებულთა გვარები XI საუკუნიდან არის ცნობილი, ინგლისსა და გერმანიაში კი — XII საუკუნიდან. 10

ახალი საუკუნეების მიწაზე ვერძობის თითქმის ყველა ქვეყანაში კაბიტალისტური ურთიერთობის სწრაფმა განვითარებამ თვით შოთხოვა გვარების შექმნა მათი არსებობა უფრო და უფრო ადვილდებოდა ვაჭარ-კომიერტი და პოლიტიკური ცხოვრების წარმართვისათვის. საფრანგეთში ნაპოლეონმა გვარების ტარება სავალდებულოდ გამოაცხადა. თურქეთში, ირანში, ეგვიპტესა და ტუნისში, სადაც ვინაობის აღსანიშნავად მამის სახელებზე დაყრდნობილი, დროებით, ერთი ხაზის ფარგლებში ცვალებადი ზედწოდებები იხმარებოდა (მაგალითად, მამა — მირზა ალიზადე, შვილი — დურსენ მირზა ზადე, შვილიშვილი — მუსეინ — დურსენ-ზადე, შესაბამისად, მეჭიკი ჯაფარ-ოღლი, მურაღ, მეჭიკი-ოღლი აბდულ-მურად-ოღლი...), ჩვენი საუკუნის 40-50-იან წლებში სპეციალური დეკრეტებით შემოღებული იქნა სტაბილური გვარები. 11

მეფის რუსეთში არაერთ ზრუნავდა გვარსახელებით რეგულაციებზე, ჩამოყალიბებული იყო არა მარტო ბევრი რუსი გლეხის გვარსახელი, არამედ იმპერიაში შემავალი ეროვნებანიც ამ მხრივ მოკლებულნი იყვნენ წესრიგს.

საბჭოთა წყობილებამ შექმნა ნიადაგი ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად. 30-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში გატარებული სასოფრო-საეკონომიკური რეფორმის შედეგად დღეს უკლებლივ ყველა მოქალაქის აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო გვარსახელი, რომელიც სახელთან და მამის სახელთან ერთად ფიქსირებულია სათანადო დოკუმენტებში.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საჭარბოელოში რუსეთში გვარსახელები ძველი საუკუნეებიდანვე უნდა ყოფილიყო ცნობილი წარჩინებულ პირთათვის, მაგრამ როდეს იქცენ ისინი ფართო მოსახლეობის კუთვნილებად, ამის თქმა ძნელია.

ფეოდალურ საჭარბოელოში გვარების საყოველთაო ხმარებაში შემოსვლის დადგენის საკითხი მეტად რთულია, მისი გადაჭრა სპეციალურ

ძიებასა და მკაფიოდ დიფერენცირებულ მიდევრობის მოთხოვნას. ის კი ცხადია, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიც ძველად გვარსახელები მხოლოდ პრივილეგიური წრეების წარმომადგენლებს ჰქონდათ და ისიც არა ყველას.

საერთოდ, თუ თვალს გადავავლებთ რომელიც გვხვავთ ზალხის ისტორიაში აღნიშნულთა სახელებისა და გვარსახელებთა ქმნილობის პროცესს, ადვილად დავარწმუნდებით, რომ მასში რელიგიური არის აღბეჭდილი კლასობრივი დიფერენციაციის სურათი. საზოგადოების უფლებო შმრთველი ნაწილი საუკუნეთა მანძილზე რომ მოკლებული იყო გვარსახელებს, ესეც თავისთავად საუკეთესო მაჩვენებელია ამ ფაქტისა. მოსახლეობის დაბალი ფენები საკუთარ სახელებზე დართული პირიქული ნიშან-თვისებების აღნიშვნელ ან სადაურაობის მაჩვენებელი მსახურებელით, უმეტეს შემთხვევაში კი მამის სახელით გამოხატავდნენ ვინაობას. ძველ წყაროებში ისინი უგვაროებად იწოდებოდნენ („უგვაროანი“), რაც მდებრივ წარმოშობის ადომიანის სინონიმი იყო. მას უპირისპირდებოდა გვარიანი, იმ თავადთა და აზნაურთა აღნიშვნელი ტერმინი, რომელთაც უფლება ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

თამარ მეფის კარზე 1184 წელს მიმხდარი შეთქმულება უფოლუ-არსლანის მეტაურაობით სწორედ ამ გვარიანთა და უგვაროთა შორის არსებული კლასობრივი წინააღმდეგობის ნიადაგზე იყო აღმოცენებული. გაფიცებულნი დიდებულებმა, რომლებიც აღმგოთებულნი იყვნენ მეფის კარზე უგვარო მოხელეთა აღზევებით, განაცხადეს: „აღარ ვგებოთ ძველთა ხელისუფალთა“ და გამგებლთა საქმისათა ფარმანსა ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დამრცევილნი და უნაბრედ გაძეულნი ვართ, და გვარიანი და მსახურებულნი სახლნი უნაბრედ და უსახელოდ ვისრულებართ უგვართა და უხმარათგან“. 12

ე. წ. „დაბალი“ მოსახლეობის „უგვარობის“ სურათი გადაგვეშლება თვალწინ, თუ გადავხედავთ ძველ სააღწერო დავითებს და ნარატულ ძეგლებს.

ივლით, მაგალითად, XVIII საუკუნის დემოკრატიული დოკუმენტების კრებულს, რომელიც დასაბეჭდად აქვს. ივ. ჯავახიშვილმა მოამზადა. იქ წარმოდგენილ აღმოსავლეთ საქართველოს მეციმურთა სააღწერო სიგეში კომლთა მეთაურების დასახელება მეტად ჭკად სურათს იძლევა. ვინაობის აღსანიშნავად ვხვდებით სახელებსა და მამის სახელებს (მირდაპირი და მეტრეხებული რაგით); გამოხარდი ავთანდილის შვილი, ვითრევი კარბეს შვილი, მამარა სადარას შვილი, დღათისავრაშვილი — მამარბეგლი, მავრესშვილი ქიტესა, ულავრებსშვილი გოგია — მას ვარდა, ვხვდებით სახელებსა და სადაურაობის მაჩვენებელ სიტყვებს, ანდა ეთონიშებს: თუ-

ში გიორგი; წყახი პაპენა, მხარბეული ჩაღმეველი, გოგია მეღვრეული, ღაზარ იღელი, ფლაბრელი ხეცი; სახელებისა და ხელობა-საქმიანობის ან თანამდებობის ტერმინებს: ბერა მკედელი; დათენა მჭვევეტი, უსტია მხარბეული, ფეიჭია ბელლა; სახელებისა და სოციალური ან ოჯახური მდგომარეობის აღმნიშვნელ სიტყვებს: შოი ტაბარუა, ბოგანო შერმაინი, შერმაზან მზითვისა ბოგანო, ხიზანი გიორგი, ბატონიშვილის უმა საქუა, ჩიტა აზატ, გიორგი ნაბიჭვარი, — არაიშვითად შეკრებილი ვინაობა გამოხატულია მარტოადენ საკუთარი სახელით, როგორც, შავლითად, დემსაბრდი, ძაგანა, მამუჩა, ღანანა, წახანი, ნადირა, შველა, ირემა და სხვ; და ბოლოს, ისლანიშნავია სახელებისა და მამის სახელებისაგან შედგენილი გომპოზიტივის სიტყვება, რომლებშიც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხ დაკარგულია: ზებინძე (ჩუბინის ძე), კოჭლადე (კოჭლას ძე), ზალოუა-შვილი (ზალოუას შვილი), ცეცხლშვილი (ცეცხლას შვილი)... ისინი ფორმის მიხედვით შეიძლება უკვე გვარსახელებად ან მათ წინამორბედებად მივიჩნიოთ. 13

— დაახლოებით ასეთივე სურათი შეიმჩნევა სხვა ადრინდელ წყაროებშიც. მხედველობაში გვაქვს, პირველყოფლისა, „ქართლის ცხოვრება“, შემდეგ თ. გორდანაძის „ქრონიკები“, ვ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“, ი. წყახიშვილის, ა. შანიძის, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, გ. ბერძენიშვილის, მ. ინგოროყვას, ელ. მეტრეველისა და სხვა მკვლევართა პუბლიკაციები ძველი ტექსტებისა.

ძვირფასო აღექსანდრე! შენი წინადადება ყოველმხრივ მისაწონია. მიიღე ორივე ხელი... შენი ვრელიცია, შენი ენის ცოდნა და ჩემი პოეტური ინტელიცია (აქ, რაც უმთავრესია, ჩვენ შევკრთებთ ქართული სიტყვის ღერძებს და ჩინჩქერივით ჩივაქსოვთ საადის ბრძნულ ლექსებს) შევადელოთ და, მე მგონია, ამით ქართული საზოგადოებრივი აზრი მადლობით მოგვიხსენიებს და პიონირირიც დასაყარავ საქმე არ არის! მთავს ვინ არ დაბეჭდეს?! ჩემს ჩამოსვლამდე შენ დაიგეგმე: რამდენ ხანში გეათავებთ, ან როგორი იქნება ჩვენი შეშობა? მე თუ აქურა (მა) ექიმებმა ბორკომის ვანებია არ დამინიშნეს გულისთვის, 15 სექტემბერს მანდ გაეჩნდებო... ნახვამდის — შენი სოსო. ევბატორია. 1929. 27.VIII”.

გაუღიხტანას თარგმანს განზრახვა, როგორც აღწიშნე, განუხორციელებელი დავარჩა. მოგეცათ ლხენა, გრიშაშვილის ლენინგრადული მასალები კარგად გამოყვენე ჩემი

სადისტრაციო შრომის საბოლოო რედაქციის მისამზადებლად. სხვათა შორის, „გრიშაშვილი“ მომწონდა მისი ლექსის წაწვევტი „მარიჩანს წადვერში“:

და არ ვიცი რა პასუხი მივუო, ლამინიან, სიღლელო დამალა. წაგიღია წიანი ვიქტორ მივეო, წაგიღია „ქილილა და დამანა“.

ამ ბტროფის ბოლო ტაბეი (წაგიღია ქილილა და დამანა) ეპიგრაფად წარუშმდვარე ჩემს მონოგრაფიას „ქილილა და დამანა“.

1982 წელს ჩემი და ვარლამ თოფტრიას რედაქციით გამოვიდა ბესიკის თხზულებათა სრული კრებული გამოყვევით, შენიშვნებითა და ლექსეკონით. ორიოდ ლიტერატორმა გამოცემას წინი დასდო (მისი თაობაზე საუბარი მაქვს სხვაგან). ბევრი კი მას დიდად აფანებდა. ბესიკის ახალი გამოცემის დამფასებელთა ბანაკს ვაუთენებოა იხებს გრიშაშვილი. 1982 წლის 7 ოქტომბრის თარიღით იგი მწერდა კისლოვოდსკიდან:

სალამი ალექსანდრე!

კისლოვოდსკიდან გწერ (ალბად, შემნატრი და ვინებშიშ გამოხაზე გაკვირებთა: „აჰა!“). მაგრამ ნეტავი არ მოესტლეოყვი. საშინელი ამინდებია. წვიმა, წვიმა, ქარი. არ ვიცი დავრჩებ, ვლავ მივიღო აბაზანები თუ გამოვიპარო? გული საშინლად დამბიძმბდა და ლამეები არ მძინავს. აღექსანდრე, შემიჩაზე „ბესიკი“. ჩემს წიგნებთან დასდე. ეხლა მთელი ზამთარი შენს ფრთებქვეშ უნდა შემივრდომო. ბესიკზე პირისპირ მოველაპარაკებო: ერთ პოლო. კრიტიკოსს სახელგამში ბურთი ჩავნარე სხვა მორიგი გამარჯვება რა იქნება?... იმუშავე და „დღეშმანთა ლაებობას“ ვანზე ვაუარე.

ი. გრიშაშვილი. 1932. 7 XI. კისლოვოდსკი). ჩვეულებრივ ორიგინალურად დაწერილი ჩემი მისამართიც: „...თფლის, საქართველოს მესურეში (რუსთაველის გამზირი № 1 სსახლის პარდაპირ). მიერთვას აღექსანდრე ბარამიძეს“.

„ეხლა მთელი ზამთარი შენს ფრთებქვეშ უნდა შემივრდომო“-ვო, რომ მწერს, ამას ნიშნავს: მთელი ზამთრის განმავლობაში მუშეკმში, ხელნაწერებზე მომზადება მუშაობაო. „ბესიკი“ შემიჩაზე. ჩემს წიგნებთან დასდე“. ბესიკი 1982 წლის სექტემბერში გამოვიდა: მე მაშინ მძიმე ავად ვავხდა და გრიშაშვილს წიგნი დროზე ვერ ვუხსახსოვრე. ი. გრიშაშვილი აღ. ქავკავაძის გამოცემაზე მუშაობდა და მუშეუდში სხვადასხვა საჭირო ლიტერატურა პქონდა მოტანილი, რასაც ხელნაწერებთან ერთად ვუნახავდი. კისლოვოდსკიდან გრიშაშვილი არ „გამომარულა“ და ვინაგრო მყურნალობდა.

ვკონებ, ნოემბრის ბოლოს დაბრუნდა თბილისში.

* * *

1934 წელს გამოქვეყნდა ვეფხისტყაოსანი კონსტანტინე კვიციანიძის რედაქციით და ვრცელად გამოკლდევით. ეს გამოცემა რედაქციულად, განსაკუთრებით სტრუქტურული შემაჯგნლობით, განსხვავდებოდა წინანდელი უველა გამოცემისაგან (უახლოვდებოდა მხოლოდ ს. კაკაბაძისეულ 1918 წლის გამოცემას). ტექსტ აქ ძალზე ვრცელია და ხელნაწერულ ტრადიციებს ემყარება. ვერძოდ, კ. კვიციანიძე თავის გამოცემაში შეიტანა „ინდო-ხატაელთა ამბავი“. კ. კვიციანიძის გამოცემაში აწრთა დიდი სხვადასხვებია გამოიწვია. ბევრი იოქვა და დაიწერა ამის შესახებ. 1933 წლის ბოლოს ორჯერ მოუწყო მისი საქარო ვანხილვა. ჩემი დაზოკიდებულება ამ გამოცემისადმი გაუმკებულა ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის გავრქედლებათა საქითხისათვის“მ. დახუციებს მე არ დავწერებვარ, 1934 წლის ნოემბერ-დეკემბერში ხაშვინიერო მივლენებში ვამუოვებოდი ლენინგრადსა და მოსკოვში. უნივერსიტეტში ჩატარებულ დისკუსიის თაობაზე წერილი მომწერა მოსკოვში ი. გრიშაშვილმა. მისი წერილი დაწერილია დისკუსიის უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ და მკაფიოდ გამოხატავს მისი დედ ვითარებებს. წერილი წარმოადგენს დია ბარათს. გარდა ძირითადი თემისა, მინაწერებს სახით ეხება ზოგიერთ სხვა საქითხსაც. ბარათი საწუხაროდ დეფექტურადაა, ბოლო კუთხე მოხვეული აქვს (არ ვიცი, ჩემი ბრალია, თუ ფოსტისა). წერილი, რომელსაც ავტორი „აქაჩულ“ უწოდებს, ფრად დამახასიათებელია იოსებ გრიშაშვილისათვის. ცნობილია, რომ მას უყვარდა წერა და ბარათებზე (ამ წერილში ახსნილია ამის მიზეზი) ვარკვეული, მაგრამ წერილი ხელით. ბარათებზე ჩვეულებრივ თავისუფალ ადგილს არ ტოვებდა და სხვადასხვა მინაწერებით ავსებდა. ამ მხრივ ტიპურია ი. გრიშაშვილის ეს წერილი, რომელიც 1931 წლის 11 დეკემბრით არის დათარიღებული, გამოცხადებულია მოსკოვში. ბარათზე მიწერილია ავტორის ადრესი: «Тифлис. Харпухи. Адреса. № 1, Сосо». წერილში მოხსენებული გოგეჩეროი გვარი შემოკლებითაა (მეც. ვ. თიან, ნოშავს* ვარლამ თოფჩიაში). ჩემს პუბლიკაციაში გვარები სრულადია მოყვანილი. წყლული ტექსტი შექლებიხდა გვარად ადგენილია. ჩამატებულია აქა-იქ დაკლებული სახუენი ნოშნები. ბარათის ძირითადი ნაწილი მწვანე მეღნიითაა ნაწერი. ორი მინაწერა შესრულებულია ქიშიური ფანქარით.

სილაში ჭვარცხასო აღექსნდრე! მართალია, დავკიანებოთ, მაგრამ მაინც მივალე შენი წერილი, მე ვიციოდი, რომ ბარათად ვერ ნახავდი ჩემს ადრესატებს, მაგრამ ჭუ მიიღებს — მივიტოვებ მდღობელი დავრჩები. ტფილისში ვარ

გი დარებია, ვერ ზამთრის სიმშვენიერე არ დაწყებულა. სილაში შენი ჭვარცხასო შეუღლეს ნინოს. მართლმ ეს ოთხი დღეა რაც კ. კვიციანიძის გარშემო დიდი ხაოქხუთქია. ვანო ჭვანიშვილმა წერილობითი ამრიც გამოთქვა (ვ. თოფჩიაში წაიკითხა), იქ შენც მოგახსენია, ვაქო. კამათში პავლეს მივებორო. საქითხი ეხებოდა ვეფხისტყაოსნის ჩინათებს. ჰ ინგოროყვის კარვად ემუშევა. ხომ იცი, მის ყოველ მოხსენებას სენსაციო ახასიათებს და კვიციანე მას მპაავს. კვიციანიძის გამოხულები ბეიტანელ იყო მეცნიერული თვალსაზრისით: ყველას (პასუხად) აძლევდა: არა გეხიბო! ვერ ისწავლეთ ტექსტი და მერე ვ (ამოღეთ)“. უხამათ მოხსენისია: პავლე, ა. შინაქე, შ ნუცუბიძე, და ჭან(აშია). დიდი ამბავია და რაცა მოხვალ, დაწერილობით გეტყვი. გამოშკელობამდე (?) მიადწია: ოთხი დღე მისი სახელი ისმოდა უნივერსიტეტის კულში (...)

იქნებ, ახალი, აკადემიის, გამოცემა მივიღო, რომელიც აქ უნივერსია, შენ შეაკრიე: ფულს გადავიხდი აქ. ხომ იცი, რა დამინტერესებს (მეც. მკელია: 1 ტ. დონსოტოისა აკად. გამოც., ლაზარიალი თორამსელის ცხობრება“, «Опасные связи» (დედაჯოსი), «Свахи попутая», «Моя жизнь» (ჩელინის). ამას ისე ვწერ. ძალიანაც არ შესწებდე! შენი ი. გრიშაშვილი!

P.S. დია ბარათი იმტომ ვწერ, რომ ალალბედზე გიგზავნი იმ პასუხს: არ ვიცი, მიიღებ თუ არა 1934. 11. XII.

იქნებ ვერწალი «Строим»-ი იზოვო, რომელიც ფიროფუსს) ეძლევა (რედუქციაში ექსებოთ).

ბოლში ამისთანა იყაველი ბარათისათვის.

ოსებ გრიშაშვილი რამდენჯერმე იყო ჩვენსის ნინოობაზე. 14 იანვარს. განსაკუთრებით სახანსოტრო დაგვრჩია 1934 წლის ნინოობა. ამ დღეს ი. გრიშაშვილმა ჩემს მეუღლეს, ნინოს, უაღვრა მშვენიერი ექსპრომტი, რომელიც მისებურა ოსტატობით წაიკითხა კადეც ეს ლექსი ოდნავ გადაშუშავებული სახით დაბეჯილია გრიშაშვილის თხზულებათა კრებულში. ჩემს აქტივობა ლექსის სამი ავტოგრაფული ვარიანტა. ორს თარიღად უნის 1934 წლის 14 იანვარი (თუმცა გადაჭრული უნდა იყოს ოდნავ მოგვიანებით). მესამეს თარიღად აქვს 1934 წლის 29 იანვარი, აგი საგანებო კონფერატშია მოთავსებული, კონვერტს ი. გრიშაშვილის ხელით აწერია: „ექსპრომტი, ნინო ელიაშვილის ასულს ბარამიძეს. ი. გრიშაშვილი“. მეორე ავტოგრაფული ვარიანტი გადაწერილია ძალიან ფაქოზად, მეღნიით და წარმოგვიადგენს ვადათეოტრებულ ტექსტს, რომელსაც მიწერილი აქვს „მუნახიბად“. აქ ვაკვეყნებ ლექსის ამ ვადათეოტრებული ვარიანტის ტექსტს:

ნინო ელიაშვილს
(ბარათისას)

1

ეს რა ყვავილი ყელვლობს,
საღაერია, ვინ არი, —
დემურაზის სტრიქონი,
ბარათშვილის ჩინარი.
შეუცქერ და, თითქოს, მის თვალებს
ამშვენებს აზრი მეფეთა,
აღბაღ, ეს იყო ის მშველი,
ყაზბეგს რომ შემოგფეთა.
ფუტკარი ეძებს მის ტუჩებს,
რომ შექმნას თავლი ლეიანი, —
ტუბილი ზარ, როგორც სიცოცხლე
და ლამილ-ნაღებანი.

2

ბეშეო და დედაქა ვერ კიდევ
როცა იყავი პატარა, —
ჩვენმა უფროსმა აყავი
თავის მუხლებზე ვატარა.
შე აყავას არ ვნატრობ,
იგი დროც ვადასურია,
მინ ერთხელ ვნახა და შერე
გადაგივიწყა სრულიად.
შე კი მსურს მარად ვემზირო
მაგ ქართულ სახის ძველ ჭავარს
და გრიშაშვილის ხმით ვითარა.
„ან და აყავი, ან ძმა ვარი“

ი. გრიშაშვილი.

1934. 14 იანვარს, მენასიბად.

1931 წლის ნინოობას ესწრებოდა ჩვენი კარის მფლობელი და ელიაშვილების ოჯახის დედა, მეგობარი, სახელგანთქმული იურისტი, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. გრიშაშვილის სადღევარდელი, რომ დიდი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა წარმოხატვა სიტყვა. სიტყვა თქმული იყო რუსულად იმ საბაბით, რომ იგი გასაგები უფილიყო უფროსი დისასლისათვის (ნინოს დედისათვის), რომელიც მაშინ იყო კაპენია და რუსული უფროსი ებერებოდა. უფრო ებერებოდა რუსული თვითონ დანარონიკაშვილსაც, თუმცა ქართულად თავისუფლად ლაპარაკობდა და უნივერსიტეტში ლექციებს ქართულად კითხულობდა. დ. ანდრონიკაშვილის სიტყვა შინაარსითაც და ფორმითაც იყო ბრწყინვალე. მისთვის დამახასიათებელი ორატორული შვერსიტყვებით, მგზნებარედ, ღაღად და თავისუფლად, არტიკული ექსტრემით, სახის გამოხატუვანი მოძრაობითა და ანთებულ თვალებით დ. ანდრონიკაშვილი ღაპარაკობდა პოეტის დავალებზე მაღლზე და ამ მაღლით მირონცხებულ ი. გრიშაშვილზე, რომლის საუბროსი ექსპრომატ ლექსად ეს-ეს არის

არჩევულბერივი გრაცით წაიციტა მისმა ავტორმაო. ლ. ანდრონიკაშვილმა „ნახა“ გარეშე მსოფლიო პოეზიის იმ მარად ძველი და მარად ახალი, ოღონდ მაინც დაუძლეველი და ამოუწურავი გრძობის სიცოცხლეს, რომელსაც სიყვარული ეწოდება. ამ გრძობის სწორუბივარი ტრუბადურია იოსებ გრიშაშვილიო, და ასრულა სიტყვა ანდრონიკაშვილმა. ჩვენ ვუვლანი კარგა ხანს მონუხებულიყო შეუცქეროდით მას და გაოგნებისაგან თავი ვერ დაგვიღწია. ერთბაშად ი. გრიშაშვილი მოწყდა აღვილიდან, მიიჭრა ორატორული და მხურვალედ გადაცონა... შემდეგ, წლების მანძილზე, ბეჭატერ ბეჭითად მოხვდა გრიშაშვილი აღმედგინა მესხურებაში, და წერალობით ვადმოხეცა დ. ანდრონიკაშვილის სიტყვის შინაარსი. ვერ შევძელი იმიტომ, რომ ანდრონიკაშვილის სიტყვა იყო, უწინარეს უოვლისა, ორატორული ხელოვნების სრულქმნილი ნიმუში, მე ვიტყოდი ორატორული სიფონია. ჩვენ მოკვებოლა ამ სიმეფონის სიტყვიერი ფორმის უსადოობამ, შინაარსს უკვე უურადლებას აღარ ვაქცევდით, თუმცა სიტყვის ძირითადი იდეა სრულიად ნათლად და მკაფიოდ იყო გამოხატული. ეს არის და ეს. მე ბოდიშ ვხედი იოსებ გრიშაშვილის ხსოვნის წინაშე, მაგრამ თქმულს ვეღარაფერს დავუმატებ. ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვის დაწერალებითი შინაარსი არც მაშინ აღბეჭდვია ჩემს გონებას და მით უფრო არც შემდგომ შემორჩენია მესხურებას.



იოსებ გრიშაშვილს უოველივის ცოცხალი კონტაქტი ჰქონდა სამეცნიერო-კულტურობის დაწესებულებებთან და აქტიურად მამაწილეობდა მათ საქმიანობაში. პირველი სამეცნიერო-კულტურობითი კერა მუშაინტარულ მეცნიერებათა დარგში შეიქმნა თბილისის უნივერსიტეტის განახლების შემდეგ, 1928 წლის სექტემბრიდან, ეს იყო „ელბი“ (ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტი). მუშაობა აქ მიმდინარეობდა სექციების მიხედვით. ისე მოხდა, რომ ლიტერატურის სექციაში პირველი მოხსენების წაყიხვა მე მერგო წილად. მაშინ გ. ჭაკოიასთან ერთად ვამაღებოდა გამოსაცემად თეიურაზ პირველის თხულებუბათი კრებულს. საბოლოოგრაფიო მახალებს მოწოდებით დიდი დახმარება გაშიწია ი. გრიშაშვილმა. 1933 წლის ნოემბერს „ელბი“ წაყიხითხე მოხსენება — „თეიურაზ პირველი როგორც ლირიკოსი“. მოხსენებას დაეწერა ი. გრიშაშვილი. დასწრება და მოხსენების განხილვაში მისი მონაწილეობა გრიშაშვილმა იმით გამოხატა, რომ იქვე სამკაფლო კალენდრის ფურცელზე ღამაში ზედიე დამიწერა თავისი განთქმული „ტროილდებტი შეიოანაზარში“, ხადეც სავანგებოდ ვახაზა ტაეი „შომწონს მუქამის ამირბარი თეიურაზი“. „ტროილდებტი“

ბის" დამოწმებული ტაქტიკა აქვს ჩემს ნარკვევს თეორიის შესახებ (თბილისი, 1934).

„ელზა“ თავიდან თანამშრომლობა საზოგადოებრივ საქმისზე იყო დამყარებული, უხასიაშლოდ აქტიურად თანამშრომლობდა „ელზა“ გიორგი ლეონიძე მოვლეთი იოსებ გრიშაშვილი, გავუგზავნეთ უწყება. მასხვად მოვიღე პატარა ბარათი: „ქვირფასი აღექვანდრე უწყება გვიან მოვიდა, ვერ მომისწრო ხაზში... არაფერი არ ვიცი — რიგორ უნდა მოვიქცე. შენ ფრთხილად ვაქნებ და რასაც შეგეც, თუ შესაძლებელია ეს ჩემი განმარტებისათვის, გაგიგონებ. კვლავ განახლებ... შენი ი. გრიშაშვილი, 1933, 21. X“.

ამ ხანებში გრიშაშვილი განმარტდებოდა უნიონი. შტატის თანამშრომლობაზე უარი თქვა, მაგრამ მოხსენებებს ხისტმატურად ესწრებოდა და ჩვენს საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობდა რაბკორცელის, ი. გრიშაშვილი განაგრძობდა თანამშრომლობას მას შემდეგაც, რაც ელზი დამოუკიდებელი ინსტიტუტად და მის ბაზაზე, კერძოდ, 1942 წელს შეიქმნა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. 1933 წლის 26 დეკემბრის თარიღით ი. გრიშაშვილი მწერდა: „აღუქვანდრე მე შემოძლიან შემდეგ — პარაკვეთის (31 დეკემბერი) წავიკითხო 20-წუთიანი მოხსენება: „აღუქვანდრე ყაზბეგო, როგორც პოეტი, დრამატურგი და მხატვარი...“ ეს აქნება ჩემი უღუფის გამოშვება თქვენს ინსტიტუტში 1943 წლის ფარგლებში. ი. გრიშაშვილი, 1943, 25. XII“.



1945 წლის სექტემბერში სომხეთში გადახადეს საიათნოვას გარდაცვალების 150 წლისთავი. ზეიში მონაწილეობის მიხედვად საქართველოდან გაიგზავნა დელეგაცია სამი კაცის შემადგენლობით (იოსებ გრიშაშვილი, დეონ მელიქიშვილი და ამ სტრუქტურის ავტორი). მე მონაწილეობა მივიღე სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიის მუშაობაში, წავიკითხე მოხსენება „საიათნოვა ქართული წარმოების მიხედვით“. 6 ი. გრიშაშვილი სიტყვა წარმოთქვა საზიგის სხდომაზე იმერისა და ბაღუტის სახელმწიფო თეატრში. დარბაზი ხალხით იყო გაკეთილი. გრიშაშვილი სიტყვა ქართულად წარმოთქვა. ყველასათვის, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თითქმის ყველასათვის გასაგები იყო, სომხურად ან რუსულად არ უთარგმნიათ. სერთოდ, იმ დროს ერევნის განათლებული მოსახლეობის, პირველ რიგში ინტელიგენციის დიდი ნაწილი თბილისიდან იყო ჩასული. ქართულა ბეჭდვა იყო. თეატრში, ქუჩებში, მაღაზიებში ყველგან ისმოდა ქართული ლაპარაკი. სხვათა შორის, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური

კომიტეტის მდივანდ იყო გრიგოლ არუთიანის (არუთიანოვი), რომლის საშინაო სადამარჯვო ტყე იყო ქართული. არუთიანის ბეჭდვა მხარდობდა სომხის მყავდა თანამშრომლად პარტიულ თუ სახელმწიფო აპარატში. მე ისეთი შთაბეჭდილება დამჩრა, თითო ქართულად შეტყობება თქვებური ბინტონის ნიშანი იყო. ასეა თუ ისე, იოსებ გრიშაშვილი, როგორც აღვნიშნე, ქართულად წარმოთქვა სიტყვა, მთელი დარბაზი მხურავლად იკაცებოდა შეხვდა, სწორედ ისე, როგორც მას ჩვეულებრივ ხვედებოდნენ ხოლმე „გრიშაშვილის სადამარჯვო“ თბილისის იურის და ბაღუტის თეატრში. იკაცია დიდხანს გრძელდებოდა, არ წვდებოდა ტუმის გრძელი. გრიშაშვილს ყველგან განსაყურებულა პარტიის ცენტრში ხვედებოდნენ. ამის ერთერთი მიზეზი აღბათ ისიცაა, რომ იგი იყო საიათნოვას ჩინებული მკვლევარი და მას ქართულად საუცხოოდ ვაღმობარგანა სომხური პოეზიის ბეჭი ნიშნით. კერძოდ, უბაღდათა გრიშაშვილითელი თარგმანება იკანეს თუმანიანის თხზულებებისა. გრიშაშვილი პარაღად კარგად იცნობდა და შეგობობდა ახალი სომხური პოეზიის ამ საყვებლოად აღიარებულ დიდოსტატს. გრიშაშვილი მიამბო, რომ მან პრაქტიკულად იცნოდა საღაპარაკო სომხური, სომხურ წერა-კითხვას თუ დაუფლებული არ ვარა. ჩემ შევიხიხე, თუ როგორ თარგმნის იგი სომხურ ძეგლებს, მიმასუბა — ტექსტებს მიკითხავენ ხოლმე და ზნენით ვაქართულებ შათი.

ცნობილია, რომ გრიშაშვილის დედა იყო ხოლოდაკული სომხის ქალი. სისომ მოზოვა, აქ ერევანში დედა შევეს, მინდა ვინახული და წამეყო. სამოყვებით წავევეი. სახლის აივანზე შემოგვევება ტან-მორჩილი, თბილისური ჩიბტი-კოპით, სიმატური ხანდაზმული მანდილოსანი. სისომ გაღებოდა და ხაჯკოცნა, „სისოქან — უთბრა — ძალიან მომენტარე შენ და ქალაქური ქართული“. ეს სიტყვები დიდი გრძნობით იყო თქმული გრიშაშვილის დედაც კარგი მოყაროელი ყოფილა. სისომ დედა თბილისიდან ჩასულა ერევანში. მისმა შვილმა ქართული გვარაიანდ იცნოდა.

... საიათნოვასადმი მიძღვნილი საზიგის სხდომის შემდეგ გაამართა ბანკეტი. ესწრებოდა სომხეთის მოწინავე ინტელიგენციის საზოცდათამდე წარმომადგენელი. საქართველოს დედუგაციის სადღეგრძელოს მომეცა ქართული სიმღერები. ბანკეტის მონაწილე ყველა წერბა საქაროდ ჩათვალა მოსულიყო ჩვენ ჭგუფთან და მოვსაღებოდა ქართულად. მხოლოდ რამდენიმე პირი აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც ქართული არ იცნოდნენ. მახვებს მათ შორის იყვნენ შატკარი მარტაროს ხარაიანი და პოეტი, სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე აეტტიქ ისაკიანი.

შეორად დღეს პრესაში გამოქვეყნდა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება საიათნო-

ვას იუბილესად დაეკვირვებით მეცნიერთა და მწერალთა ჯგუფის დაქილადობების შესახებ. დაქილადობებულთა შორის ერთი პირველთაგანი იყო იოსებ გრიშაშვილი, რომელსაც მიენიჭა სომხეთის სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწის წოდება. მე დამაქილადოვს უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით. დაქილადობულთა შორის არ იყო ღეონ მელიქსეთბეგი. ღეონმა არ შეიშინა, მაგრამ ეტყობოდა ძალიან ნაწყენი დარჩა. ჩვენ, გრიშაშვილი და მე, აღმოჩნდით უბერხელ მდგომარეობაში. გრიშაშვილი კი, მას შრომად დიდხანს დედა დამსახურება ჰქონდა საიათნოვას წინაშე, მე — თითქმის არაფერი ჰქონდა ვაკეთებული ამ მხრეს. ღეონ მელიქსეთბეგი კი ნამდვილად იყო საიათნოვას დეაქლმოსილი მკვლევარი და მისი სომხური ლექსების ქართულად შთარებად. ჩვენი გულმოდგინე მოცახსნეთ ჯერ საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს პრიფესორ ვიორგე აბოვს და შემდეგ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს აკატაია-პროკავანდის დარკში გაიგორიანს. ორივემ ერთი და იგივე გვიპასუხა. თქვენ სტუმრები ბრძანდებით, ღეონ მელიქსეთბეგი ჩვენებური კაცია, შინაურა, მას სხვა რიგ ვერცა პატივს.

სტუმრები წავიყვანეს ენშიაძისში. მაინც იქ მოღვაწეობდა თბილისის სომხთა ენარქიის ენსკოპოსი, მგონი სახელით დავითი, რომელსაც ძალიან თბილად მიგვიღო (ქართული მშვენიერად იცოდა) და ენშიაძისის უველა სიყვარული. უველა უკნული გულმოდგინედ დაეკეთებინათ.

მგზავრობაში კარგად შეღვენებდა კაცის ხასიათი. მთელი ათი დღის განმავლობაში გრიშაშვილი და მე ერთად ვიყავით. ჩემთვის კიდევ უფრო აშკარა გახდა, როგორი კეთილი, გულისსიერი, თავაზიანი, თავდახალი და უპირატესი იყო ეს სახელმწიფეობის ქართველი პოეტი. ზრუნავსა და უფრადლებას არ მკლებდა. 1946 წლის სექტემბერში გრიშაშვილთან გატარებული დღეები ჩემთვის დაუვიწყარია.



მე ბევრჯერ ვუთვლევარ თბილისის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის საგანმრთლო კომისიის თავმჯდომარე. მომხდარა ხოლმე, რომ მევანი აბატურინტისათვის დახმარების აღმოჩენა უთხოვია ჩვენი ინტელიგენციას წარმომადგენლებს. მე წესად მქონდა გამეფრთხილებინა მთხოვნელი, რომ აბატურინტის უსათუოდ უფრადლებით მოვეუფრობოდი, პირადად ვამოუცდიდი. პირადად ვავსწორებდი მის ნაწერს და ცოდნას არ დავუკარგავდი. ასეთი პრინციპით ვხელმძღვანელობდი ჩემს ხანგრძლივ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მასხოვს, ერთხელ უცნობა ახლავარდამ იოსებ გრიშაშვილის წერილი მომიტანა. პოეტი მწერდა:

ძმონ კლექსანდრე! ჩვენუნელა გოგონა გიული შათირიშვილი შეილისშვილია ჩემ ვიორგე შათირიშვილისა, რომელსაც მაქანსემა ჩემსაგან რომ მე შესწავლა, სკოლაში... სამი წელია ეს გოგონა იტანება. ეხლა უვეე მომზადებულია და გთხოვ, თუ ეს შესაძლებელია, უფრადლება მიაკეთო!

პატივისცემით ი. გრიშაშვილი, 1959 წ. 9. VIII. ბორჯომი.

P. S. წერილს ვატან მის ძმს. გიორგი შათირიშვილის ახმავე ჩემთვის კარგად იყო ცნობილი. დამოუყვებლად ამისა, რა თქმა უნდა, გულდასმით მივაფიქრე თავად უფრო გიული შათირიშვილის გამოცდებს. იგი კონკურსში ვერ ვავიდა, თუმცა გამოცდები რიგინად ჩააბარა. კონკურსი დავი იყო. მაშინდელი წესების თანახმად, მსგავს შემთხვევაში შეიძლებოდა გამოცდაჩაბარებული პირი დაეშვათ ლექციების მოსასწავლად ექსტერნად. თუ ექსტერნი პირველი სემესტრის საკენებს წარმატებით ჩააბარებდა, მეორე სემესტრიდან მას ჩარეცხავდნენ სტატიონარ სტუდენტად. ასეთი ბედი ეწია გული შათირიშვილსაც. მეორე სემესტრიდან იგი უნივერსიტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. ბეჭითად სწავლობდა და უნივერსიტეტი დამთავრა, მაწავლებლად ვაწვევდა, დარჩაბდა. ვავიდა კარგა ხანი და ერთ მშვენიერ დღეს მეწვია იუალთოს სახლში უნივერსიტეტის ცნობილი რექტორი გიორგი შათირიშვილი, რომელიც თურმე ის ახლავარდა იყო, გიულის შესახებ ი. გრიშაშვილის წერილი რომ მომიტანა. ძველი საქმიანთვის გიორგი შათირიშვილმა მაღლობა გამომიცხადა, ახლა კი მთხოვა ლექცია წამეკითხა მისდამი დაქვემდებარებულ უნივერსიტეტში. თხოვნა შეუესრულე. შემდეგაც შეძლებისდაგვარად მონაწილეობას ვღებულობ იუალთოს სახლში უნივერსიტეტის საქმიანობასა და შოთაობაში. იუალთოს სახლში უნივერსიტეტი საქვეშინო მასშტაბით არის აღარებული, რამდენიმეჯერ საპატიო სიგელითაც დაქილადოვდა.



იოსებ გრიშაშვილი ხშირად უჩიოდა ჩანმრთელობას. მაგრამ იგი თავს უფიქრად, მკურნალობდა, ღეონსა და თამაშაქის არ ეყარებოდა. ავადმყოფობამ მაინც თავისი ვაიტანა. ბლორ ხანებში სკულერონი დაეტყო. მასხოვს, 1982 წლის 22 ნოემბერს ვეწვიეთ მე და ნინო ახალ ბინაზე (ლენინის ქუჩაზე). გრიშაშვილი უვეე მწოლიარე ავადმყოფი იყო. თავზე ავდა მისი შეუღელი. სახელგანთქმული მომღერალი ქალი ჭეო ჯაფარიძე. ღეონი მიხვდა რომ ვაგო, პოეტი ფეხზე წამოვდა და შეუღლის დახმარებით ძლივ-ძლივობით სასტუმრო ოთახში გავივდა. ძალიან სევდიანად გამოეუფრებოდა, ვავილიმა და გულით მოვეცხაბა. მაგრამ სასიცოცხლო იერი დაქარგოვდა. როგორცაც სა-

უბარი ვაგებით, აქეთური იოქვა, იქითრი-
 ვრისშავალს შებენებელმა უპირდა, წამოაწვე-
 ბდა რასმე და უმაღ შენერებობა, სიტყვის
 მარაგი არ მყოფნა, სათქმელს ქეთი ავრძე-
 დებდა. დიდხანს არ დაჯრინებდართ. წამოსვ-
 ლისას ვარსაშვილმა ქეთოს ხელით ანიშნა, წიგ-
 ნი მოიტანო. ახალ გამოცემული იყო მისი ზუთ-
 ტომეულის მეორე ტომი. წიგნი ხელში აიღო,
 გადაფურცლა (ქეთოს ავტობიოგრაფიული კალმისტა-
 რი მიაშველა), შალღონე მოკრიბა და აჯანჯა-
 დებულმა ხელით მოკლედ წააწერა (სხვა დროს
 ვრცელი წააწერა იყო): „...ღმერთსა ზარ-
 მამეს. სიყვარულით და პატივისცემით. მ. ვარი-
 შაშვილი. 22 ნოემბერი (1962 წ.)“. ეს მოკლედ
 შორეულად ჰგავდა ვარსაშვილის ნაწერს სადა
 იყო მისი მოქნილი, ათასგვარად დაბლართულ-
 დავრებილი პოეტური ხელისთვისა რამდენიმე
 წლის შემდეგ ისე ვინახულებდა. ავადმყოფობა
 ურაცხად შორეოდა, ღოჯინიდან ვეღარ დგე-
 ბოდა, საშინლად იტანებოდა...

1966 წლის სამ აგვისტოს იოსებ ვარსაშვი-
 ლმა გარდაიცვალა.

მოსე გოგიბერიძე

მოსე გოგიბერიძეს კარგად ვიცნობდი. თა-
 ვისებური კაცი იყო, დიდად განათლებული,
 მეცნიერი-მკვლევარი, ფილოსოფოსი-მოაზროვ-
 ნე, საზოგადო. მოღვაწე. სწავლა ევროპაში
 ჰქონდა მიღებული. იცოდა უცხო ენები, საუ-
 ბარში და ლექციების კითხვის დროსაც ვერუ-
 ლად უსცევდა, თუმცა წერდა გამართული
 დიქტარტული ენით. სამეცნიერო-კლვივი-
 ოსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას საუცხოოდ
 უთავსებდა ფიციურ შრომას. მშვენიერა ბა-
 დი ჰქონდა საბურთალოსი. ყველაფერს საყუ-
 თარა ხელით აკეთებდა. საოქაო ზალი მოს-
 დიოდა და საუკეთესო ღვინოს აყენებდა. თავი
 მოჰქონდა, რომ როგორც მოყვარულმა მება-
 დემ, საზოგადოებრივი უფრადებმა და ქოლ-
 დოც კი დაიმსახურა. მებაღეობის თაობაზე
 ლექციებითაც გამოსულა რადიოთი. მწრუ-
 ნეული და მოსიყვარულე მეოქაზე იყო: ყვე-
 ლაფერს დიროულად ახწერდა. აურთაულო
 იყო და თვითდისციპლინაანი. ლექციას უმე-
 ზეწოდ არ გაყდენდა, არც დაავიანებდა. მი-
 სი ლექციები უნავერსიტეტში თუ საქაროდ
 წყაობული დრმა შინაარსით გამოირჩეოდა.
 მსმენელს იზიდავდა თავისი სისხადავით და
 კითხვის დამაინტერესებელი მანერით, რთულ
 ფილოსოფიურ პრობლემებსაც ყველასათვის
 გასაგები ენით ვადმოსცემდა. ერთუღიტი იყო,
 ვანწავლული ლექტორი და ტკბილი მოსაუბრე-
 უხვად იყო დაქილდოვებული იუმორის
 უჩმობით, მის ლექციებს დიდ ხალისს მატე-
 ბდა მის მიერ პირადად წახულისა და განც-
 დილის მოზომილად ჩართვა რთულ საკითხე-
 ზზე მწკედლობის დროს. სადა და უბრალო იყო

ადამიანებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთან
 ურთიერთობაში. თავდახალი, თავზაიანი, კეთი-
 ლი, სტუმართმოყვარე. მის ბინაზე ხშირად
 შეხვედებოდათ ქართული ინტელიგენციის ყვე-
 ლა ფრთის წარმომადგენელს — მეცნიერს,
 მწერალს, მხატვარს, მუსიკოსს. მზარული და
 გულუბვი მასპინძელი იყო. ჩვეულებრივ სტუ-
 მარებს უმასპინძლებოდა ხოლმე თავისი ნა-
 ხელაგი ღვინით და მის მიერვე მოწეული ხი-
 ლით. მასთან სუფრაზე კაცი ვერ მოიწყენდა.

მოსე გოგიბერიძეს ყველანი ვიცნობდით
 როგორც დასავლური ფილოსოფიისა და სა-
 ზოგადოებრივი აზრის ჩინებულ ისტო-
 რიკოსს. მაგრამ მოულოდნელად მან დავა-
 რწუნა, რომ პროფესიული სიღრმით ერკვე-
 იოდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტო-
 რიაშიც. როგორც გამოცდილმა, დაუწყებულმა
 სპეციალისტმა, ისე მოჰქიდა ხელი, შავალი-
 თად, იოვანე პეტრიწის ნააზრევს მეცნიე-
 რულ ინტერპრეტაციას და ამ საკითხზე ფრთად
 საუფრადებო ნაშრომაც გამოაქვეყნა 1940
 წელს (ეს ნაშრომი შესავალი წერალის სახით
 წამმღვარებული აქვს პეტრიწის შრომების
 პირველ ტომს). მოსე გოგიბერიძე პირველბე-
 რისხოვანი მეცნიერი-რუსთველოლოგია, რომე-
 ლმაც ღრმად და საინტერესოდ გააშუქა რუ-
 სთველის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრე-
 ვის მრავალი მხარე. სამწუხაროდ, მისი რუსთ-
 ველოლოგიური შტულები ფრამენტულად
 არის მოღწეული. კარგად არც ვცნობ, დასცა-
 ლდა თუ არა მას ერთი მთლიანი ნაშრომის
 შექმნა რუსთველოლოგიურ პრობლემატკა-
 ზე. მოღწეული კი ახლა თავმოყრილია მის
 შეხასიშნავ წიგნში „რუსთველი. პეტრიწი.
 პრეფერენციები“ (მოსახელი შეერბო და გამოს-
 ცემად მოაშადა იოსებ მეგრელიძემ, თბილი-
 სი, 1961). ეს წიგნი დიდ შთაბეჭდილებას სტო-
 ვებს ყველა მეთხველზე. რა დასაწანი, რომ
 მისი ავტორი ასე უღაროდ წავიდა ჩვენგან.

მოსე გოგიბერიძის დასახელებულ კრებულს
 ამშვეებს მესამე განყოფილება, რომელსაც
 პრეფერენციები აქვს შერქმეული და იხილავს
 პოეზიისა და მუსიკის რთ პრინციპულ სა-
 კითხს (მარათაშვილის „მერანი“, ზაქარია ფა-
 ლაშვილის მუსიკა, იაკობ ნიკოლაძის „ნახარ-
 ხაძე“ და სხვა). კრებულში არ შესულა მოსე
 გოგიბერიძის მშვენიერი წერაული „ქართული
 სახლის ფილოსოფია“. ესაა მშობლიური კერის
 სიყვარულის ბინა.

მოსე გოგიბერიძემ აჩემება იცოდა და ზოგი
 რამის მოკარბებული შეფასება-შექება, რაც
 ზოგჯერ ანედეტური ხასიათის შემოხვე-
 ვის მიწევი ხდებოდა. ორ. შავალით დავიმო-
 წმებ.

თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მას-
 წავლებლები ერთ დროს ლექციებს კითხულო-
 ბდნენ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.
 ბ-ნმა კორნელი კეკელიძემ მიაშხო: ერთდრო-

ულად ქუთაისში ყოფნა გვიბედობდა მე. დი-
მიტრი უწყნარს, მიხეილ წანდუკელს და მოხე
გოგინბერძენს. შაბათი დღე იყო. ლექციები
გვითავებოდა და თბილისში ვბრუნდებოდით.
მომხმარებელი კახათ ღვინო მოიტანა და
უფრო წაიღო მისი ქება-დიდებათ, ასეთია და
ასეთი, ოუტრუშული, თქვენ ვერც კი წარმო-
იხვეწეთ. მის სიკეთესო. ჩვენ ვუხმენდით და
არაღვინო გვითქვამს. მოსეს კადვე ჰქონდა
ორსათიანი ლექცია წახაიხობავი. ის რომ ლე-
ქციაზე წავიდა, ჩვენ გადავწყვიტეთ მოსეს ნა-
ქება ღვინოს კაშხიკი გაგვეხანა (სხვათა შო-
რას, ბ-ნ კორნელიის ღვინო ძლიერ უყვარდა).
ღვინო მართლაც მშვენიერი აღმოჩნდა. ცოუ-
ნებისაგან თავი ვერ შევიკავეთ და ცოტ-ცოტა
კადვე შევსვით. დანაკლისი წულით შევავსეთ.
მოსეს თურმე ღურასან ანდრონიკაშვილი მუ-
ცა და დაბატონებული და ოუტრუშული ღვინო
მისთვის ჰქონდა შერჩეული. გაწვილებულია
დარჩა. რანს მივახვებდა და გაგვეტუტა მისე-
ული ღვინოს ქება მოსესაგან შემდეგ აღარ
მოხსმენდით, დასძინა ბ-ნმა კორნელიმ, ჩვენ
კი ქუთაისის პედინსტიტუტის საერთო საცხოვ-
რებლოში რომ შევიტარებოდით, ვიგონებდით
ამ ამბავს და ბევრს ვიცინავდით.

1936 წლის შემოდგომიდან ბ-ნი კორნელი
მე შევეცადე ქუთაისის პედინსტიტუტში, შე-
მოდგომა იწურებოდა. ინსტიტუტის ლექტორს,
ჩემი კათედრის წევრს, დათუნა ჩხეიძის ქორ-
წილი ჰქონდა დიშში. ინსტიტუტის დირექციამ
ისარგებლა შემოსევით, მე და მოსეს გვთხო-
ვა დღისათ კონსულტაციები ჩავეტარებინა
დაუსწრებელი სტუდენტებისათვის სოცულ
ზაღდადში (ანდროელ შაიკოვსკი). ზაღდადი
და დიმი ერთმანეთსა გაღაპრული, დღიდაპე
ნახავთ და ვკითხავ ვაჩვენებო. ჩვენც ასე მო-
ვიქცით. ზაღდადში კონსულტაციების შემდეგ
მასპინძლობა გავეიწია ერთმა ჩვენმა ნაცნო-
ბმა მასწავლებელმა ქალმა. მოსეს ძალიან მოე-
წონა მისი ჩურჩხლები და ეს არც დაუფარავს.
სამაგიეროდ ჩვენს ჩანთებში ექვს-ექვსი ცალი
იშვიათი ჩურჩხელი აღმოჩნდა ჩაწყობილი. და-
თუნა ჩხეიძემ დიდებული ქორწილი გადაიხადა.
მოსემ დაჟად მოიღობინა, უველფერს აქებდა.
მოგვართყვს ჩურჩხლებიც. მოსე აღტაცებული

იყო, მაგრამ ზაღდადურ ჩურჩხლებს მაინც ვერ
შეედრებოა, ამბობდა.

სულრაზე დაგვათენდა. შატარბეგო ვეიქა-
რებოდა სადღურ რიონში, თბილისში ვბრუნ-
დებოდით, კეთილ მასპინძლებს გამოვიხოვეთ
დად ჩვენი ჩანთები მოვიკიოხეთ. აქ ჩურჩხე-
ლები აღარ აღმოჩნდა. თურმე სულრაზე სწო-
რედ მოსეს ნაქება ზაღდადური ჩურჩხლებით,
გავვიმასპინძლდნენ...

მინაწერი. მოგონებანი გრიშაშვილზე აწუო-
ბილი იყო, როცა სოფოი მარმა მომწერდა.
მისი განსხვავებული შეუღლის, ცნობილი
ირანისების იური ნიკოლოზის ძე მარის
გრიშაშვილისადმი მიძღვნილი სპარსული რუ-
ბაის ჩემ მიერ შესრულებული ქართული თარ-
გმანის ხელნაწერი. ტექსტი გადაწერილია
ი. გრიშაშვილის ხელით (ავტოგრაფია). სათაურ-
რად აქვს: „იური. მარის რუბაია გრიშაშვილ-
ზე. ბოლოში მიწერილია „თარგმანი სპარს(უ-
ლიდან)“ აღ. პარამიდა. 1930. 15 აპრილი“.
ქართულ ტექსტს ახლავს სპარსული დედანი
და რუსული აწკარედი თარგმანი (შესრულებუ-
ლია ვლადიმერ ფუთურიაძის მიერ). ქვემოთ
ვწვევებ რუბაის ქართულ ტექსტს. მისი შინა-
არისი გაგებისათვის შეითვლება უნდა იოსებს,
რომ ი. მარის თარგმანს უპარისპირებს ორ
იოსებს—იოსებ გრიშაშვილსა და ევვიპტელ (მე-
გვიპტელ)ანუ მისრულ იოსებს. იოსებ მშვენიერს.
ევვიპტელი იოსების ამბავი მოთხრობილია ბაბ-
ლიანა და უტრანში. იგი იყო იაკობის უსუ-
ვარდესი შვილი, რომელიც მძებმა გაუიღებ. შე-
სხვადა ევვიპტის მეფის დიდმა კარისკაცმა. ამ
ამბავზეა აგებული მთელი აღმოსავლეთში, კერ-
ძოდ კი სპარსულენოვან სამყაროში გავრცელებ-
ული რომანი „იოსებ-ზოლისანიანი“. ქართულ
ენაზე მოთხოვება „იოსებ-ზოლისანიანის“ ორი
ძველი ვერსია, XVI და XVII საუკუნეებისა.
რომანის მხედვით იოსებს გაუმიწერდნენ
ზოლიანა და ზაზუა, მაგრამ მან სიუვარული
უარყო. ამ მოკლე ცნობის შემდეგ მომამქვს
რუბაის ჩემუდელი თარგმანის ტექსტი:

ამბობენ, მისი სახელი იყო იოსებ,
მისი სახისგან გაწვილებდებოდა მისრის იოსებ.
ის იოსები მეგვიპტელია, ეს კი ტფილელი,
მაგრამ ქალებს კი არ გაუტრბის ეს იოსები.

შეგონებები:

- 1 აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლი-
ტერატურის ისტორიიდან, 1945, გვ. 343.
2. სიბრძნე სიცრუისა, გიორგი ლეონიძის
წინასიტყვაობით და სოლომონ იორდანიშვი-
ლის რედაქციით, თბილისი, 1938.
3. ლიტერატურული ძეგანი, V, 1949, გვ.
133-174; იხ. აგრეთვე „სპა წარსულიდან“ (ლი-
ტერატურული საქართველო, 10, IX. 76).

- 4 აქ ჩამოთვლილი წიგნებიდან ზოგი რამე
ვიშოვე, ზოგი სხვაე ჩამოვეტრანე. ა. ბ.
- 5 იოსებ გრიშაშვილი. თხზულებათა კრებუ-
ლი ხუთ ტომად. ტომი II, თბილისი, 1962,
გვ. 179. აქ ლექსს სათაურად აქვს: ზაველო და
დედაქ. ნ. ელიაშვილ-ბარამიძეს.
- 6 დაბეჭდილია სომხეთის სსრ მეცნიერებათა
აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა გან-
ყოფილების მოამბეში, ერევანი, 1946,
№1, გვ. 37-43.



ბიორგი სანადირაძე

ლიტერატურული ქვეყნის ერთი გუზაბი

ოტია პაქორობა ერთი თვითმყოზადი, მკაფიოდ გამოკვეთილი სახელია დღევანდელ ქართულ მწერლობაში. ყველას ვატყვირდა მისი ორმოცდაათი წელი. ნახევარი საუკუნის ზღვარს მიღწეულმა შემოქმედმა გარეგნულად უმაწვილკაცური თვისებები შეინარჩუნა, მხოლოდ ხანდახან მისი გამოხედვა თუ მიგვიანიშნებს ხოლმე: ეს არის ცხოვრების გრძელ გზაზე გამოვლილი კაცის გამოხედვა, დროის გამჭოლ ქარებს არაერთხელ რომ აუფორიაქებია და აუწიწია მისი სული. მაგრამ ყველა, ვინც ოტია პაქორობას ცხოვრების გზას დააკვირდება, მიხედება, რა ლამაზად, რა კარგად გაიშრიალა მისი შემოქმედების ზემოთისი აყვავების ეამს. ბევრი რამ შეიკვალა ამ ხნის მანძილზე მის შემოქმედებაში. ვიქტორ სკლოვსკი, გადახედვდა რა განვლილ გზებს, დასძენდა: „ადამიანი იცვლება, მაგრამ იცვლება მზარდი ხის მსგავსად, ყოველ გაზაფხულზე ძალუბად იფოთლება და ნაკლებით ბრტყნდება!“ უკეთეს შედარებას ვერ მოსძებნი.

ოტია პაქორობის შემოქმედებას მკვიდრად უდგას ფესვი კემარტი მწერლობის ნიადაგში. მარადი ძიებნისა და უცაბედი აღმოჩენის სიბერულის სინათლე ვახლავთ მისი მშვენიერი წიგნი „დრო და სახელები“.

ეს კრებული მართო დროით დამოწმებული და აღიარებული მწერლების შემოქმედების საფუძვლიანი განილვა როდია. იგი, იმავე დროს, ავტორის სულიერი ბიოგრაფიაა, განვლილი ცხოვრების წამიკაა — საფესურებად დაყოფილი და დახარისხებული. ყოველ წერილს თავისი ისტორია აქვს, თავისი სახელი. მაგრამ კრიტიკოსისათვის ისტორია გან-

სენებისათვის ეს არა, დასვენებისათვის არსებობს.

ადამიანის მუხსიერებას აქვს ერთი თვისება — შერჩევისა და უარყოფის. იგი იფიქვებს შემთხვევის, შეუფერებელს, მტკიცუნელს, ზოგჯერ იმასაც, რისი დაიწყებაც არ შეიძლება. თაობის მუხსიერება უფრო დაუნდობელია, იგი საკუთარი არსებობის მონაცვეთზე იფიქვებს ბევრ რამეს...

... როცა ფიქრობ შენს თაობაზე, გუფლდება გრძნობა: ლიტერატურული ქვეყანა, რომელსაც კარგად უნდა იცნობდე, საოცარი მოულოდნელობითაა საესე, შენ იცი მისი არსებობის მორალური კანონი, მისი სოციალური და საზოგადოებრივი იდეალები.

... და მაინც, ყოველთვის ელოდები ახალს, მოქმედს, ამაღლებულს“...

ეს სტატიკონები ოტია პაქორობას ეკუთვნის, ადამიანს — ვინც კარგად იცის თავისი მოვალეობის, თავისი მოწოდების მთელი მნიშვნელობა. ლიტერატურის არავითარ სიცოცხლეზე არ შეიძლება ლამაზაჟი, თუ არ იწვი, თუ არ სუნთქავ მშობლიური მიწისა და ზეცის სუყარულით.

ყველას შემოქმედებას ერთი საზომით ვერ მიუდგები. ყოველი შემოქმედი თავისებურად მონაწილეობს ცხოვრებისეულ გარდაქმნებში. ამ გარდაქმნებისას წამითაც რომ წაიფორბილო, სათვალევიდან ამოვარდები, ამოვარდები შექანიერად, — დააიწყებდი მეთხველს. წემი აზრით, მწერლობაში არ არსებობს რალაც ვარკვეული, ყველასათვის მიღებული ხერხებისა და მანერების ნუსხა... თუ მწერალმა წინდაწინ იცის — შემოქმედების ბოლო სადგურამდე ვერაფერ ახალს აღმოვა-

ხენო, რა ფიცი-მტეცი უნდა, ასეთი შემოქმედება სილაზე ნაწერს ჰგავს, და, ცხადია, დიდი სიოცხლისუნარიანობითაც ვერ მოიწონებს თავს.

რა არის უმთავრესი და მამოძრავებელი ძალა ოტია პაკეორიას შემოქმედებისა?

ფიჭვი წუთისოფელზე?

შემოქმედება ადამიანის ადვილზე ამ წუთისოფელში?

ადრე წასული მგეობრების აზრდილთა გამოსობა?

დღევანდელი დღის საზრუნავი?

რა თქმა უნდა, მისი ფიჭვი ყველა ამ სფეროს მოიაყვს.

ოღონდ ამისთვის წერ საკუთარი სამოქმედო პროგრამა უნდა დასახო: ქმნიდე ნიდავ და ასამართლებდე საკუთარ თავს, როგორც კნუტ მაშუსნი იტყოდა ხოლმე.

შემოქმედებაში აზრი შიშვლად არ არსებობს. ცოცხალი აზრისათვის სამოსელის გამოწახვა შემოქმედის საზრუნავია. ამა, შიშვლად რა სამოსელშია გახვეული პაკეორიისეული სიტუაცია?

„შეიძლება ექვე შეგებაროს შენს შესაძლებლობაში, ვაწუხებდეს უქმარობის ვრცობა, იყო უქმყოფილო, ცდილობდე, მსმენელის შეზრალი წარბით მიხედვ, სად ირდევია შენი ქმნილების მელოდია და რიტმი, დაუწყარს რჩევას, ოღონდ ყოველივე ამის შრდმა უნდა იდგეს შეგატყნება, რომ არსებობდა შენ მართალი ხარ...“

სიმატლის რწმენა...
საიდან მოდის მისი ძარღვი?
უბრალო ინტუიციის ლოგიკიდან?

შხატრული სიტუაცია, რიტმით დამუბტული ემოცია ქვეყნობიერი სიღრმეებიდან იღებს სათავეს. ხდება უცნაური რამ: ვესმის გულისცემა, ხან ძლიერი, ხან წვეტილი, ხანაც მშვიდი... იქნებ ეს კარდიოგრამა არის კიდევ მწერლის მსოფლმხედველობისა და გარემოს შეცნობის საზომი?

რა დიდად შთამბეჭდავია მწერლის სათქმელი, როცა ის გულისგულიდან მოდის, როცა დიდი მოქალაქეობრივი კრიტიკიზმითაა განზომილი, იმევე დროს, არც მასშტაბურობისა და თანადროულობისაგან განდგომის საშინორების წინაშე დგას. პირაქით, იგი ყოველთვის სიოცარი სწორზარუნებით, დიდი სულიერი სინათლით იმუქებს ადამიანურ ვნებათაღელვებს, მასში რეალურად ელინდება თანადროული მაქისცემა, ეპოქის დაუდგომელი სული. ესაა რწმენა სიყვარულისა. ამის ნება კი იმ ადამიანს აქვს შხოლოდ, რომლისთვისაც ლიტერატურა არ არსებობს შორეული გზების, სიძნელისა და ტყვილის ვარემე. ოტია პაკეორია კრთდრთულად რამდენიმე

ამოცანის ისახავს და ბრწყინვალედ სწორს კიდევ. ქვეშაობიერ მწერლობის ნიშნუშვის განხილვისას (მისი მწერლობის მწველ-მწველში) ცდილობს საკუთარ სულშიაც ჩაეახებდოს. ეს უკვე მანამდე უცხო თვალისთვისაც დაფარული შემოქმედებითი ლაბორატორიის საიდუმლოებათა გამხელასაც ნიშნავს. რატომ ატეიებს ამას? რათა განაღოს, როგორც თავისი თანამოქალმის, ისე, საკუთარ მსოფლმეგრატნებას. ეს გვერდიდან, უკეთ, უცხო თვლით კვერტა ცნობისმოყვარეობის გამო როდი ხდება.

ეს უნარია ქვეშაობიერ შემოქმედება წილხვედრია მსოლოდ.

ამიტომაც არის, მის ყოველ ესეს პოეტური აღსარების ელფერიც რომ დაქარავს.

სულაც არ გამეიჩრებება „დრო და სახელეების“ ფეოროი ამ რამდენიმე ხნის წინათ მოთხრობით რომ წარსდება შეითხელთა სამსყარითზე. „ციკარში“ გამოქვეყნებულ ვრცელ მოთხრობას „უქუქეცეა“ ჰქვია. რა იყო ამ მოთხრობის დაწერის საბაზი? იგი დაბრძენებული კაცის ზანგრძლივი ნაფიქრისა და განცდილის შედეგია; შემოქმედი, ადრე თუ გვიან, უბრუნდება წლების მანძილზე დაგროვილ სულიერ ფასეულობებს, ღრმა ცხოვრებისეულ შთამბეჭდილებებს. ეს ფასეულობანი ასლა, სულ სხვა ბრწყინვალეებს იძენენ თანადროული რეგრატციის წყალობით. შესალოა, ბევრი რამ ობტაყური ილუზიის შედეგიც იყოს. სწორედ აქ უნდა გამეღანდეს მწერლის ე. წ. „შეუქვესე ვრცობა“ — დაიტოვო ყველაზე ნაღი, ყველაზე აუცილებელი... ოტია პაკეორიამ სწორედ ამგვარი პროცესი გაიარა „უქუქეცეამდე“.

გარდა იმ ერუდიციისა და ელვარებინა, რაც კარგ კრიტიკოსს მოეთხოვება, შეითხელმა ოტია პაკეორიას ნაშრომებში თავიდანვე იგრამო გაუცხადებელი პოტენცია ბელეტრისტისა; ამ გაუცხადებელ პოტენციაზე მერჯელებს მისი მოთხრობა „უქუქეცეა“.

იგი მართლაც ცოტას წერს... ეს ყველამ იცის. მაგრამ იქნებ ცოტას აქვეყნებს?

მასზე ამბობენ:

განებებს მალღი გემოენ-მის მადლით, მადღარი ფანტაზიით, ზომიერების საშური ვრცობით დაუქილდოვებიაო.

მაგრამ ეს შესაშური ზომიერება ერთბაშად ირდევია მწერლობის შიღმა: როცა მშობაზე, მგეობრობაზე, სიყვარულსა და მამულიშვილობაზე მიდევბა საქმე — ზომისა და საზღვარის არ დავიფვეთ — ზოლომდე იხარება.

იქნება ამ უზომო ხარკვამ გადაღალა მისი გული?

არ არის მართალი უსაზღვრო სიყვარული-სათვის არავინ დაუწყია გულს...

პარიაკეტილი მოგზაური

თამაზ ჩხენკელიც, - უცებად მჩხრეკალი -
 ისტატი ბერების დარად, სენაკშია დაუღღ-
 ბული და ემსახურება ქართულ სიტუას,
 მაგრამ დროდადრო, როგორც ომებით მოღ-
 ლილი და სასახლის ბრწყინვალეობით გაბეზ-
 რებული შეფეები ვადიციამდენ მსახურის
 დაბეჭეულ საშოსს და გაერეოდნენ მდებარე-
 თა შორის, „ტრაგიკული ნიღბების“ ავტო-
 რიც ისე სტოვებს თავის ბერულ ჭვალს და
 სენაკს მიაშურებს, მიწიერ სიამეთა პატარა
 ბაღს — „ჩინელი ქალის ფეხებით პატარას“,
 სადაც ასევე დამაშვრალ მის ძმებს მოუყრიათ
 თავი! მაგრამ იქაც თამაზ ჩხენკელს ღვიწივ
 სხვაგვარი უყვარს — ბიბლიური, წითელი;
 სიტყვაც სხვაგვარი მოსწონს — დაუნეხუ-
 ლი, მრავლისმთქმელი; ურთიერთობებიც სხვა-
 ნაირი ხიბლავს — პირდაპირი, მართალი; და
 ასე გაბარებული, ძალმოცემული, კმაყოფილი
 და ბედნიერი — იგი კვლავ შეიკეტება თავის
 სენაკში და აღდამოკლებული სათლის შექ-
 ზე აგრძელებს დაწყებულ წიგნს...

მაგრამ ეს „ტრაგიკული ნიღბების“ ავტო-
 რის ერთი ნიღაბია, და მალე იგი, სულ სხვა
 კაცად ქმნილი, ფრთხილ და ნაცად თუმურ
 სატალახოზე ამხედრებული, ისევ თავის ძმებ-
 თან — თავის ნოდართან, თავის ბაჩანასთან,
 თავის ზურაბთან ერთად — ციკაბო კლდეებ-
 ზე გაღლებული ავი ბილიკიდან ზეერავს უზარ-
 მხარ, უფიდეგანო, თვალშეუდგამ, უსასრუ-
 ლო ქვეყანას — საქართველოს, და გულში პი-
 რობას უდებს საკუთარ თავს, რომ, რაც არ
 უნდა დიდი იყოს იგი — მისი სამშობლო —
 მაინც მტკაველ-მტკაველ დაიკლის მას, ყოველ
 სოფელს უწევია, ყოველ ტაძარსა და ციხეს
 მოიხილავს, ყოველ აღმართს აივლის, ყოველი
 მწვერტალიდან დაეშვება...

მისი ყოველი ნიღაბი — ტრაგიკული ნი-
 ლაბია.

ამ ტრაგიკული სიმბოლოცაა ვახსიგან
 შეკრული ჭვარი მის ოთახში!

ჩხებერ ბროლს — იაპონური ტანკა ურჩე-
 ნია, იაპონურ შალურს — ძველი საქართვე-
 ლის დაქენილი და მრავალჭირანხელი რუკა,
 სადაც მისი ყველა ოცნება თავმოყრილია და
 ერთად შეკრულ-შენივთებული.

ამ რუკითა აქვს მას მოვლილი საქართვე-
 ლო — სარფიდან კულმუხეთამდე — არის
 ასეთი წყველა საქართველოში: კულმუხეთა-
 მდე გქონიაო გზა... თამაზ ჩხენკელის კუთვ-
 ნილ ამ უნიკალურ რუკაზე აღნიშნულია ეს
 კულმუხეთი — ერთი უკიდურეს წერტილმა-
 განი იტყობა, იქ მოყვანილი ტყევე სამუდამოდ
 იყო განწირული დიდ საქართველოსთან გან-
 საშორებლად. და თამაზ ჩხენკელიც, ისე, რო-
 გორც ყველა ჭეშმარიტი მამულიწვილი, სა-
 მუდამოდაა დაწვეული და მისი გზაც გადის
 კულმუხეთზე — ისიც ტყეა აწ და მარადის,
 ოღონდ ტყეც თავისი მიწის, ხალხის, კულტუ-
 რის.

— ჩინებული მოსიარბი ყაბახის თვალი
 უბადლო რიტორი! სმისა და ზმის კაცი! მწი-
 გნობარი! მეგობარი! — ასეთი იქნებოდა იგი
 ასწლეულების წინათ...

ასეთივეა იგი ახლაც: დრომ ევრაეური და-
 აკლო მის სილამაზეს.

მე არასოდეს დავებრდებიო, უთქვამს თამაზ
 ჩხენკელს ერთი მეგობრისათვის.

როცა საჭირო იყო, ქალღმერთმა ათენამ
 სიკბმევე დაუბრუნა ოდისევსს.

და თუ საჭირო იქნება, ქალღმერთი ათენა
 - ოდისევსს დაიღებულად მთარგმნელს სიკუ-
 ბუქესაც შეინახავს...

თამაზ ჩხენკელი საქართველოს არ გასცი-
 ლებია — მარცხით აჭრელებული ჩემოდნე-
 ბით არ შემოუვლია ევროპისა და ამერიკის
 დიდი სატახტოები...

თამაზ ჩხენკელს შთელი ქვეყანა აქვს შე-
მოვლილი მანც — უოფილა ავეღვანი ევრო-
პისა და აზიის დიდ კულტურულ ცენტრებში!
ოღონდ სხვაგვარია ეს სოგზაურობა: იგი
მოგზაურობის საკუთარი სულის წიაღში, და
არა ევროპის გარშემო, და შისი ვიდი დილე-
ტანტურად ინფორმირებული კაცი კი არ
არის, არამედ უქველესი და უმადლესი პოე-
ზია, ისტორია, რელიგიის ისტორია, ფილოსო-
ფია... ასე მოიარა მან ძველი ვედღებს ქვე-
ყანა, ტანის ეპოქის ჩინეთი, მიცვევიჩის ვარ-
შაე, ოგიგია და ითავე, ლერმონტოვის სამ-
შობლო, უიტმენის ქალაქი...

კარჩავეტილი სწავლულის ნიღაბი შისი
კიდვე ერთი ნიღაბია, და შისი მომდევნო ნი-
ღაბი — მოუღლელო მოგზაურის სახე!

რა ჯობი იუო ის ჯობი, რომლითა ბრმა
ჰომეროსი შორეული მომავლისაკენ მოიკლე-
ვდა გზას! თითქო ასლაც შოისშის ბუოტიის
კორომში მოჭრილი კომბლის კაენი, რომ-
ლის ხმაზეც უცთომლად იჩჩევედა ქერუშა
ქურუმი შილეს... იქნებ ამ ჯობის ხმაზეა
მართლაც გავლილი მანძილი ხეხსურული
შთიბლურიდან ჰეგზამეტრამდე. თამაზ ჩხენ-
კელმა ამ ჯობის ხმაზეც იმოგზაურა, და ამ
მოგზაურობაში შისი მეგზური რუსთაველი
იყო რუსთაველს დედანში ვერ უნდა წაეკით-
ხა „ილიადა“ და „ოდისეა“ — ასეთია ბიზან-
ტინისტებისა და რუსთაველოლოგების დასკე-
ნა. შაგრამ მეცნიერულად ზოგჯერ სწორედ
ისაა სწორი, რაც ფაქტებს ეწინააღმდეგება.
რუსთაველმა დიდებულად იცის ჰომეროსი.
შისი ათამადილი ოდისესის გზებში მეგზარ-
თება ტარტილის საძებნელად. მასაც ელოდება
შინ თავისი პენელიავე. შასაც დარჩა შინ
ერთავული გამზრდელი, ერთავული შინა...
ისიც ებიერა და ლინიერი — ოდისევსივით
ბრძენია და ერთავული — ოდისევსივით! არ
ვიცი, იყო თუ არა რუსთაველიც ჰომეროსი-
ვით ბრმა, შაგრამ იგი ჰომეროსივით იყო
შორსმჭერტელი და ნათელშეილელი! მასაც
ეჭობა, ჰომეროსის დარად, ხელში ჯობი თუ
ჯადოსნური კვერთხი, რომლითაც შორეული
შომავლისაკენ თამაზად მოიკლევედა გზას...

საერთოდ, არ არსებობს საინტერესო წიგნი
მოგზაურობის გარშემო. საჭმე ისაა შოლოდ,
ენი სად და როგორ მოგზაურობს: ზოგს —
შსოფლიო გზებზე უყვარს ზეტიალი, ზოგ-
საც — საკუთარი სულის ქვეყნულ-ზესენელ-
ში!

თამაზ ჩხენკელი ორიგინალური არ არის ამ
თვალსაზრისით: იგი თავის დიად მომღერათა
ნაკვალევზე მოგზაურობას არჩევს, ჰომერო-
სის, რუსთაველის, ვეფას ნაკვალევზე უყ-
ვარს ზეტიალი. იქნებ ამიტომაც არ იყოს
ნამყოფი სახელწამოქმულ ქალაქებსა და ნა-

ქალაქარბებში, და ამიტომაცვე იყოს ნამყოფი
ვეღვანი.

თამაზ ჩხენკელი ორმოცდაათი წლის არის
შაგრამ იგი საქართველოს ხნისაცაა, და ავ-
ლელი აქვს აველა ვოლოგოთა, რაც თავის
დროზე შის ქვეყანას აუვლია. ოღონდ ჩვენნი,
ადამიანური, მეხსიერება ტრაგიკულად შეზ-
ღუდღულია, და ჩვენ აველაფერი რიდი ვიცით
საკუთარი წარსულის გამო. ვაიხსენეთ:

**Откуда у хлопца
Испанская грусть...**

საიდან აქვს ქართველს ესპანური სევდა!
საიდანა აქვს ბასეს ქართული შწუხარება!

რა აკავშირებთ ერთმანეთთან ქართველებს
და ბასეებს!

დიამ! უნდა მეტიხმეტად „დიდ სიღრმეზე
ვაიხაზროს ენის ისტორია“ (არნ. ჩიქობავა),
შაგრამ ხშირად ასეც ხდება: ჩვენ სიღრმე-
ბისაკენ მივიღტეით, ვიღვამეშაინი თიხის
ფირფიტები კი ნაყარ შიწაში ყრია.

დიამ! „საკვირთა გვეავადეს... ენათმეცნიერე-
ბი, რომლებიც იქნებიან ერთსა და იმავე
დროს კავასილოლოგებიცა და ბასესლოგე-
ბიც“ (არნ. ჩიქობავა), შაგრამ ხშირად ასეც
ხდება: ერთდობი სპეციალისტები თავს იმტე-
რევენ პრობლემებზე, ნაყარ შიწაში მოვდებუ-
ლი ვიღვამეშაინი ფირფიტები კი მოყვარულ
ჯორჯ შმითს ელიან! ამით იმის თქმა რიდი
შინდა, დიდი პრობლემები დილეტანტებს ზა-
ეუღვლოთ-შეთქი ხელში! ამით ის შინდა ვთქვა,
რომ რიცა მე ქართული ხალგოვრადიის პრობ-
ლემებით დაინტერესებული თამაზ ჩხენკელი
განხე, მან უსაზღვროდ ვამხარა ამ სხაზრულს
იწვევს ჩემში აველაფერი, რასაც მაღალნიქი-
ერი აღამიანები აკეთებენ, სულ ერთია, რა-
ზეც არ უნდა სწუხდეს შათი შამიებელი გო-
ნება.

რაი ვიღვამეში ვასენე, უნდა ვიღვამეშის
შთარგმნელიც მოვიგონო: ზურამ კიენა —
თამაზ ჩხენკელის შემოქმედებით ტანდემი.

ამ რამდენიმე წლის წინათ, რიცა ბასს
შიწა-წყაღზე აიტეის გრძნელმა დამ კირკვი
ჩაშოიარა და, თავისი ჯადოსნური კვერთხის
წყაღობით, ზოგი ჩვენი თანამეშამულე ლო-
რებად აქცია, თამაზ ჩხენკელი ზურამ კიენა-
ბესთან ერთად კირკვის ჯადოსნობის აშბავს
ააჩემინდა და ქართულ კულტურას ამდი-
რებდა. ამავე წლებში ვადმოილო მან ქართუ-
ლად დიდებულ მაჩანა ბრგვეაქესთან ერთად
დაანტეს „ვიტა ნოვა“. ახლა „შპავატი-გიტა“,
უიტმენი, შიცივენი, ლერმონტოვი, პუშკინი,
ახმატოვა, პასტერნაკი, ქაბიბი... თავორი,
ლორეა, ხაიამი, ბო ძი-უ...

კედელზე მიწერილ ჩემს შდარე ლექსებს
კაცთა შოდგმისათვის არა აქვს ფსი.
ნიშნათა შწერივი დანარა შტერემა

და ქამთასვლისაგან მოედო ხაჯი.
მხოლოდ იუანი, ხელმწიფის კაცი,
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს,
არ ინდობს თავის ძვირფას მოსახლას,
ამორებს მტვერს და კითხულობს
ლექსებს.

მეც ასე ვამორებ შესიერებას მტვერს და
ზებირად ვიმოწმებ ამ ლექსს. თამაზ ჩვენკე-
ლმა იცის, რომ მე შემიძლია ეს, ისევე, რო-
გორც შეუძლია ეს მის თარგმანებზე შეევა-
რებულ ათასობით მკითხველს.

მაგრამ არ არსებობს შეუცვლელი თარგმანე-
ბი. არსებობს მხოლოდ შეუცვლელი სიტყ-
ვინალები! და კიდევ: არსებობენ შეუცვლი-
ლი ბიჭები — პოეტები, მხატვრები, მეცნიე-
რები! მათი ადგილი შეუცვლელია მაშინაც,
როცა ისინი ორმოცდაათი წლისანი არიან,
და მაშინაც, როცა ასწლეულებს მიითვლიან!

თამაზ ჩვენკელი ერთი ასეთი შეუცვლელ
კაცთაგანია. მისი წიგნი და ცხოვრება სიქარ-
თველოს თანამგზავრია აწ და მარადის...



6 700



საქართველოს
საქართველოს

ИНДЕКС

76128

6010 00 000.

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ